

კ 279 II

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ქართული ლიტერატურული
კრიტიკის
ისტორიისათვის

ჭრუსთომასია



სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა

თბილისი

1956

86-11
ქ-279

ქართული ლიგარაგული კრიფიკის ისტორიისათვის

ქრესოგრაფია

II ნაკ. 1

შეადგინა და წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები
და საძიებელი დაურთო

ს. ხუციშვილი

30614



რისათვის, ის არის მაცხოვრებელი და მაცოცხლებელი შისი, ის არის შისი წარმმატებელი: რაღა თქმა უნდა, რომ რიგიანი კრიტიკის შექონე ლიტერატურა უფრო სახალისოა საზოგადოებისათვის, უფრო გასავალი და მნიშვნელობაცა აქვს საზოგადოებაში. მაგრამ კრიტიკა შეუძლებელია იქ, სადაც მართო ერთი რიგიანი სალიტერატურო ორგანოა (თუ გინდ ვსთქვათ კიდეც, რომ ამ ორგანოს სივრცე არას უშლის კრიტიკას). იმედი მაქვს ნათქვამის წინააღმდეგ მე არავინ მიმიშვერს თითს „სასოფლო გაზეთზედ“ და „გუთნის დედაზედ“ [ცენსურამ მაშასადამე, დაგვრჩა „დროება“ — მართო „დროება“—და ვისაც ამის შეტო არა უნდა რა, იმას არ უნდა არც კრიტიკა ქართული ლიტერატურისათვის, არც ჯეროვანი და ყოველ-მხრივი საგნის ან აზრის გამოკვლევა; იმას არ უნდა მეცნიერების და ცოდნის გაერთელება საზოგადოებაში, და ერთის სიტყვით, ის უგულვებელ-პყოფს იმ სიკეთესა და საქმეს, რომლის აღსრულება შეუძლიან მხოლოდ რიგიან უურნალსა.

1. „მნათობი“ არ იქნება „დროების“ კონკურენტი. „მნათობის“ გამოცემის ცუდი პირობები, მისი მოღვაწეობის პროგრამა.

ქ. თბილისი, 1869 წ. მაისი

„მნათობი“, 1869 წ. № 4

ალექსანდრე ცაგარელი

ჩვენი უპედური მუიგ ნოგარობა ამ საუკუნეში

კაცია აღამიანი, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა, გამოცემული მ. ბეთანიშვილისაგან, პეტერბურგი, 1869 წ.†

ვთი, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გეაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!...

შოთა რუსთველი

არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება

რად იყო ფუჭი და მხოლოდა აშაოება...

ნ. ბარათაშვილი

გამოიცა ის წიგნი, რომელშიაც ქართველი თავით ფეხამდინა სჩანს როგორც სარკეში; საუკუნოები რომ გავიდეს და ვისმე სურდეს ქართველი და იმის ცხოვრება წარმოიდგინოს, — მართო წაიკითხავს ამ წიგნსა და საკმაოა. ილ. ჭავჭავაძე რომ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ, საკმაოდ ლაჩქლეს კიდეც და აქვს კიდეცა, მაგრამ არც მათ

† ქეშმარიტად დიდი მადლობის ღირსია თ. მ. ზ. ჭავჭავაძე, რომლის ხარჯითაც დაიბეჭდა ეს წიგნი და აგრეთვე უფ. შინჯალ ბეთანიშვილი, რომელმაც თავს იღდა ამის გამოცემა.

მხრეებმა და არც მოწინააღმდეგეებმა არ იცოდნენ რიგიანათ ან რისთვის ჭელავდნენ ტალახში და ან რათა სცემდნენ თაყვანსა და გუნდრუქს რათ უკმევდნენ; გაუგებრად ნახირს მისდევდნენ და რასაც ერთი დაიბლავდებდა, როგორც ხშირათ მოხდებდა ხოლმე, სხვანიც ბანს მისცემდნენ; თითონაც არ ეყურებოდათ რა უნდა ეთქვათ ამითი. ეხლა სისხლმა დაიღულა. სიცხე გამოუნელდათ და გაუგებარი ქებაც და ძაგებაც მოსწყინდათ; იყაყანეს, იყაყანეს და დასდუმდნენ, როგორც ქართველების რიგია; თვითონ ჭავჭავაძეც კი ჩრდილს შეეფარა, იმის შიშყოლი გუნდი კი დარჩა პირდაღებული, ასე ორ წყალშუა; მართო წინაშეძლოლის წარმოთქმულს სიტყვებს კიდეც იმეორებენ, აფორიზმებათ მოპყავთ საღმთო წერილის სიტყვებსავეთ და ამგვარად პოეტის ფრთის ქვეშ ამოფარებულნი ეს ახალ ამოღებულნი მწერლები, სვინტრსავით ანუ სოკოსავით წვიმის შემდეგ, უზვად აფრქვევენ ცხელ ცრემლსა. თავიანთ ვაგლახ „მოთხრობებში“ (ამ პირ შეუბუძბლავ „მჯდბნელებში“ ამ სტატიის მწერალსაც ფეხი უდვას). ღვთის წინაშე, თვითონ მოძღვარიც კი (ილ. ჭავჭავაძე) არ არის თავისუფალი თავის თხზულებებში „ბებიური გულჩვილობისა და გულმტკიცენულობისაგან“; ამას ეტყვიან სენტიმენტალურ ანუ ჩვენ ენაზედ, ასე ვთქვათ, „ცინგლიანობით პოეზიას“, რომელიც ყოველ წუთში ქვიითინებს, ფრანგების მქადაგებელსავით, — ასე შუა-გზაზედ და რადინ გამოუკვლეველ ლიტერატურულ მიმართულებაში გაუშვა ილ. ჭავჭავაძე (თვითონ თავისი პოეზიის ხასიათიც ვერ გამოიჩინა ცხადათ) თავისი მცირე და გზის უცოდნელი, მაგრამ ერთგული ლაშქარი, რომლის დროშაც ასე მამაცურად ეჭირა და უძლოდა წინა (თუმცა საუბედუროდ მართო ერთ-ორ წელიწადს) და თავისი უკუდგომით დაამტკიცა ძველი, მაგრამ ყოველთვის ახალი ჭეშმარიტება, რომ „პოეტი თავის ხალხის ნამდვილი შვილია“...

რაც უნდა იყოს, ნათქვამია — „ნაბიჭვარსაც მონათვლა უნდაო“. ჩვენი ლიტერატურის ეხლანდელ მდგომიარებას და ილ. ჭავჭავაძის პოეზიის კილოს რიგიანათ ვერ გავიგებთ, ვერც იმის მნიშვნელობას ჩვენ დროსთვის, თუ თვალი არ გადავავლეთ ჩვენ ლიტერატურასა ამ საუკუნის განმავლობაში, რომელიც ბევრით განიარჩევა წინა ჩვენი ისტორიის საუკუნოებისაგან თავის ხასიათით ან, უფრო სწორეთ რო ვთქვათ, უხასიათობით, ცხრაწვენაობით. მაგრამ ჯერ ნება მომეცით აქვე ვთქვა ორიოდ სიტყვა იმაზედ, თუ რა უნდა ვიქონიოთ სახეში საზოგადოდ ლიტერატურის დაფასებაში და კრიტიკულ განხილვაში!

† ამ კრიტიკულ განხილვაში მე მაქვს სახეში უმეტესად ლესსინგის და ტენის მახრბო ლიტერატურულ ესტეტიკურა თეორიაზედ, — როგორც უკეთესი კრიტიკოსებისა, რომელნიც უმთავრეს აზრებში თანახმანი არიან.

ლიტერატურა უნდა იყოს ნაციონალური, იმ ხალხის სულისა და გულის, აზრისა და გრძნობის, ჩვეულებისა და ადათის, იმის უნაზღაურებელი და კილოზედ გამომხატველი, რომელმაც (ე. ი. ხალხმა) ეს ლიტერატურა წარმოშობა; ერთი სიტყვით, ლიტერატურაში უნდა სჩანდეს ნამდვილი სახე ხალხისა, რომელსაც ეკუთვნის; რამდენათაც თხზულება უფრო ნაციონალურია, იმდენად უფრო დიდი ღირსება აქვს. ხელოვნებაშიაც მაღლა სდგას და სარგებლობის მოტანაშიაც. ამავე დროს ნამდვილ ნაციონალური თხზულებები არაძთუ ცალკე ხალხს, ან კაცობრიობას არ ეკუთვნიან და არ შეეხებიან, არამედ რომელსაღმე თხზულებას მაშინ ექმნება კოსმოპოლიტიკური, საზოგადო მსოფლიო კაცობრიული ინტერესი, როდესაც ნამდვილი ნაციონალური იქნება. არ შეიძლება დიდი კოსმოპოლიტიკური თხზულება, იმავე დროს ნაციონალურიც არ იყოს; საკმაოა ჩამოთვალთ მართო სახელები იმ მსოფლიო გენიოს პოეტებისა, რომლების თხზულებაშიაც პირველათ იმათი სამშობლო ხალხი და მამული სჩანს და მერე მთელი ქვეყანა: ოპერი, დანტე, შექსპირი, გეტე, რომლების თხზულებებშიაც ისე საკვირველის სინამდვილით და სიცხადით სჩანან იმ ხალხების სახეები, რომელთაც პოეტები ეკუთვნიან (ბერძნები, იტალიელები, ანგლიელები, ნემეცები) და იმავე დროს გამოხატვენ საზოგადოთ კაცობრიობას, ხალხებს და თვითეულ ადამიანს სადაც და როდისაც უნდა იყოს და ყოფილიყოს, ნაციონალური თვისება არამ თუ არ უშლის კოსმოპოლიტიკურ თვისებასა, არამედ უიმისოდ ეს შეუძლებელია: თხზულება, რომელსაც არავინა ჰყავს სახეში, არც არავის ეკუთვნის, და ყველას ყოლა არ ყოლას უდრის.

მწიგნობრული ანუ მწერლობითი პოეზია არის შიბაძვა და შეცხება ბუნებითი ანუ ზეპირს სიტყვაობითი პოეზიისა; ესენი მხოლოდ იმითი განირჩევიან რომ ხელოვნებითი პოეზია უფრო შემუშავებულია. დახელოვნებულია გამოცდილებისა, სწავლისა და მეცნიერების ნათლით. უფრო გამშვენიერებული და გაბრწყინებულია; — როგორც პოეზიისა ისე საზოგადოთ მთელი ხელოვნების დანიშნულება ეს არის: მაშასადამე თუ რომ უნდა, რომ პოეზია უკეთესად ასრულებდეს თავის დანიშნულებას და მოთხოვნილებას, როგორც ნაციონალურს, აგრეთვე მიბაძვითსა, უნდა მტკიცეთ დამყარებული იყოს ნამდვილ ხალხის საფუძველზედ, ამოსული უნდა იყოს იმ ნიადაგზედ, რომელსაც ეკუთვნის, შტოებს ცოცხალი კავშირი უნდა ჰქონდეთ ფესვებთან და არ უნდა იყვნენ თვალის მოსატყუებლათ პალესტინის დაფნები და იტალიის ლიმონები არხანგელის გუბერნიაში ჩარჭობილი, როგორც ხშირათ მოხდება ხოლმე. ყველა გვარი პოეზია (ლირიკული, ეპიკური და დრამატიკული) არის ხალხის პოეზიაშიაცა, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში; ბუნები-

თი ლექსიცა (ლირიკა), ბუნებითი მოთხრობაცა (ეპიკა) და ბუნებითი ბრძოლაცა თავის ნებასთან, ვნებებთან და გარემოებებთან (დრამა); — და ხელოვნებითი პოეზია, ლირიკა, ეპიკა და დრამა, ნამდვილ ნაციონალური იქნება მაშინ, როდესაც საძირკველათ ხალხის ბუნებითი პოეზია ექნება და არ შესთხზავს პოეტი შესხმასა ბუღბუღების ენისაგან მომზადებულ საკმელზედ, რომელსაც ხალხი სიზმარშიაც ვერ ნახავს და დრო არა აქვს ამისთანა ტუტუცობაზედ იოცნებოს.

ამ პირობების და შერიგების შემდეგ შეუდგები პირდაპირ ლიტერატურის განხილვასა, რომელსაც დავყობ პერიოდებათ და შევეხები მართო ამ პერიოდების ბელადებს და დროშის მატარებლებს; დანარჩენის ვრცლათ განხილვას მივანდობ და მოვიწვევ იმათ, ვინც ამ საქმეში (მწერლობაში) კიდევ შესულნი არიან და მაშასადამე, ჩვენი ხალხის ლიტერატურა და ცხოვრება უფრო დაახლოებით იცინ.

ჩვენ შევეხებით უმეტესად თხზულების ლიტერატურულ ღირსებასა, ე. ი. ენის სიმდიდრესა, გარეგანი ესტეტიკური ფორმის სისრულესა. გრძნობისა და ჰაზრის სიღრმესა და ძალასა — თვითონ საზოგადოებას კი იმდენათ შევეხებით, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება.

ჩვენი ლიტერატურა ამ საუკუნეში, თავის პოეზიის ხასიათის და მიმართულების გვარად, შეიძლება ვაიყოს სამ პერიოდათ: პირველ პერიოდს შეადგენს ა). ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბესარიონ გაბაშვილი და ამ გვარებითა, მეორეს ბ). გიორგი ერისთავი ანტონოვით და სხვ. მესამეს გ). ილია ჭავჭავაძე აკ. წერეთლით და სხვ.

ა

„მერწმუნეთ, ძმანო, მგრძნობელობა სჯობს ყოველ ნიჭთა ცით მოვლენილთა, გონებასაცა და ნებასაც ის ასულდგმულებს“

ა. ჭავჭავაძე

„გრძნობა არის სულსველაფერი!“

(გაფილისტალეს)

გვთი — „ფაუსტ“

ალ. ჭავჭავაძე და იმის მბაძველნი ამ საუკუნეში, რომლებიც ჩვენი ლიტერატურის პირველ პერიოდს შეადგენენ, გამოხატენ თავიანთ პოეზიის იმ გვარ ხასიათს, ანუ მიმართულებასა, რომელსაც ანაკრეონული ანუ პეროტიკული ჰქვია ლიტერატურაში და რომელიც უმეტესად სამღერ სამხიარულო და სატრფო საგნებზედ ლექსობს; აზრათა აქვს კაცს მძიმე სიცოცხლის უღელი შეუფსუბუქოს და მხიარული ლექსით ვითომ დაავიწყოს „სოფელი მოყდერალი“, დამღერის მშვენიერ საგნებს, რომლებსაც ან უსულ ბუნება, ან ადამიანები წარმოადგენენ, მაგ. ვარდს, ღვინოს, დილა-საღამოს, მთვარეს, ამომავალი და ჩამავალი

შობილი, ხალხის ლექსებზედ და სიმღერაზედ დაფუძნებული, — ერთი სიტყვით, ამ ლექსთ წყობასა ნაციონალური კილო არა აქვს, ქართული სული არ უდგას. უმეტესი ნაწილი ლექსებისა ფერმკრთალი და სუსტი მიბაძვა არის სპარსული ლექსებისა, როგორც სიმღერის კილოთი, აგრეთვე ლექსთ-წყობის შინთი და საგნებითაც, რომლებზედაც ლექსები არიან გამოთქმულნი. ჩვენს ქართულ ლექსთ წყობაში ადრე იყო ხმარებული და გავრცელებული შოთა რუსთაველის მოწყალებით „შაირი“, რომლითაც არის დაწერილი იმის „ვეფხვის ტყაოსანი“ აგრეთვე „ჩახრუხაული“ ანუ „პისტიკაური“, რომლითაც არიან დაწერილნი შავთელისა და ჩახრუხადის პოემები. საზოგადოთ ამ გვარი ლექსთ-წყობა უფრო პოემებისა და მოთხრობებისა არის, მაგ.

შავთელისა:

შენ, გონიერო, გულის ხმერო, თვით მეცნიერო, მეფვე ძლიერო,
მიუხდომელო, მიუწოდომელო, მოუთხრობელო წრფელ სახიერო....

ჩახრუხადისა:

თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა ნარნარი, პირმცინარი,
მზე მჩინარი, საჩინარი, წყალი მთქნარი, მომდინარი...

„იამბიკოსაც“ ძალიან ხშირათა ხმარობდნენ; მეტადრე ხშირათ შევხვდებით ეკლესიებზედ და ხატებზედ ზედ წარწერებსა იამბიკოთი გამოთქმულსა; ეს იყო უფრო საღმრთო პოეზიის ლექსთ-წყობა, მაგ.

ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა,
ძე საუკუნობს პირველი და კვალი,
სულმან ღეთისმან სრულ მყო არ მოქმედებალი...

დანარჩენი გვარი ლექსწყობისა კი უფრო ბოლო დროს არის ჩვენში შემოღებული. მაგ. „წყობილი“, „ბაიათი“, „მუხამბაზი“, „თეჯლისი“, „მუსთაზადი“ და „გაფი“. ზოგიერთი ამ გვარ ლექსებისა წარსული საუკუნის ბოლოს შემოიღეს ჩვენში და ამ საუკუნის დამდეგში ალ. ჭავჭავაძემ — ჩენი პოეზიის იმ დროის ელჩმა, ხელოვნების უმაღლეს სისრულეში მოიყვანა, თუმც მწიგნობრული ენითა სწერდა, მაგრამ ეს მწიგნობრული ენა საკვარველის ძალითა ხატავს აღმოსავლეთის კაცის მგზნებარე გრძნობათა და ტრფიალების ძალასა. ესეც უნდა ვთქვათ, რომ ეს მუდამ „სიყვარულზედ“ და „სიკვლუცეზედ“ მომართული სიმები დასძახიან ყოველთვის უმაღლეს, უმანკო, ქალწულოვან, ნაზ და კეთილშობილურ კილოზედ, თავის დღეში იმის (ანუ იმათი, მთელი იმ პერიოდის მოლექსეების) ლექსი არ დაეშვება ცინიზმამდინ, იმ მდაბალ კილომდინ, სადაც პოეზია ანუ ნამდვილი ადამიანური გრძნობა თავდება და საიდანაც

დაიწყება მეფობა პირუტყული აღძვრისა და ვნებათ მოქმედებებისა, როგორც ხშირად მოხდება ხოლმე ფანტაზია-გაფუჭებულ უნიჭო პოეტებში, რომლებსაც წელი არ მოსდევთ, რომ ნამდვილ კაცობრიულ გრძნობა გააღვიძონ ხალხში და ამითი თითონაც ყურადღება დაიმსახურონ; ალ. ჭავჭავაძე, როგორც მაღალ ნიჭიერი პოეტი, შორს არის ამ გვარ ადლითობაზედ და მკითხველების წაბყუებაზედ ანუ თვალების აბმაზედ. — თავის პოეზიის კილოში და მიმართულებაში ის ისეთივე ზნეობიანი, მაღალი და მამაცია, როგორც სხვა გამოჩენილი მოლექსენი სხვა გვარ პოეზიაში. მაგ. ვინ არ შენიშნავს ამ ლექსში უღრმეს, ნამდვილ ადამიანურ მსუსხავ მგზნებარე გრძნობასა, პირდაპირ გულიდგან აღმოჩენილ კილოსა:

ყამნი ჰრბიან, შენცა შელტვი, სულ გრძელო საყვარელო,
როს მომიხვალ, როს დამატეობ, ეპ, წამო. სანატრელო!

ან კიდევ ამ ლექსში:

შენთან არს გული, მნათობო, ვიყო საღ ვინა,
ვინა ვის ვგვრეტდე, მნათობო, შენ მიდგე თვალ წინა...

სრულიად დაზნელებული, დაცემული და გარყვნილი უნდა ჰქონდეს კაცს ზნეობა და საძაგელი სიცოცხლის წინააღმდეგი, მოშხამული, გესლიანი სული და გული, — რომ იმ ლექსებში ვერ დაინახოს ის ქალწულოვანი, წმინდა, უმანკო გრძნობა ასე ნათლად და ენაწყლიანად გამოთქმული, — ლექსები. რომლებიც არიან თავის სიმალლითა დირსნი იმ მშვენიერი სიცოცხლის მოყვარე და ბუნების გამგონე ბერძნებისა, რომლებიც მშვენიერების ღმერთის—ვენერას ტაძარში ისე ხშირად სიყვარულის ტკბილ ცრემლს აფრქვევდნენ და ზედაც ამ გვარ ლექსებს დამღეროდნენ ქალნი და ვაჟნი; — დიახ, იმათ უკეთესად ეყურებოდათ მოციქულის სიტყვა: „ღმერთი სიყვარული არისო“, „გრძნობა არის სულ ყველაფერიო“, ტყუილათ არ ამბობს დიდი პოეტი.

ზემოხსენებული ლექსების სახელებიდან ცხადათა სჩანს, რომ უმეტესი ნაწილი იმათგან სპარსეთიდან არიან ჩვენში გადმოხერგილი. საზოგადოთ ვიტყვით, რომ ჩვენ ძველ ეკლესიურ ლიტერატურასა ჰქონდა დედნათა ბერძნულ-ბიზანტიის საეკლესიო ლიტერატურა, ძველ საერო ანუ სამხედროსა და საუკუნემდინ სპარსული და არაბული; ამ საუკუნეში დაიწყეს ჩვენმა მწერლებმა რუსისა და სხვა ევროპის ხალხების ბაძვა. ზემოხსენებული სპარსული კილო ლექსებისა იყო და დარჩა მარტო დიდკაცებისთვის (კეთილშობილებისათვის), აგრეთვე მოქალაქე ვაჭრებისა და აღებმიცემის კაცებისთვის, ნამდვილ მთელ ხალხს კი თავისი პოეზია, სიმღერის კილო და ლექსთ-წყობა აქვს; ამ უკანასკნელის

შენიშვნა და შესწავლა, როგორც ღირსეულად პატივისცემა უფრო ეძნე-
ლებათ ჩვენ პოეტებსა. რასაკვირველია, „თავის თავის ცნობა“ უფრო
ძნელია, სინამ მზათ შეთხზულის გადმონერგვა და მიბაძვა. ამდენი ხანი
ცხოვრობს ჩვენი ხალხი დედა-მიწის ზურგზედა და ერთი პოეტი არ
დაბადებულა ჯერ, რომელსაც თავისი ხალხის სიზმრები, ნანახი და ნაო-
ცნები ათასი წლობით სიცოცხლის განმავლობაში და დარჩენილნი ასე
ღრმად და ცხადად ანდაწებში, ლექსებში, არაკებში, ზღაპრებში და „შაი-
რებში, გამოცანებში და თვით ცრუმორწმუნეობაშიც კი — ყველა ეს
ხელოვნების ძალით მოესაზრა, გაემშვენიერებინა და ჩაებარებინა ზალ-
ხისა ხალხისათვის. დიახ, თუ პოეტს უკვდავება ჰსურს შთამომავლობაში
მოიპოვოს, ვერაფრით ვერ შეიძლებს, თუ არა ხალხის ბუნებითი, შეუ-
თხველი პოეზიის შესწავლითა, იმ პოეზიისა; რომელშიაც ხალხის სული
და გულია გამოხატული; ნაციონალური ღირსების მოსურნე პოეტი უნდა
ჩააკვირდეს ღრმად, ყური უგდოს, მიჰბაძოს, გამოხატულებისა და ფანტა-
ზიის ძალით გამოჩნტიკოს და წარმოადგინოს ის ღრმა ჰაზრი და ნამდვი-
ლი გრძნობა, რომელსაც უბრალოდ და მარტივად, ზოგჯერ რაღაც ყმა-
წვილურის გულის ნდობით და რწმუნებით გამოსთქვამს ხოლმე ლექსად
ხალხი. მართალია ალ. ჭავჭავაძის ლექსთ წყობა, როგორც საზოგადოათ
იმისი პოეზიის კილო, ნამდვილ ქართულ-ნაციონალური არ არის, მაგრამ
მაინც თავის გვარად, როგორც მწიგნობრული, საკვირველად არის დახე-
ლოვნებული. ამ მთელი პერიოდის ლექსთ-წყობა არის სამაგალითო:
ლექსის ზომა (ბერძნული მეტრონი) არის ძალიან კანონიერი, რითმა ანუ
უკანასკნელი მარცვლები ლექსისა არიან დიდათ კეთილ-ხმოვანი; საკვირ-
ველის ცოდნით და ხელოვნებით არიან სიტყვები შერჩეულნი, შეწონი-
ლნი გრძნობის სხვადასხვა მდგომარეობასთან, — საკვირველის ძალითა
ხატავენ ისინი ხან მგზნებარე გრძნობათა და მხურვალე გულის თქმათა.
ხან ვნებით ღელვასა; ზოგჯერ ლექსი მოღუღუნებს ტკბილად, როგორც
მიჯნურები, რომლებზედაც ის არის ნაწერი, ხან გასაოცარი და გულის
მიმტაცველი სიკვალუცით, სინაზით და სიტურფით, ხან ყვედრებისა,
შენდობისა და მავედრებელის და შებრალების კილოთი, ზოგჯერ შრისხა-
ნე, კერპი და შეუპოვარი შემტუქსეველი მშვენიერი ქართული სიტყვ-
ბითა, — ან არა და ჭაბუკი აფრთხილებს წინდაუხედავ სხვა ახალგაზრდებს.
რომლებიც კვებულობენ, რომ იმათ „გულს ვინც უნდა სტყორცნოს ისა-
რი დასამონები“, მაინც ვერავინ დაჰკოდავს, ის გამოცდილი ჭაბუკი
შესჩივის: „თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ; ერთხელ თქვენცა ტრფია-
ლება ჩემებრ მწარედ დავიმონებთ... მეცა ვიყავ მოქაღული, ვიდრე
ჩემად მაქვდა გული, ფიქრსაც ვერად შემირყევდა აშოყთ მტანჯველ სი-
ყვარული, მაგრამ ერთი წამის ძალამ ჩემი სული სრულად სცვალა, —
ვნახე და მყის მისმა სახემ შემიბჰრა და შეცამშჰგალა; — მოძერია ხვე-

დის ბუნდი, შემომერტყა ბნელი გუნდი, ჯაჭვი დამდვა მონებისა, კისრად
ვიღე და დავდუმდი“... ერთი სიტყვით, ამ ლექსებით არის გამოხატული
და გამოთქმული თითქმის ყველა გვარი მდგომარეობა გრძნობის სიცო-
ცხლისა და ვნებათ ღელვისა, რომელთაც კი ო დ ე ს მ ე, ს ა დ მ ე, რ ო-
მ ე ლ ნ ი მ ე მ ი ჯ ნ უ რ ნ ი „ტ ა ნ ჯ უ ლ ა ნ“, „სიყვარულია“ ამ პერიოდის
მოღექსეების პირველი და უკანასკნელი საგანი სიმღერისა:
სულ ერთად რომ შეიკრიბოს იმათი თხზულება, შეიძლება დაერქვას შეო-
რე „ქ ა ლ - ვ ა ე ი ა ნ ი“, ან მეორე „გ ა რ დ - ბ უ ლ ბ უ ლ ი ა ნ ი“.

დიახ, ალ. ჭავჭავაძემ სთქვა, რომ მ გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ო ბ ა ს ჯ ო ბ ი ა
ყოველ ცით მოვლენილ ნიჭთათ, გ ო ნ ე ბ ა ს ა ც და ნ ე ბ ა ს ა ც ი ს
ა ს უ ლ დ გ მ უ ლ ე ბ ს ო და კიდევ ასარულა თავის ნათქვამი: გრძნობა
ამჯობინა ყველაფერსა და იმას უმსხვერპლა სულ ყველაფერი, ისიც რის
მსხვერპლათ შეწირვის რ ი გ ი ა რ ი ე ო ჩვენი ჰაზრითა; ეს არის მამუ-
ლის ბედზედ ყურის მიყრუება, რომლის მდგომარეობასაც არც ერთი
იმისი ლექსი არ მოაგონებს კაცსა, როდესაც, რომ:

ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოთ მარებო.
ზილფო კავებო, მოკლავებო, ვერ საკვირებო!

ან არა და:

ემა, მთიები მთენია,
შუქი მისნივე შენია,
შენი ზეზეოთ მბარწყენი,
ჩემს გულსა მოსალხენია...²

და ამ გვარი ლექსები უაზრო და უგრძნობელი სპარსული სიმღერე-
ბის მიბაძვა. რომლებშიაც მართო სიტყვებია ბრტყელათ ნათქვამი, ამის-
თანაები კი, გაგზარბიანთ, კარგა ბლომათა აქვსთ. დიახაც, რომ ს ი ე ვ ა-
რ უ ლ ს და ა მ ი ს თ ა ნ ა ტ უ რ ფ ა ს ა გ ნ ე ბ ს უკანასკნელი მნიშვნე-
ლობა არა აქვთ პოეზიაში, როგორც კაცის სიცოცხლეში; — ის კეთილ-
შობილი, ნამდვილი კაცობრიული გრძნობა, რომლის ხასიათი და ძალა
ალ. ჭავჭავაძემ თავის უკვდავ ლექსში ასეთის მაღალი ტრფიალებით და
პოეტური მჭერმეტყველობით გამოსთქვა:

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ მონებდეს;
ვინ არს რომე გულსა ტახტად, თხვას ხარკად არა გცემდეს!
შენგან მეფე მონას ვყმოს, შენგან ბრძენი ვვლად რებდეს
და ბულბულსა რად ეზრახვის, რომ შენგამო ვარდს შებყეფდეს...

¹ ეს ლექსი ზეს. გაბაშვილისა.

² ხარამ ბარათაშვილი.

რასაკვირველია „სიყვარული“ და ამისთანები დიდ პატივ-საცემში და შესხმის ღირსი საგანია, მეტადრე იქ, სადაც სიყვარული ჯერ ისევე ინდოელ დეკანოზებსავე (ბრამინებსავე) დიდ მომაცემდაც ცოდვად და ზნეობის შემარყევად გრძნობათ მიაჩნიათ; იქ რომ ამ სიყვარულს შემღეროს პოეტმა და ღრმით ჩანერგილ კაცის გულში სიცოცხლის უტკბილეს და უმანკო ხმის დაცემული ღირსება აღადგინოს, სადაგელი, კაცის დამამცირებელი უმეცარი ჰაზრები ამ გრძნობის შესახებ შემუსვროს და შეარცხვინოს, — ეს დიდი მოვალეობის ასრულება, რასაკვირველია, დიდი საქმეა პოეტისაგან და დიდ პატივის ცემას და მადლობას მოითხოვს ჩვენგან; მაგრამ ნათქვამია: ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდება. ქელეხში სიმღერა ისეთივე სასაცილოა და საძრახი, როგორც ქორწილში ტირილი და გლოვა. ყველას თავისი დრო აქვს და საქმეს ფასი შემთხვევის მიხედვითა სძევს; ვისაც ხალხის წინა ძლოლა და ბელადობა ჰსურს, უნდა იცოდეს, სად, რა დროს რა არის საჭირო, მისწრება და მალამო. თითონ ეს სიმღერის და „ვაშა-ვაშის“ თეორია მძიმე სიცოცხლის შეზავებისა ყალბი და სუსტიცა, ვითომც კგონია, რომ დარიშხანა, რომელსაც სიცოცხლე შესვამს ხოლმე ხალხებს, როგორც თვითეულ პირებს—შარბათათ უნდა გადაუქციოს, სირინოზის ხმით დაატკბოს და გააქარვოს; მაგრამ, ძალიან ძნელი დასაჯერია, რომ კაცს, ან ხალხს, რომელსაც ბედმა უშუხთლა და სიცოცხლემ დასჩაგრა და შეაფიქროა, იმათ სამიჯნურო ლექსების სიმღერამ უშველოს რამე — ნამდვილ ტირში კაცს არა ემღერება რა, — მაგრამ ჭირის სიძნელის და სიმძიმის შესატყობათ კი (რაც უფრო საჭიროა სნეულის საკურნებლად) ღრმად მგრძნობელი, მაღალნიჭიერი და შორს გამჭვრეტი კაცი უნდა იყოს.

ეს „ფერხულისა და სამიას“ პერიოდიც გავიდა, ყველიერისა და ბერიკაობის დროც მალე განქრა: დაიწყო დიდ მარხვა. პირველმა შავმა ორშაბათმა ისევე ის ყაბლუ-ფლავისა და ერბოკვერცხების ჭამაზედ თავს დაათენა ამ მხიარულ საზანდრებსა და ყვენმა ხარჯი და ანგარიში მოსთხოვა წინაპართ და იმათ საკუთარ შეცდომებისა; — ამ გვარად ბედის და ისტორიის საშინელ და საზარელ სამსჯავროს წინ წარსდგნენ ეს მოუმზადებელი, ქალწულებრივ კილოზედ მკენსარე პოეტები და მიიღეს ღირსეული სასჯელი მხცოვანებისა, განძლომისა და ფუფუნებისათვის. — ეხლა კი მეტი ილაჯი არ იყო, უნდა შეენიშნათ დროს გამოცემა, მაგრამ „არიარალოს“ ძახილში ძალი და ღონე აღარ შერჩათ ამ შეცვლილის სახის გამოსახაზავად. ეს სხვა კაცმა, საკვირველმა კაცმა, იკისრა, — გასაოცარმა კაცმა. თითქმის ძნელია ქართველი დაუძახოთ ამ რკინისა და ქვის კაცსა, ამ სევდის და გლოვის ნისლით გარემო-

ცულ აღამიანსა: — არა, თითონ ქამმა შობა ეს გულჩათუთქული კაცი... მე ვამბობ ნ. ბარათაშვილზე.

„ღუმლი პფარავს ერთგულთა ძეთა“
ნ. ბარათაშვილი, პოემა „ზედი ქართლისა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დგას ჩვენს ლიტერატურაში ერთად-ერთი ვაცალკევებული; არც თითონ მისდევდა ვისგანმე დაქნილ ბილიქსა და ვერც არავინ იმის შემდეგ იმისაგან გაღებულ გზაზედ გაიარა; ის არა საჭიროებდა სხვის მიბადვასა და იმას კი ვერავინ მიჰბაძა; თავისთვის თვითონვე გასჭრა გზა და იმის სიკვდილის შემდეგ იმისი კვალი ისეთივე უვალი მინდორი შეიქნა, როგორც აღრე იყო. ვილამაცა თქვა, რომ ნ. ბარათაშვილი ჩვენი ბაირონი არისო. — ამ სიტყვებში მართლა და ბევრი ქეშმარიტება არის და არც არაფერია სათაქილო ამ შედარებაში დიდი ინგლისელი პოეტისათვის: ისიც ისეთივე (შედარებით) მაღალი და მიუბადია პოეზიისა და ხასიათის კილოთი, როგორც ესა. კაცი თითქმის ყოყმანობს ამ ღრმად ჩათუთქული მოძმეს გულით ჭირის-უფალსა — „ქართველი“ დაუძახოს. მე არ მინახავს (და მგონია, არც სხვებს ხშირათა!) ჩემს ღღეში ქართველი წარბებ შეკრული სამოქალაქო გრძნობისაგან და მაღალი კაცობრიული ჰაზრებისაგან შეკომლილი სახით, რომელიც გამოსთქვამს ღრმა გულის ხრჩოლასა; — ცენზურას.

მგონია, მხატვარს თუ სურს ნამდვილი სურათი ქართველისა გამოხატოს, ვერაფერი იპოვოს იმის სახეში როგორც მიუცილებელი თვისება, რაღაც ტკბილი ღრქვის და ღიმილის მეტი (ყველის ვაჭრისათვის), რომელიც წარმოსდგება ხასიათის სრულიად უქონლობისაგანა. ცოტათ თუ ბევრათ ამ ტკბილ კილოსა თითქმის ყველა ქართველი მწერლის თხზულებაში შენიშნავთ, — მაგრამ ახლა თუ თვალს გადაავლებთ ამ რკინასა და ფოლადის ნ. ბარათაშვილის ლექსებსა, მაშინვე წარმოიდგენთ კაცსა, რომელიც ყველასზედ მაღლა სდგას, ყველასაგან ერჩევა თავისი გრძნობით, ნიჭით და ხასიათით, — იალბუზისავით მიუკარებელი, ცივი და მაღალი, შორს გამჭვრეტი, ყველა მხარის მხედველი, მუდამ თავ და შუბლ დაბურული, როგორც ისევე იალბუზი, მარად გარემოხვეული გულის მკვლელი და მომწყვლელი სევდის ნისლითა, რომლის ტანჯვისა და „განწირული სულის კვეთების“ მოწამენი და თანამოზიარენი მართო, ეს ღრუბლები არიან, — ყველასაგან განდევნილი, უთუოთ ყველასაგან მოძულეებულ და ნამდვილად ყველასაგან გაუგებარი, ჩივის „სულის“ „ობლობაზედ“ (როგორც ერთი ჩვენი დროების პოეტი):

— ერთხელ დაობლებული სული
მარად ითმენს უნუგეშობას კრულის...

ძნელი არის მარტობა სულსა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორება,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

მერე უდაბნოში ეძებს განსვენებასა¹:

მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით.
და გულსა, მოკლულს კაცთ სიიავით და ბედის ბრუნვით,
ლაშქარი წმინდა ვამიტვობდა ციურის სხივით...
ამა სიამით, ნეტარებით ერთხელ აღვსებულს
მეგონა ვხედავ სასუფეველს აქ დაშენებულს.

მაგრამ ამ ოცნებით და ფანტაზიით მოტყუებული განაგრძობს:

მაგრამ საწუთრო ვანა ვისმე დიდხანს ახარებს?
განჭრა ტამარი და უდაბნო ჩუბად მდუმარებს...
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არას აღარებს,
მის ნაცვლად სევდა და წყევდი და მუნ ისა დგურებს!

და ბოლოს ისევ იმედ მიხდილი დაასკვნის:

ესრეთ დამიხშო უკუღმართმან ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად ისევ მწირი, მიუხატარი!

ყველა იმისი ლირიკული ლექსები პირველათ იმისივე სულისა და კულისღელვას წარმოგვიდგენენ და მერე ყველასაც, ვინც იმასა ჰგავს: იმის იმედ-მოხდილობა სასოწარკვეთილებამდინ მიადწევს ბოლოს, როდესაც ამ ჯოჯოხეთის ენითა სწყველის „ბოროტ სულსა“ (რასაკვირველია არა ეშმაკსა, არამედ თავისსავე მღელვარე ვნებით სავე ღრმა პოეტურ ბუნებას და თავის მგზნებარე გრძნობათ, რომლებიც წაიტყუებენ პოეტსა ერთგან ქალის სიყვარულში, მეორედგან სამშობლო შამქლის სიყვარულში და ყოველთვის ეს ვნებათ მოძრაობა თავისი სისწრაფით და აღის სუსხით „იფეთქებს, სხვასაც დასწვავს, თვითონაც დაიწვება“, — აი ამ მრავალის აღმოქმედს და ცოტას აღმასრულებელ ვნებათა სწყველის):

წყველიმც იყოს დღე იგი, როს შეხა აღოქმათა
ბრმად ვუმსხვერპლიდი, მივანდობდი ჩემთ გულის თქმათა!

¹ რასაკვირველია მკითხველი აქ არ იფიქრებს, რომ ვითომ ნ. ბარათაშვილი ბერათ წასულთის, ან ამისთანა რამე ჩაედინოს, — ჩვენ ამ ლექსისა, და საზოგადოთ ნ. ბარათაშვილის ლექსების განხილვით იმის ნამდვილი ცხოვრება კი არა გვაქვს პაზრათ აღვწერთ (ეს შეუძლებელია), მხოლოდ, ასე ვთქვათ, იმის გულსა და სულისა გრძნობათ და ვნებათ ცხოვრება, რომელიც იმას ლექსებში ასე ცხადათ გამოსკვირს.

მას აქეთ არის, დაუკარგე მშვიდობა სულსა
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

სიცოცხლეში აღარა იწვევს რა და უკანასკნელ სასოწარკვეთილებას მიეცემა:

რა ვარ აწ სოფლად და შთომილი უსაგნოდ, მარტო,
ქკუთ ურწმუნო, გულით უნდო, სულით შამქრალი!

თავისმა დიდნიწოვანმა ბუნებამ მისცა საშუალება გაეგო და ეგრძნო გულის თქმის და ვნებათა ღელვის ძალაცა, აგრეთვე უმაღლესი, წმინდა კაცობრიული ღებოლვაცა — წარმატების სურვილი, რომელიც წარმოადგინა თავის ხალხის სიყვარულის სახით, — ამოდ ეძებდა ან ერთი, ან მეორე ბუნების ხმა და მიდრეკილება დაეკმაყოფილებინა: ტყუილი ცდა იყო წყურვილი მოეკლა, გარემოებები ხელ-ფეხს უკარგდნენ, ამიტომ დამაშვრალი დარჩა „უსაგნოდ, მარტო“, უაზროთ, უიმედოთ და უმიზნოთ სიცოცხლეში. ამ გვარ ადამიანებს ერთ წუთსაც არ შეუძლიანთ დაიხშონ წმინდა ბუნების ღებოლვა და უსაგნოთ დარჩნენ სიცოცხლეში, ამიტომ პოეტს სიკვდილის მეტი აღარა დარჩა რა სასურველათ და მართლაც ასეთის გულგრილობით და ჩაგვრით შოიწვია ისა თავის „მერანში“.

გასწი, მერანო, შენს ჰენებას არა აქვს სამზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!
გასწი, გაყურცხლე და შეგიმთკლემ მოუთმენელსა სავალნი დღენი.

უკანასკნელად ისიც ამოიღო გულიდგან და ამოირეცხა, რაც უფრო ყველაზედ საყვარელი იყო იმისთვისა — „მამული“, რომელმაც სიცოცხლე მისცა...

რამა, მოვსორდე ჩემსა მამულსა, მოვალდე სწორთა და მეგობართა?
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა!
საც დამიღამდეს, იქ გამოთენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო!
ნუ დაეიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ
საფლავებთ შორის;

ნუ დამიტირას სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარისა!
შევი ყორანი გამითხრის საფლავს მღელვითა შორის ტილის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შენიღოთა ზარით, ღრიალით მიწას მომაცრის!
სატრფოს ცრემლის წინ მკვდარსა ოხვრსა დამეცემან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვანი მყვირალნი.

რამდენათა ჰგავს ეს აღწერა იმის ნამდვილ ცხოვრებას გვიჩვენებს უფრო მტიციეთ პოეტის ბიოგრაფია, რომლის შესაღვენათაც, ჩვენნი ქართული თავის შედება რომ ვიცე, ღმერთმანი, ერთი თქმისა და ნატვრის მეტი არ გვინდა!... როდესაც კი რომ ასე ადვილია ამის აღსრულება: მიცვალებული, ასე ვთქვათ ჰერ ისევ თვალწინ არის, როდესაც როგორც ამბობენ, ბევრნი იმბს ნათესავთ, მეგობართ და მცნობთაგანნი, ღვთის მადლით, მშვიდობით ჰერ ისევ მშეს უყურებენ. ამიტომ უფრო

სანატრელია ამ პოეტის ბიოგრაფია, რომ თვითონ ეს კაცი საკვირველი და გამოუკვლეველია, სანამ იმის ლექსები უკულმართმა გარემოებამ არ დააცადა უკანასკნელი ნაწილი მაინც გამოეჩინა იმ ბედნიერი და მაღალი ნიჭისა, რომელიც ბუნებას იმის კეთილშობილ გვამში ჩაენერგა; იმისი მოსიყვარულე გული უღრთოვით დანაცრდა თავისივე ცეცხლებრივი გრძნობის აღსაგან. მაგრამ რაც უნდა კაცმა ბევრი თქვას ამ საკვირველ არსებაზედ, კიდევ უფრო ბევრი დარჩება სათქმელი და შესატყობი; ამიტომ გადავიტანოთ ლაპარაკი იმაზედ, თუ რა გარემოებებსა და შემთხვევებსა ჰქონდათ ამ დიდ კაცზედ გავლენა და ზედმოქმედება (რასაკვირველია, ესჯით იმის თხზულებიდან; ბიოგრაფია უფრო ბევრს შესანიშნავს და საკვირველს გამოაჩენს ამ გამოცანა-კაცში, მაგრამ ვიმეორებ, საუბედურთ, არა ვვაქვს და იქნება ბევრმა წყალმა ჩაიაროს მანამ ვეღირსებით...)

ჯერ ერთი ყოფილა დიდად ნიჭიერი კაცი, ბუნებისაგან ღრმა ქჟუა-გონებით შემკული, რომელიც კაცს ყოველთვის ძალას ატანს დააცქერდეს თავის თავს და გარემოში საზოგადოებას, თავის სამშობლო მამულს და ხალხს, შეადაროს იმისი ავი თუ კარგი სხვა ხალხებისას, გამოიჩინოს მისი მისწრაფებები, რომელთაც იმ ზნეობით მდგომარეობაში მოუყვანია ის, თუ საშველია უშველოს საზოგადოების ნაკლულევანებს, თუ არა და გეხლით სავსე სიტყვებით დასცინოს იმას [ცენზურა] ამ დროს დაიბადება ლიტერატურაში სატირა — დაცინვა და მასხარათ აგდება ხალხისა; — აი, ამან ათქმევინა ილაჯ-გაწყვეტილ და იმედ-მიხდილ დიდ რომაელთ სატირიკოსსა ორაციის ის გულგრილი და მდამალი სიტყვები თავის მომავლად სამშობლო მამულზედ, რომლებსაც უნებლიეთ წამოისვრის ხოლმე კაცი, მოთმინებიდან გამოსული, თავის სულისა და გულის საყვარელზედ, რომლითაც კი სულთქვამს და ცხოვრებს, რომლის ზნეობით დაცემა აწუხებს, როდესაც ყველა ხვიწნა ამო შეიქმნა და მრჩეველ-მზრუნველი საყვარელს კიდევ ურისხდება: „რჩევას როგორ მიბედავო“, — მაშინ წამოისვრის ამ გულამორცხილ ორაციის სიტყვებსა, ამ უბედური მგლოვიარე მოწამისას ქვეყნის მზრძანებელი რომის ზენეობითი დაცემისა: მეტად თავის გაცხელება ვისმეს ბედნიერებაზედ სულ ტუტუცობა ყოფილაო. ვისაც სურს ბედნიერი იყოსო. სულ ნურაფერს გაიკვირვებსო, ნურც არავის დაცემაზედ შესწუხდება და ნურც აღდგენაზედაო! როგორ ამოუშვა პირიდან ორაციმ ამისთანა ცრუ და კაცის შემარცხველი სიტყვები, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ მოვიგონებთ, რომ „პოეტი ნამდვილი ხალხის

შვილია“ და, თუ ხალხი ზნეობით დაცემულია, როგორც რომაელნი იყვნენ იმ დროს, პოეტიც ცოტათ თუ ბევრათ თანამოზიარეა სამშობლო ხალხის მდგომარეობაში.

ნ. ბარათაშვილმა არ მიმართა სატირასა, არ ვიცი, არ მოსწონდა ეს კილო პოეზიისა იმის ნიჭსა და ბუნებასა, თუ სხვა მიზეზი რამ იყო [ცენზურა].

ნ. ბარათაშვილის პოეზიის მიმართულებაზედ ჰქონდა აგრეთვე დროსა, ამ საუკუნოს ხასიათსა დიდი ზედმოქმედება. ბოლო წარსული საუკუნისა და ამ საუკუნის დამდეგი (18—19), იყო ის საზოგადოების დუდილის დრო, როდესაც განსაკუთრებით ფრანციაში, უარყოფდნენ ყველაფერს, რაც კი ხალხებს საუკუნოთ განმავლობაში ისტორიულ-ცხოვრებაში მიეღოთ და პატივი ეცათ, როგორც ჭეშმარიტებისათვის, — უარყოფდნენ ღმერთსა, რელიგიასა, კანონებსა, სახელმწიფოს სჯულდებულებათა და საზოგადოების წესსა და წყობასა. უარყოფისა, გმობისა, იჭვენულებისა და კრიტიკის წარმომადგენელთ და მამათ ხალხები ეშმაკსა პრაცხავდნენ და ბევრია ყველა ხალხებში ალეზიც, ქაჯებიც, ქინკებიც, რომლებიც ვითომ ხალხებს აშფოთებენ, ჰგონიათ, ვითომ უიმაოთ ქვეყანაზედ სულ წყნარობა და მყუდროება იქნებოდაო და რადგან იმ დროს ყველაზედ დიდნი უარისმყოფელნი და მგმობელნი ფილოსოფოსები გამოჩნდნენ და სხვებსაც გადასცეს ეს საგანი, ამას ზედ დფერთო სამინელი ხალხის წინააღმდეგობა და აღრეულობა, — ყველა ამ გვარი უბედურება ხალხმა მიაწერა მძლავრ „ბოროტ სულებსა“. — ამ შემთხვევით ისარგებლეს პოეტებმა, აიღეს ეს დაუწყნარებლობის მარად მოძრაობის და მოქმედების მითი (მიფ), წარმოშობილი ხალხების ცრუმორწმუნეობისაგან და გამოხატეს თავიანთ ორიოდ უკვდავ თხზულებასში, ეს „სული იჭვენულებისა და უარყოფისა“. მაგ. ბაირონის ლიუციფერი, იმისივე დონ-ჟუანი და ჩაპლდ ჰაროლდი, სწორეთ რომ განხორციელებული ეშმაკები არიან, რომლებიც უარყოფენ ყველასა, უმეტესად ზნეობასა; გეტეს მეფისტოფელი, რომელიც ასე მწარეთ და უწყალოთ დასცინის ადამიანების ბედსა და იმათ ყმაწვილურ ანაბანასა, სწავლასა, რომელსაც მეცნიერებას ეძახიან და თითონ ფაუსტიც ნაკლებათ არ დასცინის თავის თავს და კაცობრიობის პირუტყულ ცხოვრებაზედ... ამ გვარმა პოეზიის კილომა და მიმართულებამ ყველა ცოტათ მაინც განათლებულ ხალხებში თავის მიმბაძველნი და მიმყოლნი წარმოშობა; რუსეთშიაც ჯერ პუშკინი და მერე ლერმონტოვი იყო, და აი, შორს ამ უკმაყოფილების ტალღამ და გაბრაზებულმა თავის უძლურებისაგან გრძნობამ ჩვენშიაც მოახწია: ყველა სიტყვა ნ. ბარათაშვილისა ამტკიცებს, რომ ამანაც კარგა ბლომად შესვა ამ ამღვრეული და ამამღვრეველი ტალღის წყალი და იმის მწარე გემო იხშია; მეტადრე

1 ნამდვილი სიტყვები ორაციისა არის: Nil admirari prope res ect una, Numicī, solaque, que possit facere et servare beatum. Epist. l. 6. 1-2. სიტყვა სიტყვაზედ რომ ვადმოთარგანოთ. ასე იქნება: მხოლოდ არაფრის გაკვირვება (ანუ გაუკვირებლობა) არის ერთათ ერთი ნიჭით (დონისიებთ), რომელსაც კი შეუძლიან ვეცოს და დაგვიფაროს ნეტარად (ბედნიერად).

ლექსებში „სული ბოროტი“ და „ჩემს მერანს“ ბევრი ალაგია, რომელიც თითქმის ნამდვილ იმ სიტყვებს შეხვდებით ლერმონტოვის „ეშმაკში“ („Демон“) და „მწიროში“ (ე. ი. მწირო, ბერი, „Мцпри“); აგრეთვე ბევრ ალაგას ბაირონის თხზულებაში, მეტადრე „ლიუციფერში“, რომელიც ამტკიცებს, რომ ნ. ბარსთაშვილი იმით თხზულებებს იცნობდა. ამ ეკროპიდამ გადმონაბერ უკმაყოფილების გრძნობაზედ, ზედაც საკუთარი ბუნების მიმართულეა დაერთო და ამ მიზეზებმა დაჰბადეს ეს, სავესე დარდით და ნაღვლით, მწარე მოთქმა და ჩივილი და თავით ბოლომდინ გლოვის ზარით გარემოცული ადამიანი.

ამ ჩენის სასიქადულო პოეტის ლექსებზედ და ენაზედ ის უნდა სთქვას კაცმა, რაც იმის საკვირველ ბუნებაზედ ვსთქვით: გრძნობის ძალითა და სიმაღლით, ჭეშმარიტი პოეტური წარმოდგენითა, თავისუფალი, ძალა დაუტანებელი და უწყვეტელის თანაბრათ ლექსის მიმდინარეობითა, საკვირველ მტკიცედ და ცხადად საგნის გამოხატვით უღრმეს კაცის გულის მოძრაობათ, სულთქმა-ვნებათ გამოთქმით, მცირე სიტყვებით, მაგრამ „ვით მარგალიტი წყობილით“ ბევრის თქმა, პოეზიის ყოვლად შემარხველი კილოთი, რომელიც პირ და პირ მკითხველის გულს ეტანება, სწვაეს, ღრდნის, სისხლს უმღვრევს (რასაკვირველია, ვისაც სულ არ გაჰყინვია!) და სწორეთ იმას აგრძნობინებს მკითხველს, ანუ მსმენელს, რაც პოეტს უნდა ეგრძნობინებინა, — ყველა ამ გასაოცარი დიდი პოეტური თვისებით, ვამბობთ, ძნელი შესადარებელია ის ყველა დანარჩენ ჩვენ ქართველ პოეტებთან, შოთა რუსთველის გარდა. ქართული ენა ნ. ბარსთაშვილის ლექსებისა დიდათ დახლოვნებული და შემუშავებული არის, — არც სულ ძველი, არც ახალი, არც მწიგნობრულ-ხუცური, არც ტეტურ-სოფლური, ან ბაზრულ-ქალაქური; არა, ისეთია სწორეთ, როგორც უნდ იყოს ლიტერატურის და პოეზიის ენა. ლექსწყობა მშვენიერია, თუმცა არა სრულიად ქართულ ნაციონალური; რითმა გასაკვირველის ხელოვნებით არის გამოთქმული, მარცვლების რიცხვი ლექსში მტკიცედ არის დაცული, — არა ჰგავს იმ პოეტებს, რომლებიც აკეთებენ, ადგენენ, სთხზავენ და არ მოჩუხჩუხებს წყაროსავით პირდაპირ გულის სიღრმიდან უწყვეტელი განმაცხოველებელი გრძნობა და პოეტური წარმოდგენა... იმისი ლექსი შეეხება ყველა ნიარ და ყოველ-გვარ საგანსა, მაგრამ რაც გინდა ქალწულოვან და დამატკობელ საგანზედაც უნდა დაჰმღეროს, მაინც და მაინც რაღაც ნაღვლიან სევდის კილოს გაადევნებს; რაც უნდა ერთმანეთის წინააღმდეგ საგნებზედ ლექსობდეს, მაინც ენასაც და ლექსის კილოსაც იმ გვარად შეუფარდებს და შეუწონს ლექსის საგანსა, რომ კაცს უჭირს წარმოიდგინოს, თუ ერთსა და იმავე კაცს შეუძლიან სრულიად წინააღმდეგი გრძნობების ასეთის ხელოვნებით გამოხატვა და გამოთქმა; კაცს უჭირს დაიჭე-

როს, რომ ლექსებისა: „სული ბოროტი“, „ჩემს მერანს“, „ფანტაზიას“ და ამ გვარების ავტორსა, ამ გვარი ქალწულოვანი ლექსები დაეწეროს, როგორც: „მაღლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო, შეავთვალე ბიანო“, აგრეთვე „თვალეები“:

მიყვარს თვალეები, მიბნედილები,
ემხისა ცრემლით დაქანულეში...

ან არა და ლექსი „პეპელა“:

...ნეტავი იმის,
ვინც თავის სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს;
შენის შერხვეით,
სიო მობერვით
გულისა სიცხეს განიკრილებდეს!
პოო, საყვარელო,
გრძნობით ამრეკო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბანუროს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვას,
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

მეტადრე მაღალ პოეტკური ლექსი: „ჩჩვილი“

მიყვარს, მიყვარს მე ტიტტივი ჩჩვილის ყრმის,
მიყვარს სმენა უცნაურის მიხის ხმის,
ოდეს იგი ენითა სასუფეველის
უაღერსებს წილთა თვისის მშობლის!...

მაგრამ ბოლოს მაინც სევდის და ჩათუთული გულის კილოთი ათავსებს ამ ლექსსა:

იტყვიე ენითა სასუფეველის,
იტყვიე ვიდრე ღარი გიდარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავის უფალო,
არ გიცენია სოფელი მომედერალი!...

აი, ეს დიდი კაცი მოკვდა; — თუმც იმის კილოზედ ვერავინ მოსთქვა და იმის კვალს, ნაფეხურს ვერავინ მიჰყვა, მაგრამ იმისაგან ჩადგებული მარცვალი ქართულ ნიადაგში, სამშობლო ქვეყანაზედ დათესილი არ მოკვდა: ამის პოემამ „ბედი ქართლისა“ დაბადა, რამდენადაც გარემოებამ შეაძლებინა, ნაციონალური-ქართული პოეზია, მთელი ახალი ლიტერატურა, ქართული თეატრი, კომედიები ქართული ცხოვრებიდგანა... მაგრამ მაინც საუკუნოდ სამწუხარო და სატირალი დარჩება დიდი ქართველი პოეტი ასე ცუდუბრალოდ უბედური გარემო-

ებისაგან გაფუჭებული [ცენზურა]. იმის სიკვდილით ხალხმა დაპყარგა თავის საუკეთესო და მარადის დაუფიწყარი შვილი; მართლა, რომ

ყრმთ პოეტო, უღვთო იყო შენი სიკვდილი...
მაგ სიკვდილით არა დედამა, დაობლდა ვრი...

ეს გმირნი არიან, როგორც გარეგანი გარემოების მსხვერპლნი, აგრეთვე თავიანთივე ბუნებისა, ნიჭისა და მგზნებარე გრძნობისა, რომელიც იმათ გულში საკირესავით ანთია გაუქრობლივ და ნებას არ აძლევს არც ძილში და არც მღვიძარეს, რომ თავის ქერქში დადგნენ, ე. ი. მარტო თავიანთ თავი, ნათესავეები და შეგობრები უყვარდეს და მარტო იმათზედ ზრუნავდეს, თავისი ცხოვრება კი შემოიფარგლოს. კარგათ წაიყვანოს და სხვებს თუნდ თავში ქვა უხლიათ და ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა. — დიახ, იმათი სიცოცხლე გრძელი ტანჯვა არის; გვიკვირს ხოლმე, ისინი რომ სტირიან და სწუხან, როდესაც რომ სხვანი იცინიან [ცენზურა] ცოტანი არიან ქვეყანაზედ ეს მაღალი გვამები, მაგრამ უამათოდ ჩვენი ყოფნა უფარგისი იქნებოდა: ესენი არიან „მარილი სოფლისა“ და მხოლოდ ესენი აზავებენ ჩვენ მწარე და ვაგლახ ცხოვრებასა...

ბ

მოდ ჩემო კალამო!
დრო არს მოგესალმო
და წენით შევიშადო
წყლული გულის მალამო!...
აბ, მაჩაბელი.

ჩვენი ლიტერატურის მეორე პერიოდის დროის მატარებელი და ბელადი არის გიორგი ერისთავი. იქნება თითონ რუსთველსაც არა ჰქონიყოს თავის თხზულებით ისეთი დიდი გავლენა მწერლებზედ, ლიტერატურაზედ და მთელ ქართველ საზოგადოებაზედ, როგორც ამ პოეტსა ჰქონდა და აქვს, თუმც ნიჭით, ჩემის პაზრით, ჩვენ პირველ პოეტებს არ ვეუთვნის, რომლის რიცხვსაც შეადგენენ მარტო რუსთაველი და ნ. ბარათაშვილი, და მეორე ხარისხის პოეტებში კი უპირველესი თავანია. იქნება იმის ნიჭის მიმართულებისაგან და საზოგადოთ იმის პოეზიის კილოსაგან წარმოსდგებოდა იმისი ისეთი ყოვლად ძლიერი ზედმოქმედება და გავლენა. გ. ერისთავს, როგორც პოეზიის კილოთი და მიმართულებითა, ზედმოქმედებით, აგრეთვე თავის საკუთარი პირადი ხასიათითა, ისეთივე ალაგი უჭირავს ჩვენ ლიტერატურაში, როგორც მაგ. პუშკინსა რუსეთში. — მართალია მისი ლექსები, დრამები და კომედიები „გაყრის“ გარდა, თუ მაღალი ხელოვნების და ესტეტიკური კანონებით გავშინჯავთ, სუსტნი არიან, მაგრამ იმის „გაყრა“, როგორც

სწორეთ ჩვენი ხალხის მოუცილებელი, დრმა საკუთარი თავისებური ჩვეულება (—საზოგადოთ გაყრა), აგრეთვე, როგორც დიდის ცოდნით და ხელოვნებით შედგენილი ნამდვილი ნაციონალური კომედია, — ძალიან შესანიშნავი და უკვდავია ჩვენ ლიტერატურაში. აი მოკლეთ რითი დაავალა ამ პოეტმა ჩვენ ხალხსა და რითი უჭირავს ასეთი შესანიშნავი მაღალი ალაგი ჩვენ ლიტერატურაში: 1) იმისგან იწყებს ჩვენი ნაციონალური (შედარებით) ლიტერატურა დასაბამსა, იმან იწყო კომედიების და დრამების წერა ჩვენ ენაზედ, რომელიც საზოგადოთ დიდ ნაბიჯს შეადგენს ხალხის განათლებაში, და უმაღლეს ხარისხსა, სადამდინაც კი რომელიმე ხალხის ლიტერატურას შეუძლიან მოახწიოს. 2) იმან დააქნა ეს მშვენიერი ნამდვილი ქართული სალიტერატურო ენა საქართველოს კუჭის — გორის საზოგადოების ენა; იმის ენა ცოტათ ვითომ მწიგნობრულსა ჰგავს, მაგრამ ვისაც გორულ კარგ საზოგადოებაში გაუგონიათ ლაპარაკი, იციან, რომ იქ მართლა ასე ლაპარაკობენ; ამ მშვენიერ ლიტერატურის ენით დიდი ღონისძიება მისცა გ. ერისთავმა ჩვენ საზოგადოებასა; წიგნისა და ლაპარაკის ენა თითქმის ერთგვარი გახდა და ამითი შეაძლებინა ისეთისავე სიადვილით და სიამოვნებით სწეროს და იკითხოს, როგორც ლაპარაკობს. — რასაკვირველია არც მდებალი ხალხის, ტეტების ენა არის. 3). ეს მარად სახსოვარი პოეტივე არის აგრეთვე ქართული თეატრის დამაარსებელი, თუმცა მოკლე დღე ჰქონდა, მაგრამ დაწყება და პირველი ნაბიჯია ძნელი; რომ ვისმეს ჩვენ დროში იმის ქართული გული და სული ჰქონდეს, შეუძლიან ფეხზედ წამოაყენოს ამ დაუფიწყარი პოეტისაგან დაწყობილი საქმე და საფუძველს ამყობი კედლები მოაბას; აი, ეს უფრო ცხადათ ამტკიცებს რამდენათ არის ძნელი ახალი საქმის დაწყება, რა დიდ ნიჭოვან მხნე და ხალისიან კაცს მოათხოვს, როდესაც თითონ დაწყობილი საქმეც კი გვიპირდება და პაზრათ არ მოგვდის განგაგრძოთ. 4) პირველი ქართული ურნალიც („ცოცხარი“) ამ პოეტისაგანვე არის დაფუძნებული ჩვენში. — თვითრეული ამ საქმეებისათვისაც დიდ მადლობასა და მაღალ ღირსეულ ხსენებას მოითხოვდა ჩვენგან, და როდესაც ყველა დიდი საქმეები ერთად ასრულა პოეტმა, რასაკვირველია, დიდი ნიჭის და ხალისის პატრონი უნდა ყოფილიყო და დაუფიყარ მუშაკად თავის სამშობლო მამულისა და ხალხის ერთგულ მოსიყვარულეთ უნდა დარჩენს. იმისი ლექსი არც ნ. ბარათაშვილსავეთ სამარის კილოზედ დატირის, ზედსა სწყევლის და სოფლის სიმუხტლეს უჩივის, და არც ალ. ჭავჭავაძესავით გულისთქმით და ვნებათ სირინოზებრივ ესალმუნება; არა, იმისი ლექსები, პოეზიის კილო სატირა არის, კომედიები ხაზით წარმოდგენილი, — მასხარათ ავდება და დაცინვა დაცემული

საზოგადოების მოქმედ პირებში, რომლებიც გამოჰყავს სცენაზედ პოეტსა, ვერა ნახავთ, ვერც იმ „სოლომონ ქველსა, მსაჯულსა“, ვერც „ირაკლი მეფესა და გმირსა“, რომლებიც ნ. ბარათაშვილის პოემაში არიან, ან იმით მგზავს მამულის ბედზედ მკვლევარე და მოსაუბრეთა! ცენსურაჲ აქ „მამულს“ მარტო თავის სახნავესათვის ეძახიან და მამულის დაცვასა — იმას, როდესაც მაგ. ქმები ერთმანეთზედ ხანჯლებით იწევენ გაყრის დროს („გაყრაში“) — ერთი მუთაკის გაშლისათვის! და მხოლოდ მაშინ დაშოშმინდებიან, როდესაც შუაზე სკრიან და გაიწილებენ „საუფროსო საუმცროსოში“. ან არა და განათლებას და სწავლას იმას ეძახიან, როდესაც რომელიმე რუსეთუმე მოინდომებს „ვახუტი ვადასჭრას ბაღში და ხეივანები (აღეები) დააკეთოს.“ — დაახ, ბევრი არა გვაქვს ამისთანა ნამდვილი ქართული თვისება, რომელიც კი ქართველის მთელ სულსა და გულსა, სრულიად იმის სიცოცხლეს გამოსთქვამდეს, სწორეთ რომ ნამდვილი ნაციონალური კომედიის საგანია, ამიტომ დიდათ ნიჭიერი კაცი უნდა, რომ ეს თითქმის საკუთარი თავის ხასიათის თვისება ჩვენი ხალხისა შენიშნოს და პოეტურ-საკუთარი თავის ხასიათის თვისება ჩვენ ხელოვნების შნოზედ გადააკეთოს და მოგვაბაროს ჩვენ ჩვენვე, ჩვენი თავის საცნობად და შესასწავლად, როგორც ასე მაღალ ხელოვნურათ გამოხატა და შეამუშავა გ. ერისთავმა თავის უკეთესი თხზულება „გაყრა“. ამიტომაც ბევრი გ. ერისთავები არა გვყავს.

ამის მარჯვენა ხელი იყო ანტონოვი, — უსწავლელი, როგორც ამბობენ, მაგრამ დიდათ ნიჭიერი კაცი, ზედ მხრეებით მცოდნე ხალხის (მეტადრე მდაბალი ხალხის) ენისა, ჩვეულებისა, ცრუმორწმუნების, საზოგადოთ იმათ უჩინარი, მაგრამ სავსე პოეზიით და დრამით ცხოვრებისა; ამ კაცმა პირველათ გ. ერისთავის აქტიორმა ქართულ თეატრში და იმის კომედიების წარმომადგენელმა, კინაღამ ნიჭიერ თავის მოძღვარ პოეტამდინ მიახწივა; რასაკვირველია, ეს გ. ერისთავთან ვერ მოვა ვერაფრითა, მაგრამ ამაზედ კი უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს იმისი უკეთესი და უნიჭიერესი მოწაფე იყო და ფეხი-ფეხს მისდევდა თავის მოძღვარსა; იმის პოეზიასაც სწორეთ ის მიმართულება ჰქონდა და იმ კილოზედ სწერდა, როგორც გ. ერისთავი, იმათ კომედიის საგნებსაც დიდი მზგავსება აქვთ, — იქნება ეს ჰკუიანი მოძღვარი თითონ მოაგონებდა ხოლმე კომედიების საგნებსა, — ისეთი თანხმობა არის იმათ პოეზიაში, რომ კაცს თითქმის ერთი კაცის ნამუშევარი ჰგონია იმათი თხზულებები. ამ ორმა მწერალმა საკვირველის სიცხადით გამოხატეს თავის დროების დრმა წყლული: ეს ის დროება იყო, როდესაც თბილისმა სატახტო ქალაქის შნო და ლაზათზედ იწყო ცხოვრება, — ამენდა თეატრი, და გულმკერდ ღია ქალების სირინოზებრივმა სიმღერამ, საზოგადოთ თეატრის

ლაბლაბა და ბკყვირიალმა მიიტაცა ჩვენი საზოგადოება, რომელსაც ჰკუი თვალში ჰქონდა და ბუზმენტებში უდგა სული; ვინც იქ არ ატარებდა ცოლ-შვილს. გაუნათლებელ ტეტიებს ეძახდნენ. გაჩნდა აგრეთვე საკეთილშობილო ბალები, სადაც მეტი ილაჯი არ იყო თავად-აზნაურობა უნდე მობრძანებულებით, რადგან მიწვეული იყო: ჩვენი ქალების „ენებით ამღელვებელმა“ აქვირებულმა ძუძუ-მკერდმა, ანგელოზებრივმა სახემ და საროს ტანმა, ადრე სპეტაკ ჩადრში შესულრულმა და დამარხულმა, ეხლა კი რაღაც ბურბუშელა ჩიქილით ძალიან სუსტად დაფარულმა ბევრს აუშალა საღერდელი და აუბა თვალები, რომელთაც უმაღვე ანაცვალეს მამა-პაპეული ნაფუზრები ამ მაჰმადის სამოთხესა, თლონდ კი შესძლებიყო ხშირათ ეჭვირტა ასე ერთბაშად განათლებული, ან უფრო ნამდვილად, განათებული გრძნობათ ამრევი გვამები. ვაგიხარაინთ არც ვაჟბატონები ჩამორჩნენ ქალბატონებს უცვარ ფერის ცვალებამი (ცენსურა) კეთილშობილთ ჯალაბები ორ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩამოსულიყვნენ პატარა ქალაქებიდგან, ან სოფლებიდგან თბილისში, რომ ქალებისთვის ესწავლებინათ: ტანციობა, ფრანცუზული, ძალიან ხშირათ „ორტოფიანი“ (ფორტობიანი) ან „მაწხელი“ (გულვერნანტა) დაეჭირათ და ამისთანები. ამ ნაირ ცხოვრებას, რასაკვირველია, შესაფერი წელიც უნდოდა, რომელიც, ჩვენი კი დარჩეს, ჩვენ კეთილშობილებას არ მოზდევდათ; როდესაც, რომ ზვრები და ნაფუზრებიც ვალში ჩამოართვეს და დასაგირავებელი აღარა ჰქონდათ რა, მაშინ „პოლოსებ“ და „კარაბეტებთან“ სიარულის და იმათ თაყვანის ცემის მეტი აღარა დარჩათ რა, აგრეთვე დაუწყეს ძებნა მდიდარ საცოლოებსა, რასაკვირველია, იმათ საკბილო გადაბერებული ქვირევებიც ბევრი ბრძანდებოდნენ, რომლებსაც სულის სიმწარით სურდათ „ენეინოები დამხდარიყვნენ“... აქედან წარმოსდგა ის სასაცილო და შესაბრალო, სატირალი სიცოცხლით და სინამდვილით, სიცოცხლის ჭეშმარიტებით სავსე კომედიები და სურათები, რომლებიც ჩვენი საზოგადოების იმ დროს ცხოვრებას, დამოკიდებულებას წარმოგვიდგენენ, და ეს წარსული დროს საზოგადოების ზნეობის სახეები საუკუნოდ დარჩნენ შთამომავლობის ორი დიდათ დამავალბელი კაცების მოღვაწეობით და შრომით.

კომედიების გარდა გ. ერისთავს უწერია პატარ-პატარა ლირიკული ლექსები და დრამებიც. მაგრამ არც პირველებს და არც მეორეებს ისეთი მაღალი ლიტერატურულ ხელოვნური მნიშვნელობა არა აქვთ, როგორც ამ პერიოდის კომედიებსა: ენა დრამებში ძალიან მწიგნობრული, ვაზვიადებული და გაბტყელებულია — ბუნებითი არ არის და არც გრძნობა არის დრმა, ან ჰაზრი ნაციონალურ ნამდვილ ქართულ საფუძველზედ დამყარებული, როგორც კომედიებისა, და თუ შემოწვევა

პქონია, მაინც ვერ მორევია და ვერ მოუნელებია, მაგ. „ყვარყვარე ათამგ-
გი“¹ სამაგალითო, მშვენიერი მ დ ი დ ა რ ი ს ტ ო რ ი უ ლ - ნ ა ც ი ო ხ ა -
ლ უ რ ი დ რ ა მ ი ს ს ა გ ა ნ ი ა, მაგრამ დრამა კი სუსტი გამოსულა.
ლირიკულ ლექსებს აკლიათ თავისუფალი მომდინარეობა, ღრმა გრძნო-
ბა და აზროვნება; არც დიდი პოლშური პოეტის მიცკევიჩიდან ნათარგმნ
ლექსებსა აქვთ დიდი მსგავსება არც გრძნობის ძალით, არც ენის შეწო-
ნითა დედანთან. საზოგადოთ ცუდათ არიან ამორჩეულნი სათარგმნე-
ლათ, ბევრი იმათგანნი მიცკევიჩის სუსტ ლექსებს ეკუთვნიან; ერთი
სიტყვით, გ. ერისთავი იყო კომიკი და მთელ იმ პერიოდს ჩვენ ლიტერა-
ტურაში აქვს კომიკური მიმართულება და კილო, როგორც ალ. ჭავჭავა-
ძის პერიოდსა აქვს „სამიჯნურო“ (ეროტიკული), „საეარდბულბულო“
მიმართულება, აგრეთვე თუ ნ. ბარათაშვილს საკუთარი პერიოდი შეე-
დგინა ჩვეულებრივ ლიტერატურაში, უნდა ყოფილიყო დრამატიკული,
როგორც სჩანს იმის დიდ ზელოვნურ და პაზროვან ნიმუშიდგან „ბედი
ქართლისა“;

რუსეთში ვათავდა პუშკინისა და ლერმონტოვის პერიოდი, რომ-
ლებსაც ჩვენი პოეტები ჰბაძავდნენ ხშირათ, იქ დაიწყო გოგოლის პერი-
ოდი და ჩვენ ლიტერატურაშიაც წარმოშობა თავის მიმბაძველნი და
მიმდევნი: — ყველასათვის ცხადია, რომ „კაცია, ადამიანს“, გოგო-
ლის „მიცვალებულ სულებთან“ (Мертвые души) დიდი მზგავსება აქვს
თავის კილოთიც, მიმართულებითაც, აზრითაც, სიცოცხლის - სიბრძნი-
თაც და ნაციონალური პოეზიითაც, მხოლოდ გარეგანი სისრულით და
შეუმუშავებლობით, თხზულების ფორმით ბევრით ჩამორჩება როგორც
გოგოლის პოემასა „მიცვალებულნი სულნი“, აგრეთვე ყველა გვარ მო-
თხრობასა.

გ. ერისთავი მოკვდა, მაგრ ამ იმის ადგილი ვერავინ დაიჭირა და ამი-
საგან დაწყობილ საქმეებს ბოლოვერავინ გაადევნა... ეს კი უნდა ვთქვათ.
ლეთის წინაშე, რომ ერთათერთმა კაცმა გადაუხადა ამ ღირს სახსენე-
ბელ პოეტსა ვალი სწორეთ ჩვენებურათ, უთუოთ ნამდვილი ქარ-
თული ძეგლი უნდა აღედგინა პოეტისთვის იმისი თხზულება რომ
გამოსცა! წინა სტატიაში ვიჩივლეთ, რომ ნ. ბარათაშვილის ბიოგრა-
ფიით თხზულება არა გვაქვს და ეს გამოცანა-კაცი ისე გამოუტყველი
რჩება მეტეჟი, — აქ გ. ერისთავის შესახებ უნდა ვიჩივლოთ, რომ იმის
თხზულებები ქართულად არიან გამოცემული, როცელიც ბევრით
არ არის უკეთესი გამოუცემლობაზედ, ე. ი. გაკეთებულია ისეთი
შნოთი და ხალისით, როგორც საზოგადოთ ქართველები ვირჯე-
ბით და ყველა საქმეზედ ჩვენებური ბეჭედი უნდა დავასკათ. ცალი
უბით, არ მინდა საფიქროთ დაუდევნელად და უთავბოლოდ და-

¹ როგორც ვაგვივია, ეს დრამა მდგელს ალექსეევს ეკუთვნის.

ბეჭდილია საძაგელ ფალასს ქაღალდზედ, უწესოთ და ურიგოთ, მრავალი
კორექტურის შეცდომილებით, უბიოგრაფიოთ და უკრიტიკოთ; ღვთის
ანაბრობაზედ მიუწერია პოეტისათვის თხზულებები, რომლებზედაც
შემდეგ „დროებაში“ ცილობდნენ — ზოგნი ამბობდნენ (მაგ. „მაიკო“
დრამა) იმას ეკუთვნისო, ზოგნი არაო და სწორეთ კი ვერავინ გაიგო...
და ესლაც, იმის თხზულების გამოცემის შემდეგ, თითქმის იმდენ-
ნათ ვიცნობთ ამ დიდათ საინტერესო და ღირსსაცოდნელ და შესასწავლ
კაცსა, როგორც იმას წინათ ვიცნობდით, ე. ი. ცოტათ, თუ სულაც
არა!... ეჰ, ვაჟო, რა არის: „თუ მადლსა ჰპებრები, მარილიც მოაყარე“.
ყველა უთავბოლოს, უშნო, ულაზათოს როგორ უნდა სახელათ უთუოთ
ქართული“ ერქვას, — რა უბედურება არის!...

ბ

ყრმაო პოეტო, უღვთო იყო შენი უკუწიოვა!
მიბაძეა***-სა.

ხშირად საქმის დაწყება კი არ არის ძნელი, უფრო
შესრულება არის საქები.

ესლა ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ილია ჭავჭავაძის მართლა
ტოლი, უღლის განწევი არა ჰყავს ჩვენ ლიტერატურაში, რომლის ნა-
კლებულობაზედაც რამდენიმე წლის წინ ამ სიტყვებით ჩიოდა:

..... მამულა, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი-
ის არის მხოლოდ სატირალი და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუზიარო!...

თუმცა ჯერ მართო ორიოდვე პატარ-პატარა ნიმუშები გვაჩვენა
თავის მოღვაწეობისა და მუშისა ქაბუკობის ასაკის დროს, მაგრამ ამ
ცოტაშიაც, როგორც პატარა ცვარში, ცხადათ გამოსჭვირს ბედნიერი
პოეტიკური ნიჭი. ნაკლებულება იმის პოეზიას მართალია ბევრი აქვს,
მაგრამ ღირსება უფრო ბევრი; — იმის პოეზიის ნაკლებულებანი ისეთნი
არიან, რომ თუ კაცს სიცოცხლეში ჰაზრი და ამომიზნებული სიგანი
აქვს (ერთ დროს პატარა ლექსში თითონ პოეტიც შენატრიდა ამ გვარ
მართლა ჩვენში იშვიათ კაცებსა, ნეტავ იმას, ვინც თავის სიცოცხლეს
აღნიშნავსო...), ყურს უგდებს თავის ნიჭსა და არ უნდა, უძღვებ მონასა-

¹ იმედი გვაქვს, ავტორი მოვიტყვევებს კანდიერებას, რომ სიადგილის გული-
სათვის ლიტერატურულ პირბადესა ეხდით და სამი ვარსკვლავის მაკვირად
რომლებიც უმეტეს ნაწილს იმის ლექსებისას უსხედან ფსევდონიმათ, როგორც დაგვა-
რწაუნეს, პირდაპირ იღ. ჭავჭავაძის სახელს ვარქმევით; ლიტერატურული განხილვა
ჯგაიხულებს მ დ ი ს წინააღმდეგ მოვიტყვევი აქა. ავტ.

ვით მისდამი მინიჭებული ტალანტი მიწაში ჩაჰფლას, არამედ ამრავლოს და შესძინოს თავის შრომით სარგებელი—შეუძლიან ერთ—ორ წელიწადს ეს ნაკლებებზე სრულიად შეანსოს, და რაც სიკეთეს და ღირსებას აჩვენებს ილ. ჭავჭავაძის პოეზია ავტორში, სახელდობრ: ღრმა პოეტურ ბუნებას—ამას ვერსად ვერ იპოვნის და ვერ შეიძენს კაცი, თუ ბუნებით არ არის დაჯილდოებული, თუნდ კაცმა თავის დღენი იმის ძებნაში დააღამოს:—მართალია ბეჯითობით და ცდით კაცი ბევრს შეიმატებს, მაგრამ ილ. ჭავჭავაძეები მართო იბადებიან....

ყველას თავი დაეანებოთ, მაგალითისათვის ავიღოთ პატარა ლექსი ილ. ჭავჭავაძისა „გაზაფხული“:

ტყეს ესზმება ფოთთაღი,
აგერ მერცხალიც ჭყვივის,
ბალში ვახი ობოლი
მეტის ლხენითა ტირის.

აყვავებულა მდგლო
აყვავებულა მთები;
მამულა საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები?...!

ამ პატარა ლექსის მეტიც რომ არა დაეწერა რა ილ. ჭავჭავაძისა, მაშინაც კი ადვილი მისახვედრი იქნებოდა, რომ ამის წარმომშობელი უბრალო ნიჭის პატრონი არ უნდა იყოს. თავის მარტივი გამოთქმით, გრძნობისა და ჰაზრის სიღრმით, თავისუფალ მომდინარეობით, ზმნისა და სახელი არსებითის სიმდიდრით, რომლებიც საგნებსა და იმათ მოქმედებას გამოხატავენ, აგრეთვე რითნის კეთილ ხმოვანებითა ნამდვილი სახალხო-ნაციონალური ლექსის მაგალითი არის და ამ უმაღლესი ღირსებით და თვისებით ეს ლექსი ღირსია ჰეინეს კალმისა! ამ მოკლე ლექსში, რამდენიმე სიტყვით, ნთელი ფაზიკური ბუნების განახლება არის ასე ცხადათ, ნათლად მარტივად (როგორც საზოგადოთ ხალხი ხატავს თავის გრძნობათა) წარმოდგენილი, და ამ განახლების მშვენიერი ნიშნები ასეთის მახვილ გონიერებით ჩამოთვლილი: ტყე, რომელიც ფურცელს იხსამს, მერცხლის ჭყვივლი, ობოლი ვახის მეტის ლხენით ტირილი—რომელ ქართულს არ ეცნობა ეს „ვახის ტირილი“ გაზაფხულზედ,—სხვა ენაზედ რომ გადათარგმნო ეს სიტყვები, გაუგებარი იქნება, ამიტომ რომ ნამდვილ ქართული სიტყვა და ღრმა ხალხის ენა, ანუ გამოთქმა არის „ვახის ტირილი“, ამას მართო ქართული გაიგებს (აგრეთვე შესანიშნავია ამ ლექსში ღრმა პსიხოლოგიური ფაქტი: მეტი ლხენისაგან ტირილი); ცოტათ კიდევ გააგრძელებს პოეტი გაზაფხულის წინამორბედობის ჩამოთვლას: „აყვავებულა მდგლო, აყვავებულა მთები“ და ერთბაშად უსულო ბუნების განცხოველებისაგან და გამოღვიძებისაგან ვადა-

ხედავს სულიერ და გონიერ ბუნებასა—ადამიანებსა და, რომ დაინახავს თავის მეერთმამულესა ისევე მძინარე და ზამთარში მყოფთა, წამოისერის მეხისავეთ, მოლოდინელათ ამ გულ-საკლავ სიტყვებსა: „მამულა საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“! როგორც მეორე ალაგს შესძახებს პოეტი:

ოზ, დმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსლა გვექნება ჩვენ ვალვიძება?!...

რაც ამ პატარა ლექსის „გაზაფხულის“ ლექსწყობას ან ესტეტიკურ ღირსებას შეეხება, უნდა ვთქვათ, რომ უსრულესია და ნამდვილ ხელოვნურია: თავი და ბოლო ისეთი შეკრული აქვს, რომ ყველა მიმატება, ან დაკლება ლექსს წაახდენს,—კაცმა არ იცის,—უკანასკნელი სიტყვები („მამულა საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“) იმიტომ ათქვა პოეტმა, რომ წინა სიტყვებმა მოიტანეს, თუ წინა სიტყვები უკანასკნელმა სიტყვებმა, რომელთ გულისთვის არის ნათქვამი—გაუგებარია; ეს უფრო ჭეშმარიტების ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ ლექსის ორივე ჰაზრი და ნაწილი ერთბაშად და უნებლიეთ, თავის თავად არიან დაბადებულნი პოეტის გამოხატულებაში, ამიტომ მიბმულნი და მიკერებულნი კი არ არიან ერთმანეთზედ, როგორც განგებ განძრახებით მოგონილ ლექსებში მოხდება ხოლმე, არამედ შეთვისებულნი და შეხორცებულნი; ამ გვარ ლექსსა რომელშიაც მარტივი და უაღრესი დაუღლდებიან და შეკავშირდებიან, როგორც ამ ლექსში, სადაც გრძნობა უბრალო გაზაფხულის აღწერით დაიწყებს დატკობასა და ბოლოს დღევითა თავდება, განრისხებული ადამიანების მსკოვანობაზედ, როდესაც უსულოც კი ცხოვლდება,—ლექსს, რომელშიაც გარეგანი სახე, ფორმა შინაგან ღირსების ღრმა გრძნობასთან და ჰაზრთან შეწონილი არიან; ერთმანეთთან შეთანხმდებიან, და შედარებულნი,—განბობ ლექსს, რომელსაც ეს თვისებები აქვს, არის ნამდვილად სრული ხელოვნური.

ცოტა-მოკლეთ ვიტყვით ილ. ჭავჭავაძის პოეზიის განსაკუთრებით თვისებაზედ და ღირსებაზედ და მერე ცოტა ვრცლად იმის არაღირსებაზედ, ან ნაკლებობაზედ:—ილ. ჭავჭავაძის ნიჭი არ არის მართო ერთგვარი, ერთმხრივი, არამედ დაპყურებს საგანს ყოველმხრივ და მრავალ სხვადასხვა ფერ და გვარ საგანსა, მაგ. ღიდი გრძნობითა სწერს ლექსს მძინარე ქალზედ, ადრე „ცისკარში“, მთვარეზედ და ამ გვარ საგნებზედ უწერია, მაგრამ იმავე დროს არ იფიქვს დიდამ კაცობრივულ, ჰუმანურ საგნებზედ წერასა, როგორც „ღუშა“, „გუთნის დედა“, „ნანა“ და სხვანი... მეორე მიუცილებელი თვისება და უდიდესი ღირსება იმის პოეზიისა არის სიტყვა—გამოთქმათ საშინელი და შეუმიჯრებელი ძალა,

გულწრფელობა და გულღიანობა, — აქედან წარმოსდგება იმის პოეზიის ღრმა გრძნობა და ყოველის შემდგომი შედგომადეობა, რომელიც მკითხველის, ანუ მსმენელის გულს ეტანება და სწავებს (რასაკვირველია, თუ სულ გულანორვეცხილი არ არის), სწორედ იმას აგრძნობინებს, რაც პოეტს უნდოდა ეგრძნობინებინა; თითქმის ყველა იმის ლექსები ასეთია, მაგრამ მოვიგონოთ მარტო „ნანა“, „ღვთის მშობელო, ეს ქვეყანა (საქართველო) შენი ხვედრია“, „ქართვის დედას“, „არაგვი“ და სხვ. — არა, რაც უნდა იყოს, ამით წარმომობელი გული უბრალო, გაქსუებული არ უნდა იყოს, გაციებული სისხლი ამ გვარ მგზნებარე გრძნობას ვერ წამოსჩქეფავს, უბრალო და გაქსუებული სული გულის შემწველ ალს და ნაღვერდალს ვერ აღმოხრავს.. ამის პოეზია არც ისეთ სევდის და სასოწარკვეთილების ნიშლსა ჰგვრის კაცსა, როგორც ნ. ბარათაშვილის ლექსები და არც ისეთ „გოგონა და ძუძუნას“ კილოზედ ღიღინებს, როგორც ალ. ჭავჭავაძე; არა, ამას არც იმედი აქვს დაკარგული უკეთეს მომავალზედ და არც დიდი სასოება და მოლოდინი აქვს (მაგ. „ქართვის დედას“). ამის ლექსი მართალია სწავებს გულსა, ჰკბენს, მაგრამ გველისავეთ კი არა, როგორც ნ. ბარათაშვილის ლექსები, არა, ასე ვთქვით ტკბილათ, როგორც ყმაწვილი უკბენს დედას; ამის პოეზიაც სისხლს უმღვრევს მართალია კაცსა, მაგრამ ვესლით და შხანით კი არა, როგორც ისევე ის საიქიოდან გამოგზავნილი, როგორც დანტეს ეძახდნენ, ჩვენი ბაირონი — ნიკ. ბარათაშვილი, — არა, მარტო წარსული დროების მოგონებით (მაგ. „არაგვი“), მომავალში სიმხნის მოცემითა („ნანა“), ან არა და ღვთის შეწევნას მოიწვევს ხალხზედ („ღვთის მშობელო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია...“) და სხვა ამგვარი ლექსებითა ანუ გეგმებს თავის სამწყსოსა. ამის და ნიკ. ბარათაშვილის პოეზიაში იგივე განჩევა არის, როგორც ვთქვით: ჰვინეს და ბაირონის პოეზიაში. ორნივე დასტირიან და დასცინიან ხალხებსა და მთელ კაცობრიობაზედ უფიქრელობისა და ტუტუტობისათვის, მაგრამ სხვა და სხვა კილოზედ მოსთქვამენ ისინი გლოვის ზარსა, — ერთი (ბაირონი) სულ იმედ მიხდილია მკედრების ხნობით დაცემული ხალხების და უქეცარ-კაცობრიობის აღდგენაზედ, — ამბობს: „ჩვენ ცოდეილ დროში სასწაულები აღარა ხდებოა, რომელსაც კი შეუძლიან შეუძლებელი შესაძლოთ ვახადოსო“; მეორეს (პაინეს) — ცოტათა აქვს იმედი: მართალიაო, ამბობს, მაგრამ დროსა და კაცს ბევრი შეუძლიანო. ილ. ჭავჭავაძეს აქვს ის იმედათი თვისება, რომელიც დიდ ღირსებას შეადგენს, — იმის ლექსები არიან თითქმის დიდათ საცნობელ და ხან და ხან ღრმა კაცობრიულ საგნებზედ დაწერილი; — რაც უდრე ვთქვით შეიძლება აქ გავიხსენოთ, რომ ამ პოეტის დიდათ პატრიოტული ლექსები სულაც არ უშლიან და არ ეწიწიან აღმდევებიან იმისსავე მაღალ კოსმოპოლიტიკურ ლექსებსა; — ამისთა-

ნავე, რაზედაც უნდი სწერდეს, ყოველთვის გრძნობა, წარმოდგენა, მთელი პოეზიის კილო ნამდვილი კეთილშობილურია, ე. ი. მაღალ-პოეტურია და მაღალ, ცინიკურ სცენებს ერიდება. — აი, მოკლეთ ამითი თავდებიან ილ. ჭავჭავაძის პოეზიის ღირსება და საქები თვისებები: ქების შესხმავზედ კი მზათა ვართ ქართველები, ჩვენი დღენი ამის მეტი რა გვისწავლია, თაყვანისცემის მოვესწრობით. ეხლა თვალი ვადავალოთ იმის ნაკლულევანებსა. — თუ მიცვალებულთ შენდობის მეტი აღარა გაეწყობათ რა (de mortuis nihil, nisi bene), ცოცხლებს კი უნდა ანგარიში მოვთხოვოთ იმით მოქმედებისა.

უმეტესი ნაწილი ნაკლულევანობა აქვს ილ. ჭავჭავაძის პოეზიისა ვარეგანი ფორმის, ხელოვნების შესახებ, — ენისა და ლექსთ-წყობის შეუქმნე შეგებლობა, აგრეთვე შინაგანი თვისების შეუფარდებლობა, ცოტა გრძნობის ქონვა ზოგ ლექსში და ბევრი მსჯელობის ჩაჩრა, — ნაციონალური კილოს უქონლობა და უკანასკნელ, შეუფერებელი პოეტის დანიშნულებისა, ხალხთან არშეყოფა, გაკიღვისა და ძრახვის შიში (жеманство, кокетничанье). ჩვენდა სამწუხაროთ, ზემოხსენებული ლექსისთანა („გაზაფხული“) ყოველმხრით სრული, ბევრი ჭარა აქვს. — აღალი პოეტური ნიჭის შესაფერათ ენის შეუქმნე შეგება, მეტადრე ლექსებში, ძალიან საგრძნობელია (პროზაში აგრე რიგათ არა), — ამ გვარად იმის ნიჭს აკლია იარაღი, საშუალება გამოსთქვას ყველაფერი აცა სურს, ცხადათ, ადვილათ და სასიამოვნოთ. თუმც თვალ-წინა აქვს ჩვენი ძველი და ახალი მწერლების თხზულებები, მაგრამ ზოგჯერ არამთუ ნამდვილ ქართულ კილოზედ მოხდენილი მოხერხებული ენაწყლიანობა აკლია, რომელიც ასე საჭიროა მეტადრე პოეტებისათვის, არამედ ზოგიერთ იმის თხზულებაში ნახმარები სიტყვები, და ხან მთელი წინადადება, არ უდგება ქართულ ენასა და ეტყობა მწერალსა იმათი მნიშვნელობა კარგათ არ ეყურება. მაგ. მოვიყვან აქ რაც მომავონდება, — ყველა იტყვის, რომ ამის უცოდინარობა არამ თუ პოეტებს, რომლებიც „ღმერთთან ბაასობენ“, უბრალო გიმნაზიის შაგირდებსაც, რომელსაც ნეტარად ხსენებულ ზახარ სტეფანიჩთან ულაბარაკნია, არ უნდა ეპატიოს. ილ. ჭავჭავაძე სწერს „პოეტში“:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

რასა ჰქვიათ „გარეგანი ფრინველი“ ამას ქართველი კაცი არ იტყვის და არც სხვა ენაზედ არის გასაგები; რუსულათ მაგ. იქნება სიტყვა სიტყვაზედ რომ ვადათარგმნო „внешняя, наружная птица“ — სრულიად უაზროა, ამისთვის, რომ ეს ზედნადები („გარეგანი“) ხატავს ერთსა და იმავე საგნის გარეგან მხარესა, ნაწილსა, — და ამ ჰაზრით,

როგორც ილ. ჭავჭავაძე ხშირად, სულიერ არსებებზედ თავის დღეში არ იხმარება;—მაშ რა უნდა ეთქვას?—ცხადია, რომ „გარეული“, „მოუშინაურებელი“, „ტყისა“ და სხვ. ყველა ამბობს „შინაური ფრინველი, გარეული ფრინველი“, და არა „გარეგანი და შინაგანი ფრინველი“. რუსულათა ცხადია: „домашняя, прирученная“, ამის წინააღმდეგი ჰაზრი—„дикая, неприрученная“. თუ ამ უბრალო სიტყვების უცოდნელობიდან წარმოსდგა ეს შეცდომა, ცუდია და თუ იმისაგან, რომ რითმას „განმა“ „ცანმა“ დაიძახოს და „გარეული“ რომ ეხმარა რითმა არ გამოდიოდა—ეს უფრო უცუდესი, რადგან მარტო „მესტიერებმა“ და იმათ გვარ პოეტებმა იციან სიტყვების ძალა და გრეხა, დაკლაქნა და ჰაზრის დამარხვაც ლექსის გულისთვის, რომ სა, სა და მეო, მეო აძახონ. თითონ შეკავშირება წინადადებებისა მოყვანილ ლექსში „პოეტი“ უკანონოა, ენის წინააღმდეგია; მე ანას არ ვაზნობ კიდევ, რომა ამ პირობის შექცევა და დაჩარხება კარგ პოეზიაში არ იხმარება: მითვის..... რომა..... (ბარემ შეკაცოც მოუმატოს) ძალიან პროზაულია. მარტო ენის უკანონობაზედ ვიტყვი: „მისთვის არ ვმღერ, რომ (?) ვიმღერო“—არც რუსულათ ითქმის ასე: потому не пою, чтобы (?) петь... არამედ не потому пою, чтобы петь;—ან არადა: потому не пою, чтобы не петь ქართულათა ც სწორეთ ამ გვარად ითქმის უარყოფითი წინადადება; არა მისთვის ვმღერ, რომ ვიმღერო. ან არა და: მისთვის არ ვმღერ) ე. ი. მისთვის ვარ ჩუმით), რომ არ ვიმღერო ვით ფრინველმა გარეგანმა (ანუ ჩვენებურათ გარეულმა)..

აქ ქართული ენის წინააღმდეგ შეცდომებს იმიტომ ვადრო რუსულ ენასა, რომ უმეტესი ნაწილი ილ. ჭავჭავაძის ლექსებისა რუსული ენიდან ნათარგმნსა ჰგავს, იმდენათ აქვს რუსული ენის კილო და წინადადებათ წყობა; აგრეთვე სიტყვები არის ნახმარები პროზაშიაც ხან და ხან ინათი მიხვრა-მოხვრა რუსული ენის კანონებზედ, ასე რომ ხშირად იმისი თხზულება მაშინ არის ცხადად გასაგებები, როდესაც რუსულათ სთარგმნით; სახოვადლოთ იმისი ლექსების კითხვის დროს რუსულათ უნდა ჰფიქრობდეს კაცი. ხშირად გაუჭირებელიც უცხო ენიდგან სესხულობს სიტყვებსა და გამოთქმასა;—ჯერ გაჭირებაში რა არის ვალი, რომ გაუჭირებელიც რა იყოს; მაგრამ იქნება ამ ვალის მოყვარეობითაც კიდევ უფრო მტკიცდება, რომ პოეტი თავის ხალხის ნამდვილი შვილია. მაგ. „კაცია აღაძიანში“, როდესაც თათქარბძის სახლ-კარს აღწერს, ამბობს: „მოაჯირს ეკრა ზედ ჰერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საკვეწეაგებოსა თამაშობდა“. წმინდათ. რუსულიდგან არის გაუჭირებელიც ნასესხი ეს სიტყვები (ბევრ ევრო, პიულ ენებში არის ესევე სიტყვის მასალა), მაგრამ, რომ გადათარგმნოთ უკანვე ქართული ენიდგან, ჰაზრი არ გამოვა, რადგან სიტყვა

„როლი“ აკლია—„играть роль шкафа“ და არა „играть (?) шкафа!“ ან არა, ვაჟო და რა საჭიროა თავში ცემით აქა იქ ვალის ასახლებად წეწება, თუ ქართველმა ქართველობა არ უნდა დაამტკიცოს ამითი! — ღმერთს ჩვენი საკუთარი სახელი მოუცია იმ საგნისათვის, რომელიც უნდა ვითომ მახვილ-გონიერად დაესახელებინა პოეტსა, და მთელ ევროპის ახალ ენებში რომ ეძებოთ, ჩვენი ჩვეულების გამოხატველ სიტყვებს ვერ იპოვნით: ჩვენ დღე ვალაგებთ ხოლმე ჭვეშაგებსა და დავაწყობთ განჯინაში, რომელსაც „წალოს“ ვეძახით. ამიტომ, ჩვენის ჰაზრით, უფრო კანონიერი და მახვილ-გონიერული იქნებოდა, რომ ჩვენი მშვენიერად გამოხატველი და საკუთარი ნამდვილი ქართული სიტყვა ეხმარა: „საქვეშაგებო“, ან უფრო „სალოგინე“ იყო ან „წალოს ალავი ეჭირა, ან წალოთ იყო“—იმ უხეიროთ ნახმარებ უცხო ენით გამოხატვის მაგივრად. მე აქ არ შევდგები და არც სტატიას სამძღვარი და არც ნებსიერება ნებას არ მაძლევს ამ გვარ შეცდომების ჩაითვლას გამოუდგე; ასე ხშირია ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში ამ გვარი შეცდომები, რომ იშვიათ ქართველს გაუჭირდება ინათი პოვნა. ეს ორიოდ ენის (ქართული) და თარგმნის, ანუ მიბაძვის უკანონობის ნიმუში იყო; ერთსაც სამების ძალზედ, ულოლიკობის, ჰაზრის, წარმოდგენის უკანონობის მოვიყვან. მაგ. ლექსში „ხმა სამირიდამ“, მიცვალებული „მდივანბეგი დიდი მოქრთამე, სააქოს სთხოვს მკითხველთა საფლავიდგან“, „სააქოს (ე. ი. ჩვენებურათ „საიქოს“) თუა ქრთამი, გამახარეთ, ჩამომძახეთო!“ ანდაზა ამბობს: „ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამბავს ეუბნებოდაო“, სწორეთ ამ „მდივანბეგის“ საქმეც ასეა. ან უფრო პოეტისა, რომელიც ასეთ მოუსაზრებელ სიტყვებს ათქმევინებს მიცვალებულს, საიქოს წასულ კაცსა „საიქოს თუა ქრთამიო“ შემატყობინეთო სააქოს მყოფ ცოცხლებსა სთხოვს!—ვაჟო, თითონ იქ არის, ვერა გაუგია რა და ჩვენ აქედგან რა პასუხი უნდა მივსცეთ;—მართალია, თუ იუმორია, დაცინება ვითომ მოკლე ჰაჟის პატრონ დიამბეგისა, მაინც ძალიან მოუხერხებელი, უზნო, ულაზათო. „ულოლიკო“ იუმორია, რომელიც აჩვენებს, რომ ან თითონ ავტორი მოტყუებულა, ან სხვას თვალებს უბამს ამ უნდილ ხუმრობითა. იქნება პოეტსა სთქვას, რომ „ჯერ ეს არ წამდგარა სამინელი სამსჯავროს წინაშეო“,—მართალია, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ჩვენ უფრო შორს და ხამები არა ვართ იმაზედ საიქოს და უცოდნარი, „მდივანბეგები“ არიან,—იმათ ნახევარ გზა მაინც გაუვლიათ და საიქოს წვენი უწვენვითა. არა, ამისთანა ხუმრობას მდივანბეგი არ იტყრდა. ეს უფრო იმ საფანელ შემოკლებული ნწერლების (ილ. ჭავჭავაძე ტყუილათ ჰბაძავს ინათა) აღათია, რომლებიც საღმრთო ვალათა რაცხავენ მკითხველები ბოლოს გაულრეჭები არ გაუშვან და რადგან ხე-

რბანი, ნამდვილ, მარდად მოხერხებული და მანვილგონიერი სიტყვა-პასუხი არა აქვთ, ამ თავინთებურ უძველო-უფხვო შეთითხნილ ზუნრობას წამოისერიან ხოლმე და ეს დიდ კვახე მახვილ-გონიერებათ შიანჩიათ.

ილ. ჭავჭავაძის პოეზიას აქვს ნაკლულევაანება, რომელიც გარეგანი ნაკლულევაანების—ენის შეუწუშავებლობის და ნამდვილ ესტეტიკური ფორმის უქონლობაზედ ბევრით დიდი და საგრძნობელია;—ეს ას ძნელათ სანდობი და საეჭვო კილოდ კვალი არის, რომელიც პოეზიას „ფილოსოფიურ განსჯათ“ ან „ეკლესიურ ქადაგებათ“ გადააქცევს და, ეს ცხადია, რომ ამისთანა ცხრა-წევნაობა არც ფილოსოფიისათვის, არც ზნეობისთვის და არც პოეზიისათვის არის სასარგებლო. პოეტი ცდილობს თავის ლექსებში (პროზაშიაც) რაც შეიძლება ბევრი პაზრი და კაცთმოყვარებითი (ფილანთროპიული) გრძნობა ჩასტიოს; საჭიროა თუ არა, ან ეტევა თუ არა, ამის არ დაგიდევს, ოღონდ კი ახალმოდურ კილოზედ მოსძახოს იმისმა მუხამ.—აქ ნურავინ იფიქრებს, რომ მე ვითომ კაცთმოყვარულ გრძნობისათვის და მსჯელობისთვის ვძრახავდე ილ. ჭავჭავაძეს,—არა, ყოვლადვე ნუ იყოფინ; მე ნარტო იმას ვამბობ, რომ პოეზიას პოეზია უნდა ერქვას და პოეზიისთვისება ჰქონდეს და ეკლესიურ ქადაგებას ეკლესიური ქადაგებისა. პოეზიაში, რასაკვირველია, როგორც ყველა ჰქვიანურ საქმეში პაზრი და მსჯელობა უნდა იყვეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ არასოდეს, რომ პირველი და უმთავრესი, განსაკუთრებითი სფერა პოეზიისა არის „გრძნობა“, ანუ უკეთ „მგრძნობელობა“ და პოეტი პირველათ და უმეტესად ვამოპირკვეველი, ან აღმწერია რომელიმე საგნისა ან მოქმედებისა და მოვლინებისა და მერე მსჯელი (мыслитель). თუ კი თავის დანიშნულება პოეზიამ კარგათ ასრულა, ღრმათ და მტკიცეთ გამოსთქვა გრძნობა, მაშინ საკუთარი ცდა აღარ უნდა მწერალს, რომ მაინც და მაინც დიდი პაზრი და მსჯელობაც ჩავტენოვო; დიდ გრძნობაში დიდი პაზრიც არის ყოველთვის და საზოგადოთ ხელოვნების (პოეზიის, მუსიკის, მხატვრობის, გამოქანდაკების, ან ჩუქურთმის) ვალი და დანიშნულება არის უმეტესად გრძნობა (გრცლად ნაგულისხმეზი) გამოხატოს, როგორც მაგ. მათემატიკური, ასტრონომიული, სტატისტიკური და საზოგადოთ ნამდვილი, ასე ვთქვით, მშრალი მეცნიერება, რომელიც უმთავრესად მსჯელობას მოითხოვს და უპირველესათ აქ ჰქუა-გონება მუშაობს. პირველი (ხელოვნება) ასე ვთქვათ, პირველათ გრძნობასა და გულს ეტანება, მერე ტენის, თავსა; უკანასკნელი კი (მეცნიერება) თითქო ჯერ ტენიზედ და თავზედ მოქმედებს, მერე გულზედ. მაგ. ახალი ღროის პოეტებში ყველაზედ ღრმად შექსპირსა აქვს „გრძნობა“ გამოთქმული თავის თხზულებებში და ყველაზედ ცოტათა ცდილობს მაინც და მაინც მსჯელობაც შეჩხიროს იქ, სადაც გრძნობაც ძლივს ეტევა!

ამიტომაც ის არის ყველაზედ დიდი პოეტი, დიდი მცოდნე კაცის გულსა, მოგვი გრძნობისა და ვნებათ-მოძრაობისა; იმავე დროს ის არის! თითქმის უნებლიეთ დიდი მსჯელიც და იმის პოეზია შეიცავს თვით უდიდეს ფილოსოფიურ პაზრებსა, რომლებიც ჭეშმარიტ პოეტურ თხზულებებში ყოველთვის არიან. ვხლა ამის წინააღმდეგ მოვიყვანოთ მეორე პოეტი, რომელიც უფრო ფილოსოფოსი და მსჯელი იყო, ვიდრე ნამდვილი პოეტი; იმის პოეტიკურ თხზულებათ: დრამებს, ლირიკულ, ლექსებს და სხვ. დიდი პოეტიკური ღირსება და მნიშვნელობა არა აქვთ, თუცა ყველა იმათგანი ღრმა ფილოსოფიურ პაზრზედ და მაღალ კაცობრიულ (ჰუმანურ) საგნებზედ არიან დაფუძნებულნი და დაწერილნი. რატომ? ამიტომ, რომ პოეტი თავის თხზულებებში, ასე ვთქვით, ჰქუა-გონებას ატანს ძალასა და არა გრძნობასა; მკითხველის, ანუ მსმენელის გულს კი არ ელაპარაკება, როგორც პოეტის ადამი და წესია, არამედ თავსა; ჰქუითა და მსჯელობით ცდილობს დაუძტკიცოს და დააჯეროს თავის პაზრზედ და არა გრძნობით შესძრას და აადელვოს მსმენელი ვითილი საქმისათვის. ლესსინგის ჩვეულება იყო, როდესაც ძველი ან ახალი დროების პაზრი მოეწონებოდა, გამოახვევდა ამ პაზრს პოეზიის სამოსელში (ხშირად დრამათ) და გაავრცელებდა ხალხში; მაგრამ ეს პოეტური სამოსელი თხელი გახლდათ ხოლმე; ყოველ სიტყვაში ავტორის სურვილი სჩანდა, რომ მკითხველები დააჯეროს თავის პაზრზედ და თავის ბადეში გასამბელათ: რაღაც ტიკინების არიფანასა თამაშობდა, რომ უკეთესათ მოეტყუილებინა. ერთი სიტყვით, კარგად ვერა მზლავდა თავის სურვილსა თავის პოეტურ თხზულებებში, გრძნობას ფანტაზიის და გამოხატულობის ძალა აკლდა და გულს ვერ ელაპარაკებოდა, ამიტომაც იმის პოეზიას ისეთი ცხოველი და ნაყოფიერი ზემოქმედება, გავლენა ვერა ჰქონდა ხალხზედ, როგორც ჭეშმარიტ პოეტის ქმნილებას ყოველთვის უნდა ჰქონდეს. მაგ. იმის დრამა—„ნათანაელ ბრძენი“ არის დაწერილი იმ დიდ კაცთმოყვარულ დიდ მოძღვრისაგან წარმოთქმულ პაზრზედ, რომელიც ვგრობის ქრისტიანებზე დაივიწყეს და ურიების დაწვა დიდ ღვთის პატივისცემად შიანჩიათ; მცნება კრამობდა, რომ ღმერთისათვის არ არის არც ურია, არც ელლინი, არც წარმართი და თქვენ ყოველნი ძმები ხართო. ამ დრამაში არიან მოქმედ პირებათ სხვა და სხვა სარწმუნოების ხალხი: ნათანაელ ბრძენი არის ურია, სალადინი, სულთანი იერუსალიმისა—მხმადინი და რაინდი (рыцарь)—ქრისტიანი; ესენი თითქმის ერთმანეთის სისხლსა სმენ (უფრო ქრისტიანი ემტერება ურიასა და სულთანი—მხმადინი არიგებს) და უმეტესს, ფანატისმის მოწყალეებით თავიანთვე სიცოცხლეს სწამლავენ, ჭეშმარიტ კაცობრიულ, ადამიანურ გრძნობას იხმავენ ერთმანეთისადმი, რადგან სხვა და სხვა სარწმუნოებისა არიან,

რადგან სხვა და სხვა გვარათ, სხვა და სხვა ენაზედ ერთსა და იმავე ღმერთს აღიღებენ... აი, ამ დიდად ღირს საგანზე სწერს ლესინგი თავის უკეთეს თხზულებას „ნათანაელ ბრძენი“. მოკმედემა არის იერუსალიმში და თავდება იმით, რომ ბოლოს მაინც საზოგადოთ ადამიანური, ბუნებითი გრძნობა, სისხლისა და ხორცის კავშირი სათურგნის უმეცრეებისაგან წარმოშობილ ცრუმორწმუნეობით ხალხების გაყრა—განსხვავებასა და სიმტერესა. მაგრამ ეს ნამდვილ კაცობრიული და ქრისტიანული პაზრი მაინც ისევ „ზნეობით სწავლად“, ქადაგებად, დარიგებად რჩება, რაღაც შეთხზული „მსჯელობა“ გამოდის და არა ნამდვილი პოეზია ამ მაღალ ზნეობითი ფილოსოფიის პაზრებს პოეტური სიცოცხლე აკლიათ და, როგორც ყველა არა ცხოველი, ადამიანური ცხოველი გრძნობით ღარიბნი არიან, თუშცა სამღრთო გრძნობა და სიყვარული არ აკლია ამ დრამასა, მაგრამ სამღრთო წერილი პოეზია არ არის, როგორც კოპერნიკმა მისწერა რომის პაპას სამღრთო წერილი ასტრონომია არ არის, როდესაც თავის თხზულება De revolutionibus orbium coelestium (ციურ მნათობთა მოძრაობაზე) უძღვნა!.. ამ პოეტური გრძნობის, მარტივი და უბრალო წარმოდგენის უქონელობისაგან მოხდება ხოლმე ისა, რომ ხშირათ ილ. ჭავჭავაძე იძულებულია თავითონვე ატაროს ხელით, როგორც ჭოჭინაზედ მიყუდებული ყმაწვილი, თავის მოკმედი პირები და ნუდამ ჩასჩურჩულდეს, რა უნდა თქვან, რომ ყმაწვილები ქუჩითა დიდებათ ეჩვენენ, და არ აცლის თავიანთ ბუნებით, პაზრისა და შეგრძნების, გრძნობის შესაფერად რას იტყოდნენ, იმათ ნებაზედ რომ მიეგდოთ; ამ გვარი ხასიათი და კილო აქვთ „ნუშას“, „გუთნის დედას“ და სხვ., სადაც ასე უხვად არის მსჯელობა და ხშირათ კაცთმოყვარული გულმტკიცევეულობა ქადაგების კილოზედ. პუშკინს ნემატიანების და ისტორიკოსების მაგივრად პოეტებზე რომ ეთქო, ამგვარად იტყოდა: *Пой, не мудрствуя лукаво!*..

აქ მოვიყვანთ აგრეთვე პოეტის სამოქალაქო სიმამაცის ნიმუშსა.— მე ზემოთა მოვიხსენიე, როგორც ილია ჭავჭავაძის საგრძნობელი ნაკლულევეანება, რომ ზოგჯერ რაღაც არშიყობის და სიკეკლუცის კილო, გასათხოვარი ქალისა და არაპოეტის შესაფერი წამოჰკრავს ხოლმე მეთაქი, ხშირათ გაუჭირებლივ არწმუნებს პოეტი მკითხველებს—მე თქვენ მიყვარხართ, თორემ როგორ ვაგვებდავდი ამ გვარათ თქვენზედ დამეწერაო და ამისთანაები, მაგრამ ყველაზე ცხადათ ეს კეკლუცობა არის გამოთქმული ერთ ლექსში:

ავიყოლია ჩვენ (ე. ი. ილ. ჭავჭავაძე) ჭარბის ბედმა,
და, დაე გვძრა ხონ, ჩვენ მის ძეხნით დავლით დღენი...

ან ერთს წუთს მაინც როგორ უნდა შეუშვას თავში კაცმა ამისთანა შიში და ან ერთ წანს თავში გაუელვოს, მეტადრე პოეტსა, რო-

მელიც ღმერთთან ბაასობს და ხალხს წინა უძღვის, ამ გვარი მხდალობა და თავის გამხნევება: დაე, გვძრა ხონ (პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ეს წმინდა ქალური სიტყვა ეაქვისაგან ჩენს დღეში არ განიგონია), დაე გაგვეილონო (მამულის სიყვარულისათვის...) არამცა და არამც ჩვენ ქართლის ბედის ძებნას თავი არ დავანებოთო... არა, რა ძალა უნდა მქონდეს ამ ძრახვისა და კილვასა საზოგადოთ არამც თუ მარტო მამაკაცზედ, რომლებიც უფრო ხშირად გულგრილნი არიან სხვის ტრახა-ტრუხზედ, არამედ დედა-კაცზედაც კი, თუ მეტისმეტი ღვთის გლახა არ არის?! როგორ უნდა ემინოდეს კაცს ძრახვისა და კილვისა; სხვის „ტიტინი“, „ტრახა-ტრუხი“, „რახა-რუხი“—ვისთვის რა სასჯელია, რა ეკლის გვირგვინი არის პოეტისათვის?! [ცენზურა] გვანე მულა იმ პოეტებს (დანტე, ტასო), რომელნიც თავის თავს ეუბნებოდნენ და გულს იმხნეებდნენ: და გვძრა ხონ კი არა, თუნდ გვდევნონ პირველ ქრისტიანებსა ვითაო [ცენზურა] ჩვენ მაინც ჩვენი წმინდა საქმის ძებნაში დავლით დღენიო... რუსთაველს, რომ მიჯნურების მაგივრად თავის სიტყვები პოეტისთვისებზედ ეთქვა, ასე იტყოდა: „ვისაც ეს ქირი არა სჭირს, ნუ იტყვის პოეტობასა!“ და არა დამძრახვა და გაკილვა ნუ შეგვაშინებსო—რომლის წარმოთქმა უნდა ეთაქილებოდეს და ეზიზღებოდეს ყოველკაცსა. ენის შეცდომას, უნამდვილობას არ შეიძლება ეს „ძრახვა“ მიაწეროთ ადვილათ შეეძლო სხვა სიტყვის პოვნა, თუ სხვა პაზრი უნდოდა ეთქვა ჩვენ ამ სიტყვებზედ იმიტომ შეგდექით ამდენ ხანს, რომ ძალიან ცხადათ და ნათლად ხატავენ პოეტის სიმამაცეს და პროგრამას, სამძღვარსა და მიჯნას, სადამდინაც მიახწევს იმის საზოგადოებასთან უთანხობა, დამძრახვა, გაკილვა [ცენზურა] უკანასკნელი და უდიდესი ხარისხი დეენისა იმისთვის ძრახვა არის; ეს არის ლექსებში, პოეზიაში, თეორეტიკულათ ნათქვამი. ახლა, ჩვენდა სამწუხაროთ, რა უნდა იყოს ნამდვილ ცხოვრებაში, რომელიც ყოველთვის ლიტერატურაზედ უფრო მდაბალია? საუბედუროთ, ამ ძრახვისა და გაკილვის პატარძალური ტეორია ბევრ ჩვენ მწერლებს და მჯლანბნელებს უკრავს ხელებს და აშინებს, რომელთაც მტკიცე პაზრი სისხლში და ხორცში არ გასჯდომიათ, არამედ მიხედვით ორიოდ ბოლო წამწკვერტილი ლექსებით კაკანებენ; ანათ ვერ ვაგამტყუნებთ: როგორიც ღვდელი, ისეთი ვირო...

უფრო საგრძნობელ ნაკლულევეანებას ილ. ჭავჭავაძის პოეზიისას, როგორც მთელი ჩვენი ლიტერატურისას, სახელდობო ნამდვილ ნაციონალური კილოს უქონლობას, ბოლოს მოგახსენებ; ესლა ვიტყვი ორიოდ სიტყვას პროზაზედ—„კაცია, ადამიანზედ“. აქამდინ უმეტესად ლექსები მქონდა სახეში.

ჩემის პაზრით, ყველაზედ დიდი და შესანიშნავი, რაც კი ილ. ჭავჭავაძეს დაუწერია, არის „კაცია, ადამიანი“. ამ პატარა თხზულებით

პოეტმა შიგ ქართველის ცხოვრების გულში ჩაიხედა და გამოხატა ისე ცხადით ის ფულურო, ფუყი და დამპალი გულ-მუცელი, რომელსაც თუ ცხოველი იმედის, სასოების და მხნეობის უკვდავი ცვარვიით არ ებჭუ-რა, სხვა საკურნებელი წამალი აღარა აქვს-რა და უკანასკნელ ვანწი-რულებაშია, თუნცა თვითონ პოეტი სასოწარკვეთილებას და იმედ მი-ხდილობას არასოდეს არ ეძლევა; ერთგან ლექსში „ქართველის დედის-ამბობს:

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალო დროს ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებაზედ დარდი; (დროზედ დარდი
რომ იყოს, კიდევ ლექსს ეგვანებოდა)
ჩვენ უნდა ვსდევდეთ ვხლა სხვა ვარსკვლავს (რა ვარსკვლავს?)
ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

ყველა იმის თხზულება ამბობს: რაც იყო იყო, წარსული დავევი-წყოთ, ვხლა „ახალი პური გავტეხოთ“. არსად ცხადით არ ამბობს. სრულიად სწყვეტს ყველა კავშირს წარსულთან, თუ ადრინდელ შნო-ლაზათზედ და კილოზედ უნდა იმღეროს, აწინდელისთვის საძიარკველი წარსულში უნდა ეძებოს, როგორც რიგია;—ამასვე ამბობს პოეტისგან მოყვანილი ლეიბნიცის სიტყვები: „წარსული მამობელი არის აწინდელი-სა“ და თუ შვილის ცნობა გინდა, ჩვენ ანდაზას გაუგონოთ: „დედა ნა-ხე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხატე“; არც დარგინია ამ ბრძულ ან და-ზაზედ შორს... ეტყობა გოგოლის კილო და მიმართულება „კაცია, ადამიანსა“; მაგრამ, ჩვენდა საწუხაროდ, ეს მგზავსება არის მარტო გარეგანი და არა შინაგანი პაზრთა თანხმობა; მართალია, ამასა აქვს აღწერამი ისევ ის სიტყვადე და მახვილ-გონიერება, როგორც გოგოლი ხმარობს თავის თხზულებებში, ნეტადრე „მიცვალეებულ სულეებში“: ცოტა სიტყვით ბევრის თქმა, ხშირათ ძალიან მოსწრებით ხმარებულ-ნი სიტყვის მასალები, ნამდვილ ქართული სიტყვა-პასუხი, მოხდენილი, მკვახე იუმორი, ანდაზების ძალიან უხვით მოყვანა, რომლების გულის-თვისაც ხან და ხან ბაასს აგრძელებს, რომ რომელიმე ანდაზა მოაქეროს (მარტო ანდაზებში არა მდგომარეობს პოეზიის ნაციონალური კილო); საბაასო, სალაპარაკო ენას დიდის ცოდნით და ხელოვნებით სწერს; აგრეთვე, როგორც გოგოლი, ძალიან ბედნიერად და მახვილ გონიერუ-ლად ირჩევს ნამდვილ ნაციონალურ-ქართულ სურათებს მოქმედ პირებათ მოთხრობისათვის;—მაგრამ ამითი თავდება, საუბედუროთ, მგზავსება „მიცვალეებულ სულეებთან“. ის ერთი ღრმა, ყველა ნაწილების შემაერ-თებელი, პაზრი, რომელიც ჰკრავს და ბეჭდავს ერთ მთელ ცხო-ველ კავშირიან მოთხრობათ ამ პოემასა, არ არის გატარებულნი ველ კავშირიან მოთხრობათ ამ პოემასა, არ არის გატარებულნი „კაცია, ადამიანში“; ამიტომ ნამდვილი მოთხრობის დანიშნულე-ბას ვერ ასრულებს; ეს არის პატარა-პატარა დიდის ხელოვნე-

ბით აღწერილი სცენები და სურათები, სხვადასხვა შემ-თხვევები, შეკრებული ერთად, რომლებსაც ხან სულ არა და ხან ძალიან ცოტა შინაგანი კავშირი აქვთ ერთ-მანეთთან, ყველამ ვიცით ნამდვილ მოთხრობისთვის რა არის საჭი-რო და ცხოვრების მიუცილებელი თვისება,—ეს არის „მოქმედება“, ბერძნულათ რომ დრამას ეძახიან; სადაც ეს არ არის, ის თხზულება (პოეტიკური) შედგენილი და მოგონილია და არა ნამდვილი სიცოცხლიდან აღებული და გადმოხატული, რადგან ცხოვრება და მოქმედება (ხშირად ტუტუტური, მაგრამ შინაგანი ისევ მოქმედება) განუყრელი ძმები არიან. მოქმედება იქ იწყება, სადაც საქმე დაიხლა-რთება და გამოინასკვება და შიგ ჩაბმული მოქმედი პირები თი-თქმის უნებლიედ ერთმანეთს შეხედებიან და შეეჯახებიან; ამ გვარად გრძელდება მოქმედება, ვიდრე ამ მახიდან არ დასნულტებიან და ბადედ ვან არ გამოძვრებიან; როცა კი თავს დაახწყვენ მოქმედნი პირნი, მა-შინ კვანძი გაიხსნება და მოქმედება თავდება; თუ ეს დავი-დარა-ბა მშვიდობიანათ გათავდა, „კომედიას“ უწოდებენ ამ მოქმედებას, თუ სამწუხარო ბოლო ჰქონდათ პირებს, რომლებმაც საქმეში შინაწილეობა მიიღეს, მაშინ—„დრამას“ ან „ტრაგედიას“. ერთი სიტყვით, ამ გვარ თხზულებებში, მოთხრობებში, რომანებში და სხვ., როგორც თითონ სიცოცხლეში, რომელიც დედნათ უნდა ჰქონდეს ყოველთვის ხელოვნე-ბასა, პირველი და უკანასკნელი არის მოქმედება, რომელიც ათამა-შებს მოქმედ პირებს თავის ნებაზედ; თითონ (მოქმედება) დაი-წყება,—შეწყრის იმათ ერთათ და გათავდება—გაწყრის.—ახლა თუ „კა-ცია, ადამიანს“ შევხედავთ ამ ყველა გვარ მოთხრობის კანონების და-გვარად, მაშინვე შევატყობთ, რომ ის ამ ბუნების და ხელოვნე-ბის ყალიბში ვერ მოვა: ავტორი, როცა უნდა, შეაყვარებს და ქორ-წილს გააჩენს თავის მოთხრობაში, როცა უნდა დააარსულებს კნენიას და ძეობის ფაფას მოაშაფათებს, როცა უნდა მახლის ცოლს და მაქან-კალს დაიბარებს და ატიკტიკებს ორივეს თავ-თავის წეს-აღათზე და გაისტუმრებს, როცა უნდა, სწორეთ ტიკინებსავით. ერთი სიტყვით, არა მოქმედების ძალა არ სწევს მოქმედ პირებს და თვით საქმეს, და ერთი მოქმედება მეორეს არ ითხოვს, როგორც სი-ცოცხლეში ყოველთვის მოხდება ხოლმე. მთელი მოთხრობა არის აღ-წერა (დაიხ ხელოვნური, მართალია) სურათებისა, რომლებიც, ვთქვათ, შემოწყობილნი არიან ოთახში და ერთმანეთთან არა ცხოველი კავშირი არა აქვთ: ერთს შქვიან „მახლი“, მეორეს „ცოლი“, „მაქანკალი“ და სხ. იმათ ვასინჯვას საიდგანაც გნებათ დაიწყობთ, რადგან იმათში არც დიდია, არც პატარა, არც თავი, არც ბოლო; ყველანი ერთგვარ შინაწილეობას მიიღებენ, რადგან მოთხრობაში ერთი პაზრი არ არის გატარებული, იმიტომაც არც მოქმედი პირია იმის წარმომადგენელი.

როგორც მაგ. „მიცვალებულ სულებში“—ჩიჩიკოვი, მატარებელი და მცველი პოემის ღრმად და უწყვეტივ გატარებული ჰაზრისა, რომელსაც ერთ წუთსაც არ ივიწყებს არც ჩიჩიკოვი და არც პოეტი. ერთი ჰაზრის უქონლობისგანვე წარმოსდგება ისა, რომ მოვა სომეხი და მოიტანს სხვა მესხა, ე. ი. ყველა ამ მოთხრობის სცენაში ახალ-ახალ საგნებზედ ჩამოაგდებენ, ვინც კი მოვა, საუბარსა: წინა „თავში“ კავკავის ქირებზედ ილაპარაკეს, მეორეში ბატონ-ყნობის გადაწყვეტაზედ იმუსაიფებენ, მესამეში ჩიხთმაზედ და თართის დომზედ, მეოთხეში კიდევ მკითხავებზედ და სალოცავებზედ. ასე ამ გვარად, ერთი საფუძვლიანი და მკვდარი ტუტუტობა (капитальная глупость) კი არ არის, რომელიც ყველა ამ ტუტუტობებს შეიცავდეს და, როგორც მაშათ შთაფარს შეილი-შვილები, ან ღეროს შტოები—ეკუთვნოდნენ. თუ ჰაზრი თითონ ჩვენ ცხოვრებაში არ არის და პოეტი ხომ ვერ მოიგონებდა ერთი თავკიდური ტუტუტობა მაინც უნდა ეპოვნა ჩვენ ცხოვრებაში, რომლისაც ბევრი ძებნა არ მოუხდებოდა და მთელ მოთხრობაში, როგორც ხელოვნების რიგია, თავიდან ბოლომდე გავტარებინა, როგორც გოგოლი მოიქცა თავის „მიცვალებულ სულებში“... ამ მოთხრობის—„ქაცია, ადამიანის“ უთავბოლობიდან წარმოსდგება ისა, რომ გინდ ერთი ამოდენა მოთხრობა თავში მოაკერო ანას და ერთი ამოდენაც ბოლოში, მაინც მოქმედების წყობას და მომდინარეობას (რომელიც არც არის მოთხრობაში), არაფერი დაუშავდება რა, როდესაც რომ ნამდვილ პოეტურ-ესტეტიკური თხზულება ისე უნდა იყოს შეკრულ-შებენილი და სრული, რომ ყველა გვარი მიმატება ან დაკლება რამისა, როგორც ბუნების წინააღმდეგი, გინდა თუ არა მოქმედების გაჭიანურება, როდესაც ნამდვილ სიცოცხლეში თავდება, თხზულებას ავნებს და არ არგებს, მაგ. ასე არის „მიცვალებულ სულებში“, თუმცა ხელოვნურ სისრულეს ამას თითონაც ბევრი აკლია, მაგრამ მაინც ერთი ღრმა ყველა მოქმედი პირების შემწებებელი და შეზღვევებული ჰაზრი ჰკრავს ამ პოემის (რასაკვირველია, პირველი ნაწილი გვაქვს სახეში) ნაწილებსა და აღწერას სურათებისას და ამ საცოდავ მიცვალებულთ გაშვიდველი, ძუნწი ქალბატონების სახეების დახატვას ამ პოემაში მეორე ადგილი უჭირავს; ასე რომ თხზულების პირველ და უნდავრეს ჰაზრს ასრულებს პირველი პოემის გმირი—ჩიჩიკოვი, რომელიც თავის მოქმედებაში შეხვდება სხვა და სხვა ხალხსა, პირებსა, სურათებსა და პოეტი უნდა თუ არა იძულებულია ასწეროს ისინიცა, მაშასადამე ეს მხარე (აღწერა როგორც პირის, აგრეთვე ლაპარაკისა) თხზულებისა გამოდის სხვათა შორის და არა თხზულების პირველი საგანია, როგორც „ქაცია, ადამიანში“.

უდიდესი ნაკლულოვანება ილ. ჭავჭავაძის პოეზიისა არის ნაციონა-

ლური, ნამდვილ ქართული ხალხის ფერისა და კილოს უქონლობა ანუ ცოტას ქონა, როგორც ლექსებში, აგრეთვე პროზაში. მართალია, ნამდვილი, ჭეშმარიტ ნაციონალური კილო ყველა ჩვენ პოეტებს და საზოგადოთ ლიტერატურას აკლია, მაგრამ რაც აღრინდელებს ეპატიებათ, ის ჩვენი დროების პოეტს არ შეენდობა. ეხლა ყველამ ვიცით, რომ ნამდვილი ლიტერატურა ნაციონალური უნდა იყოს, უამისოთ ლიტერატურა ლიტერატურა არ არის; მაგ. ამიტომ არის უფერული, უძლური, ღარიბი და შეუნიშნავი რომაელების ლიტერატურა, რომელიც არის მართო მიბაძვა (თუმცა ძალიან მახვილ-გონივრული) ბერძნული ლიტერატურისა და ბერძნული კი ასე დიდ პატივსაცემი, უმაღლესი და სრული, რადგან ნაციონალური ნამდვილი ბერძნული არის, ბერძნის ენის აღმოთხვრილი და წარმოშობილი; როგორც თითონ ბერძნები განირჩეოდნენ ყველასაგან, ვინც ბერძნები არ იყვნენ, ისე იმითი ლიტერატურა—ყველა სხვა ხალხების ლიტერატურებისაგან. დიდი ღირსი მიბაძვის დედანია ეს უკვდავი ხალხი თავის ლიტერატურითა, როგორც მრავალ სხვა მხრივ.—უცოდნელობა და მიუბაძობა ნამდვილ ქართული სახალხო პოეზიისა, ისტორიულ გარემოებათ და ისტორიული პირობების გამოუყვანელობა სცენაზედ, მითებისა, გარდამოცემითი მოთხრობისა, ლეგენდების, ზღაპარ-არაკებისა, რომლებშიაც ხშირად გამოხეულია უნაღლესი ჰაზრი და კაცობრიული გრძნობა,—აი, ამ დიდი მეცნიერების უცოდნელობა, რომელსაც „ხალხის პსიხოლოგიას“ ეძახიან გერმანიაში და რომელსაც თვით უდიდესი პოეტები სწავლობდნენ, უკრავს ჩვენ პოეტებს ხელებს, რომ ვერ მიაგნეს აქამდინ და ვერა სვეს ეს ხალხის ნოყიერი რძე, რომლის ძუძუზედაც უნდა იზრდებოდეს პოეტი და იმის მკერდზედ უნდა იხილოს თავის უკეთესი სიზმრები. ხშირათ ზღაპარ-სიტყვაობითი გარდამოცემა იყო საგნად უდიდესი მსოფლიო პოეტებისა; მხოლოდ დიდი გვაშები პოულობენ ხალხის ხშირად ყმაწვილურის სიმარტივით და გულწრფელობით ნათქვამ ჭეშმარიტებათ: ის დიდი ომერის პოემები „ილიადა“ და „ოდისსეია“—რა არის თუ არ ვალექსილი ზებირ-სიტყვაობით მოთხრობა, ვალექსილი იქნება თითონვე მესტიერებისაგან (რამსოდებისაგან), რომლებიც მღეროდნენ ამ ლექსებსა? ან ის დანტეს „ღვთიური კომედია“—გამოხატვა ხალხის მისტიკური წარმოდგენისა საიქაოსი?—შექსპირის უმეტესი ტრაგედიები არის დაფუძნებული ან ხალხის მოთხრობით გარდამოცემაზედ, ან ზღაპრებზედ, მაგ. იმის „კოროლი ლირი“: ვის არ ვაუგონია ეს არაკი (რასაკვირველია, სხვა სახელებით და სხვა ენაზედ), ხელმწიფემ რომ გაუყო თავის სიცოცხლეშივე თავის სამს ქალს სამეფო, იმ პირობით, რომ სიკვდილამდინ უნდა ერჩინათ თავისი მამა, ის კი არა თუ, მადლობის მაგიერ უფროსმა და შუათანა ქალმა პანდური ჰკრავს თავიანთ მამას (რაც არა მართო ზღაპრებში მოხდება ხოლმე), ძალზედ მოხუც-

სა; მერე დიდი ხნის აქა-იქ წყევბისა და ზამთარში ღვთის რისხვა ქა-
რაშოტთან ღამეებში ტყეში ხეტების შემდეგ, უმცროსს ქალს მიიგ-
ნებს, რომელიც, როგორც ყველა უნცროსების რიგია ზღაპრებში
(მარტო ზღაპრებში), დიდის სიხარულით მიიღებს და სხ.—მაგრამ შე-
ხედეთ ამ უბრალო ზღაპრიდგან რა ყოვლის შემძვერელი დრამა აიხს
შედგენილი, ანუ უფრო სწორედ ვთქვათ, შექმნილი, ჩამოსხმულ-
ლი.—ჩვეულებრივ საგანში უაღრესი პოეზიის პოვნა მარტო დიდი გვა-
მების საიდუმლო და ხელობა არის... აგრეთვე რა არის ეს უდიდესი
ფილოსოფიური ჰაზრის ნექონი ტრაგედია, რომელშიაც მთელი კაცობ-
რიობის ბედი არის წარმოთქმული, გეტყვას „ფაუსტი“—რომლის ზღა-
პარსა დღესაც ენოვითხრობთ ნენცის გლეხი გერმანიაში? ფაუსტი,
რომელსაც ეშმაკები უფრო ბევრი ჰყავს მეგობრებთან და მოსაუბრეთ,
სინამ ადამიანები, მაგრამ [გადახადეთ ეს გამოხატულებების და ფანტა-
ზიის პირბადე, რომელშიაც ჩვეულებრივ, რომ უკეთ, ცხადით წარმოი-
დგინოს, გაახვევს ხოლმე ხალხი თავის აზრსა და გრძობასა და ნახავთ
სისხლით და ხორციით სავსე ცოცხალ კაცსა, ადამიანსა, უაღრესის
ჰაზრით და გრძობით სავსესა; უმცირები კი, რომლებსაც ანაბანაძლივ
უსწავლიათ, ბრანებათ ნოაქვთ თავი და „ცრუ მორწმუნება აქვსო“
ხალხს დასცინიან; ვაი ჩვენ ყვავებსა, ამიტომ მომრავლდენ ეს გიმნაზი-
ის 3 კლასს ძლივ მიხწეული ბოლექსეები, ანუ უკეთ, მესტირეები, რომ-
ლებიც ორიოდ ღეგნს ბოლოებს წაუწკვევრტავენ, „ტუ, ტუ, ცი, ცი“
დააძაბებენ, ისიც არ იციან, რომ თავიანთ სახელი თქვეს; რიგიანი მო-
ლექსეები კი არსად არიან და, თუ ვინმე ჩემულობს კიდევ პოეტობას,
ისინიც ღარიბნი არიან გრძობით, ჰაზრით და ნაციონალური კალთი.
ესენი გახლანთ ჩვენი ცხოვრების ნაყოფნი; თუ ცოტა ხანს ამ წიგნს
(კაცია, ადამიანის) ნაკულუოვანებას დაევიწყებთ და გავმინჯავთ საზო-
გადოების შესახებ,—ერთ რაღაც საზიზღარ და გულის შესაწუხებელ
ადამიანებს შეგხვდებით; ეს უბედურები, რომლებიც სულ თავის მუცელს
ჩასტირებენ, სულ ჩიხირთმახედ, ბოზბაზხედ და თართის დოზხედ ლა-
პარაკობენ, ანაზედ უნაღვლესი ღირსი ყურადღებდას ჰგეყანაზედ საგანი
არ გააჩნიათ, არაკებს, ძილში ნანახ სიხარებს ეუბნებიან ერთმანეთს და
თითების ტკაცუნხედ მოვლიან შვილის ყოლასა; ადრე, ნოვალე რომ
ილაჯ გაუწყვეტდა, ეტყოდნენ ხოლმე „აი, მელიციანი წავალ, ჯამაგირს
ავიღებ და თავში ვახლი შენ ფულსაო“—ეხლა ამ ტრამბახობის ხალი-
სიც არა აქვთ;—ამ საყვარელ მეუღლეების „ძღვეამოსილი გამარჯვება“
ის არის, როდესაც საზარეულოში მინარე გოგო-ბიჰს მსუსხავ დილა-
ზედ თავს დაცემიან კრუტხესავით, დასწვენ და დაფეთიანებენ, თით-
ქოს ეს საცოდავები იყვნენ იმათი სისხლის მსმელი მტრები. ამ გვარად
ბრაზს იმათზედ ხეთქენ (თუ ქართველ კაცს ბრაზი და ნაღველი აქვს
როდისნე), რადგან წინაღონის დანიგრული არტალა ვერ მოინდეს; ასე

ვალეშილი ყოველ ღამე და დღე სუფრიდგან პირდაპირ დაგებულ ქვე-
შაგებზედ ან ფარდაგ-ხალაზხედ ბედნიერი თანამემცხედრენა რომ გა-
დაგორდებიან კულტებსავით, ან მორგეებსავით, დაბერილ დალაბანდებ-
სავით მუცლებით,—მკითხველს თითქმის უჭირს დაასახელოს რა გვარ
ცხოველებს უნდა ეკუთვნოდეს ეს დედალ-მამალი არსებანი [ცენზურა]
ჩიჩიკოვს „მიცვალებულ სულელებში“ ეშმაკობა და მოხერხება
მაინცა აქვს, რომელიც მოსახრებას და ჭკუას მოითხოვს და თუ ის ამ
ჭკუა-გონებას და მსჯელობას სიცრუეზედ და ყველა ნაირ გაიძვერობა-
ზედ ხმარობს, როდესაც გარემოება და დრო შეიცვლება, და ამ გვარი
კუდიანი ხელობით ვერას გაჰყიდის, მაშინ ამ ჭკუას კარგ-პატიოსან საქ-
მზედ ასეთივე ხალისით და მოგებათ მოიხმარებს;—აქ „კი, „კაცია,
ადამიანში“ ეს გაიძვერობა და რამის თუნდ ჭკვიანი მოტყუების ხეი-
რიც არა-აქვთ მოქმედ პირებსა; თითქმის თავი იმათ ტანზედ რაღაც
მეტედა გამოუსადეგი ქონება იყოს, ისე არაფერში არ ეკითხებიან
ჭკუასა და არა ხმარობენ.—მაგრამ ყველა აღწერა ამ სულიერებისა
ტყუილია: ვისაც სურს ამ საცოდავ პირუტყვულ ცხოვრებაზედ გაგება
ჭკონდეს, უნდა თითონ „კაცია, ადამიანი“ წაიკითხოს; შეგვიძლიან და-
ვარწმუნოთ, რომ ბევრით მეტს ვაიგებს, სანამ თითონ რასაც ნოვლო-
და: მართალია, იციანის კაცი იმის კითხვაში, მაგრამ ვაი იმ სიცალს—
ტუჩებზედ ღიმინსა ჰგვრის და თვალზედ ცრემლსა.

ესეთი არის ნახევარი წარმავალი თაობა ჩვენი ხალხისა. პოეტი
თავის აღწერაში მისულა უკანასკნელ სამძღვრამდინ, სადაც სასოება სწყ-
დება და სასოწარკვეთილება იწყება, თუმც პოეტი თითონ არსად არ ეძლე-
ვა ამასა და, ეტყობა, რაღაც ახალმოდანზედ ნათლავს თავის სამწყსოსა...
პოეტი არ შესცდება, რომ მომავალ თაობაზედ ასეთივე უნუგეშო
ჰაზრი იქონიოს ახალ თაობაზედ, ანუ ისეთ ვაჟბატონებზედ, რომელ-
თაც „გულზედ ერთი აღლი თეთრი მიტკალი აუფარებიათ (მანიშკა)“,
როგორც ამბობს გლეხი „ტივით მოგზაურობაში“ და დიდ განათლე-
ბულებათ მოაქვთ თავი. ამათზედ ვიტყვი ერთი ნემეცების პოეტის
(ბოდენშტეტის) სიტყვებით, რომელიც ჩვენში იყო ორი წელიწადი,
ჩვენი ხალხი და მხარე დაწვრილებით შეისწავლა, ყველა გვარ მიდგო-
მით ლაპარაკზედ და პირმოთნობაზედ შორს არის და თავის წიგნში
„კავკასიის ხალხები“ (Die völker des Kaukasus) ბევრი მწარე ჭეშმა-
რიტება გვითხრა; ერთად რომ შეგვიბოთ ეს გამოდის: ჯერ ბევრს
ლაპარაკობს ჩვენ წარსულ ისტორიულ ცხოვრებაზე, მეტადრე „თამარ-
ზედ და ამ გვარ დიდებულ დროებზედ, უკვირს, რომ ამ ერთი მუჰა,
პატარა ხალხმა საუკუნეების გამავლობაში თავის ენა, ხალხობა და
თავისუფლება დაიცვა და ასე გამირულად აუარებელს მტერს ებრძოდა
და გაუმავრდა, მერე ეხლანდელ გაზდილ ყმაწვილებზედ „როგორც
თავის ხალხის წარმომადგენლებზედ ამბობს, რომ სრულიად უხალისო,

უენერგო და უხასიათონი არიან ყველა საქმეშიო, უწინდელ მამა-პაპურნი წამაცობის აჩრდილსაც ვერა ნახამ ინათშიო, განათლება ძალიან ცოტა აქვთ, თუმც ზოგნი ორიოდ ენაზედ ტიკტიკებენ, მეტადრე ქალებიო, მაგრამ, რიგიანათ არც ერთი არ იციანო, თავიანთ ენაზე ლა პარაკს თაკილობენო და განსაკუთრებით სამშობლო ისტორიაში, ლიტერატურაში და პოეზიაში და საზოგადოთ, რაც კი იმათ წარსულ და აწინდელ ცხოვრებას შეეხება, ამებში სრულიად უმეცრები და უცოდინარნი არიან; ხანდახან ანგვარ უმეცრებით კიდევ იქადიან, კვებულობენო! ზარმაცი, დაუდევნელნი, თავმეუდებარნი, საქმის ბოლოს გაუდევნებელნი, თავის თავზედ უფიქრელნი, უჭაზრონი და უფიქრელნი სიცოცხლეში, მაგრამ მარად მხიარულნი და მღიშარნი, თითქოს იმათთვის მარად დღესასწაული არისო. აი, ამგვარია ვითომ განათლებული ნაწილი იმგვარი ხალხის ნაშთისა. საკვირველიაო, ამბობს, ცოტათ მაინც არ მიჰბადვენ თავიანთ მეზობლებს ასე ხალხისიან, მოსახრებულ და ხასიათიან სონებსაო, რომლებიც ყველას მოითმენენ და უმსხვევლავენ, ოლონდ მიზანში ამოღებულ საგანს მოსწედენო! მართალს გვეუბნება ეს პირმოუფერებელი ჰკუიანი კაცი, ვაი შენს მტერს, რომ ამ ცხრაწევნებმა [ცენზურა] ნაყოფი ვერ გამოიღონ, ამ „ჭრელაძებმა“, რომლებიც ყვავებს ჩამორჩენ და ვერც ფარშავანგებში გაერვივნენ!...

საკმაოა ეს გულის შესაღონებელი, ზნეობითი ჩვენი მდგომარეობა წარმოვიდგინოთ, რომ აგხსნათ პოეტის ეხლანდელი უმოქმედობა; მართალია აქ ქართულ ენაზედ კი დიდი დამნაშავეა ამ უკუდგომი და განსვენებაში, ქართული ხასიათი, რომლის მოწყალეობაც, ორიოდ ფურცელი რომ დაეჯღაბნოთ, გვეონია სპარსეთზედ გავიმარჯვეთო, მივწვებით ჩრდილში და გრილოში და დაფნის გვირგვინს ვითხოვთ, ვითომ უმადლო ხალხისაგან და ანგარიში გამოდის ამ გვარად, რომ ჩვენ ცოტა სხვა სახით ისევ ის თათქარიძეები ვბრძანდებით, რომლებსაც ჩვენვე დავცინით [ცენზურა] ის კი არა თუ, პატარა რომ დავაკვირდით ჩვენ თავსა, მაშინვე დაფრწუნდებით, რომ სწორეთ სისხლნი სისხლთა მათთაგანნი (თათქარიძეებთაგანი) და ხორცნი ხორცთა მათთაგანნი ვართ და უფრო დასაცინი ვართ, რადგან ვითომ ჩვენ უფრო ბევრი გვეყურება.—ვისაცა მიეცეს ბევრი, ბევრიც მოელოს მისგან“... მაგრამ რაც უნდა იყეს, უსაგნობაც ცუდია მგრძობელი კაცისთვის; ცხოვრება ხელებს უკრავს ნას. ილ. ჰავჭავაძე ერთ ლექსში ამბობს: „ჩვენ უნდა ვსდით ეხლა სხვა ვარსკვლავს“—თუ ვარსკვლავის ძებნაზედ გვატიკებს, რომელიც ვითომ ყველგან ერთნაირად ანათებს, ასე ვთქვათ კოსმობოლიტური ვარსკვლავისაკენ, ამაზედ უკაცრავად ნუ ვიქნებით, ჩვენ ხელი დაგვიბანია ამისთანა სტუმრობისაგან, მიიპატიეოს სხვა, ვინცა ნებაგს და, თუ ამას არ გულის-

ხმობს აქა, მაშინ გავებდავ სხვა მხარისაკენ მოვიწვიო; პოეტის ყურადღებას მივაქცევთ ჩვენ წარსულ ცხოვრებაზედ, სადაც მანვილგონიერი, მგრძობელი კაცი უხვად იპოვნის საუნჯესა, ნრავალ გვარ და ფეროვან საზრდოსა თავის მხურვალე გულისა და ნიჭისათვის, რომ ამ ყოვლად განმაცხოველებელი ცვარით ასხუროს გრძობა-მიხდილი ხალხი და თითონაც ასცდეს თათქარიძეობასა, რომელშიაც მიიყვანა პოეტი სხვათა შორის უთუოდ აწმდგომი დროს უსაგნობამ და სიმცირემ მაღალ პოეტიკური წარმოდგენისთვის და ვრცელი თხზულებისთვის, რომელშიაც კი პოეტს შეეძლოს გამოახვიოს და გამოხატოს პოეტის გულის თვით საყვარელი და ძვირფასი პაზრები. დიდი პაზრის გამოსახატავათ დიდი შემთხვევა უნდა აიღოს საგნათ! მეტადრე როდესაც რომ ჩვენი მამულის წარსული დრო საგნა სამწუხარო, მაღალ ტრაგედიული შემთხვევებით და პირებითა; დრამებ შუა ორიოდ ნათელ საუკუნესაც იპოვნის კაცი ჩვენ ისტორიაში, რომ უნდოდეს: ჩვენ მამულს „თავს ბევრი გადახედა, ასჯერ უნახავს მრისხანედ, მომლიმარეთაც ბედია“. მთელი წარსული დრო ჩვენი ხალხისა თითქმის მართლ ლექსად არის გამოსათქმელი თავის დრამატიკული ბედის წერითა! ჩვენი მართიანებიც (წელთა აღწერა) თითქოს განგებ არიან შედგენილნი, რომ პოეტს ფანტაზია და გამოხატულება აღუგზნან, ლექსის საგანი მისცენ. სანამ ისტორიკოსს მტკიცე მეცნიერებისთვის ემსახურონ მასალათა! ბევრი ნამდვილი ქართული გულის და სულის ამოთხვრილი და გამოთქმული ლექსი დაპქრის ჩვენი ქვეყნის მთა და ბარში: მწყემსი თავის სალამურზედ და მენახირე თავის სტვირ-ქარაზლაზედ ბევრ წარსულ დროს გმირს იხსენებენ და ამკობენ ლექსითა და, როგორც მშვენივრად ამბობს აქ. წერეთელი, „თავის კენესით ავონებენ საქართველოს მწარე

* აქ ნუ დავივიწყებ ვრთად ერთ ნიმუშს წარსული დროის წარმოდგენისას, მშვენიერ, დირს მიბაძვის გ. რჩეულოვის თხზულებას: „თამარ ბატონიშვილი, ისტორიული რომანი“. სამაგალითო რამ არის ენით, ისტორიული ცხადი წარმოდგენით, იმ დროს ზნეობის, ჩვეულების, —წეს-ადათის და საქართველოს დამოკიდებულების სხვა და სხვა ქვეყნებთან ცოდნით. საკვირველის გრძობით მოთხოვობა, ნათლათ და ცხადათ აღწერს სხვა და სხვა შემთხვევისა სცენებისა და მოქმედ პირებისა; —ბევრი ალაგია საშინლათ შემდგრელი და შემარყველი კაცის გულისა, ბევრი თვალი არ იყო მშრალი იმ სცენის კითხვის დროს, სადაც მამა და შვილი ოცის წლის შემდეგ საპრობოლიში შეზღუდვიან და ეს მოქმედება ყველა მწერალს არ შეუძლიან, ბედნიერ ნიჭს მოითხოვს.—ეს წიგნი დირსია საკუთარი განრჩევისა; მაგრამ ჩვენ მწიგნობრებმა დირსული ყურადღება არ მივაქციეს: ჯერ ერთი ამიტომ, რომ —ეს რომანი „კისკარში“ იბეჭდებოდა, მეტე ესა, რომ მგონის ავტორი ახალ მოდის რუსეთუმეგვს არ ეყუთვის, და იქნება თერგის წყალიც არ ეზმით (თო, უმეცრებაც!) ჩვენი მუდამნელები კი ადრინდელ მწიგნობრებ და კირისუფლებისავით გაიძახიან, რომ „გალილოიდან განა კეთილი რამ იქნებაო, წინასწარმეტყველი იქიდგან მოვიდა“!... ის კი არა თუ მართლა სწორეთ მოვიდა, მესამე მიზეზიც ეს იყო: რომ ისტორიულ ნაციონალური თხზულების დირსება არ ვყურებოდათ.

მოთქმას.—ხალხის ლექსში და მენსიერებაში არ გაწყვეტილიან დიდი გმირების თამარის და ერეკლეს სახელები; მეტადრე ამ დიდ ქალს ეხვევა ჩვენი ხალხის პოეტიკური ფიქრი:

თამარ მეფე ღმერთს უყვარდა, ციღამ ჩამოესმა რეკა,
იაღუბნზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა შექნეს დრეკა!...

და ამისთანაებს გასძახის მშვენიერ ეკლესიის ანუ ციხე-დარბაზის ნანგრევზედ რომ ჩამომჯდარა მწყემსი, რომელიც ჰგონია, რომ დიდი თამარის ნაშენი არისო. ვისაც კი გრძნობით საესე გული აქვს. ბედნიერი გამოხატულება და ფანტაზია, ნიჭი, რომ ხალხის სურვილს და ლექსის კილოს მიხვდეს, იმის გამოუტყვევლ ლტოლვაში ჰაზრი და წადილი გამოჩნდის, რაც ხალხს საუკუნეთა განმავლობაში წარმოუშობნია, უმოქმედნია, უნახავს შავნი და კარგნი დღენი, უფიქრია, უოცნია, ტანჯულა და ეს ხშირათ მარტო შაირში, ანდაზაში და არაკში გამოუთქვანს, აი ეს ხალხის სული და გული გაიგოს და ხელოვნების ძალით უფრო გააწმენდეს, — იმ კილოზედ დამღეროს, — აი, ამით მოიპოვებს უკვდავებას პოეტი და იმის თხზულება მაშინაც სამუდამოდ იცოცხლებს. მე აქ არა ვსაჭიროებ, რასაკვირველია, სახელდობ ჩამოვთვალო, ისეც გაგძელდა ლაყობა, — ნარტო მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ თვით უდიდესი პოეტები, ისტორიკოსები და სხვ. ეძებდნენ სარდოსა თავის გულისა და ნიჭისთვის მამულის წარსულ დროში მაშინაც, როდესაც აწმდგომიც საკმაოდ აძლედა შემთხვევასა და საგანსა მოქმედებისათვის. ვანობ, თუ არა ნებავთ მარტო სხვა და სხვა კაცთმოყვარების (ფილანტროპიის) საგნებს დამღერონ მეტეი, ან სულ უსაგნოთ დარჩნენ, უნდა ჩვენი ხალხის წარსულ დროს მიჰმართონ ჩვენმა მოლექსებმა. აქამდინ ბატონ-ყნობა იყო იმათი საგანი სიმღერისა, მაგრამ ეს გადაწყდა; ძველ სამართალსაც ხომ ბოლო მოეღო. ეხლა მონავალ წარმატებაზედ თუ იოცნებებ, მაგრამ მე ვაგბედავ მოვახსენო, რომ ვინც წარსულით და აწმყოთი კარგათ ისარგებლებს, ის აუცილებლივ უმზადებს ბედნიერ მომავალსა თავის ხალხსა.

საზოგადოთ ვისურვოთ, რომ უ. ილია ჭავჭავაძე სიცოცხლის და ბუნების წინააღმდეგ არ მოიქცეს, რომლების პირველი და უკანასკნელი დანიშნულება, თვისება არის მოძრაობა, „მოქმედება“ — და არ გვათქმეინოს თავის თავზედ ისა, რაც რანდენიმე წლის წინ, როცა გული ერჩოდა, ბევრ კარგ საქმეს მოჰკიდა ხელი და ვერც ერთი ვერ დაასრულა, წარმოსთქვა ისე უდროვოდ, უბედურად გაფუჭებულს შეუბრალებელი სიკვდილის ხელით პოეტზედ ცოტა სხვა სიტყვით: ყრმთა პოეტო უღეთო იყო შენი უკუწირვა!

ნუ დაევიწყებთ აგრეთვე მაღალ ნიჭიერ, ადვილ სასმენელ და საგრძნობელ, ტკბილხმოვან ლექსებს აკ. წერეთლისას, რომელიც ახლო

მისდევს ილ. ჭავჭავაძესა და ზოგიერთი ლექსის ღირსებით კიდევ სჯობია ბევრით ილ. ჭავჭავაძესა; მეტადრე ლექსებში სჩანს ესა. მაგ. ლექსები: „სიმღერა მკის დროს“, „მუშური“ და სხვა მარტივად და ცხადათ გრძნობის გამოთქმით, ხალხური ლექსთწყობის მიზანდევით, ძალადაუტანებელი მიმდინარეობით, აგრეთვე მარცვლის სიტყვით და ზომით. წმინდა ნაციონალურ, თვითონ ხალხის ლექსებს შეადგენენ და მოაგონებენ კაცსა შეუთხზავ, ბუნებით პოეზიასა: მაგრამ საზოგადოთ აკ. წერეთლის ლექსები ღარიბნი არიან გრძნობითა და ჰაზრითა: იმის სიტყვა, რაც უნდა დიდ ღირს საგანზედ სწერდეს, გულიდან არ ამოდის, გულწრფელობა არ ეტყობა, თითქოს ეთანაშება თავის ლექსსაც და მკითხველსაც; ამიტომ არც გულს ეტანება იმის ლექსი. — ჩემის ჰაზრით, უმთავრესი ხასიათი, კილო აკ. წერეთლის პოეზიისა არის სატირული, იუმორული, მასხარათ ავლებითი მიმართულება: ჩვენი მდგომარეობა იმასაც კი იუმორისტად ვახდის, ვისაც ეს ნიჭი არა აქვს და ვისაც კი ცოტადენი მაინც სატირის ნიჭი აქვს. იმას ახლა ჩვენში დიდი მნიშვნელობა და შემთხვევა აქვს გამოიჩინოს ერთი ორად, და დიდი ბედნიერება არის ამ გვარი მწერალი ჩვენი საზოგადოებისა და ხალხისათვის. — ჩვენდა საუბედუროთ, აკ. წერეთელი ასეთი იუმორისტი და სატირიკოსი ვერ არის: ამის იუმორული ლექსები უფრო ლანძღვენ, ლაფში სვრიან კაცსა და არა გულს ეძგერებიან და სწიწნიან — რაც უკურნებელია; ლაფს მოიბანს კაცი, ისე საღია, მაგრამ ტყუილათ არ ამბობს არაკში დათვი გლეხის ცოლისაგან ვალანძლული, ერთხელ დაკოდილ გულს ვეღარაფრით გაამთელებო; — ხანგრძლივ მაინც გასტანებს წყლული; ტყუილათ არ არის ნათქვამი: „სიტყვით დაკოდილი ხმლით დაკოდილზედ უფრო ავი და მძიმეაო“. აკ. წერეთელი, ასე ვთქვათ, თავის სატირის კალამსა ნალველში კი არ აწებს, როგორც ნამდვილი სატირიკოსის რიგია, არამედ თითქმის მელნის მაგივრად მარტო მღერიე წყალსა ხმარობს. ამ გვარად იმის ლექსი ფუჭსაგატი. უფნებელი და უძლურია, კაცს აცინებს და არ ატირებს, ეს უფრო ქართული შეკურთხება (გინება) არის, სინამ მაღალი ყვედრება და ღრმად ჩათუთქული (საზოგადოების სენისაგან) კეთილშობილი გულის ამოხვრა და მრისხანედ ბრაზის გახეთქა. ამ მაღალ ხარისხამდინ შემუშავებული სატირა ხელოვნებათ ითვლება. უდიდეს მავალითს წარმოადგენს ის უბედური წინასწარმეტყველი რომის დაცემისა, რომელსაც გველსავით გულს უღრღნიდა მონავალი სიკვდილი სამშობლოსი, — იუფენალი, როდესაც რომ სხვა მოკლე ქუჩისა და მხედველობის პატრონებსა აგვისთო კეისრის სახელმწიფოს გარეგანი ბრწყინვალეობა თვალებს უბამდა და ვერასა ხედავდნენ.

ღირსნი არიან მოგონებისა აგრეთვე ლექსები, რომლებიც ხან და ხან „დროებაში“ იბეჭდებოდნენ „ფაზელის“ სახელითა. სწორეთ მარტო

ქართული დაუდევრობა უნდა ჰქონდეს, რომ „შოშის“ ავტორმა თავის ნიჭს ყური არ უგდოს და მამულს არ არგოს იმითი...

2) (1 ნომბ.) ოქტომბერი
მიუნხენი

„დროება“, 1870 წ. № 2, მ. 4, 6 და 7

სალხინო საზანდარი ანუ უმე-დროების უმეაქმვარი

სხვადასხვა სიმღერების კრება, ძველთ და ახალთ მწერლებისა, შედგენილი გიორგი სკანდარნიასაგან. თბილისი. 1870 წ.

ჩვენს ლიტერატურაში ამისთანა წიგნების გაჩენა, ერთი შეხედვით. სანუგეშო საქმედ მოეჩვენება კაცს. ყველა იფიქრებს, რომ, თუ ამისთანა წიგნებსა ჰყავს წამკითხველი, — კარგს, აზრიანს წიგნებს ორი იმდენი მაინც ეყოლებათ. მაგრამ, ვინც ამას იფიქრებს, საუბედუროთ, ძალიან შემცდარი იქნება. ვინ არ იცის, რომ თუ კი სადმე მოიძებნება ჩვენში ორი-სამი ხეირიანი წიგნი, იმას ნაკლებათ ჰყავს მკითხველი და მყიდველი, და უხეირო და უაზრო წიგნებს კი ცოტადენი მაინც მყიდველებიცა ჰყავს და მკითხველებიცა¹. ამ წიგნის გამოსვლა აფიქრებინებს კაცს, რომ ქართულს ლიტერატურაში ვაჭრულ ანგარიშების ქონაც შესაძლებელიაო, სწორეთ ხელის ვაჭობა სდომებია გამომცემელს და იმიტომ გამოუცია ეს წიგნიო. მაგრამ ვაი თუ შესცდეს უფ სკანდარნიასა!

„სალხინო საზანდარი“ არის, როგორც ზევით ამოწერილიდან სჩანს, სხვა და სხვა სიმღერების კრება ძველთ და ახალთ მწერლებისა. უნდა მოგახსენოთ, რომ თვითონ გამომცემელი, როგორც სჩანს მის მიერ გამოცემული „საზანდარიდან“, პოეტი ყოფილა, იმისთანა პოეტი, რომელსაც თითქმის „წინასიტყვაობისათვის“ და მკითხველთან გამოთხოვებისთვისაც საკმაოდ ჰქონია პოეტური ცეცხლი. თუ მკითხველს ჰსურს შეიტყოს — რა თვისებისაა ეს ჩვენი ახალი პოეტი და გამომცემელი და თუ მოთმინება ექნება ამასთან — ეს ორიოდღე ლექსი წაიკითხოს; პირველი ორი კუბლეტი იმის „წინასიტყვაობიდან“ არის და უკანასკნელი გამოთხოვებაა მკითხველთან².

¹ უნდა იცოდეთ, რომ წიგნის „მყიდველს“ და „მკითხველს“ შუა დიდი განსხვავება არის: ზოგიერთები მხოლოდ იმისთვის ჰყიდულობენ წიგნებს და იბარებენ ვაჭუთებს და ჟურნალებს (საზოგადოთ ყოველგვარს და განსაკუთრებით ქართულს), რომ გაუჭრელათ შესდგან შკაფში, რომ, ერთი სიტყვით, მებელივით ჰქონდეთ; ზოგი კი, ხშირად სიღარიბის გამო, მყიდველი არ არის წიგნები, არც ვაჭუთებს და ჟურნალებს იბარებენ, მაგრამ ჰკითხულობენ კია. ამ უკანასკნელის მავალითები, განსაკუთრებით იმერეთში, ბევრი გვინაავეს.

² მართლ-წერა ავტორისა.

აგერ იქნება, სრულ ათი წელი, რაც რომ ვაგროვებ, ამ სიმღერებს; მას შემდეგ ავმრძნო გულს სიყვარული!.. და მომცა ტანჯვას ათას-ფერებსა.

ზოგჯერ ეფიქრობდი დასაბუქდავად, მახედ, რომ დროით ფეხ-ქვეშ არ წანდეს წიფთ ვიკისრე, დასაფასავათ კვლავ ჩემს სახსოვრათ სამღეროთ დარჩეს.

წყევლიმც ვიყო მკითხველო, თუ ან აზრი, ახ ენა, ან ლოლიკა მესმოდეს ამ სიტყვებისა! აბა ახლა უკანასკნელი ლექსიც წაიკითხე თხეთ:

აწ მკითხველნო, თქვენა გთხოვთ: მაპატიოთ ცთუნება? ვსოდენი იკმარა, ჩემგნით, ჩემმან ბუნებამ. — პატიოსნებას არ ჰხამს: ჰძებნოს ნაკლულობა, — უმეტესად ვერ განსჯა, ჩემმა მცირედ განებაში!...

ენისა, ლოლიკისა და მართლ-წერის რა მოგახსენოთ, არც ლექსი გახლავთ „მარგალიტივით წყობილი“, მაგრამ უმთავრესი „ღრმა“ აზრი ამ სიტყვებისა კი სწორეთ მესმის: უფ. სკანდარნიას ეუბნება მკითხველს რომ რადგან მე „მცირე გონება“ მაქვსო, უაზრო ლექსებით საფსე წიგნს მოგართმევთ და თქვენ თუ „პატიოსანი“ ხართ, ნაკლულგონებას ნურას ეძებთ და მანეთიც მიბოძეთო. რამდენი ახირებული კაცია ქვეყანაში!

უფ. სკანდარნიას „ქმნილებებზე“ გარდა ამ „საზანდარში“ სხვებიც ბევრი არის; უმეტესი ნაწილი სიმღერებისა კი ვილაც უცნობ პოეტებს ეკუთვნის: სხვათა შორის აქ არის ლექსები ყაზახ ოსტეასი ბუღალ ოლღანისა, სტეფან ფერშანგოვისა, ქიჩიკ ნოვასი, ოპანენ აშიროვისა, შანჩი-მელქოსი და სხვ. — ერთის სიტყვით, ეს არის უხეიროთ გამოცემული კრება სომხურ-ქართულ ენაზე საპრიკასჩიკო ლექსებისა; და ვინაც „უქმი“ მანეთის ვადაგდება ჰსურს, თამამად შეუძლია იყილოს ისა.

„დროება“, 1870 წ. № 21

ნიკო ნიკოლაძე

ლიკენი და ბიკენი

მაისის დამლევს გარდაიცვალა ინგლისში სახელგანთქმული მწერალი ჩარლზ დიკენსი, რომელიც ამ უკანასკნელი ოცდაათის წლის განმავლობაში მთელი ევროპის და ამერიკის მკითხველ საზოგადოებას განსაკუთრებით მოსწონდა და უყვარდა. ინგლისის დედოფლის ბრძანებით, დიკენსი დამარხეს ვესტმინსტერის ტაძარში, სადაც მართლ

ძლიერ სახელგანთქმული და მამულის დამამშვენებელი პირები იმარხები-
ან. იმავე ტაძარში დაედგმება დიკკენს ძეგლი, რომლის გასაკეთებლად
მთელ ინგლისში შეკრებენ ფულს. ეს პატივიც ძალიან იშვიათია ინგლი-
სში.

ის კაცი, რომელსაც ინგლისის დედოფალი და საზოგადოება სა-
ქვეყნოდ ამნაირ პატივს აძლევენ, იყო უბრალო მწერალი, რომელმაც
მთელი სიცოცხლე რომანების წერაში გაატარა, — მერე როგორი რო-
მანების წერაში? მისი რომანი ჩვენებურმა მკითხველმა რომ ხელში
აიღოს, მართალია, სანამ არ გაათავებს, ხელიდან არ გაუშვებს, მაგრამ
ბოლოს კი ამას იტყვის — არ მასხარა ყოფილა ეს მწერალი, თვალის კი
დასდგომია! — მართლაც დიკკენსის თხზულებებს თითქო ერთი მი-
ზნის მეტი არა აქვთ: — მკითხველის გამხიარულება და გაცინება; და ეს
მიზანი თითქმის ყველა მის თხზულებებში მშვენიერადაა მიღწეული.
დიკკენსის თხზულებები მკითხველს ნიადაგ აცინებენ და ახარხარებენ, —
თითქმის მაშინაც, როცა თხზულების საგანი სამწუხარო და შესაბრა-
ლისია.

მაგრამ თვითონ ამ „მასხრობას“, ამ სიცინის ატეხას თავისი
მიზანი ჰქონდა დიკკენსის აზრში. ხუმრობით, ნაზი დაცინებით და კას-
კისით, დიკკენსი ინგლისის საზოგადოების სუსტ და უხეირო მხარეებს
პატივს, და მკითხველს აცნობებს ინგლისელ სისულელეს, უგუნურობას
და უსამართლოებას. მკითხველი მის თხზულებაში თავისი ნაცნობების
და მეგობრების ხშირათ თავის საკუთარ სახესაც ხედავდა, და იცინო-
და იმათ ბაიბურობაზედ, თან უკეთესს ზნეს და ყოფაქცევას ეჩვენოდა.
დიკკენსის „მასხრობას“ და „ხუმრობას“ ბევრი ცუდი ჩვეულებები
ამოუკაფთა ინგლისში და ბევრი ცუდი და უგუნური ქაცები შეუძაგებია
საზოგადოებისათვის.

ამასთანავე დიკკენსი მკითხველს უბედურების და ღარიბების თავს
შეაბრალებდა და ვაჭირვებულ ხალხის შეწყნარებას უძრავდა გულში.
მართალია, ამ შებრალებას და შეწყნარებას იმისთანა ძალა არა ჰქონია,
როგორც ზოგიერთი სხვა მწერლების თხზულებაში; დიკკენსის კალმის
ქვეშ, ის გრძნობა უფრო თხოვნას, ვედრებას გავდა; მაგრამ, ეხლან-
დელ საზოგადოებაში ესეც კარგია, მაგიერად დიკკენსის თხზულებაში
სიღარიბე და უგუნურობა დიდის გრძნობით და გულმხურვალეთაა გამო-
ხატული, ასე რომ მისი სურათები მკითხველს ხანდისხან ძალასაც უტე-
ხენ თავიანთი სიმწრით. ამ გვარია, მაგალითად, დიკკენსის რომანი
„ოლივერ ტვისტი“ და ზოგიერთი სხვებიც.

დიკკენსის რომანებში სხვაზე უფრო შესანიშნავი შემდგომია:
„პიკვიკის კლუბი“, „დავით კოპერფილდი“, „დომბი შვილით“, „ნიკოლა
ნიკელზე“, „გაქირვებული დროება“, „ორი ქალაქის ისტორია“ და
სხვ.

ეხლანდელ ინგლისის ლიტერატურაში დიკკენსისთანა საყვარელი
მწერალი ინგლისელებს ტექვერეს მეტი არავინ ყოლიათ. ტექვერე მო-
კვდა ექვსი წელიწადია მის აქეთ, 1864-ში. მის თხზულებებში უფრო
ძლიერი ჰქუა და ფიქრი მოხანდა, მინამ დიკკენსის რომანებში; ტექვერ-
ეს დიკკენსსე უფრო კარგათ ესმოდა, რაში მდგომარეობს ეხლანდელი
ცხოვრების სისაძაღლე და ვნება; ის ხატავს განსაკუთრებით იმისთანა
სურათებს, რომელიც არა თუ მართო სასაცილო, მაგრამ საძაგელი და
მავნებელია, და მის სურათებში უფრო სასტიკათ წყევლა და ვინება
გამოისმის, ვინემ გულ-ტკბილი სიცილი. ამგვარია, მაგალითად მისი
მთელ ქვეყანაში გათქნული რომანი „ანაოების ბაზარი“ და დანარჩენი
მისი თხზულებები, როგორც „ნიუკომები“ და სხვ. ყველა ამ თხზულე-
ბებში სასტიკათ გალანძღულია ინგლისის დიდკაცობა, მისი სასაფლა-
ური სიამაყით, სულმდაბლობით და ოსტატურათ დამალული გარყვნილო-
ბით, მისი ანგარობით და ხალხის დაუზოგველობით. ერთი სიტყვით
დიკკენსი [მკითხველის პატიოსანი და გულ-ტკბილი დამრიგებელი და
გამხიარულებელია, ტექვერე კი ქვეიანი, გონიერი და მუდამ მართალი
ხალხის ზნის გამსწორებელი და საზოგადოების გამშოლტველი. დაცო-
ნებას დიკკენსი მკითხველის მხიარულებისათვის ხმარობს, ტექვერეს
ხელში კი დაცინება საზოგადოების გამწვრთნელი და დამქვიანებელი
იარაღია.

როგორ გაუვირდება ჩვენ მკითხველს, როცა შეიტყობს, რომ
ინგლისის მაღალ საზოგადოების განუპატიურებელი, მასხარათ ამგდები
და ტალახში გაისერელი მწერალი ტექვერე ინგლისის ხალხში, საზოგა-
დოებამ და დედოფალმა იმავე ვესტმინსტერის ტაძარში დამარხეს.
სადაც დანარჩული არიან ინგლისის უპირველესი პირები, ძალიან
დიდი პატივის ნიშნათ! ეხლა ტექვერე და დიკკენსი ერთათ წვანან-
ინგლისის დამამშვენებელი და გამძლიერებელი პირების გვერდით. აქე-
დან ჩვენმა მკითხველმა უნდა მიხედეს, რომ განათლებულ ქვეყნებში
განათლებული ხალხი თავის დამრიგებელ და ზნის გამსწორებელს კი
არ შეურაცყოფს და სდევნის, იმათ თავისი უპირველესი გმირების ტო-
ლათ მაინც აფასებს, მეტათ თუ არა.

„დროება“, 1870 წ. № 25

პირილე ლორთქიფანიძე

წიგნი მიწერილი მამოხართან

[კაცის მძლავრობის მიერ დარღული ხე ჩვენს ქვეყანაში, რომლის
ძირიც უნდა ამოითხაროს, მაგრამ პოეტები ნაჯახებს დონკინოტურად
იქნევენ].

მუშა ხალხი, ე. ი. მწყემსი, მსახური, შემის მჭრელი—დამშეულები არიან, და ბევრი უნდა იწვალონ, ბევრი უნდა იტრილონ, რომ ერთი ჯამი ლობიო ჩაიგდონ ხელში. უფროსებს კი, ვისაც ხელში აქვთ თახჩისა და მარნის გასაღებები, ჩუმიუმათ გამოაქვთ ბატონის ქონებიდან პურიც, ღვინოცა და სხვაცა რაც იქნება. დილაგარდისა თავის ნათლი-დედებს არ მოაკლებს არც ქათამსა, არც კვერცხს, არც ყველსა და არც პურსა. მგელია ღვინოსა ან სხვას. რასაც ჩაიგდებს ხელში, არ შეიძლება არ დააკლოს ცოტაოდენი და თავის სახლი არ გადააპაროს. კიკოლასაც ეს საქმე უბრალო საქმეთ მიაჩნია და უკვირს—რის გულისა-თვის აყვედრებენ ერთმანეთს ქურდობასაო.

* * *

რომ შეხედოს კაცმა ამ პირთა, იქნება თავდაპირველად იფიქროს, რომ მიზეზი ერთმანეთის მტრობისა და ერთმანეთთან შეჭირებისა იყოს სიბოროტე და სიძველე გამდლისა, მოურავისა და კიკოლასი, იქნება თქვას, რომ ასეთი საძაგელი ყოფაცხოვრება ამ პირებისა იქიდაშ წარმოსდგება, რომ საშივე ავი გულის პატრონები არიან, ავი ბუნებისანი არიანო. მაგრამ, რომ ზოიფიქროს კაცმა ამითი ლაპარაკი და ქცევა, ამ აზრს უსათუოდ შესცვლის. კომედია გრომათაც არ ეღივებოდა ამისთანა აზრზედ რომ დაეყენებინა მკითხველი. არა, არც ერთსა ანათგანში არ გამქრალა ის კაცობრივი გრძობა, ყოველი ამითგანი იქნება უფრო კეთილი გულის პატრონი იყოს, ვიდრე ზოგი სხვები. ჩვენ ვხედავთ, რომ დიღვარდისა დიდის სიყვარულით ეალერსება თავის პატარა ნათლულს, პატარა ბავშვს, რომელიც ყოველსა ბოროტი გულის პატრონს ეჯავრება. დიღვარდისას უყვარს ეს უმანკო ბავშვი და ამით ვრწმუნდებით, რომ დიღვარდისას კეთილი გულიცა აქვს. იქნება იმიტომ უყვარდეს ბავშვი, რომ იმისგან არც წყენა და არც რა შეწუხება მიუღია ჯერ დიღვარდისას.—რგელიც, მოლაღატე და ორგული მოურავი, აჩენს თავის კაცობრივს თვისებას იცითი მანცა, რომ სიყვარულით უყვარს სოფიო, მეზობლის გოგო. ორპირი და დაუნდობარი კიკოლა, როცელიც გამდელსაც და მოურავსაც თან ეფერება და თან ორმოს უთხრის, ეს კიკოლა კარგი გულისა და ნამდვილი კაცობრივის გრძნობის პატრონია: თავის პატარა შვილებს რომ იგონებს დამშეულებსა, ვხედავთ, რომ ებრალებს ის საწყლები, გული სტკივა იმათთვისა და არა ძგონია, რომ ვისმე ჩვენთაგანს ჰქონდეს იმდენი გაბედვა, რომ ჰვა ესროლოს მაშინ, როდესაც კიკოლა ამბობს: რა ცოდვათ თითო-ოროლა ნატეხი პური ამ სიუხვიდან ჩემს პატარა მძივრებსა და მწყურვალ ბავშვებს მივაწოდო.

წამხდარნი არიან გამდელიცა, მოურავიცა და კიკოლაცა. მაგრამ ესეც ვიფიქროთ, თუ რამ წაახდინა ეს ხალხი, რა არის მიზეზი ამათი სისაძაგლისა,—თვით ამითი ზუნება თუ ის განრყენილი და წამპილწავი გარემოება, რომელშიაც ჩავარდნილია ეს ხალხი. წარმოვიდგინოთ დიღვარდისა სხვა მდგომარეობაში, სხვა ყოფა-ცხოვრებაში, შებატონე ბეკიჩას სახლში გამდლათ კი არა, სხვა არა იყოს რა თავის კუნჭულში სადმე პატარა ყინულილებთანა: ვინ იტყვის, რომ ისევე ისეთი კაპასი და ანჩხლი იქნება, ვთქვათ ბავშვებთან, რაც კაპასი და ანჩხლი არის მგელიასთანა და ზურაბიასთან!

ახლა შევიდართ ამით შებატონე ბეკიჩა [ცენზურა]

ნიკ. დიმიტრიძე

24 მარტი 1871 თბილისს

„დროება“. 1871 წ. № 8 და 14

ნიკო ნიკოლაძე

კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში

ნუ გეშინია, მკითხველო, ამ სტატიას, თუმც კრიტიკა ჰქვია, მაგრამ შიგ არც ლანძღვა-გინება იქნება, არც მუიტი-კრივი, არც ვისმე ნაკლულთვანების განოჩხრეკა. მამ გული დაინშვიდე და დაწყაარებით თვალი ადევნე ჩემს ნაწერს.

კრიტიკას მართლა ის კი არა აქვს მიზნათ, რომ რომელიმე ავტორის თხზულება აგინოს ან აქოს, ანა და ავტორს ბაასში შეებას და მისი შეცდომები მასხარათ იიგდოს, მისი სისუსტე გამოაშკარავოს. ეს პოლემიკის საქმეა, კრიტიკა არის მხოლოდ იმგიათი, სხვათა შორის, ვაკვრით შეხება. მისი ნამდვილი და უმთავრესი დანიშნულება კი სულ სხვაში მდგომარეობს. ამ დაინშნულებას ძალიან ძალილი და ძვირფასი მიზანი აქვს, რომლის გავლენა ყოველთვის ეტყობა ლიტერატურის და საზოგადო აზრის მდგომარეობას, და რომლის უქონლობა ასე ასუსტებს ჩვენ ღიმიისათაც სუსტ და საბრალო ლიტერატურას.

ლიტერატურის, საზოგადოთ მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ნამდვილათ, სწორეთ და გონიერათ გამოხატოს ხალხის ყოფაცხოვრება, ხასიათი, ზნე, მოთხოვნილება და აზრი. ეს დიდი საქმეა, რომელიც ვაყოფილია მწერლობის სხვა და სხვა ნაწილებს შუა. ერთი ნაწილი ბელეტრისტიკა (მოთხრობები, კომედიები, რომანები და სხვ.) ხატავს ხალხის მდგომარეობას, მეორე ეკონომიური და პოლიტიკური მწერლობა, აკვლავს მის მოთხოვნილებას, მესამე-ფილოსოფია არჩევს მისი აზრის მოძრაობას და სხ. ამ ნაწილების შუა ადგილი

უმოვიო ერთ განსაკუთრებით ვრცელ ნაწილს—კრიტიკას, რომელიც თვალს ადევნებს დანარჩენი ნაწილების მოქმედებას და მოძრაობას, ნიშნავს მათ ხასიათს, ჰკრებს ზათი ნაშრომის ყვეალებს, აფასებს მათ მნიშვნელობას და არდგენს საბოლოო სჯას, გადაწყვეტილებას ან საზოგადო შრომაზე და მოქმედებაზე.

არც ერთი მკითხველი არ მოიძებნება ისეთი, რომელსაც რამდენიმე მოახრობა არ წაეკითხოს, ან კომედიო, ან ლექსი მაინც. ის ალბათ შენიშნავდა, რომ კარგათ თუ ავით, ამ თხზულებების დამწერნი თავიანთ ნაწერში კაცებზე, ქალებზე, ბუნებაზე ლაპარაკობენ, და ისეთ საგნებს შეეხებიან და ხატვენ, რომელნიც ჩვენ თითქმის ნიადაგ თვალ წინ გვაქვთ. ხან ნათლად, ხან ბნელათ, ზოგჯერ ხეირიანად, ზოგჯერ უხეიროთ იხატება ამ თხზულებებში კაცის გული, გონება და ხასიათი. დამწერი ცდილობს მკითხველს ისეთი რამ წარუდგინოს, რომ მისი გონება ცოტა ხნით მაინც გაიართოს, დაკმაყოფილდეს დაწერილის წაკითხვით. მაგრამ თითქმის ყოველთვის ის ცხოვრება, რომელიც თხზულებაში გამოსახული იყო, მკითხველს ნაცნობ და უცნობ საგნათ ეჩვენება. ჩვენებური მკითხველი თითქმის ყოველთვის ამბობს—„თვალის კი გამოსკყულეთია ამის დაწერს, ჩვენი გოგოცა (ან ესა და ეს) რომ არ აეწერა, ჩვენ კი არ ვაცნობდით მას უიმისოთაც“. თითქმის ყოველთვის ავტორის სურათი ჯეროვან შთაბეჭდილებას არ სტოვებს მკითხველის ტვინში, იმას ნათლად არ ესმის, რა უნდა იფიქროს აღწერილ საგანზე, რა სჯა უნდა შეადგინოს გამონათლულ ხასიათზე ან მდგომარეობაზე. აშკარათ სჩანს თუ არა მწერლის აზრი, პირდაპირი სიტყვებით გამოთქმულია ის, თუ სხვა და სხვა ხელოვნური და ნიჭიერი სურათების რაზმით არის შეწყული და მიფარული.—ჩვენებური მკითხველი მაინც დაბნეული რჩება, მაინც ვერ იგებს ხეირიანათ ამ აზრს. და თუნდ კიდევ ვაიგონ ძლიერ კარგათ ეს აზრი, იმისთვის შეტის მეტად ძნელია მისი მნიშვნელობის გაგება, იმ მნიშვნელობის, რომელიც გვიჩვენებს, რა ადგილი უკავია თხზულებაში გამონათლულ სურათს, გამოთქმულ აზრს მთელი საზოგადოების სიცოცხლეში და მთელი ცხოვრების სურათებს შუა. ამის გამგები და დამფასებელი მკითხველები რომ იყვნენ ბლომათ საზოგადოებაში, მაშინ, განა საჭირო იქნება რომანებისა, კომედიების და სხვა ლიტერატურული თხზულებების წერა და ბეჭდვა?

მწერალს ყოველთვის ეშინია მკითხველის გაუგებლობის, განსაკუთრებით იმისთანა ლიტერატურაში, რომელსაც ხეირიანათ დაფუძნებული კრიტიკა არა აქვს. ამის გაძო მის ნაწერს ისეთი საქმე მოსდის, როგორც ერთ მხატვარს მოუვიდა, რომელმაც დიდი ვაჭივრებით ლომი დახატა და სურათზე კანკალა ხელით დააწერა: „ეს ძალი კი არ არის, ლომიაო“. ყოველი გონიერი და ნეცოდნე კაცი, რასაკვირველია, ხარხარით გასკდება, როცა ლომის სურათზე ამისთანა წარწერას დაინახავს;

მაგრამ ნურც საბრალო მხატვარს დავცინებთ ნამეტნათ: რა ექნა, იმას ეშინოდა, რომ ლომის უნახველ საზოგადოებას მისი სურათი ქოფაკი ძაღლის სახეთ არ მიეღო...

საზოგადოების და ხალხის ცხოვრების გამხატვა ხუმრობა საქმე არ არის. ეს ცხოვრება ისე ვრცელია, იმის იმოდენა შეუნიშნავი მხარე და ღრნა საფუთველი აქვს, რომ მისი დაკვარება, ერთბაშათ დანახვა და აწერა ძლიერ იშვიათი გონებისთვისაა შესაძლებელი. ამ საქმეს გენიოსების ტვინი და შრომა სჭირია, ისეთების, როგორც დანტე, სერვანტესი, სვიფტი, ნოლიერი, გოტე ან გოგოლი. საზოგადოთ კი მწერლები სხვა და სხვა კერძო მხარეს იღებენ ცხოვრებისას და ცალ-ცალკე ხატავენ ამ კერძო მხარეს, თავისი საკუთარი მხედველობით. ზოგი ხატავს კაცის გულს და გრძნობას სიყვარულში, ზოგი ამავე გულის და გრძნობის შეძენაში, ზოგი წერის ძალას კაცის ხასიათში, ზოგი სიღარიბის გაგლენას კაცის ცხოვრებაზე, ზოგი იღებს რომელიმე საზოგადოებას ან საზოგადოების ნაწილს, და სწერს იმის ცხოვრებას და ზნეს, ზოგი რას და ზოგი რას. თვრანეტი კედლის ატანას ერთი სახლისთვის ძლიერ ზვერი კალატოზი და შუშა უნდება; მაგრამ ამ თვრანეტი კედლის შეერთება ერთ სახურავს ქვეშ, და მათგან ჩინებული სახლის გამართვა, თუმც ადვილი არ არის, მაგრამ უფრო ნაკლებ შრომას და მშრომელს თხოულობს, ვინემ კედლების ამოყვანა, და ეს ახალი შრომა ძლიერ ვაადვილებულია კალატოზებისაგან აშენებული კედლების მადლით. რას გაგდა შეერთებული თვრანეტი კედელი? მოჰქონდა იმას ის სარგებლობა, რომელიც უნდა მოეტანა სახლს, რომლისთვისაც დანიშნული იყო ეს კედლები და რომელიც უკედლოთ ვერ გაიძარტებოდა?—ეს მაგალითი ნაძდვილი გამოსახვაა იმ ურთიერთი დამოკიდებულების, რომელიც არსებობს ლიტერატურას და კრიტიკას შუა: კრიტიკას კედლების შეერთება, დაგვირგვინება. გამოყენება აქვს მინდობილი საზოგადო ლიტერატურის საქმეში.

მწერალი ცხოვრობს საზოგადოებაში, ყოველ დღე მის სიცოცხლეს და ჩვეულებას ხედავს, ნიადაგ—უნდოდეს თუ არა—მის ხასიათს და მოქმედებას ეყრება. მაგრამ მის ტვინზე ყოველ კერძო შემთხვევას ერთნაირი გავლენა კი არა აქვს. კაცი სარკე როდია, რომელიც ყოველთვის სწორეთ წარმოადგენს ყველაფერს, რაც მის წინ გაივლის ან გაჩერდება. კაცის ტვინი მკვდარი არ არის, იმას თავისი საკუთარი ცხოვრება და მოძრაობა აქვს. როგორც საქმეში გართული ან აზრში ღრმათ ჩაფიქრებული კაცი ძლიერ ხშირათ ვერ ხედავს, ვერ ნიშნავს და ვერ იგონებს რა ხდება მის ახლოს, ხანდისხან მის თვალწინ, როგორც ერთი აზრით გართული კაცის ყური უფრო ფხიზელია მარტო იმაზე, რაც ამ აზრს შეეხება, ისე კაცის ტვინიც მარტო ისეთ შემთხვევებს იგებს და გრძნობს, რომელიც მის საკუთარ შინაგან მდგომარეობას შეეფერება. ნათქვამია, ყველის ქურდი დალაპარაკებულ კაცს რომ დაინახავდა,

კითხავდა თურმე: რაო, ყველიო? ეს სურათი ძლიერ კარგათ და ნამდვი-
ლათ ხატავს კაცის ტვინის თვისებას; ის აკვირდება, იკვლევს და იგებს
მარტო იმ მოვლენას და შემთხვევას, რომელიც ცხოვრებას მისთვის
განსაკუთრებით შესანიშნავი და ნაცნობი გაუხდია.

მშვენიერათ დამარაგებულ და ჩინებული საქმელით საესე სუფრას-
თან მიიყვანეთ ორი კაცი, ერთი მშვიდი და მეორე გამაძლარი, და და-
აკვირდით იმ შთაბეჭდილებას, რომელიც იქონია ორივეს ტვინზე ერთმა
და იმავე სუფრამ. მშვიდი მაშინვე თავის ყურადღებას სასმელ-საჭ-
მელს მიაქცევს, და პირდაპირ მათ გასინჯვას შეუდგება. გამაძლარი კი
ჭიქების სილამაზეს, სუფრის სახურავის სითეთრეს, ოთახის გამართუ-
ლობას და სიმდიდრეს დაუწყებს ცქერას; მისთვის სასმელ-საჭმელი არ
არსებობს, იმას იმათი დანახვა არ სურს და ეზარება. ყური დაუგდეთ
ამ ორი პირის საუბარს და მაშინვე შენიშნავთ, რომ ერთი სჯის სასიძლ-
საჭმელზე, აქვებს ან აქაგებს მათ ღირსებას. მაშინ როდესაც მეორე ამ
საგანს თითქმის სრულიადაც არ შეეხება და სჯის სულ სხვა საგნებზე,
რომელთაც არაფერი კავშირი არა აქვთ მისი შესაუბრეს ლაპარაკის.

ეს თვისება აქვს კაცის ტვინს, ამასთანავე ამას მეორე თვისებაც
სჭირს, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ლიტერატურის და აზრის მოძ-
რაობაში. მიუტანეთ ერთი კოლოფი წუმწუმა (სპიჩკა) იმისთანა კაცს,
რომელსაც თავის დღეში არ გაუგონია—რისი მაქნისია წუმწუმა; აჩვენეთ
და დაუკვირდით მერმე, რა ნაირათ აუწერს ის თავის ნანახ საგანს თავის
მსგავს პირებს.—ერთი წითელი კოლოფი იყო, რგვალი, იტყვის
ის, ზედ ყვითელი ქაღალდი ეკრა, თავი და ბოლო კი შავი ჰქონდა,
ხორკლიანი, შიგ პაწაწა ფიჭვის ჩხირები ეწყო, რიგზე, ლამაზ-ლამაზათ
დათლილი და დარგვალბებული; ამ ჩხირებს თავები ზოგს წითლათ ჰქონ-
დაო შეღებილი, ზოგს მწვანეთ და ზოგს მიხაკის ფრათ. ასეთი ლამაზი
სანახავი იყო, რომ მეტი არ შეიძლებოდა. თქვენ, რასაკვირველია მა-
შინვე, შენიშნავთ, რომ ამ კაცს—უცოდინარობის გამო—სრულიადაც არ
გადაუცია თავის მსმენელებისათვის წუმწუმის უმათერესი ხასიათი და
შნიშვნელობა, იმას არ უთქვამს, როცა ამ ჩხირების შეღებულ წვერს
კოლოფის ხორკლიან თავზე ან ბოლოზე გაკვრენ, ჩხირს ცეცხლი წაეკი-
დებოა. იმას არ უნახავს ეს მოვლენა. შენიშნავთ კიდევ, რომ იმას არც
ის უთქვამს, თუ სხვა ყვითელ ოთხკუთხივ კოლოფებშიაც არის ზოგ ად-
გილას მაგნაირივე წუმწუმები, რომ იმ კოლოფებს ყვითელი ქაღალდის
მაგიერად ლურჯი და წითელი სურათები აკრავს, ლამაზი ქაღალდის ან
გრძელ ცხვირა კაცების სახით, რომ ჩხირების მაგიერ ამ კოლოფებში
თაფლის სანთლებია, ან აბედი და ყველა ჩხირებს, თაფლის სანთლებს.
აბედს ერთი საერთო თვისება და მნიშვნელობა აქვთ—ცეცხლის გაჩენა,
როცა კაცს დასჭირდება ან მოუნდება. წარმოიდგინეთ მაშინ, რა ხეი-
რიანი აზრი უნდა ჰქონდეს წუმწუმებზე, მათ თვისებაზე და მნიშვნელო-

ბაზე იმ პირებს, რომელთაც უმეცარმა კაცმა დაწვრილებით გამოუხატა
წუმწუმები.

ხშირათ ამბობენ, ნამდვილი ცხოვრების გამოხატვა რა ძნელი საქ-
მეა, დააკვირდეს კაცი თავის ნაცნობების ხასიათს და მოქმედებას და
აწეროს, რაც ნახაო. ეს იმ ვაჭრას სიტყვებს მახსენებს, რომელსაც ვაე-
გო, რომ ერთ გამოჩენილ მწერალს თავის კომედიებში დიდ ძალი ფული
აელო, და რომელმაც თქვა: უუკველია, ის ამ ფულს სხვა საქამში მოი-
გებდა, თორემ კომედიის წერათ ძალიანები რომ შეიძინებოდეს, ყვე-
ლა კომედიების წერას დააწყებდაო. წელან რომ ორი მაგალითი მოვიყ-
ვანე ორივეს ის აზრი ჰქონდა, რომ ადვილი საქამე არ არის ნამდვილი
ცხოვრების შენიშვნა, დაკვირვება და განსაკუთრებით გაგება. ეს საქამე
ძლიერ ბევრს ისეთ გარეგანებებს თხოულობს, რომელნიც იშვიათათ
იპოვება კაცში. ჩვენ ლიტერატურაში, ღვთის მადლით, ბლომად გვაქვს
რომანები, მოთხრობები, კომედიები, სცენები და პოემები. შეაგროვეთ
აბა ყველა ერთათ, გადაიკითხეთ და მითხარათ ბევრი ნამდვილი ხარება
შიგ გამოხატული ნამდვილი ცხოვრებისა, ბევრი ნამდვილი გრძნობა
შეუნიშნავთ იმათ დამწერთ კაცის ცხოვრებაში და ბევრი ნამდვილი
მდგომარეობა გამოხატულია იმათ ნაწერში? საუბედურათ, თქვენ გულ-
წრფელად უნდა მითხრათ, რომ ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი გრძნო-
ბა და მდგომარეობა მეტის მეტათ იშვიათათ არის გამოხატული ამ
თხზულებებში; უმეტეს ნაწილს მათგანში ან უშველებელი ასოებით აწე-
რია ყოველ სტრიქონზე—„ეს ძალი კი არ არის, ლომიაო“, ან და ამ
უმეცარი კაცის ხელი ატყვია, რომელიც დაწვრილებით და მცოდნე სა-
ხით უხატავდა თავისავით უმეცარი პირებს „პაწაწინა ჩხირებს შეღები-
ლი თავებით“. ამ თხზულებების დაწერათ, იტყვით თქვენ, სრულიადაც
არ გაუცვნიათ ხეირიანათ ჩვენი ქვეყნის და ხალხის მდგომარეობა, ხა-
სიათი და ცხოვრება; იმათ ყური არ უთხოვებიათ კაცის გულის ცხოვ-
რებისათვის, კაცის ჩვეულებებისათვის, არ გამოუკვლევიათ საზოგადო
ცხოვრების თვისება და კანონები, არ დაუნახავთ და არ გამოუძვინიათ
უკეთესი ცხოვრების ხასიათი და ცხოვრება, ერთი სიტყვით, მათი ტვი-
ნის წინამძღომლათ არც ნამდვილი ცხოვრების ხეირიანი გაცნობა ყო-
ფილა, არც ხეირიანი კაცური ცხოვრების წარმოდგენა, იდეალი,
თვალახვეული, გონება დაბნეული დადიოდა ჩვენი მწერალი და როცა
რომელიმე საგანი, თავისი ზიანია, წითელ-ყვითელი ან ნეტის მეტათ
შავი ხორკლიანი მხრით მიიტყვედა მის ყურადღებას, ჯდებოდა და უხა-
ტავდა მკითხველებს „პაწაწინა ჩხირებს შეღებილი თავებით“...

ზართლაც, იშვიათათ გამოიძებნება ჩვენს მწერლობაში ისეთი
თხზულება, რომელშიაც ყველაფერი, კაციდან დაწყებული ბუნებამდი
და მზიდან მოკიდებული შავ თვალბამდი, უმეცარი ხელით არ იყოს
გამოხატული და აწერილი. კაცი, თავისი დახლართული წრავალი გვარი

გრძნობით და ცხოვრებით, საზოგადოება თავისი მოთხოვნებით, ბუნება და სხვა გარემოებები თავიანთი გავლენით.— ყველა ერთიანად და ერთნაირად იხატებიან ამ თხზულებებში „პაწაწინა ჩხირებათ შეღებმილი თავებით“. დრანებში, კომედიებში და მოთხრობებში გამოყოფთ ამასთანავე თავშეღებილი ჩხირები; იმათ კაცის სახელგნს აძლევენ. პირში კალაღდს უღებენ, რომელზედაც წარწერილია „ეს ძალი კი არაა, ლომიაო“ და სხვა და სხვა ფრაზებს ათქმევინებენ, სხვა და სხვა ადგილს ატარებენ. მაგრამ ნამდვილი კაცის სხეული არ ასხივით ამ ჩხირებს, ნამდვილი კაცის გული არ ძგერს მათ მკერდში, ნამდვილი კაცის ტვინი არ მოქმედებს მათ შეღებულ თავებში; რაგინდ ჩვენებური სახელები დაარქვან იმათ მწერლებში— ისინი უსულდგულო პაწაწა, ძლიერ პაწაწა ჩხირები არიან და ჩხირებათ დარჩებიან, რადგანაც დრო და ჰაერა მალე წააღობს მათ შეღებულ თავებს, და ძლიერ მალე ხელახლავ უბრალო ჩხირებათ აქცევს იმათ.

ეს მდგომარეობა, სწავთა შორის იმის ნაყოფია, რომ ჩვენ ლიტერატურაში კრიტიკას ადგილი არ ჰქონია. ჩვენში თუ დაბეჭდვა ვინმე კრიტიკას, მისი ნაწერი ყველას მაზინვე გინებათ და ლანდლვით ეჩვენებოდა და, მართლაც რომ ეთქვათ, იწვიათათ ნოხდებოდა, რომ ნწერლის ნაწერის გაჩხრევის დროს კრიტიკოსს რამდენიმე სიტყვა არ გამოეთქვა თვითონ მწერლის შესახებ და საწყენი.— ეს ყოველგან და ყოველთვის მომხდარა, და ჯერაც არ ასცილებია ამ უცნაურ ბედს უმჯობესი ლიტერატორები. გერმანიელი, ნაგალითად ან ფრანკლენდი, ან თუ გნებავთ, ინგლისელიც კრიტიკას მოკლებული ნწერლობა და ნწერლები, — რასაკვირველია, უფრო და უფრო იწვიათათ აკვირდებოდნენ იმ აზრს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში და რა ადგილი, რა მნიშვნელობა უნდა მიეცეს ნწერლობაში რომელსაც წინააღმდეგის, ნოვლენას, ხასიათს ან მდგომარეობას. ერთი ნწერალი ერთ შემთხვევას წააველებს ხელს და შეუფერებლად გაადიდებს ნის წინააღმდეგობას, ნეორე შერე შემთხვევას წაემტვრევა და აგრეთვე შეუფერებლად დაანცირებს ნის ხასიათს, მესამე—მესამეს და სხვ. ამის გამო ჩვენ ცხოვრებაში ათასნაირი მხარე და მოვლინება სრულიად შეუნიშნელი, დაუგვარებელი რჩება, და რომელიც შენიშნული და აწერილები არიან ინათი სახე ან ნამეტნავათ ბრუნდეთ იხატება მკითხველის თავში, ან ნამეტანს ადგილს იკავებს, ან სულ ერთ ნამცეცას, როცა ნეტის ღირსი კი არის, არავინ არ აქცევს მწერლების ყურადღებას შეუნიშნელ მოვლენებზე, არავინ არ აძლევს შესაფერ და ღირსეულ დაფასებას შენიშნულ ნოვლენებს და მათ მნიშვნელობას, არავინ არ ხსნის მით ხასიათს, წარმოების და შედეგს საზოგადოების ან კერძო პირის ცხოვრებისათვის...

რა ნაირათ აიწერა ცხოვრება, როგორ განიხატება მისნი მოვლენანი? ყოველი მოვლენა ღირსია აწერისა, თუ ზოგიერთები, და რითი

უნდა იხელმძღვანელოს მწერალმა ასაწერი მოვლენის არჩევის დროს?— ეს კითხვა ძალიან საუფუძლიანია ამ საქმეში.

ცხოვრებაში ბევრნაირი მოვლენა და შემთხვევა შეხედება კაცს, მაგრამ ყველა ეს შემთხვევა და მოვლენანი ერთი და იმავე ფასის კი არ არიან. იმათ შუა ღირდი განსხვავებაა, აი, რა მხრით: ზოგი შემთხვევა ისეთია, რომ იმის მსგავსი და იმის გვარი შემთხვევა ათასობით და ათათასობით ხდება კაცს, თითქმის ყოველგან და ყოველთვის, ზოგი კი ისეთნაირია, რომ იმისთანა შემთხვევა მეტის მეტათ იშვიათათ, თითქმის სრულიადაც არ ხდება დაპკვირვებულს. ზოგ შემთხვევას დიდი და ღრმა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ცხოვრებაში, ამიტომ რომ ცხადათ აჩენს რომელიმე მოთხოვნილებას, ნაკლულოვანებას ან სიკეთეს, ზოგი კი სრულიად არაფერს არ აჩენს და კვალ დაუტოვებელი თითქმის უმიზეზოთ და უნაყოფოთ გაიარს, ან ისეთი უბრალო და შეუნიშნავი მიზეზი და ნაყოფი ექნება, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, ორა შემთხვევა, ყმაწვილს მასწავლებელმა სიცოცხლე გაუჭარბა, უმიზეზო, უპირო დევნათ, დასჯით და ჯინიანობით. მომხდარა ამ ყმაწვილს ის უსარგებლო და უნაყოფო სწავლა, რომელითაც იმას აწვალებენ, იგრძნო იმან თავისი მდგომარეობის სიმძიმე, დაინახა რომ ეს ტანჯვა იმას ნელა ჰკლავს და თავი რომ დაანებოს იმას, მაშინ სულ ერთიანად დაღუპული იქნება, რადგანაც არსაიდან თავის რჩენის შეძლება არ მოეძებნება. ამ გამოუსვლელ მდგომარეობაში, წვრილმანი დევნით გაბრაზებული, ის თოკს შოულობს და თავს ირჩობს.— ეს ერთი. წარმოვიდგინოთ ეხლა, რომ ზეორე ყმაწვილი, სიცხისაგან შეწუხებული და დაღალული, მოდის შინ და მწყურვალე წყალს ეწაფება. ამ დროს ის ხედავს, რომ კუთხეში სუფრაზე, ქალაღდში გახვეული შაქარი დევს. იღებს ის ამ შაქარს, წყალში ყრის და სვამს. მაგრამ მისდა საუბედუროთ, ეს შაქარი თავის წამალი ყოფილა. მასსადამე ის, საწამლავსავით მოქმედობს მასზე და ცოტა ხანს შემდეგ ყმაწვილი წვალებით და დავით კვდება. აი ორი შემთხვევა, რომელშიაც ერთი და იგივე, თითქმის, მიზეზია—ყმაწვილის შეწუხება, და ერთი და იგივე ნაყოფი—ყმაწვილის დატანჯული და უძროო სიკვდილი. ერთი შეხედვით, ამ ორივე მაგალითს ერთნაირად უნდა შეეძლოს კაცის გულის დაწვა-დადავა. მაშასადამე, ორავს ერთნაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მწერლობაში. მაგრამ, რაგინდ ცოდნით და ნიჭით უნდა გამოხატოთ თქვენ თავის წამლით მოწამლული ყმაწვილის ბედი, თქვენ ნაწერს მეთედი ნაწილაც არ ეღარსება იმ მნიშვნელობისა, რომელიც ექნება უფრო სუსტათ და უნიჭოთ აწერილს ბედს პირველი ყმაწვილისას. ეს უკანასკნელი სავანი ადევლებს, დააფიქრებს და კვალს დატოვებს თითქმის ყოველი მკითხველის გულში და ტვინში, მაშინ, როდესაც მოწამლული ყმაწვილის ბედი მართო ერთი წუთის შებრალებას აღძრავს გულკეთილ პირებში...

რა მიზეზი უძევს საფუძვლათ ამნაირ განსხვავებას, ამის კითხვა-
ვკონებთ, საჭიროც არ არის. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ
დარჩობილი ყმაწვილის ბედი იმისგან პოულობს თავის დიდ მნიშვნე-
ლობას, რომ ის წარმოადგენელია მრავალი ყმაწვილების და თით-
ქმის მთელი თაობის ბედის და მდგომარეობისა, მასში გამოიხატა საზო-
გადო მდგომარეობა და დანებრჩალი ყმაწვილი უბრალო კერძო პირისა-
გან, ტიპათ შეიქნა. მისმა ბედმა მიაქცია საზოგადო ყურადღება საზო-
გადო საქმეზე—მასწავლებლის საქციელზე, აღზრდის მდგომარეობაზე და
მთელი ახალგაზრდობის მომავალზე და ამ საქმეში, ხომ ყველას თავის
საკუთარი ბედი უნდა ეგულებოდეს.

მეორე მაგალითი კი უბრალო, უმიზნო და უმნიშვნელო შემთხვევა
იყო, — უბედურებაა, თუ გენბავთ, მაგრამ კერძო უბედურება, რო-
მელსაც არაფერი საზოგადო მნიშვნელობა და არაფერი გავლენა არა
აქვს, იმის მეტი, რომ შეიღობოყვარე დედებმა თავის წამალი სტოლზე
არ უნდა დატოვონ, თორემ თავებებს გარდა ეს საწამლავე ბევრვესაც
გაისტუმრებს საიქიოს. ამ შემთხვევას „ნარევი“ თუ მიეცემა ადგი-
ლი, თორემ სხვა ნაირათ ის ლიტერატურას არ შეეხება და მწერლობა
იმითი ვერ ისარგებლებს, მაშინ, როდესაც პირველი ახალგაზრდის სიკვ-
დილი ათასნაირათ შეეხება მწერლობას და მის საშუალებით—მთელ
საზოგადოებას.

ჩვენ შეგვიძლია, მაშ, დარწმუნებით ვთქვათ, რომ ყოველი კერძო
შემთხვევა, შოვლენა, ხასიათი, მდგომარეობა და სხვა მართო მაშინ ხდებ-
ბა მწერლობის ყურადღების ღირსი, როცა იმას რამე საზოგადო
მნიშვნელობა აქვს, როცა ის წარმომადგენელია მრავალი სხვა თავის
გვარი შოვლინებისა. ყოველი შემთხვევა, რომელსაც სარჩულათ რამე
საზოგადო ცხოვრების მხარე არა აქვს, რჩება თითქმის სრულიად უნა-
ყოფოთ და უმნიშვნელოთ მწერლობაში, მაშასადამე ლიტერატურული
გამოსახვის ღირსი არ არის.

აქედან ჩვენ ადვილათ გამოვიყვანთ ერთ კანონს—სალიტერატურო
თხზულების გასასინჯველათ: ყოველი საგანი მით უფრო შესანიშნავი
და ყურადღების ღირსია, რაც უფრო მეტი საზოგადო მნიშვნელობა
აქვს იმის ცხოვრებაში. მაგერათ, რაც უფრო ნაკლები საზოგადო მნი-
შვნელობა აქვს რომელსაზე საგანს, მით ნაკლები ყურადღების ღირსია
ის. მაშასადამე, სალიტერატურო შრომაში ყოველ საგანს იძოდენა ყურა-
დღება უნდა ჰქონდეს მიქცეული და სწორეთ ის ადგილი უნდა ეკავოს,
როგორაც ეღირსება საგანს თავისი საზოგადო ან კერძო ხასიათით. და
ამ პირობიდან პირდაპირ ის კანონი გამოდის, რომ რომელიმე საზო-
გადოების აღწერაში ყოველ მხარეს, ყოველ თვისებას, თვითველ ხასიათს
თავისი შესაფერი ადგილი უნდა ექიროს, სწორეთ ის ადგილი, რომელსაც
ეს საგანი თავისი საზოგადო მნიშვნელობით ჰპოულობს.

ამ ნაირათ გამოთქმული ეს პირობა ადვილათ გვიჩვენებს, რამის-

დიდე ცოდნა და რა გონების ძალა, რა გამჭრიახობა და ნიჭი აუცი-
ლებლად სჭირია ყოველს მწერალს, რომელსაც ნამდვილი ცხოვრების
ნამდვილათ გამოსახვა ჰსურს; და ჩვენთვის ესაა გასაკვირველი არ უნ-
და იყოს ის გარემოება, რომ ჩვენებური ცხოვრების გამოხატვაში ჩვენ
მწერლობაში მართო ორიოდ პირმა მოახერხა მრავალთაგან ამ ცხოვ-
რების ზოგიერთი მხარის გამოსახვა. მართლაც გონება გაუხსნელ ან სუ-
სტი ჰკუთის პატრონ კაცს, აბა რა ნაირათ შეეხება ცხოვრების და თი-
თოეული მისი მოვლენის შესაფერი დაფასება, გაგება და გამოხატვა?
ცოტა რამე არ უნდა ამ უბრალო საქმეს—გარჩევას, აქვს თუ არა რო-
მელსაზე საგანს საზოგადო მნიშვნელობა, და თუ აქვს, რამისიდიდე და რა
ძალის? და ყველა ამ საგნების აწონა, შესაფერი დაფასება და გამოხა-
ტვა ყოველი გონების საქმე როდია...

უმეტეს ნაწილათ, ლიტერატურულ თხზულებებში მწერლები იმ-
ნაირათვე დაუფასებლათ ხატვენ ცხოვრებას, როგორც ფოტოგრაფი
ბუნების სურათებს, ან კაცის პირისახეს იღებს.—ამ შემთხვევაში მწერ-
ლის ძალა და ნიჭი იმაში გამოიქმნება, რომ ცხოვრების სურათში არც
ერთი შესანიშნავი და ყურადღების ღირსი საგანი არ დაიფიქროს ან
მცირე საგანი დიდათ არ გამოხატოს, ან დიდი საგანი მცირეთ. კრი-
ტიკაში მიღებულია, რომ ის თხზულება, რომელშიაც ცხოვრება ან ბუნე-
ბა მახინჯათ არის გამოხატული, ისე რომ ცხოვრების ნამდვილი და უმ-
თავრესი მხარეები დავიწყებულია და წვრილმან ან უმნიშვნელო შემთხ-
ვევებს შეუფერებელი ადგილი უკავიათ და შემცდარი აზრის დატოვება
შეუძლიანთ მკითხველს გონებაში, ამისთანა თხზულებები მეტეი ითვლება
უთავბოლო, მახინჯ თხზულებათ და კრიტიკა მის გასინჯვის დროს სულ
სხვა ნაირათ იქცევა, ვინემ ნამდვილი და ხელოვნური თხზულებების გან-
ჩხრევის დროს. როცა კრიტიკა მახინჯ თხზულებას სინჯავს, ის თავდა-
პირველად იმ ცხოვრების ნაწილს იღებს, რომელიც უნდა გამოეხატა
მწერალს და მის აწერილებას ადარებს; კრიტიკა ამბობს: აი, რას წარ-
მოგვიდგენდა ჩვენ ნამდვილი ცხოვრება, აი, რა და რა მხარეზე უნდა მი-
ექცია ყურადღება მწერალს; აი რა და რა უმთავრესი საფუძველი და
ნაყოფი აქვს ამ ცხოვრებას, და აი, მესამე მხრით, რა ნაირათ, რა
სუსტათ გამოუხატავს ეს საგანი მწერალს, რა დაბნეულათ და შეუფე-
რებლათ აუწერია იმას ცხოვრება. სულ სხვაფრივ ირჯება კრიტიკა იმ
თხზულების გასინჯვის დროს, როცა თხზულებაში ხელოვნურათ, სწო-
რეთ და შესაფერათ გამოხატულია ცხოვრება ან რომელიმე მისი ნაწი-
ლი. ამ შემთხვევაში კრიტიკა პირდაპირ ამბობს, ცხოვრება სწორეთ
და ჩინებულათ გამოხატულია ამ თხზულებაში, და აი, რასა და რას
წარმოგვიდგენს ჩვენ იმ საგნების, ხასიათების და მდგომარეობის გასინ-
ჯვა, აი, რა და რა აზრს სძრავს და რა გრძნობას ბადებს ჩვენში ეს
თხზულებაო.

როცა კრიტიკა ამ უკანასკნელ მოვალეობას ასრულებს, მაშინ მისი შრომა მეტის მეტათ სასარგებლო და ნაყოფიანია, როგორც თვითონ განხილული თხზულებისთვის, ეგრეთვე მთელი მწერლობისთვის და საზოგადოებისათვის. კრიტიკის დახმარებით თხზულების სურათს ღირსეული დაფასება, ახსნა და გავრცელება ეძლევა. კრიტიკა უხსნიას მკითხველს რა ძალა და მნიშვნელობა, რა ხასიათი და გაელენა აქვს მწერლის თითოეულ სურათს, რას ნიშნავს წვრილმანი მხარეები, ერთი სიტყვით ათასნაირათ უტრიალებს და უსინჯავს მკითხველს იმ ხასიათს და სურათებს, რომელნიც მწერლის თხზულებაში გაკვრით თუ არა, ისე ვერ გამოჩნდებოდნენ და იმ წვრილმან შენიშვნების და საგნებისაგან, რომელნიც დაფანტული არიან აქა-იქ ხელოვან თხზულებაში, და სხვა და სხვა თხზულებებში, კრიტიკა ერთ საზოგადო სურათს, საზოგადო და საერთო აზრს ადგენს, რომელიც ერთბაშად და ღრმად ხატავს საზოგადო მდგომარეობას, საჭიროებას და ხასიათს.

რალა თქმა უნდა, რომ იმისთანა ან ამ გვარი კრიტიკა აკლია ჩვენ მწერლობას. ჩვენში ყოველი მწერალი მწერალიც უნდა იყოს, და თან თავის დაწერალის კრიტიკოსი, ესე იგი ამხსნელი, განმმართებელი და ადგილის ნაჩვენებელი. საერთო სურათების შეკრება კი და ერთ საზოგადო სურათათ გადაქცევა სულ მიტოვებულია დღემდე ჩვენ მწერლობაში. მაშასადამე, უფრო ნაკლები ლაპარაკი უნდა იმას, რომ ჩვენ მწერლობას სრულიად არ მოლანდებია კრიტიკის მეორე, უმთავრესი უმაღლესი მხარე და მნიშვნელობა.

რადგანაც კრიტიკა თვალს უნდა ადევნებდეს ცხოვრების ხასიათს, ნიადაგ უნდა აფასებდეს იმას, ამ ხასიათის გამოხატულებას სხვა და სხვა თხზულებაში, და თან თხზულების ღირსებასაც უნდა აფასებდეს და ცხოვრებისასაც, უეჭველია, რომ იმას ყოველთვის მოვალეობა ექნება ამ ცხოვრების ხასიათზე სჯა, მისი გაუკეთების ცდა და საზოგადო აზრის იმ რეგათ მიმართვა, როგორც შეფერება თანადროულ მდგომარეობას, და საზოგადოების მოთხოვნილებას. საზოგადოების თითოეული წევრი იმოდენათ ვართულება თავის კერძო საქმეებში და მოვალეობაში, იმოდენათ დაუმზადებელია საზოგადო ცხოვრების დაკვირვებაში და დაფასებაში, რომ ვისმე უნდა ეკისრნა მისი დახმარება, მისთვის საზოგადო ცხოვრების გამოკვლევა, ახსნა და დაფასება. რაკი საზოგადო მოთხოვნილებას და აზრს, რომელიც მკრთალათ და უსხეულოთ სუფევს კერძო პირების უმეტეს ნაწილში, ხელ-მძღვანელი კრიტიკა სხეულს შეასხამს, გააცხოველებს, გასაგებ ნაირათ გამოთქვამს, და თან ასრულების გზას მოუძებნის, ეს აზრი ისეთ ძალათ იქცევა, რომელიც ყოველთვის აუმაჯობესებს საზოგადო მდგომარეობას და ბედს, აბიტომ რომ მისი გამოკვლევით და ნათლად გამოსახვით იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლო შეიქნა, რომელმაც დაბადა კერძო პირებში ეს აზრი და მისი გრძნობა.

ეს მიზანი ყოველთვის თვალწინ უნდა ჰქონდეს კრიტიკას თითოეული თხზულების განხილვის დროს. ის ნიადაგ იმას უნდა აქცევდეს თავის ყურადღებას, თუ რა უმთავრესი საჭიროებაა რომელიმე დროს საზოგადო ცხოვრებისათვის, რა მხრით და რა კილოზე უნდა იყოს მიმართული ლიტერატურის შრომა და რამდენათ ასრულებს ამ საჭიროებას სხვა და სხვა თხზულება, სხვა და სხვა ნწერალი. ამ აზრით ხელმძღვანელი კრიტიკა ნიადაგ ტონს უნდა აძლევდეს თავის ლიტერატურას და ისე უნდა მიმართავდეს მის ძალას და შრომას, როგორც საუკეთესო იქნება საზოგადო ცხოვრებისათვის.

ნ. სკანდელი

„კრებული“, 1871 წ. მესამე წიგნი

ს. წკ.

„კრებული“, მესამე წიგნი

„კრებულის“ მეხუთე წიგნი ამ კვირაში გამოვიდა. [პერიოდული გამოცემის დროზე გამოუსვლელია. მიზეზი „კრებულის“ ამ ნომრის დაგვიანებისა—უფ. სკანდელს, რომელიც იმის შრომაში ნიადაგ მონაწილეობას იღებდა, შინაური გარემოების გამო, თბილისის მიტოვება დასჭირდაო“. ყურნალის ამ ნომრის გარეგნული სილაზათე].

პირველი ადგილი „კრებულის“ მეხუთე წიგნში, უეჭველია, ***-ის „გზავრის წერილებს“ ეკუთვნის. ეს არის გზავრის წერილებიდან ამოღებული სამი პატარა თავი, სულ რვა თავახი; მაგრამ რამდენი მშვენიერი ალაგებია ამ რვა პატარა თავახში, რამდენ პოეტურ ნიჭსა და კეთილ გვიგენებს ის ავტორი! წაიკითხეთ ეს ღამისა და დღის ალფორიული შედარება და დარწმუნდებით, რომ ***-ს მართლა პოეტური ნიჭი და ხელოვნური კალანი აქვს:

[„დალამდა, თვალ წინ აღარა ჩანს რა“... ვიდრე სიტყვებამდე „მე მოვინახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“].

თავის მოგზაურობის დროს ავტორი შეხვდებოდა ერთ მოხვევს, რომელთან საუბარი თითქმის ორი წერილის შინაარსს შეადგენს. ეს საუბარი, ეს სჯა და თვით ენა უბრალო მოხვევისა ისეთი ხელოვნებითაა გაღწეული, ისეთი ორიგინალური და შესანიშნავია, რომ არ შეგვიძლია აქედანაც ორიოდ სტრიქონი არ გადმოსწეროთ.

მოხვევ სჩივის, ეხლა დრო წახდა, უწინდელი დრო უკეთესი იყო. რით იყო უკეთესიო? ჰკითხავს ავტორი. [„ადრიადა ერი ერობდის...“ სიტყვებამდე—„ადრიადა მტერთან ბრძოლაში, სწორების ჯობინობაში სახელ ეშობდით, სვამებთან ვეფი რაი სახელ ჩამორჩებდის?..“].

მაგრამ ამნაირი ნაწიკეუტ-ნაწიკეუტების წაიკითხეთ მკითხველი ვერ

აქ იქნება მაინც და მაინც ეჭვი შეზღოტანონ მკითხველებმა ერის-
თავის და უფ. კერესელიძის საქმის თავოსნობაზე. ძალიან კეთილი,
მაგრამ გვაჩვენეთ იმათზე დაწინაურებული კაცები, საზოგადო საქმი-
სათვის მზრუნველნი. თქვენ, რასაკვირველია, ჩაჩუმდებით, რადგან ვე-
რაგის იბოვნით. მაშასადამე ისინი იმ დროს ისე ეკუთვნოდნენ, როგორც
ესლანდელი დაწინაურებული კაცები, ესლანდელს დროსა. ამის გამოთ
ვიყოფებთ და გკითხავთ: ის ბოლო ექნებოდა ამ ორკაცის შრომასა,
რო გვერდით წრე ჰყოლოდა?

ესეთი საწმუხარო აზრი მოსდის კაცსა, როდესაც ჩვენის დროს
უკეთესი კაცების განცალკევებულ შრომასა ჰხედავს, რომ ამ შრომასაც
იმგვარი ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენი დაწინაურებული კაცები კი თი-
თქოს ამას არა ჰფიქრობენ და თავის უსაქიროესს ვალად არა ჰრაც-
ხვენ, რომ ნოხსენებული ბოლო თავიდან აიცილონ შეერთებულის
შრომითა; ესე იგი თავის აუცილებელ საჭიროებათ არა ჰრაცხენ, რომ
ნაწილი თავისის შრომისა მოანდომონ წრის შედგენ-
ნასა.

მოკლეთ გამოთქვით, რაც გვინდოდა გამოგვეთქვა: ჩვენ რაკი
ლიტერატურის მზრუნველებად ნიგეაჩნია თავი, ანისათვის ნამდვილ
მრავალ გვარ საფუძვლიან ზრუნვას უნდა შეუდგეთ იმის გაუმჯობესე-
ბისათვის და არა სიტყვით ლაპარაკსა. ანისათვის პირველი და უსა-
ჭიროესი საქმეა შეერთებული შრომა. ამ საგნისათვის სრული ისტორია
ჩვენის ნწერლობისა საკმაო მასალებს გვადლევს: ლიტერატურა გაძლი-
ერდა მეთვრამეტე საუკუნეში ნწერლების შეერთებულის შრომისაგან,
დაეცა, როდესაც განაწილდნენ ნწერლები 1852 წლანდინ. ამ წელს და-
ფუძნდა ჟურნალი, რომელშიაც ბეჭდვით შეერთდნენ ნწერალნი საზო-
გადო შრომისათვის. მაგრამ ეს შეერთება იყო გარეგანი და არა შინა-
განი. როგორც შინაგანის ღირსებისა, აგრეთვე ნწერლების წრის შე-
დგენის აზრი ილია ჭავჭავაძის კრიტიკითგან და იმის ჟურნალითაგან
იწყება. შინაგანის ღირსებით ლიტერატურა წინ მიდის, მაგრამ, მეორე
მხარე, ესე იგი წრის შედგენა ჟურნალთან, დღევანდლანდე აუსრულე-
ბელი რჩება.

არ ვიცით, რამდენად კარგა განოთქვით ეს აზრები ოცის წლის
შესრულებისა გამო ჟურნალის დაფუძნებისა, მაგრამ თუ დავაკვირდეთ
კარგად, ეს აზრები უნდა გამოგვეტანა და საკუთრად ისა, რომ ჩვენი
ლიტერატურის წინ წაყვანისათვის შეერთებული შრომასა საჭირო წრისა-
ანუ წრეების შედგენითა.

ეს უნდა იყოს ჩვენი დღიური, არსებითი საზრუნველი საქმე.

22 მაისს

მ. პეტრიძე

„კრებული“, 1872 წ. № 8—9

ჩვენი მწერლობა

(კრიტიკული მიმოხილვა)

თარგმანი სამო საკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართველ ქალებისაგან (წიგნი
პირველი, 1872-ს).—„მნათობი“, 1872. № 8 და 9.

[ქართველი ქალების კარგი არჩევანი და მისი საზოგადოებრივი
მნიშვნელობა] ჩვენ აქ გარკვევით უნდა გამოვთქვათ, თუ რა აკლია ჩვენ
წინ მდებარე შრომას და რა უნდა იქონიონ სახეში მშრომელებმა შემ-
დეგი მუშაობის დროს.

ჩვენ ამ საგანზე საუბარი იქილამ უნდა დავიწყოთ, რომ „ქარ-
თველ ქალებს“ ძლიერ საფუძვლიანად დაუნახავთ ყოველივე ამგვარი
შრომის უმთავრესი მიზანი,—მკითხველი საზოგადოებისათვის სარგებ-
ლობის მოტანა. მართლაც, როგორც მთელ მწიგნობრობას, ისე იმ მის
ნაწილს, რომელსაც საამო საკითხავი წიგნები შეადგენენ, მიუცილებლ-
ათ ის უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ საზოგადოებას სარგებლობა
მოუტანოს, ხალხის სიკეთე ეძიოს და ღონისდაგვარად დაეხმაროს სა-
ზოგადოების გონების გახსნას და მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს
დელა-აზრი მუდამ ზომით უნდა ჰქონდეს მწერალს და მთარგმნელს,
როცა ის ნწერლობის ნაყოფს სჯის არჩევს. მაშასადამე, ჩვენ „ქარ-
თველ ქალებსაც“ ხელში ეს ზომა უნდა ჰქონოდათ, გადმოსათარგმნელი
თხზულებების ამორჩევის დროს.

ვენახოთ ახლა, რამდენათ ვთანხმება ამ ზომას გადმოსათარგმნელი
თხზულებები და რამდენათ შესაძლებელია, ესლანდელ ჩვენ მდგომარ-
ეობაში, ამ ზომის ხეირიანი ხმარება და გამოყენება.

[ჩვენი საზოგადოება არ იცნობს ცხოვრებას, მისი არსებობა უმი-
ხნობ. საზოგადოებამ არ იცის შრომა, არა აქვს სხვისი რაობის შეგნე-
ბა. ასეთი საზოგადოების გონების საკვების ხასიათი].

რაკი ჩვენ ვიცნობთ იმ საზოგადოებას, რომლისთვის შრომობენ
„ქართველი ქალები“, ჩვენ ადვილათ შეგვიძლია მივხედეთ, რომ ამ საზო-
გადოების სიკეთისათვის საჭირო იყო ისეთი თხზულებების გამოჩვენე-
რომელთაც, თავიანთი გარეგანი შნოთი და სიხალისით ჩვენი ზანტი მკი-
თხველების მაღაზე მოყვანა შესძლებოდათ, და თავიანთი შინაგანი
ღირსებით, შინაარსით და მიზნით ამ მკითხველების ტვინში ხეირიანი
კვალი დაეჩნიათ. დაუნატოთ ამას, რომ „ხეირიან კვალათ“ აქ ჩვენ ის
უნდა მიგვაჩნდეს, რაც მკითხველს სასარგებლოს ცოდნას აძლევს, რაც
იმას კაცურ ცხოვრებას აჩვევს, რაც იმაში ბატოსან ხასიათს ზრდის,
და ჩვენ გვარიანათ გვეცოდინება, თუ რანაირი თხზულებები სჭირია
ჩვენ საზოგადოებას და რა შეეფერება მის ესლანდელ გონებას და ხა-
სიათის გარემოებას.

ჩვენდა სამწუხაროდ, „ქართველი ქალების“ შრომა ამ მოთხოვნის და საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს. ის იწყება მაგალითად ვიქტორ ჰიუგოს თხზულებიდან „პარიჟელი ბიჭი“. ვინც ამ ნათარგმნს გარეგან მხარეს დააკვირდება, ის, რასაკვირველია იტყვის, რომ ეს ნაწყვეტი ხეირიანად არის ნათარგმნი, მით უფრო, რომ ვიქტორ ჰიუგო ნიადაგ ახირებული ენით სწერს თავის თხზულებებს, ისეთი ენით და ისეთნაირად, რომ მისი თარგმნა სწორეთ გაჭირვებაა. მაგრამ რაკი თხზულების შინაგან ღირსებას მოიხსენებს კაცი, და განსაკუთრებით იმ ზომას მოიგონებს, რომელიც, როგორც წყლან ნათქვამი იყო, — ჩვენებურ ნწერალს და მთარგმნელს თვალწინ უნდა ჰქონდეს, მაშინ სულ სხვა სჯა იბადება თავში. ეს ნაწყვეტები, მართალია, ჩინებული რამ არის, და ის ვიქტორ ჰიუგოს რომანში „საბრალონი“ მარგალიტივით ბრწყინავს. მაგრამ ჩვენ მწერლობაში რა ღირსებამ გაუკვლია გზა ამ ნაწყვეტს? რა განსაკუთრებული ნიშნელობა აქვს იმას ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის? რომელი მხრით აკმაყოფილებს ის იმ მოთხოვნილებას, რომელზეც წინეთ გვქონდა ლაპარაკი? ასწავლის რასმე მკითხველს? აცნობებს ცხოვრების და ადამიანის თვისებას? უკეთილშობილეს ხასიათს, უღვიძებს დაკვირვებას, უხსნის გონებას? არა. ვერც ერთს ამათგანს ვერ ვხედავთ იმაში, ის მხოლოდ რიგიანათ დახატული სურათია იმ ახირებული და საყვარელი ქმნილებისა, რომელსაც პარიჟელ გამენას ეძახიან, და მხოლოდ მისი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ამ გამენების ხასიათს გვაცნობებს. არა გვგონია, რომ ჩვენ მკითხველ საზოგადოებას ნიუცილებლად და დაუყოვნებლად სჭიროდა ამ გამენების გაცნობა, მაგრამ, თუ ნაინცა და ნაინც ასე საჭირო ყოფილა ეს გაცნობა, განა ვიქტორ ჰიუგოს ნაწყვეტზე უკეთესი რამ ვერ გამოირჩეოდა ფრანკულ ნწერლობაში? ვიქტორ ჰიუგოს თხზულების ნაწყვეტი, ვიმეორებთ, გვარიანათ არის დაწერილი; მაგრამ, ასჯერ უკეთესია ამ გამენების ხასიათის გასაცნობათ ანრი ნონიეს სურათები, ან ზოგიერთი „ლეგენდები“ ვავარნისა. ხელოვნური გამოჩარხვით, შთაბეჭდილების ძალით, ცხოვრების ნამდვილი და შეუფერავი გამოხატვით ვიქტორ ჰიუგო, ამ საგანში მაინც ვერ წეგრდება ამ მწერალს და მხატვარს. მაშ რატომ მონიეს თხზულება არ გადმოთარგმნეს „ქართველმა ქალებმა“ და ზედ ვავარნის წარწერები არ დაამატეს, თუ მაინცა და მაინც ჩვენი საზოგადოებისთვის პარიჟელი გამენის ჩვენება სურდათ? ესეც არ უნდა დაევიწყოთ, რომ პარიჟში და უცხო ქვეყნებში, გამენებს გარდა, სხვაც ბევრი რამ უცხო და შესანიშნავია, მაგრამ ყველაფრის ჩვენება კი არაა საჭირო ჩვენი საზოგადოებისათვის, ჯერ ჯერობით მაინც. გაცნობაც უმიზნო და უსარგებლო როდი უნდა იყოს, თუ გვსურს, რომ ჩვენი შრომა ნაყოფიერი და მონავლიანი იქნეს. ვასაცნობათ ჩვენ ისეთი საგნები უნდა ამოვარჩიოთ, რომელთაც რამე ნა-

მდვილი, პრაქტიკული და კეთილი მნიშვნელობა აქვთ ჩვენებური საზოგადოებისათვის. ეს საზოგადოება არც ფსიხოლოგია და არც ფსიხიატრი, რომ მისთვის საჭირო იყოს პარიჟელი გამენის ტვინის, ხასიათის და ახირებული ჩვეულებების გამორკვევა, ვერც ტვინის ძალით ვერც ნიადაგ ერთი მიზნის სდევნით, ვერც ხასიათის უმანკობით ეს გამენი ჩვენ მკითხველს მაგალითად ვერ გამოადგება და ამ გრძელი ნაწყვეტის წაკითხვას მის ტვინზე ისეთი გავლენა ექნება, როგორც ჩვეულებრივ თუთიყუშის ან ბაიმუნების ჩვენებას აქვს ყმაწვილებზე და მოახლეებზე.

— დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი და ქაჯი, იფიქრებს ჩვენებური მკითხველი, როგორც ფიქრობს თუთიყუშის მნახველი სოფელი: რაგები არ მოაპოვება ამ დედა-მიწაზე, რა ფერად ფერადი და უცნაური ცხოველები ყოფილან, დაილოცა ღმერთო შენი სახსენებელი!...

ვიმეორებთ, არც პარიჟის გამენის გაცნობაა სრულიად უსარგებლო რამ, მაგრამ რა ღირსება აქვს ამ ნაწყვეტს ისეთი, რომლის მიხედვით ეს ნაწყვეტი აურჩევით „ქართველ ქალებს“, როცა ათი და თუთხმეტი უკეთესი სურათების მოძებნა შეეძლოთ იმავე საგნის გამოსახატავათ? თუნდ ავიღოთ იმავე ვიქტორ ჰიუგოს მცირედი სურათი, რომელშიაც იგივე პარიჟელი გამენი იხატება, და ვნახოთ ღირდა მთელი ოცდაათოთხმეტი გვერდის მოცდენა ამ საგნის გამოსახატავათ? ამავე სურათს უფრო აზრიანათ და ცხოვლათ ჰხატავს იგივე ვიქტორ ჰიუგო მართო ორ გვერდზე¹.

[პროზით გადმოღებულია ვიქტორ ჰიუგოს ლექსი „პარიკადებზე სად ქვაფენილებს...“]

ეს ადგილი ჩვენ უფრო იმისთვის ვთარგმნეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ რა ადვილია რამდენიმე გვერდზე გამოხატული სურათი უფრო ცხოველი და აზრიანი მოძებნოს კაცმა იმავე გამენისა, რომელიც აწერილია „პარიჟელი ბიჭში.“ და ეს ორიოდ გვერდი, ვგონებთ, სრულიად საკმაოა პარიჟელი გამენის გასაცნობლათ ჩვენი საზოგადოებისათვის... მაშ როგორ არ იწუხოს კაცმა, რომ ის ხეირიანი შრომა, რომელიც „პარიჟელი ბიჭის“ თარგმნაზე მოუხდომებიათ, უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს მკითხველ საზოგადოებას, სხვა რამე უფრო აზრიანი და გავლენის მექონი თხზულება რომ გადმოეღოთ. როგორ არ ისურვოს კაცმა, რომ შემდეგში აზნაირ შრომისა და ცდის ფანტავს აღარ მოეხსროთ?

სწორეთ აზნაირივე სჯა უნდა გამოითქვას „ნათანიელ როსსელის უკანასკნელ დღეებზე“. ამ ახალგაზრდა კაცის ბედი, რასაკვირველია,

¹ ეს ლექსი გადმოღებულია ვიქტორ ჰიუგოს წიგნიდან „საშინელი წელიწადი“. იმაში აწერილია პარიჟის კომუნის დაცემის სცენა.

მეტის მეტათ შესაბრალისი და გულის დამწველია, მაგრამ რაგინდ შესანიშნავი ყოფილიყოს მისი სამხედრო ნიჭი, რაგინდ უმანკო და თავგაწირული ყოფილიყოს მისი ხასიათი, რაგინდ საქმეები ყოფილიყოს მისი ყოფაქცევა ნეფის დაცემის დროს და მისატყვებელი პარიჯის აჯანყებაში, ყოველი გონიერი კაცი იტყვის, რომ მისი უკანასკნელი დღიური ისეთს არასფერს წარმოადგენს, რომ სრული თარგმნის ღირსი იყოს. მართალია ამ დღიურში დიდი ტანჯვა სჩანს და მწვავე გულის წადილი, ისე რომ გულ-კეთილი კაცი, და განსაკუთრებით გულ-ჩვილი ქალი ორიოდ ცრემლს ჩაყლაპავს მისს კითხვის დროს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხანგრძლივი შთაბეჭდილება როდი რჩება მკითხველს. ამის მიზეზი ის არის, რომ იმ ბოლოს, რომელიც როსსელს მიაღვა და იმ მდგომარეობას, რომელშიაც ის ჩააყენა სიკვდილით დასჯამ, სულ სხვანაირი კილო, სხვა წერა, სხვა გრძობა შეეფერებოდა, მკითხველი ელის გაიგონოს მხნე მიმაცე, რომელსაც ესმის, რომ მისი საქმის სიწმინდე, მომავალი და სარგებლობა ითხოვს მისგან მარჯვეთ მოკვდომას, რომელიც დამწვედებულათ ელის სიკვდილს და მტერს არც თავისი მწუხარების გამოთქმით, არც თხოვნიით, არც თავის დამდაბლებით გულს არ უხარებს, და რომელიც თითქმის სიხარულით გრძობს, რომ თავისი სიკვდილით და სისხლით ათასჯერ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს თავის საქმეს, ვინემ მთელი ასი წლის სიცოცხლით; ამ გვარი პირის მაგიერათ მკითხველს ხელში რჩება ახალგაზრდა კაცი, რომელიც ვერ ჰფარავს, რომ სიცოცხლე უყვარს და ცხოვრება უნდა, და რომელიც მთასა და ბარს ედება გადარჩენისათვის, სწუხს, თითქმის სტირის და მტერსა და მოყვარეს ატყობინებს, რომ სიკვდილის ლოდინით იტანჯება. არა, ასე არ იქცევა გმირი, და გმირის ხასიათის მაგიერათ საბრალო ახალგაზრდა კაცის ხასიათი გამოსჭვრეტს როსსელის დღიურიდამ.

ჩვენ უფრო იმ აზრით ვამბობთ ამ მწარე სიტყვებს როსსელზე, რომ ეს მეორეჯერ იბეჭდება ქართულათ მისი დღიური, და ეს მოასწავებს, რომ მთარგმნელებს ის ალბათ მართლა გმირათ მიიჩნიათ. „დროებაში“ რომ დაიბეჭდა როსსელის დღიური, ამის წინააღმდეგს ვერაინ ვერას იტყოდა, რადგანაც იმ დროს როსსელზე მკითხველების ყურადღება იყო მიქცეული და გაზეთში ყოველგვარ ცნობას იმაზე ადგილი უნდა მისცემოდა. მაგრამ ხელნეორეთ გადმოთარგმნა ამავე დღიურისა, მეტრე ერთი საამო საკითხავ წიგნისთვის სწორეთ შეცდომა და დაუფიქრებლობაა, რომელიც, იმედი გვაქვს, სხვა დროს აღარ ვამეორდება.

„ეულ ტაროზედ“ ითქმის, რომ ეს ისეთი მოახრობაა, რომელსაც უურნალეში „ბალლასტს“ ეძახიან და რომელსაც საზოგადოთ იმისთვის ბეჭდვენ, რომ უურნალის დანაკლისი შეავსონ. დიდი მნიშვნელობა

იმას არა აქვს რა, და არც მისი დამწერის ნიჭია დიდი რამ. ამისთანა მოთხრობებს ასობით და ათასობით შეხვდება კაცი უცხო ქვეყნების მწერლობაში. მაგრამ, ჩვენი აზრით, შიგ მინც ორიოდ-სამი სურათია ისეთი, რომ მათი წაკითხვა სასიამოვნო და სასარგებლოც უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის. ყველაზე უფრო მოგვეწონა ის ადგილი, სადაც გამოხატულია ტუსკრეტენის ქალაქის საზოგადოება, მისი უფროსები და გამგებლები, ტაროს მოსვლა და ის მოძრაობა, რომელიც მისმა აზრებმა ქალაქში მოახდინა, ლაპარაკი მის სტატიებზე და სხ. ტუსკრეტენის სახელის მაგიერათ ზოგიერთი სხვა უფრო ახლობელი ქალაქის სახელი რომ ებეჭდოს, კაცს ეგონება, რომ ახლობელი მოთხრობაა და საფრანგეთში კი არა, უფრო ახლოა დაწერილიო. დანარჩენი უფრო სუსტია, და ათასჯერ უმჯობესი იქნებოდა, რომ ამ თხზულების ადგილზე რამე ისეთი თხზულების თარგმანი დაბეჭდილიყოს, რომელსაც ხანგრძლივი მნიშვნელობა და ძლიერი შთაბეჭდილება მოსდევს.

უფრო შესანიშნავია „ამერიკელი ქალები მეთვრამეტე საუკუნეში“. ამ თარგმანს ის ღირსება ექნება, რომ აჩვენებს—ვისაც დანახვა ჰსურს და შეუძლია—თუ როგორ სცხოვრებენ სხვა ქვეყნის ქალები, რა ძალა და შრომა უხმარიათ თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და როგორი გზით უვლიათ ამ ძნელ და საამო გზაზე.

საზოგადოთ უნდა თქვას კაცმა, რომ დიდათ სასარგებლო იქნებოდა ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის, უფრო ხშირათ რომ ითარგმნებოდეს იმისთანა თხზულებანი, რომელნიც ან ხასიათის გაუმჯობესებაში გამოადგება ჩვენ საზოგადოებას, ან ურგო ჩვეულებების მიტოვებისთვის, ახალი, კაცობრივი წესის შემოღებისათვის, ანა და გაუსხნიან იმას გონებას, დააჩვევენ უკეთესის სურვილს, სიბოროტის წუილის, და ამ რიგათ ნელა-ნელა, ცოტა-ცოტა დაამხადებენ ჩვენი ხალხისათვის უკეთეს მომავალს.

ამ მიზნისათვის, რასაკვირველია „ქართველმა ქალებმა“ მხედველობაში ისიც უნდა იქონიონ, რომ არამთუ მართო მოთხრობები და რომანები, მოგზაურობები, ისტორიული სურათებიც და ეტნოგრაფიული შენიშვნებიც დიდ ძალ მკითხველებს იზიდვენ და არც ის იქნება კარგი ანგვარი სწორეთ „საამო და სასარგებლო თხზულებები რომ დაგვაიწყოს კაცმა იმისთანა სტატიებისათვის, როგორც „პარიჯის ბიჭი“, „როსსელის დღიური“ და თუნდაც „ეულ ტაროც“. შეგვიძლია დავარწმუნოთ „ქართველი ქალები“, რომ მკითხველები ამ თხზულებებს ეხლანდელ „თარგმანების“ წიგნზე ნაკლებათ არ მიიღებენ ხეირიან ისტორიულ წიგნს, ან მოგზაურობას...

მინამ „თარგმნისთვის“ თავი არ დაგვინებებია, ორიოდ სიტყვა ვთქვათ მის წინასიტყვაობაზე. საზოგადოთ წინასიტყვაობაში საქმის ან წიგნის დედა აზრს გამოთქვამენ ხოლმე და ამ მხრით „თარგმანენ-

ბის“ წინასიტყვაობა ძლიერ მოგვეწონა, მით უფრო, რომ საფუძვლათ იმის ორი ძლიერ ხეირიანი პრინციპი უძვეეს: სურათების სინამდვილე ცხოვრებასთან და სარგებლის ნოტახა საზოგადოებისათვის. ჩვენდა სამწუხაროდ შიგაც სჩანს ცოტაოდენი შეცდომა უფრო წვრილმან აზრებში. მაგრამ დიდი არაფერია, მაგალითად ისა, ვითომ უწინდელ მწერლობაში სულ სიყვარულზე და ამისთანა რამერაებზე სწერდნენ, და ახლა კი სულ რეალურ თხზულებებს სწერენ, თითქო უწინ გოტე და ლესინგი, მოლიერი და ათასი სხვა მწერლები არ ყოფილიყვნენ; და ვითომ, კიდევ, ესლა კი არ იყვნენ ათასობით პოლ-დე-კოკები, ბორნები და ემსები. როგორც ისტორიაში, ისე აქაც ძველ მწერლებში ძლიერ ბევრ მასალას იპოვნიან „ქართული ქალები“ მეორე წიგნის გამოსვლისათვის. მაშინ იმედია ნათი გამოცემა ასცილდება იმ ნაკლულოვანებებს, რომელიც ხშირათ პირველს ნაბიჯს და ცდას არ სცილდება.

აქვე აღვლილი უნდა მიეცეთ მეორე შენიშვნასაც ამავე წინასიტყვაობაზე. „ქართული ქალები“, როგორც ქალურ თავშეუკავებლობას შეეფერება, ძლიერ მკაცრათ ჰკიცხვენ იმ მწერლების თხზულებებს, რომელნიც, მათი სიტყვით, „სწერდნენ მხოლოდ სიყვარულზე, შეყვარებულების კენესა-ოხვრაზე, ამკობდნენ ბუნების სიმშვენიერეს და დამლეროდნენ ბულბულსა და ვარდის ტრფობას“. ჩვენ ძლიერ კარგათ გვესმის, რომ ამ სიტყვებით „ქართველ ქალებს“ მართლა საკიცხავი და საძრახი მწერლობა აქვთ სახეში, მაგრამ იმათთვის იქნება უსარგებლო არ იყოს, დაუმატოთ, რომ ყველა თხზულება „სიყვარულზე“ და სხ. ასე აღვიღათ გასაკიცხავი და უკუმისაგდები როდია. თუმცა ათასს და იქნება მეტს თხზულებას სიყვარულზე მკითხველებისათვის ვნების მეტი არა მოუტანიათ რა, მაგრამ ასე და იქნება ხუთასი თხზულებაც მოიძებნებოდეს ანავე საგანზე ისეთი, რომელთაც ნამდვილი და დაუფიწყარი სარგებლობა მოუტანიათ მკითხველების და მთელი კაცობრიობისათვისა, თუ კაცს თავისი ველური მდგომარეობა მიუტოვებია და ცოტაოდნათ მაინც აულაგმავს თავისი მხეცური ინსტიტუტები, თუ დღეს ქალს საზოგადოებაში მცირეოდენი ხმა და პატივისცემა აქვს, და უწინდელივით მარტო ველური დაკმაყოფილების ქურჭელი აღარ არის, ამის მიზეზი ეს „ქართველ ქალებს“ არ უნდა ავიწყებოდეს — ის რომანები და თხზულებებია, რომელთაც საგნათ „სიყვარული“ და ოხვრა-კენესა ჰქონდათ. თითქმის მთელი ოჯახობის წესი, ცოლ ქმრობის ურთიერთი დამოკიდებულება, ბავშვის ბედი, საზოგადოებრივი ყოფა-ქცევა შეუცვლია და შეუქმნია ამ რომანებსა და, ჩვენი აზრით, ძლიერ დიდი სარგებლობა იქნებოდა ჩვენი საზოგადოებისათვის, ზოგიერთი ამ რომანების გადმოთარგმნისაგან, მით უფრო, რომ ჩვენში ცოლისა და ქალის მდგომარეობა ოჯახში, ყმაწვილების დამოკიდებულება, საზოგადოების ხასიათი და ჩვეულებები თითქმის იმავე მდგო-

მარეობაშია დღეს, როგორშიაც იყო უცხო ქვეყნების საზოგადოება ამ რომანების გაერცელებამდის. ვიმეორებთ, ძლიერ კარგს იხშიან ჩვენი „ქართული ქალები“ ორიოდ რომანი, ან მოთხრობა რომ გადმობეჭდონ, მაგალითად ჟორჟ-სანდის თხზულებიდან, თუმც უნჯობესს და გავლენიან მის ნაწერებზე „მხოლოდ სიყვარულზე, შეუკავებელ კენესა-ოხვრაზე“ და სხ. არის ლაპარაკი. იმასაც ნუ დაივიწყებენ „ქართული ქალები“, რომ ამ თხზულებებს (ჩვენ აქ, რასაკვირველია, ყველაზე კი არა, უკეთესებზე ვლაპარაკობთ), იმ მხრითაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, რომ კაცის გულს და ხასიათს აკეთილშობილებენ სხვის მდგომარეობაში და გულში ჩახედვას, სხვის შებრალებას, და დახმარებას, აჩენენ საზოგადოებას და კაცისა და ქალის ხასიათს, გულს და მოაზრებას. მაგრამ აქ აღვლილი არ აქვს ამ საგანზე ვრცლათ ლაპარაკს. ჩვენ ორიოდ სიტყვა ამაზე მარტო მისთვის ვთქვით, რომ შევნიშნეთ ნათარგმნი სტატიების ხასიათში, თითქო „ქართული ქალები“ თაკილობდნენ ზემოხსენებული თხზულებების თარგმნას და ამის გამო საჭიროთ დავინახეთ ამ აზრებზე მათი ყურადღების მიქცევა.

ვათავებ უმდაბლესი თხოვნით, რომ შემდეგ, მეორე წიგნს მიეცეს უფრო ცხოველი, სასარგებლო და მკვიდრი მნიშვნელობა, ისე რომ წიგნი ისეთი რვეულების კრებას აღარ ჰგავდეს, რომელიც აუკინძავსთ უთავბოლოთ და უანგარიშოთ და რომელსაც სიზმრათაც არ მოჩვენებია მტკიცე ნიშართულების და გამოკვლეული მიზნის ხასიათი და სული.

„ქართული ქალების“ შრომაზე ჩვენ მეგობრულათ და სიამოვნებით ვიბაასეთ და გულწრფელად გამოვთქვით ჩვენი შენიშვნები და აზრი. მართალიც რომ ვთქვათ, ჩვენ ნამეტნათ სასტიკათაც მოვეპყარით იმათ წიგნს, ამიტომ რომ ვიცით, თვითონ იმათი და მათი მიზნადველების შრომიდან შემდეგში შეიძლება ხეირიანი სარგებლობა გამოვიდეს და მაშასადამე საჭიროა მათი პირველი შრომის გულ-და-გულათ განხილვა. „მნათობი“ კი სხვაა. იმას სულ სხვანაირათ უნდა მოვექცეთ: ამ რედაქციის შრომისაგან ჩვენ არაფერს აღარ მოველით; ის წიგნები, რომელიც დღეს უნდა დაგვიფასოთ, რედაქციის პირშო ნაყოფი კი არა, გვეონია, უკანასკნელიც არიან, რედაქციის და მისი თანამშრომლების ნიჭი და ძალა დიდი ხანია გამოაშკარავებულია, ერთი სიტყვით — ჩვენ ვიცნობთ მის საბრალო წარსულს და არ გვწამს მისი მომავალი. მაშასადამე ჩვენ ამ ჟურნალს მოვეპყრობით სრულიად გულგრილად, როგორც გარეშე საგანს, და ამის დაფასების დროს აზრათაც არ გვე-

ქნება, რომ ჩვენ სიტყვებს ან მისთვის, ან მისი მწერლებისთვის სარგებლობის მოტანა შეეძლოთ. ჩვენ თვალში მხოლოდ ერთი მიზანი და ერთი სარგებლობა გვექნება: ვაჩვენოთ მკითხველს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, თუ რა ვნება შეუძლია და რა შედეგი მოსდევს მწერლობაში იმისთანა საქმის თაოსნობას, რომლისთვისაც კაცი დამზადებული არ არის და რომლის ასასრულებლად იმას საკმაო გონება და ძალა არა აქვს.

„მნათობის“ მერვე და მეცხრე წიგნში მარტო ორი ორიგინალური სტატიია დაბეჭდილი: „ათი მტერს და ერთი მეგობარს“ უფ. ანტონ ფურცელაძისა და „მიმოხილვა“ უფ. ჯანაშვილისა. დანარჩენი წიგნი სულ ნათარგმნებისაგან არის შემდგარი. გადმოთარგმნილია შილერის „ფიესკოს შეთქმულება“ (ნათ. ნ. ავალიშვილისაგან), ბაირონის „დონ-ჟუანი“ (ნათ. ი. ბაქრაძისა) და ლევალდის „ქალების წინააღმდეგ და სასარგებლოდ“ (ნათ. ეკ. ლენინიაშვილისაგან). ლექსებიდან ორი ორიგინალურია და ერთი ნათარგმნი.

აქედგან იმას ნურავინ გამოიყვანს, ვითომ ჩვენ ვიწუნებდეთ თარგმნების სიმრავლეს. არა. უხეირო ორიგინალურ სტატიას არათუ ხეირიანი, უხეირო ნათარგმნიც გვირჩევნია, თუკი თარგმნის ღირსი თხზულება გადმოუღიათ. მაგრამ, თუმც უხეირო თარგმანი „მნათობის“ მწერლების უხეირო თხზულებებს გვირჩევნია, აქედამ არც ის უნდა იფიქროს ვინმე, ვითომ „მნათობის“ ნათარგმნები რათმე ღირდნენ. ჩვენ დიდი ხანია შეგვიწინააღმდეგებს, რომ „მნათობის“ რედაქციას და მწერლებს ერთი მეტის მეტათ ახირებული თვისება სჭირთ: ისინი ნიადაგ თითქოს საგანგებოთ ისეთ საქმეს და ისეთ თხზულებებს ეპოტინებიან, რომ არა თუ მორგვა, გაგებაც კი გაუჭირდებათ. ამას წინათ ისინი თავს ინტერვედნენ ორიგინალური სტატიების წერაში ისეთ საგნებზე, რომ მათ ცოდნას და ნიჭს არ შეეფერებოდათ. ამის დამნაშავე ჩვენ ვურჩიეთ იმათ „დროებაში“, ამ მძიმე საგნებს და უფრო უმძიმესების წერას თავი დაანებეთ-თქო და რისიმე თარგმნას შეუდექით. იქნება ეს უფრო მოგიხდესთ და თქვენი ძალის შესაფერი იყვესთქო. მისდგომიან, მას აქეთ, ეს ვაჟბატონები შილერს და ბაირონს და აწიოკებენ უმაღლოთ და უღვთოთ. ეს იმას ჰგავს, უხეირო მსაჯულს რომ უთხრათ, გვირჩევნია ხელში ბარი აილო ქუჩის გასაწმენდ-გასასწორებლათ-თქო, და იმან კი მთაწმინდას მიაღდეს და თხრა დაუწყოს, აქაოდა, ამ მთას გადავთხრი და მაშინ თბილისს გაშლილი ნდებარეობა ექნებაო. დაილოცა ღმერთო შენი განგება. რა მიხვედრას და გამჭრიახობას აძლევ ზოგიერთს შენს განაჩენს! ..

რა ძნელი მოსააზრებელია, თუ ღმერთი გწამთ, რომ რომელიმე მწერლის გადმოსათარგმნელათ თავდაპირველათ იმის ენის ცოდნა საჭირო? ვინ არ იცის, თარგმნის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ

რაც შეიძლება უფრო და სწორეთ გადმოსცეს მწერლის აზრი, და ამისთვის აუცილებლათ საჭიროა, მთარგმნელი იმოდენათ მაინც გონება გახსნილი და დამზადებული იყოს, რომ ამ აზრის გამოკვლევა და გაგება შეეძლოს? იმას ვინღა დაეძებს, რომ ამას გარდა მთარგმნელი მარტო ისეთ თხზულების გადმოთარგმნას ჰკისრულობდეს, რომ შინაარსი, დედა აზრი და გარეგანი ფორმა მის ხასიათს და ტენიის მიმართულებას ეთანხმებოდეს, ისე რომ იმას, თარგმნის დროს, იგივე გრძობა და იგივე მიმართულება გაუჯდეს ტენიში, რომელიც თვითონ მწერალს ამოქმედებდა. არც ერთი ამ მოთხოვნების გაგება არა აქვთ „მნათობის“ მთარგმნელებს. ისინი ჩაიგდებენ თუ არა ხელში რუსულათ დამახინჯებულ თხზულებას, მაშინვე თარგმნას დაუწყებენ და აკვეტებენ ან თარგმნას „მნათობში“, რა გაჭირვებისათვის, რა აზრით? ეს მარტო ღმერთმა იცის. ან ეს რა საკითხავია? რა გაჭირვება ადგია იმ კინტოს „ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელს“ რომ სთარგმნის რუსულათ აი ასე: „კუსოკ კუსოკ ობლაკ იდოთ ოტ ვისოკ ნებუუ?“—თარგმნის ეშხის მეტი, სხვა არაფერი. აი სწორეთ ეს თარგმნის ეძხი ამოქმედებს „მნათობის“ მთარგმნელსაც.

რა გამოდის ამნაირი თარგმნისაგან, ან თუ ვინდათ, ამას გვაჩვენებს ჩვენ ორიოდე მაგალითი. ავიღოთ, ვთქვათ, „დონ-ჟუანი“ და ვნახოთ, რა ნაირათ არის ის გადმოთარგმნილი ქართულ ენაზე.

[ბაირონის „დონ-ჟუანის“ პირველი სტროფის ინგლისური ტექსტი და მისი სიტყვა-სიტყვითი და გალექსილი თარგმანი „მნათობში“].

ადვილი რომ არ გვეწურებოდეს, ადვილათ შეგვეძლება მკითხველის გართვა „მნათობის“ თარგმანების შედარებით მათ ორიგინალთან. მაგრამ ეს ერთი მაგალითიც გვეყოფა, ით უფრო, რომ ის საგანგებოთ მოყვანილი როდია: ჩვენ ავიღეთ პირველი სტროფი „დონ-ჟუანის“ იმ ნაწილისა, რომელიც ამ უკანასკნელ წიგნშია დაბეჭდილი, და შევადარეთ ის თავის დედანს. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რანაირათ ესნისთ „მნათობის“ მთარგმნელებს, და იმ რედაქციას, რომელიც იმ თარგმნებს ბეჭდავს, დედანის აზრი, ირონია და კილო.

ან სხვა რა უნდა გამოსულიყო ამ თარგმნიდან? ვინ „მნათობი“ და ვინ ბაირონის „დონ-ჟუანი“? ის სამართებელსავით მჭრელი ირონია ის მღულარე გრძობა და ბრაზიანი სიძულელი, რომლითაც სავსეა ეს პოემა, დაუჭმუჭნელათ აბა როგორ ჩაიკეტებოდა „მნათობის“ თავში? მაშ რათ უნდა გვიკვირდეს ეს რიგი თარგმნა?

„ფიესკოს შეთქმულება“—თუ კი ეს შესაძლებელი საქმე იყო—უფრო უგვაროთაა გადმოთარგმნილი. უფ. ნ. ავალიშვილი ითვლენა ჩვენში კარგ მთარგმნელათ, ჩინებულ მწროცელათ,—მაგრამ საუბედუროთ იმას ისეთი თხზულება აუღია, რომლის გადმოთარგმნას ბევრი შრომა და დრო სჭირდება, ენების ცოდნას გარდა ამ შემთხვევაში იმის ნათარგმნი

სწორეთ ხელში აღებათაც არ ღირს, რადგანაც თარგმანს არა თუ დამწერის აზრი დაჰკარგვია, ქართული ენის კილოც ვერ მიუგნია. წაიკითხეთ, აბა, ვისაც გსურდეთ აი, ეს ალაგი (მეორე მოქმედების თავი) და გვითხარით ვაიგო თქვენმა მკითხველმა ერთი სიტყვა მაინც, რისი თქმა უნდოდა დამწერს? [არაბელას და ლენორას დიალოგის ნაწილი]. სწორეთ ამ ნაირივეა მესამე ნათარგმნი, ზარბიეს ლექსი, გადმომახინჯებული უფ. ლომაურისაგან. მაგრამ მიუტევეთ ამათ შეცოდებანი მათი, რადგანაც არ იციან, რას შერებიან, და ვუთხრათ, გამოთხოვების დროს, რომ უფ. ბაქრაძეს ტყუილათ კი არ გადაუსხვაფერებია ბაირონი: ის დარწმუნებულია, რომ როზგები ძლიერ კარგი რამ არის და სასარგებლოც „მნათობის“ მთარგმნელებისათვის, თუ სხვათრივ არა, ლექსთა წყობისთვის მაინც... ჩვენ კი იმ „დონ-ჟუანის“ დედანს უნდა შევადაროთ, რომელიც, როგორც გვარწიუნებს უფ. ი. ბაქრაძე „უროზგობას ბევრს ნანობდა“.

[ფანი ლევალდის თხზულების—„ქალების წინააღმდეგ და სასარგებლოთ“ თარგმანის შესახებ].

მაგრამ ან ეს რა საკითხავია? „მნათობი“ უმიზნოთ ბეჭდავს ყველაფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდება. განა იმას შეუძლია გვიპასუხოს—„დონ-ჟუანი“ რისთვის დაბეჭდა და არა „მანტრედი“ ან „სარდნაპალი“? რათ სთარგმნა „ფიესკო“ და არა „ზარზე სიმღერა“, ან სხვა რამე?—მისთვისო გეტყვის, რომ უფ. ბაქრაძემ გადმოთარგმნა და მოგაცაო. წადით და ჰკითხეთ მაშინ უფ. ბაქრაძეს და ის გიპასუხებებს—რა ვიციო, შეახვდა და დაუჯექიო. შეგვეფერება ჩვენ ეს თხზულება, ექნება იმას მკითხველ საზოგადოებაზე რაბე ზედმოქედება, თუ არა? აძლევს ნათარგმნი თხზულება პასუხს იმ კითხვებზე, რომელიც ან ეხლა აფიქრებს საზოგადოებას, ან მოკლე ხანში აფიქრებს,—ამისას ნურას ჰკითხავთ „მნათობს“ და მის მთარგმნელებს, ან პირებს და იმ რედაქციას, რომელიც თარგმნას კისრულობს და არც სხვა ქვეყნების ენა იცის, არც ლიტერატურის ისტორიის არის გაჩვეული...

კნარა თარგმნებზედ. გადავხედოთ ეხლა ორიგინალურს სტატიებსა. უფ. ანტონ ფურცელაძის სტატია „ათი მტერს და ერთი ნეგობარს“ „დროებაზე“ გამოლაშქრებაა. აგერ ერთი წელიწადი იქნება, რაც ეს ახირებული კაცი გაცხარებულათ ებრძვის „კრებულ-დროებას“. თავის ათიოდ მკითხველს არწმუნებს, რომ „კრებულ-დროებას“ საქვეს უჭირვებო. ამდენი ხანია „კრებულ-დროება“ ხან დაცინვით დასცქეროდა ამ ალიაქოთს, ხან ამბობდა შეუძლებელია ამ რიგ კაცთან ლიტერატურული ბაასის გამართვაო და ამას ერთიანად გადაურეგია ჩვენი ანტონი. დღეს ის ვითომ „დროების“ შინაარსს სიტჯავს 1871 წლისას და სინჯავს ეს მისი ჩვეულებრივი სინდისიანობით. ჩვენ ამ თხზულებაზე თითქმის არაფერს ვიტყოდით იმის მეტს, რომ ის ავადწყოფი

თავმოყვარეობის ნაყოფია, მაგრამ როცა გავიხსენებთ, რომ ეს სტატია მისი პირველი შეცდომა არაა, და, თუ კიდევ წაუყრუეთ, არც უკანასკნელი იქნება, ჩვენ საჭიროდ ვხედავთ გულდაგულათ გამოვეწუსაფოთ უფ. ფურცელაძეს და მისი თავმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ, პასუხის მიცემით თუ არა, პასუხის მოთხოვით მაინც. იმის გაცო ვიხსენებთ მის პოლემიკურ წარსულს და უმორჩილესად ვთხოვთ ყურის დაგდებას.

[ანტ. ფურცელაძე „დროება-კრებულის“ შესახებ აპრობს, რომ მისი მესვეურნი არა ობიექტურნი არიან ლიტერატურული ფაქტების შედარებისას].

უფ. ანტ. ფურცელაძე გვებრალებს, ვითომ ჩვენ მიდგომით და მეგობრობით გვექოს ისეთი უნიჭო და უხეირო თხზულებები, როგორც გ. წერეთლის „ჯიბრი“ და ამ სტრიქონების დამწერის „მელაღუმე“ და აგრეთვე მიდგომით და ხარზობით წაგვეყრუოს უფ. დიმიტრი ბაქრაძის „საქართველოზე“ და გვეძაგებინოს თვით უფ. ანტ. ფურცელაძის თხზულებები; ეს არის, ხომ, უფ. ფურცელაძე, თქვენი საფუძველი?

გავსინჯოთ ეს საფუძველები და ვნახოთ, რამდენათ საფუძვლიანი არიან თვითონ ესენი.

„ჯიბრის“ დაბეჭდვის დროს „კრებული“ ჯერ კიდევ ჟურნალად არ გამოდიოდა და მისი რედაქცია გ. წერეთლის ხელში არ ყოფილა. ამ სტრიქონების მწერალმა მისცა „ჯიბრს“ დიდი ნიშნავლობა და პირველი ადგილი „კრებულის“ მეორე წიგნში, და „დროებაშიც“ ორჯერ-საბჯერ ის აზრი გამოთქვა, რომ „ჯიბრი“ ძლიერ შესანიშნავი თხზულებააო. აი, რა საფუძველი გვექონდა ჩვენ, როცა, „ჯიბრს“ ვბეჭედით და ვაქებდით, და ვნახოთ, როცა ჩვენ ამ საფუძველს მკითხველებს წარვუდგენთ, დაგვეთანხმებიან თუ არა მკითხველები, რომ „ჯიბრის“ ბეჭდვაში და ქებაში ჩვენ მეგობრობით კი არა, კრიტიკული მსჯელობით ვხელმძღვანელობდით.

ჩვენ ლიტერატურაში ბევრი კომედიები მოიძებნება, და არც სცენები, არც დრამა, არც ტრაგედია დაკლებია ჩვენს მწერლობას. მაგრამ ჩვენ კრიტიკას—კრიტიკა რომ გაგვაჩნდეს—არ შეეძლო, არ შეენიშნა, რომ თითქმის ყველა ეს კომედიები და დრამები ერთ კალაპოტზე იყვნენ ჩამოსხმულნი, მერე უგვარო კალაპოტზე, ისეთზე, რომელიც ნიდაგ ყოველ თხზულებას ახდენდა, თითქმის ნიჭიერსაც. ჩვენ კომედიებში, მაგალითად: ყველაში ერთი და იგივე აზრი, ერთი და იგივე ინტრიგა, ერთი და იგივე მომედება და ბოქედი პირები გამოჰყავდათ მწერლებს; ვისაც ერთი კომედია ენახა, ნანახი ჰქონდა ყველა დანარჩენები. ყოველ კომედიაში უხდა ყოფილიყო გასაუქმებული სომეხი, მოლაპარაკე დაიტგრეული ქართული ენით, ისეთი ენით, რომელსაც არა თუ ჩვენი სომეხები, გუძინდელი ცოხული „ყაზილბაშიც“ არ ხნარობს. ყოველ კომედიაში მეორე კომიკურ პირათ უნდა ყოფილიყო „იმერელი“,

დაგრეხილი, დამახინჯებული ლაპარაკით, რომლითაც სრულიად არც ერთი ხალხი და არც ერთი კაცი არ ლაპარაკობს კავკასიაში. უნდა ყოფილიყო „რუსეთუმე“ აფიცერი, ან ჩინოვნიკი, ახალგაზრდა ქალი— მისი მოარზიყე გოგო, დედა და მამა. ახალგაზრდა კაცს ქალი უნდა ყვარებოდა, იმერელს—გოგო, და ორი ან სამი მოქმედების ბოლოს მტკერალს ორი ქორწილი ერთათ მიერთმეოდა.—ასეა ეს თუ არა?

ვნახოთ ეხლა, რა უნდა ეფიქრა ამ საგანზე კეთილ სინდისიანს მწერალს, ვისაც ახალი თხზულებების არჩევა და დაფისება რგებია.

იმას, რასაკვირველია, ეს კითხვა უნდა განეხილა: რა და რომელი მხარე ჩვენი ნამდვილი ცხოვრებისა, ჩვენი საზოგადოებისა, ჩვენი ხალხის მდგომარეობის და ხასიათისა გამოგვიჩინა და თვალწინ დაგვიხატა იმ კომედიებმა? ვხედავთ შიგ ჩვენს ხალხს, ჩვენს საზოგადოებას? გვხატება შიგ ჩვენი ხალხის საზოგადოების ლხინი, ან ჭირი, გვიდგება თვალწინ ჩვენი ნაცნობი პირები, რომელთაც ცხოვრებაში ხშირათ ვხედავთ, მაგრამ კარგათ, სასალამოთ კი მაინც ვერ ვიცნობთ? ყოვლად უეჭველია, რომ რაკი ის ამ კითხვებს გაიხსენებდა, იმ წამშივე უნდა ეთქვა: არა, ათასჯერ არაო! ამიტომ, რომ როცა საზოგადოთ ყველა კომედიებზე ნათქვამი, ერთი ორი ხეირიანი პიესა როდილა ითვლება.

სწორეთ ამ აზრის ვიყავით ჩვენ, როცა გ. წერეთელმა „ჯიბრის“ დაწერა. ამ თხზულებაში არც ერთი წინეთ მოთვლილი ნაკლულოვანება არ იპოვება. მწერალს ჩვენ ერთბაშათ გადაყვარათ სრულიად უცნობ წრეში, იმ წრეში, რომელშიაც გამოზდილა მთელი ჩვენი ახალგაზრდობა, მაგრამ, რომელიც არ გამოხატულა ჯერ მწერლობაში. იქ ჩვენ ნამდვილ, შეუფერავ, ცოცხალ ნაცნობებს ვხედავთ თითქმის დაგეროტიპული სამართლით გადმოხატულებს. ჩვენ გვესმის მათი ნამდვილი ლაპარაკი და ენა,—ეს არაფერია, მაგრამ ძალა იმაშია, რომ ჩვენ თვალებს წინ დგება მათი ნამდვილი ხასიათი, მათი მოაზრება, მათი ტვინი და გული. რამდენს უთქვანს „ჯიბრის“ წაკითხვის შემდეგ, „რა საკვირვლათ ჩამოგავს „ჯიბრის“ გამდელი ჩემსასო!“ საზოგადოთ, „ჯიბრის“ სურათების სინამდვილე ყველამ აღიარა, ყველამ იცნო და გამოთქვა.

ჩვენ ვხედავთ კიდევ, რომ ამ წრეშიაც სდულს „ბრძოლა“. ჩვენდასაუბედუროთ ჩვენს ცხოვრებაში სიყვარულს—ქალის იყოს, გინდ მამულის,—თითქმის არასოდეს ადგილი არ უკავია, ანას არც არვინ გრძობს, არც არავინ ეძებს, ან, თუ ეძებს, მისთვის არავინ იბრძვის. ჩვენში, როგორც ყოველ ღარიბ და ბინძურ საზოგადოებაში, ბრძოლა, ხასიათი, ვაჯკაცობა, დრო და ძალა ლუკმა-პურის და მიწის ნაგლეჯისათვის იხარჯება. რადგან ჩვენი ცხოვრება თითქმის არცერთ თავის შემთხვევას არ წარმოგვიდგენს, რომ კაცს ებრძოლოს და თავისი სიცოცხლე და ბედი შეეწიროს ან ქალის, ან მამულის სიყვარულისათვის, რანაირად, ან რისთვის უნდა ვწერდეთ ჩვენ ისეთ კომედიებს, რომელ-

შიაც მოძრავ ძალათ სიყვარული და გრძნობა სჩნდება, და რომლებშიაც მოქმედება სიყვარულზეა დაფუძნებული? ეს ჩვენ არ გვესმის, და გვეგონია, რომ გ. წერეთელმა ნამდვილი არტისტული გრძნობა გამოიჩინა, როცა „ჯიბრის“ მოძრავ ძალათ და მიზნით მებატონის საღარო გამოხატა.

ერთი სიტყვით, როგორც წრის, აგრეთვე მოქმედი პირების, ისე ბოლოს მოქმედების გამორჩევით, ჩვენის აზრით, „ჯიბრი“ ახალი მანერის ახალი კომედიების პროტოტიპი ვახდა. ამ მიზნით ჩვენ დავებჭედეთ და ვაქეთ ეს თხზულება და დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგშიაც ჩვენ ნწერლობას ხეირიანი ადგილი ექნება მიჩენილი „ჯიბრისათვის“.—თქვით, ეხლა, მკითხველო, ღირებულა „ჯიბრი“ ამ ქებათ თუ არა?

„მელაღუმე“ ამ სტრიქონების დამწერის თხზულებაა და, ამის გამო, ამ მოთხრობაზე ჩვენ იმის მეტი არა გვეთქმის რა, რომ იმას დიდი ღირსება არა აქვს რა და ძლიერ სუსტი თხზულებაა. ამაში ჩვენ უფ. ფურცელაძეს ვეთანხმებით.—მაშ, იტყვის ეს ვაჟბატონი. მე ამაში მართალი ვყოფილვარ, და თქვენ კი მტყუანიო.— არა, ჩვენო ბატონო, აქ, ამაშიაც როგორც სხვაში ყველაფერში, თქვენა ხართ მტყუანი, და ბარტო თქვენ. თუმც ამ „მელაღუმის“ ავტორი „დროებას“ ძლიერ უყვარს, თუმცა ის „დროების“ რედაქტორის ნეგობარია, აგრეთვე როგორც გ. წერეთლის, იცით რა აზრი გამოთქვა „მელაღუმეზე“ გ. წერეთელმა და რა აზრი დაბეჭდა „დროებაში“? აიღეთ 1871 წლის „დროება“, № 24 და წაიკითხეთ შიგ გ. წერეთლის ფელეტონი, რომელშიაც „მელაღუმის“ შეცდომების და ნაკლულოვანების ჩამოთვლის ბოლოს ნათქვამია, რომ ეს თხზულება მეტათ სუსტათ, ულახათოთ და ცუდლუტურათ დაწერილიაო. მიდგომა და მეგობრობა ამას ჰქვია თქვენში?

აი, ეს ვახლავსთ, მკითხველო, ჩვენი მიდგომით და მეგობრობით ნაქებები. ვნახოთ, აბა ეხლა ხარბობით და მიდგომით ნაძაგები [დომ. ბაქრაძის წერილი—„საქართველო“. ნამდვილი ისტორია ვერ დაიწერება. თუ არ იქნება გამოძებნილი მასალები. ისტორიის მოქმედი ძალა ხალხია და ხალხის ცხოვრება კი შესწავლილი არაა].

აგერ ათ წელიწადზე მეტია, რაც უფ. ანტონ ფურცელაძე ცოდვილობს ჩვენს ლიტერატურაში, და იმედია, ათიოდ წელიწადს კიდევ იცოდვილებს. მისდა საუბედუროთ, ეს ცოდვილობა იმას ფუჭთ ჩაუგლის. ათი წლის განმავლობაში ვერ გაუთელია იმას გზა მკითხველი საზოგადოების გულისა და ტვინის მოსაგებათ. რისთვის და როგორ მოხდა, რომ კაცი, რომელიც ოფლის ღვრით, ჰაპანწყევით და ვივაგლახით სწერს და ბეჭდავს თავის თხზულებებს ათი წლის განმავლობაში, მკითხველ საზოგადოებას მწერლათ არ მიიჩნია? რა მიზეზია, რომ მის სიტყვას და ნაწერს იმდენი გველენაც არა აქვს საზოგადოებაზე, რამდენიც აქვს გუშინდელ ან გუშინწინდელ მწერალს?

აი ამის მიზეზი.

ჯერ ერთი ეს, რომ არც ერთხელ არ გამოუთქვამს უფ. ფურცელ-
ლაძეს არც ერთი ისეთი მტკიცე, მარჯვე და საფუძვლიანი აზრი, რო-
მელიც პირდაპირ ვახურებულნი შანთივით შედის მკათაველი საზოგა-
დოების ტვინში და მკითხველს უნებურათ ათქმევინებს: „ღვთის მად-
ლმა ეს მართალიაო“. არც ერთხელ არ მიუგნია უფ. ფურცელაძეს
ამისთანა აზრისთვის და არც ერთი სტრიქონი არ დაუწერია თავის
სიცოცხლეში ისეთი, რომელშიაც მართალ აზრს კუდათ გამობმული არ
ჰქონდეს ისეთი უკვარო და უხარბაზარი შეცთობა, გადაჭარბება ან
სიცრუე, რომელიც ერთბაშათ ძალას უკარგავს მის თხზულებას და
მკითხველს ათქმევინებს:—„ძნობილო, სტყუიო!“

მეორე მიზეზი უფ. ფურცელაძის უსარგებლო და უნაყოფო ცოდ-
ვილობისა არის უფ. ფურცელაძის „ცოდვიანობა“. ესე იგი ის, რომ
უფ. ფურცელაძეს შუბლზე აჩნია ერთი მონაკვეთიებული ცოდვის დალი,
რომელიც საფლავანდის არ ასცილდება და საფლავშიაც გაუწვავს შუბ-
ლის ძვალს. ეს „ცოდვა“ აი რაში მდგომარეობს.

1863 ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა.
ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება
თავის უწინდელ კალაპოტს ცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა, ან,
უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, არ აპირებდა, მაგრამ უნდა შესულიყო
და როცა მეორეს მხრით ატყდა სასტაკი ბრძოლა ახალგაზრდობისა—
ესე იგი ახალი ცხოვრებისა და ძველი კაცობის, ესე იგი, ძველს წესს
და სჯულს შუა? როცა ატეხილია ბრძოლა, როცა სდულს ცხოვრება,
ყოველი პატიოსანი კაცის ვალია ან ერთ რაზმში, ან მეორეში ჩადგეს,
როგორც ურჩვეს გული, აზრი და ნიპართულება. ბრძოლა, ესთქვით,
სასტიკი ატყდა. რაც კი რაზე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი
წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველა იცნო ის პატიოსანი მომავლის
დროშა. რომელიც მხნეთ ეკავა ილ. ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა
კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარში“ და აინაირათ იმ ბრძოლაში, რო-
მელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა სჩანდა
ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდულდა ძველს
და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში.

ბრძოლას ქვეყნის შექმნიდამ ერთი და იგივე კანონი ჰქონია, და
ქვეყნის დაბოლოებამდე ერთი და იგივე კანონი ექნება. ბრძოლის ეგლ-
ზე ერთგულება, დისციპლინა და თავისი თავის დავაწყება და შეწირვა
მთელი რაზმის სასიკეთათ, ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება უაღ-
რესი კანონი ყოველი პატიოსანი მებრძოლისა. მაგრამ წარმოვიდგინოთ,
რომ რაზმიდამ გამოხტა ერთი უბრალო მოლაშქრე, შეცუნდრუკდა,
შეხტა, შეტრიალდა, თუ რატომ მე არ მიჭირავს დროშაო, ან სხვა რა-
მე მიზეზით, და გაიქცა მტრის რაზმისაკენ, მტერს გვერდით ამოუდგა

და ხელი გაუწყო, წაეხმარა, გზა აჩვენა. ეს მაგალითი იშვიათია, ამი-
ტომ რომ ბუნების და პატიოსნების უპირატესი კანონების წინააღმდე-
გია. მაგრამ ეს მაგალითი მოხდა ჩვენში, მოხდა ჩვენს მწერლობაში
და ეს მაგალითი მოახდინა უფ. ანტ. ფურცელაძემ.

დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავს „საქართველოს
მოამბის“ საქმე, მაგრამ არც 1863 იყო ეს დაფარული ვისმესთვის.
ყველა უგრძობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნ-
და ჩაებერა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენე-
ბინა ახალი გზა, შეექნა ახალი სასიყვარულო მიზანი,—მამულის, საზო-
გადოების სიკეთე და ღირსება. ის მწვავე სიტყვებით დაღვიდა და
ჰკლავდა ძველი საზოგადოების უმეტრებას და სულგრილობას საზოგადო
საქმისათვის და ქადაგებდა საზოგადო საქმისა და სიკეთისათვის შრო-
მას, თავის დადებას. მაშინ, როგორც ვხვდებით, ყოველ პატიოსან კაცს
შიაჩნდა, რომ მისი უპირველესი ვალი იყო იმ სიტყვის გავრცელება
და მისი ძლიერების მომატება ახალგაზრდობაში.

რა ჰქნა ამ დროს უფ. ფურცელაძემ?

ეს ბედშავი ვითომ მწერალი ადგა და მიადგა კარზე უფ. კერესე-
ლიძეს, რომელსაც არც ცოდნა, არც ნიჭი, არც აზრი, არც ხეირი
ჰქონდა ახალ თაობასთან ბრძოლაში გამოსასვლელათ. ეს ორი ერთივე
ღირსების მწერალი შეატყუა ერთმა და იმავე გრინობამ—„საქართვე-
ლოს მოამბის“ სიძულვილმა და ამ ბუნების წინააღმდეგე, ბინძურ
დაქუეშირებიდამ გამოვიდა პოლემიკა „საქართველოს მოამბის“ წინააღ-
მდეგ.

რას ამბობდა უფ. ფურცელაძე?

იმას, რომ „საქართველოს მოამბე“ უნიჭოა, რომ მისი მწერლები
მიდგომით და მეგობრობით სწორენ და მოქმედებენ, რომ იმას უფ.
ფურცელაძე სძულს, „ცისკარის“ ხელის მომწერლები ეხარბება, ნამდვი-
ლი რწმუნება არა აქვს, რომ ჭავჭავაძის ლექსები კი არა, ოფლის
ღვრაა, რომ მათში ცრუ, მოგონილი გრძობის მეტი არაფერია, რომ
„მუშა“ უკვარო და „გუთნის დედა“ უხეირო ლექსია და სხ. ის ამტ-
კიცებდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ არც ერთი წვეთი მამულის
სიყვარული არ აქვს და ნამდვილი მამულის სიყვარული, ნამდვილი პა-
ტიოსანი შრომა, ნამდვილი ღიბერალობა უძღვის მარტო „ცისკარის“
რედაქტორს უფ. ივ. კერესელიძეს და ანტ. ფურცელაძეს, და არა ჭავ-
ჭავაძეს და მის „მოამბეს“. რა გამოვიდა ამ ბრძოლიდან? დიდი არა-
ფერი, იმას გარდა, რომ ცხოვრების ახალ წრეში შესვლით გაბრუე-
ბულმა ძველკაცობამ ცოტათი სული მოიბრუნა, როცა დაინახა, რომ
ახალს, საშინს მტერს, რომელიც ახალი ცხოვრების საჭიროებებს ქადა-
გებდა, შეუყვება და შეეტაკა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ბრძო-
ლაში ახალ სიტყვებს ხმარობდა. მაგრამ თუმცა ამის მეტი ვნების მო-

ტანის ღონე და ძალა არ მისცა უფ. ფურცელაძეს მისმა ნიჭმა და ცოდნამ, უეჭველი კი არის, რომ თვითონ იმას ძლიერი გულით უნდოდა უმეტესი ვნების მოტანა, უალრესი ბაიყუშობის ჩადენა: იმას უნდოდა ახალგაზრდობის გულში ეჭვი და გულგრილობა ჩაეწვეთნა იმ მიმართულებისათვის, რომელიც გამოითქმებოდა „მოამბეში“ და რომელშიაც იყო მომავლის ძალა და იმედი. ამ სიკეთის დაყრას ცდილობდა უფ. ფურცელაძე, ამას უმზადებდა ის ჩვენ ნწერლობას, როცა ეს მწერლობა აკვანში იწვა.

და ეხლა, ეს ბაიყუში თხოულობს, რომ ჩვენმა მწერლობამ პატივისცემის იმას, რომ ამ მწერლობამ შეირიგოს ის, ვინც შეუვინა და შეურაცყო ამ მწერლობის ძუძუს მწოვებელი დედა და რომელმაც აკვანი ტალახით და მტვერით აუესო. როცა მწერლობა აკვანში ხელ-ფეხ ჩაკრული და შესუდრული იწვა? ანა ითხოვს ჩვენგან უფ. ფურცელაძე, როცა გვაყვებრის სიძულილს, დევნას.

დაახაც, ჩვენ ვსდევნიდით და ვსდევნით უფ. ფურცელაძეს. როგორც ჩვენს დღეში ხელს არ მიეცემთ და არ შეურიგდებით იმას, ვინც შეგვივინა დედა ან და, შეუძლებელია ჩვენსა და ფურცელაძეს შუა კეთილი განწყობილება, ეს, მგონია, ადვილად გასაგებია. უსამართლობა იქნება, განა, შენის მხრით, ან მიდგომა, მკითხველო, უარი რომ სთქვა იმ კაცთან ცხოვრებაზე და შეგობრობაზე, რომელმაც თავისი კერძო სიამოვნებისათვის მოსწამლა ვინმე? არა გვგონია; და თუ ჩვენ ამაში ვსტყუით, ქვეყანაზე აღარ ყოფილა აღარც სიკეთის სიყვარული, არც ცუდის სიძულილი.

აი, ეს არის ჩვენი „მიდგომა“, ეს არის ჩვენი გრძობა უფ. ფურცელაძის შესახებ.—„დროების“ რედაქცია, როცა ის გ. წერეთლის ხელში იყო და შემდეგაც, სცდებოდა, ჩვენის აზრით, რომ ზეჰდდა უფ. ფურცელაძის თხოულებებს, მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ შეცდომა იმას სულგრძელობით მოდიოდა. და რადგანაც გულკეთილობა ხშირად უხასიათო გულ-რბილობას ჰგავს, ეხლა, რასაკვირველია, ათასჯერ ურჩვენოდა მისი ნაჯღაბები არ დაეზღდა და უპირატესობა მიეცა ვინმე მოენიძისათვის, რომელსაც არ ეცხო უფ. ფურცელაძის ტლაპო. ამითაც სარგებლობს ეხლა უფ. ფურცელაძე. ვაი ანისთანა სარგებლობას! ეს იმას ჰგავს მასკარადში ხელი რომ მისცე და განოვლაპარაკოთ კარგათ შეხვეულს და პირ-ღამალულს დიაცს, რომელსაც მოძრავი თვალების, თეთრი კბილების და პაწია ხელების მეტი არა მოუჩანს რა, და მეორე დღეს ისევე დიაცი პირგადანჯილი რომ მოგადგეს და ლანძღვა დაგიწყოს, რატომ მკლავს მკლავში არ მიყრი და ისე არ მასვირნებ საზოგადოებაში, გუშინ არ იყო, მასკარადში მთელი საათი მელაპარაკე, როცა ლურჯი მასკა მედვა პირზე და შავ დომინოში ვიყავი შესუდრული.

ჩვენი საქმე ადვილათ გასასჯელია. თუ მოიძიება ერთი ხეირიანი მკითხველი, რომელიც იტყვის და დაგვიმტკიცებს, რომ უფ. ანტ. ფურცელაძეს ხეირიანი მწერლის ნიჭი, სწავლა, თავდაკავება, მიმართულება და სინიღისი აქვს, და თუ ამას გარდა ის დაგვიმტკიცებს, რომ მისი „ცოდვა“ მისატყვებელია,—ბატონი ბრძანდებით, ვიტყვი, დანაშაულები ვართ-თქო, მაგრამ ამის დამტკიცება შეუძლებელია. ეს ისე ცხადია, როგორც ცხადია ის, რომ რასაც სწერდა უფ. ფურცელაძე 1863 ჰავჭავაძის და „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ, იმასვე სწერს ის ეხლა ჩვენს წინააღმდეგ. ის ხმარობს „კრებულის“ და „დროების“ შესათხუზნავათ სწორეთ იმ ტალახს, რომელსაც ხმარობდა „საქართველოს მოამბისთვის“. ჰავჭავაძეს და „საქართველოს მოამბეს“ ამით არათფერი დააკლდა და იწედი გვაქვს არც არა რამ ბევრი „დროების“ და „კრებულის“ დააკლდება, მაგრამ იარალი და ბაიყუში კი იგივეა. მისა-საღამე, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ უწინდელი შეგონება, მით უფრო, რომ ეხლანდელსაც იგივე წყარო, ხასიათი და მიმართულება აქვს.

რას იტყვის ამაზე უფ. ფურცელაძე? ალბათ იმას, რომ რასაც ვფიქრობდი და ვგრძნობდი, იმას ვწერდიო. მაგრამ მისდა საუბედუროდ, ჩვენ ამისი თქმის შეძლებაც მოუკვეთეთ. აი, რა ნაირათ: 1870 „დროების“ რედაქციას მოუფიდა უფ. ანტ. ფურცელაძის კორრესპოდენცია „გორიდან“, რომელშიაც ნაქები და ზეცამდი აყვანილი იყო... მიხვდით აბა ვინ და რა? ილია ჰავჭავაძის ლექსები!!! რასაკვირველია, ეს კორრესპოდენცია ჩვენ მაშინვე დაგბეჭდეთ, მაგრამ დამწერის სახელი კი არ მოვაწერეთ, და მხოლოდ ორი მისი ასო დაუსვით ა. და ფ. („დროება“, 1870, № 39). ამას შემდეგ თქვას აბა უფ. ფურცელაძემ, რომ გულწრფელათ და სინდისიანათ ვამტკიცებდიო ჰავჭავაძის ლექსების უხეირობას და ცრუ გრძობით წერასაო.

ან იქნება ის თქვას, ყველაფერში არ ვეთანხმებოდი „მოამბესო“ და ჰავჭავაძის ნაწერებსო? ვინ არ იცის, რომ ყველაფერში ორი ან სამი კაცი თანახმა იშვიათად იქნება, განა ამ სტრიქონების დამწერი ყველაფერში ეთანხმება, მაგალითად გ. წერეთელს, ილ. ჰავჭავაძეს, აკ. წერეთელს ან ს. მესხს? ან, განა ესენი ყველაფერში ეთანხმებოან იმას? არა. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთი კითხვებზე ჩვენ სხვა და სხვა აზრისა ვართ, მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვექონდეს, ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულათ ვმსახურებთ, და თუ წვრილმან აზრებში, წვრილმან საგნებზე, ან შემთხვევებზე ერთმანეთის პატივისცემის შეწყვეტის ნებას არ გვაძლევს და ერთმანეთში ბრძოლას როდი გვაწვევინებს. ასეა ყოველგან. ყოველ შრომაში, უამისოთ შრომა და ერთად საქმის წაყვანა შეუძლებელია.

თუ ასეა და, უფ. ანტ. ფურცელაძეს ერთილა პასუხი რჩება: უმ-

თავრესი მიზანი ჩვენ (ესე იგი იმას და ჭავჭავაძეს) ერთი და იგივე არა გეკონიაო.—მადლობა ღმერთს, თუ ეს გამოთქვა უფ. ფურცელაძემ. თუ ეს ითქვა, მაშ რისთვის უნდა ვიყოთ მისი თანა მოაზრე? რისთვის უნდა ვთვლიდეთ იმას ქართული ლიტერატურის წვერათ და მშრომელათ, თუ იმას ქართული ლიტერატურის მიზანი არ აქვს სახეში, თუ ის ამ ლიტერატურის მიმართულებას არ იცნობს და მის საწმეს არ ემსახურება?

მეტი არა აქვს სათქმელი უფ. ფურცელაძეს,—ამას ჩვენ ვეღარ წარმოვიდგენთ. მაგრამ ჩვენ კი გვაქვს კიდევ სათქმელი. რა აზრი უნდა იქონიოს კაცმა იმ მწერალზე, რომელსაც არ შეუძლია წარმოიდგინოს სხვაში ან გულწრფელი და პატიოსანი შრომის სურვილი, ან უანგარო სიყვარული და საზოგადო სიკეთისა და რომელიც ყოველ მწერალში ხედავს მხოლოდ ხარბ, უსინდისო და უპატიოსნო კაცს? ამისთანა მწერალზე კაცმა უნდა იფიქროს, რომ თუ იმას პატიოსნების წარმოდგენა არ შეუძლია, ეს იმას ნიშნავს, რომ პატიოსნების გაგება არ აქვს, რადგანაც კაცი მართო იმას იგებს და ცნობს სხვაში, რასაც თვითონ გრძნობს და რაც თვითონვე აქვს.

[ინგილო ჯანაშვილის წერილის—„მიმოხილვა, კორესპონდენცია საინგილოდგან“ შესახებ].

სხვა „მნათობში“ არაფერია ორიოდ „ლექის“ მეტი, რომელნიც უფ. ლომაურის და ზურაბ მოენიძის მუშებს ეკუთვნიან, მაგრამ მკითხველი ადვილათ გაგვათავისუფლებს ამ ლექსების გარჩევისაგან.

6. სკანდელი

„კრებული“, 1872 წ. მეთე-მეთერთმეტე-მეთორმეტე წიგნები

ანტონ ფურცელაძე

საწყალი კუდაზიკა!

(„კრებულ-დროება“ და იმათი ყვინჩილობა)

აი ის დანაშაულნი, რომელსაც მე მდებს სკანდელი.

1. რომ მე, ანტონ ფურცელაძე, ტყუილათ ვამტკიცებ, რომ „დროება“ და „კრებული“ სიცრუით და მოყვრობით აქებს მეტი და მტრობით აძაგებს სხვების ნაწერებს და ეგრეთვე ისე პირთა და ტყუილათ ვწამებდე „დროებას“ უსვინდისობას.

2. რომ მე, უფ. ანტონ ფურცელაძეს, მაწერია შუბლზე ერთი მომაკვდინებელი ცოდო, რომელიც სიკვდილის უკანაც შუბლს გამიხვრეტს. და ეს ცოდო არის ის ცოდო, რომ მე ვბედავდი „საქართველოს მოაზრებულ“ წინააღმდეგ ლაპარაკს იმის მტრობითა და ახალგაზრდობის მტრობით.

3. რომ მე, უფ. ანტონ ფურცელაძე, ვჭადაგებდი ძველს აზრებს და ვიდექი ძველი აზრების მჭადაგებლის მხარეს და ვებრძოდი ახალს სწავლასა და აზრებს.

4. რომ მე, უფ. ანტონ ფურცელაძე, ვამტკიცებდი, რომ კერესელიძის ნეტს არავის პატიოსანი შრომა, ნანდვილი მიმულის სიყვარული და ნანდვილი ლიბერალობა არ უძღვისო.

5. რომ მე აღრევე სხვას გავიძახოდი ილია ჭავჭავაძის ლექსებზე და ახლა სხვასა.

6. რომე მე, უფ. ანტონ ფურცელაძემ, არ ვაღიარე უფ. სკანდელი და იმისი კომპანია წარმომადგენელად ახალის თაობისა და ახალის აზრებისა...

მე ყველა ამ ბრალდებებზედ ვეცდები ცალ-ცალკე უგო პუნქტებრივ პასუხი...

პასუხი პირველი მუნჯიხისა

ჩემს სტატიებში „კრებულ-დროებას“ და „ათი მტერს, ერთი მოყვარეს“ აი რა დაუმტკიცე მე ამ ორს ორგანსა—„კრებულ-დროებას“:

ა) „კრებული“ უფ. წერეთლის პირით ამბობდა, რომ ვაი იმ შურნალის ბრალეცა, რომელშიაც ფურცელაძე ფებს ჩასდგამსო. ამაზედ მე ვკითხე უფ. გიორგი წერეთელს: მედგა მეტი თუ არა ფები „დროებაში“. როდესაც წერეთელი იყო რედაქტორი ამ გაზეთისა. მე წარუდგინე საბუთები, რომ არამც თუ მედგა, არამედ უფ. წერეთელი თითქმის გენიოსათაც მრაცხავდა.

ბ) დიმიტრი ბაქრაძის „საქართველოს“ შესახებ უფ. გიორგი წერეთელმა დასწერა, რომ ბაქრაძისა ენაც ძველია, აზრებიც, თითონაც და ჰკუის ხმაც ტყუილათა აქვსო. ამაზე მე მივეც წერეთელს კითხვა: იყო ეს ისტორია და სხვაც რაძე დაწერილი ბაქრაძისა „დროებაში“ მაგის რედაქტორობის დროს თუ არა? წაუყავ ცხვირი წერეთელს და ვუჩვენე რომ „საქართველოცა“ და სხვებიც კიდევ უფრო ბაქრაძის ნაწერები იყვნენ დაბეჭდილი „დროებაში“ მაგის რედაქტორობის დროს. რისგან მოხდა, რომ მაშინ კარგი იყო, როცა წერეთელი ჰბეჭდავდა და ახლა აღარ ვარგა?

გ) წერეთელი თავის სტატიებში ამტკიცებდა ფურცელაძის უნიჭობას და მოენიძეს ჰსახავდა გენიოსად. დაუმტკიცე, რომ ფურცელაძე და მოენიძე ერთი და იგივე პირნი იყვნენ.

დ) წერეთელი ამტკიცებდა, რომ ჩემი ტრაგედია „დიდი მოურავი“ არის ოც მოქმედებიანი. წაუყავ ცხვირი და უჩვენე, რომ არის ხუთ-მოქმედებიანი.

ე) უფ. სერგეი მესხი მწაზნებდა, ვითომც ჩემს რომანში „მაცი ხვითა“ მქონდეს ნათქვამი, რომ მკვდარი კაცი წამოშობარყვეს და ტიტა

სხეებისთვის თავდადებული გრძნობა ერთბაშით იტყობს, რომ სხეები-საგან მიტოვებული და დავიწყებულია, რომ ის მარტოხელა ჩავარდნი-ლა „უფსკრულს ვაგებისას“ და დამხმარე, ნუგეში, ხელის გამწყობი, აზრისა და ბედის თანამოზიარე არსაით ჰყავს. ბედნიერია, ვინც ამ გან-საცდელს გადარჩენია, და ვისი იმედი და პატიოსანი გრძნობა იმ „უფ-სკრულის ვაგებაში“ არ ჩარჩენილა, სადაც მომაკვდინებელი გაუთავებ-ლობით მილოლავს წუთი-წუთზე და საათი საათის შემდეგ. ჩვენი პოეტი, როგორც იქნა, გამოვიდა ამ ვაგებისაგან, მაგრამ აი რა იგრძნო იმან თავის ქვეყანაში ხელახლავ ფეხის შედგმისთანავე:

პირველად მზის შუქს თვალთ ვერ უძღეს, დავითი უნათოდ

მშობლის ხეების წილ შევხვდი ახალს მუნ ვაგებას!..

და ამ ახალი ვაგების ძალით დაჩაგრული, უიმისოთაც გულდა-წყვეტილი პოეტი უიმედობას მიეცემა:

ვისგან და ვისთვის განიხაროს აწ გულმან ჩემმან?

ხვალე არღა მწამს, ვით ღამეში მადეური სხივი.

მკითხველს ახსოვს წინეთ ამოწერილი ლექსი „მ-ს“. ებლა ჩვენ შვირე ლექსს ამოვწერთ „მ-დმი“, რომელიც გვაჩვენებს, თუ რა თვა-ლით უყურებდა პოეტი იმ საზოგადოებას, რომელშიაც სცხოვრობდა, და რა შთაბეჭდილება მიუღია იმას ამ საზოგადოებაში:

თაყვანისმცემელთ როს გუნდი თავსა გველგება ფარვანებრ

მორით ვხივარ, შორით ვიმზერ, შემოგზარი და მეცინის!

რა ექნა პოეტს, როცა საზოგადოების ცხოვრება, სხვა მხრივ და-ხშული და დახვესიანებული, მარტო ამ მხრით წარმოუდგენდა პოეტს მოქმედების და სიამოვნების ასპარეზს. პოეტიც გულდაწყვეტილი ცხოვ-რების ტალღას მიჰყობდა და მისი გრძნობის ძალა, მისი გულის სიმსუბ-რევე, რომელიც სხვა განწყობილებაში რომ ყოფილიყო, სხვა საზოგა-დოებაში რომ გამოსულიყო, უფრო მაღალ და პატიოსან საგანს ამო-ირჩევდა, უფრო სასარგებლო და გონიერს მიზანს გამოადგებოდა, — იღევა ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად პაწია საგნების და პაწია სურვილების დაკმაყოფილებაში.

როს გხედავ მნათო

გული ჰგრძნობს კვალად სურვილსა.

საბრალოა იმ საზოგადოების და ხალხის ბედი და მომავალი, რო-მლის უმჯობესი შეიღების ძალა ამ გვარ მცირედ და დამამცირებელ მიზნით უნდა კმაყოფილდებოდეს, ამისთანა წუთიერ საგანს უნდა ემსა-ხურებოდეს. საბრალოა იმ ხალხის მდგომარეობა, რომლის უნიჭიერესი შეიღები „ზეგარდმო მადლით ცხებულნი, ვის მხოლოთ ღვაწლი არს

კეთილ და მხარე დამშვენებული“, ასე ფუჭათ ლევენ ცხოვრებას და ნიჭს, თითქმის უნაყოფოთ და უსარგებლოთ თავიანთი ქვეყნისა და ხალხისათვის...

ბოლოს პოეტი, სიბერის დროს, თავის პირველ ოცნებებს, თავის უწინდელ აზრის მოზიარეს და ამხანაგებს იხსენიებს:

ან რაღას ველი სოფლისაგან

და ვასწყველი ფუჭად წარსულსა...

მაგრამ, ერთის მხრით რომ თქვას კაცმა, ეს უკანასკნელი გრძნობა, რომელიც კაცს გულს უკლავს და ნაღველი ავსებს, თან ცოტაოდენ სიამოვნებას და იმედსაც ჰბადავს. ის გვიჩვენებს ჩვენ, რომ პატიოსან გრძნობას და ამაღლებულ მიზანს, ყმაწვილურ ოცნებას და აღთქმას იმისთანა ხანგრძლივი სიცხოველე და ძალა ჰქონია, რომ კაცი, რომელ-საც ისინი ოდესმე გაუცნია, იმათ ველარ ივიწყებს. მის გულს ვერ ახა-რებს და ვერ აბედნიერებს თითქმის ყველა იმ ნეტარების შოვნა, რო-მელნიც სხვებს უღარეს ბედნიერებათ მიაჩნიათ. რა გინდ ამაღლებული იყოს ის ცხოვრებაში, რა გინდ ბედნიერათ მიაჩნდეს ის საზოგადოებას რა გინდ მენატრიდეს იმის ბედს ბრმა ხალხის უგნურება, ის თავის გულში მაინც იტანჯება და კმაყოფილებას ვერ ჰპოულობს, — „რაც ვი-ყავ იგი აღარ ვარ, ვერც კი ვპგრძნობ, რაცა მიყვარდაო!“ ჰუიქრობს ის დღე და ღამ, თითქო მომაკვდინებელი ცოდვის დაღი დასმოდეს მის სინდისს.

5. სკანდელი

კრებული, 1873 წ. № 3

ნიკო ნიკოლაძე

„გლახის ნაამბობი“

(„გლახის ნაამბობი“, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა („კრებული“ 1873, 1—3)

„გლახის ნაამბობი“ 1859-შია დაწერილი, პეტერბურგში. ილ. ჭავ-ჭავაძის თხზულებებში ეს მოთხრობა იმ ნაწერებს ეკუთვნის, რომელთაც ამ მწერლის პირველი პერიოდის და პირველი მანერის ბეჭედი ასვიათ. ის ბევრით განისხვავება „კაცია, ადამიანისაგან“, „გლახების გათავის-უფლების სცენებიდან“ და საზოგადოთ იმ თხზულებებიდან, რომელნიც ჭავჭავაძის დიავაჟაცებულ გონებას და ნიჭს ჩვენი მწერლობისთვის უკ-ვლევია. „გლახის ნაამბობში“ ჩვენს წინ ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზა გამოურჩეველი მწერალი დგას, რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობას გავლენა აქვს, რომელსაც მიბაძვა თავიდან ვერ აუცილებია და რომელიც სხვისი კილოთი, სხვისი ენით ლაპარაკობს. შემდეგ ჩვენ

სხვა თხზულებებში ეგვეგ მწერალი ვაეცანით, თავის საკუთარ გზაზე დამდგარი, სხვის ვაგლენისა და მიზაძვისაგან გათავისუფლებული, ბეჯითად მოლაპარაკე თავისი საკუთარი ენით და თავისი საკუთარი გრინობის გამოთქმელი. და ეს „გლახის ნაამბობი“ ჩვენთვის მით უფრო შესანიშნავია, რომ ამ ჩინებული მწერლის პირველ ნაბიჯებს გვიჩვენებს. მის უწინდელ გზას ვაგვაცნობს, მის პირველ ენის ამოდგმას გვასწრებს: ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის ამით დიდი წინსვნილობა ეძლევა ამ მცირე მოთხრობას, უფრო მეტი, ვინემც იმას მისი საკუთარი ღირსება და მისი ნამდვილი ფასი მისცემდა.

ამ მოთხრობას, როგორც ვთქვით, უცხო ქვეყნის მწერლობის ვაგლენა ატყუია. რუსულ მწერლობაში ამ ოცი წლის წინათ ერთი ისეთი მიმართულება დაარსდა, განსაკუთრებით ბელეტრისტიკაში, რომლის ნაწილებს და ჩინებულს სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ „გლახის ნაამბობი“. როცა ეს მწერლობა ათასნაირ ჭახრაკ წაჭირებულ იყო, და თავისი მაშინდელი გულის-წადილის განოთქმას ვერ ახერხებდა, იმ გულის-წადილს, რომელსაც თანა-უგრძობდა მთელი მაშინდელი გონიერი და სინილისიანი საზოგადოება, ის სხვა და სხვა კილოთი, სხვა და სხვა მოხერხებული ვადაკრულ-ვადმოკრული სულის ნაწივით ჰბედავდა ხოლმე თუ არ გამოეთქვა, ცოტაოდნათ მაინც ვაგესენებია მკითხველისათვის ეს გულის წადილი. როგორც მკითხველმა იცის, მაშინ რუსული საზოგადოებისა და მწერლობის უმთავრესი გულისწადილი და იდეალი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსპობილიყო როგორმე ის უჯიშო და კაცის დამდაბლებელი ბატონ-ყმობა, რომელიც სულს ართმევდა რუსეთელ ხალხს და ნიადაგ დაბრკოლებათ უდგა საზოგადოებებს წარმატებას და წინ წაწევას. ამ საერთო და საყოველთაო გრძობას ვერ გამოთქვამდა იმ დროინდელი რუსული მწერლობა, ამიტომ რომ მწერლობის ვარემოებები იმის გამოთქმის ნებას არ აძლევდენ, რაც მწერლობას დაარსებულ კანონებში და განწყობილებებში საენებელ და შესაცვლელ რათმე მიაჩნდა. მაშინ მწერლობამ, რომელსაც ამ მხრით თავისი აზრისა და გრძობის გამოთქმა არ შეეძლო, უფრო მოთხრობებს, რომანებს და დრამულ თხზულებებს მიაწვა, რომლებშიაც კარგათ თუ ავად გლენ-კაცური მდგომარეობის შებრალების გამოსახვა შეიძლებოდა.

მაშინდელმა Современник-მა მოლაში შემოიღო ისედი ბელეტრისტული თხზულებების ბეჭდვა, რომელშიც გლენ-კაცობა გამოყვანილი იყო კაცურ კანში, ამ თხზულებებში ნიადაგ ის აზრი იყო ვაყვანილი, რომ გლენებიც კაცები არიან, ამათაც გრძობა აქვთო, ამათაც ბედნიერება და კეთილდღეობა სჭირიათო, ამათაც გული აქვთო. მაგრამ რადგანაც იმ დროის მწერლობაში თითქმის მარტო რომანების და ფელეტონების ბეჭდვა შეიძლებოდა, და ამ თხზულებებშიც მარტო სიყ-

ვარულზე და ქალისა და კაცის გულზე ლაპარაკის ნება ჰქონდა მწერალს, Современник-მაც ბატონ-ყმობის საქმე სიყვარულის ასპარეზზე ვადაიტანა. მის რომანებში და სხვა თხზულებებში ნიადაგ ის ერთი და იგივე ანბავი იყო აღწერილი, რომ გლენს გლენის ქალი შეუყვარდა. მაგრამ ბატონის ძალამ, ვაგლენამ და ძალადობამ იმისი ბედნიერება მოსპო და ორი კეთილი გული, ჩვილი გრძობიერება და სული დასტანჯა, დააობლაო. მაშინდელი რუსული საზოგადოებისათვის იმ დროს ეს დიხაც საჭირო და სასარგებლო მწერლობა იყო. მკითხველი ძალა-უნებურათ იმ შეხედულებას ეჩვეოდა, რომ გლენსაც კაცის გული აბადია, რომ იმასაც ამ გულში კაცის გრძობა, სურვილი და იმედი უღვივისო, რომ გლენიც ღეთის ვაჩენილი ქმნილებათ და ღმერთს ის ქვეყანაზე სატანჯველათ და სხვის ნრჩენელათ კი არა, თავის თავის სასურველათ ვაუჩენიაო. ამით მკითხველ საზოგადოებას, რომელსაც უმიმისოთაც ბატონ-ყმობა უსამართლო საქმედ მიაჩნდა და მისი მოსპობა გამოუკვლევლ ნატვრათ ჰქონდა, ნამდვილი თანაგრძობა და შებრალება ებადებოდა გლენ-კაცობისა. და ეს კილო, ეს მანერა და სარგებლობა ხასიათათ ჰქონდა ყველა იმ მწერლებს, რომლებიც მაშინ Современник-მა წინ წამოსწია, და რომელთაც საზოგადოების ყურადღება, თანაგრძობა და მადლი მოუპოვა.

ამ მწერლებში პირველი ადვილი ეკავათ გრიგოროვიჩს, პოტეხინს (ალექსის), ტურგენევს („მონადირის წერილებით“) და პისემსკის. განსაკუთრებითი წინსვნილობა მიეცა, რამდენიმე წლის შემდეგ, ნარკევიჩის ქალს (მარკო-ვოგნოვს). იმათ თხზულებებს მთელი ათი წლის განმავლობაში მეტის მეტი ხალისით ჰკითხულობდა რუსული საზოგადოება და მწერლობაც, ესე იგი კრიტიკა, იმ სარგებლობის მიხედვით, რომელიც ამ თხზულებებს საზოგადო საქმისათვის მოჰქონდათ, როდი ეხებოდა და როდი ანიშენინებდა მკითხველებს იმათ სუსტ მხარეებს, როდი ჰკიცხავდა იმათი ხელოვნური მხრის ნაკლულევაებას, როდი ამბობდა ნამდვილი ხელოვნური მწერლობა უფრო ბეჯითი გზით უნდა დაიარებოდესო. კრიტიკას რომ იმ დროს ეს შენიშვნები გამოეთქვა, იმას რომ იმათი ხელოვნური სისუსტე გამოეაყვარებია, ამით საშინელი ენება მიეცემოდა საზოგადო საქმეს — გლენ-კაცობის ვათავისუფლებას, — და სული ჩადგომოდა, ძალა მიეცემოდა იმ უხერო მწერლობასა და იმ საზიზლარ მიმართულებას, რომელიც ამ საზოგადო საქმეს ჩუმით ეწინააღმდეგებოდა და სწყევლიდა. და პირველი ხმა, რომელიც რუსულმა კრიტიკამ ამ თხზულებების წინამდგე ამოიღო, მათი სისუსტის შესანიშნავათ, მარტო გლენების ვათავისუფლების შემდეგ, 1861 წლის ნოემბერში, მოისმა. თვითონ Современник-მა გამოთქვა სხვა უფრო ხელოვნური თხზულებების საჭიროება თავისი უფროსი თანამშრომლის სტატიით „Не начало ли перемены?“ (Совр. 1861, № 11).

რამი მდგომარეობდა, ვითომ ეს ნაკლულოვანება და რას მოითხოვდა კრიტიკოსი ხელოვნური მწერლობის სახელით?

ამ მწერლების (გრიგორიოვიჩისა, პოტეხინის, პისემსკის, ტურგენევის, მარკო-ვოვჩოკის და სხვ.) ნაკლულევიანება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი გლეხ-კაცობას ხატავდნენ ისე, თითქო წინ ნამდვილი გლეხი კი არა, მათი საკუთარი თავი ყოლოდეთ, გლეხ-კაცურ ფარაჯაში ჩაცმული. ისინი გლეხის მდგომარეობას არც კი იცნობდნენ, იმათ გლეხები შორიდან დაენახათ და თავიანთ კაბინეტში, პეტერბურგს მოეაზრებიათ, რომ რადგანაც გლეხი ჩვენისთანა ადამიანია, იმასაც ჩვენნიანი გული უნდა ჰქონდესო, ისიც ჩვენსავით უნდა გრძნობდესო. ამის გამო გლეხის პირით იმათ თხზულებებში ხშირათ ისეთი სიტყვები და აზრები გამოითქმოდა, რომელთაც გლეხი კაცი არ იცნობს და არ ხმარობს. მკითხველის წინ ნამდვილი, ცოცხალი გლეხის მაგივრათ, მის შეუფერავ გრძნობის ადგილზე იდგა ნასწავლი კაცი, გლეხურ სამოსელში, რომელიც თავისი ნამდვილ ენას, თავის საყოველღეო დარდს და აზრს კი არა, ვაზებირებულ, წიგნიდან ამოკითხულ, ბაირონის და შილლერის ჭრახვებს ამბობდა და გამოთქვამდა, კაცი გრძნობდა, რომ ეს ჭრახვები. ეს ვითომ—გრძნობა, ეს დარდი ღრმით და ჰეშმარტათ გულს გამჯდარი რომ ჰქონდეს ამ გლეხს, უფრო ვასაგები, უფრო ბუნებითი და გულიდამ პირდაპირ ამოსული სიტყვებით გამოთქვამდა ის თავის სათქმელსო. მკითხველს ის შთაბეჭდილება როდი რჩებოდა, რომელსაც მოუფონელი გრძნობის შეუფერავი გამოთქმა სტოვებს, ის შთაბეჭდილება, რომელიც ჟრუანტელს უვლის კაცს ტანზე და რომელიც თითქმის სანიაღვრად რჩება მის ტვინში და მენსიერებაში. ამ შთაბეჭდილების მაგიერ ის ხედავდა შეფერილ, გალამაზებულ, ნასწავლ და ზებირ-მოლაპარაკე გლეხს, რომელიც ისეთ ნაირად ილაპარაკებს და მოიქცევა გერმანიელი სენტიმენტალური მწერლობით გამოზდილი კაცი, და როგორც თავის დღეში ვერ ილაპარაკებდა ვერც ერთი მაშინდელი გლეხი ან გლეხის ქალი. ამ თხზულებებში გამოყვანილი გლეხკაცობა ყოველთვის გულ-კეთილი, მეტისმეტათ პატიოსანი, მტკიცეთ გამრჯელი, ერთი სიტყვით, ყოველი ღირსებით და უმანკოებით ავსილი იყო. მკითხველს თითქმის ის აზრი რჩებოდა თავში, რომ ანგელოზები ჩამოსულან ცილამ და გლეხის ტულუფი, გლეხის სარაფანი ჩაუცვიათო. გულ-კეთილობა, გრძნობის სიჩვილე, მოუსყიდელობა, ნიადაგი შრომა, წუთიერი სიამოვნების ან სინთვრალის ზიზლი და დავიწყება, მოვალეობის მუღამი და სინიღისიანი შესრულება, ერთი სიტყვით, ყოველნაირი სიმართლე ნიადაგ მათ მხრით იყო, ვითომ. ავაზაკათ, უსინდისო მჩავგრელათ, ბნელ-ეშმაკათ, მოძალადეთ, მუღამ სტაროსტა და ხანდისხან მებატონე გამოიყვანებოდა. და მკითხველი, ამის გამო, მართლია, სიმპატიას გრძნობდა გლეხ-კაცობისადმი, მაგრამ ის იყვარებდა ნამდვილ გლეხ-

კაცობას; ცოცხალ გლეხს კი არა, იდეალური გლეხის „პეიზანების“ სურათს და წარმოდგენას. და როცა შენდევში ცხოვრება იმას ხალხთან აახლოვებდა, როცა ის ხალხის ნამდვილ მდგომარეობას და ხასიათს გაიცნობდა, როცა მის წინ „პეიზანების“ და იდეალური გლეხების მაგიერ ნამდვილი გლეხკაცი დადგებოდა, მისი ნაკლულოვანებით, მისი უგუნურებით და ცხოვრებით გაუშუქებული, ან გათელილი ხასიათით, ის ველარ ცნობდა თავის „საყვარელი გლეხკაცის“ სურათს, ის პტიქრობდა—ეს წანხდარი, უსინდისო, ბინძური და უგრძობელი ქმნილებაა და არა გლეხკაციო, ის იზიზღებდა იმას, ხანდისხან შებრალებას იგიწყებდა და როდილა ზოგავდა... საყვარელი, შესაბრალებელი, დასაზოგავი გლეხი სულ სხვანაირიაო, ფიქრობდა ის, ის გულკეთილი, სინიღისიანი, მწრომელი, გრძნობიერი და ბატონის ხათრით აღვსილი ქმნილებააო, და ეს კი უფრო იმ საზიზღარ სტაროსტებს ჩამოგავს, რომელთაც მე იმ მოთხრობების კითხვის დროს ვსწყევლიდიო. იმათ აბა როგორ დავზოგავო!

უეჭველია რომ ეს ძლიერ დიდი ნაკლულევიანება იყო იმ მწერლობისა, რომლის ხასიათს ჩვენ ვსწერთ, მაგრამ, ვიმეორებთ, რომ მაშინდელ დროში, 1861-მდე, ამ ნაკლულევიანებაზე შეჩერება, მათი ძაგება ან განაშკარავება კრიტიკის მხრით ნამდვილი შეცდომა იქნებოდა, ამიტომ, რომ კრიტიკა ნიადაგ პუბლიცისტიკურ დანიშნულებას უნდა ასრულებდეს და თითონ მწერლობის სარგებლობის და საქმის მალლა მთელი ნალხისა და საზოგადოების საქიროებას და სარგებლობას უნდა სთვლიდეს. მაშინდელი რუსული კრიტიკა იმ აზრით მოიქცა, რომ ვერ გლეხების ვათავისუფლება კანონათ იქცეს და მერე თუნდ იგრძნოს საზოგადოებამ ნამდვილი გლეხ-კაცების ნაკლულევიანებაო, მაშინ ამდენი ვნება არ მიეცემა საზოგადო საქმეს, მით უფრო, რომ შენდევ ვეცდებით საქმე გამოვასწოროთ და შეუფერავი სურათებით, საზოგადოების გრძნობა ვავასწოროთო.

ესლა ისიც ვავისხნოთ, საქმის უკეთესათ ვაგებისთვის, თუ რას მოითხოვდა ნამდვილი ხელოვნური მწერლობა ხალხის მდგომარეობის გამოსახვის დროს, რას მოითხოვდა რუსული კრიტიკა მწერლობისაგან, და რა ვერ მისცა იმას მაშინდელი მწერლობის სუსტა და გამოუცდელმა მწერლებმა. ეს ჩვენ იმ მხრითაც გამოვადგება, რომ როგორც წინეთ აწერილი ნაკლულევიანების კვალი ვაგებუების „გლახის ნაანბობს“ ამჩნევია, ისე ამ ახალ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს მისი შენდევითხზულებები, და განსაკუთრებით „კაცია, ადამიანი“.

ხელოვნური მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაუხატოს მკითხველ საზოგადოებას ხალხის, საზოგადოების და კერძო პირის ნამდვილი მდგომარეობა, ხასიათი, საქიროება, დაუხატოს ისე, რომ მკითხველი ამ მდგომარეობის, ხასიათის და საქიროებების ნამდვილ

გარემოებებსა და თვისებებს ხედავდეს, კარგსა და ავს მხარეს სცნობდეს და თან იმ მიზეზების ვაგებაც ჰქონდეს, რომელთაც ესეები დაუბადნია. კაცობრიული საზოგადოება ანგელოზებიდან კი არ არის შემდგარი, იმას სხვა და სხვა სურვილი, თვისება და საჭიროებები აქვს და ზოგი ამათგანი კარგია, ზოგი ავი, ზოგი მოსაწონია, ზოგი არა. მარტო ერთის მხრით გადაჭარბებით, მარტო ავის ერთწოდებაში ან პირში გამოსატყობი და კარგის—მეორეში საქმე შორს ვერ წავა და საზოგადოების გრძობა და ხასიათი ვერ გადაკეთდება. ქვეყანაზე არსადაა არც ნამდვილათ და მთლათ ერთნაირათ ავი კაცი, ბოროტებით თავიდან ფეხებამდრი აღვსილი, არც ანგელოზის მსგავსი გმირი. საზოგადოთ ყოველ სულდგმულს ბევრი კეთილი თვისება და მხარე აქვს ხასიათში, ბევრი ცუდი და მოსასპობელი. ამის გამო მწერლობის მხრით შეცდომა იმრიგათ უხატავდეს მკითხველს ადამიანის საზოგადოებას, რომ აი ეს პირები გიყვარდეს და ესენი კი გძაგდესო, ამათ გზა დაუცალე და სხვებს კი ხელ-ფეხი შეუკოჭეო. ამნაირი მწერლობა პროკურატურას ჩამოგავს და ამ ორ დანიშნულებას შუა დიდი განსხვავება უნდა იყოს. მწერლობა იმას უნდა იკვლევდეს, თუ რომელი თვისება როგორ მდგომარეობიდან სწარმოებს, რომელ მდგომარეობას რა წამალი მოუხდება, რით და როგორ დაკმაყოფილება კერძო პირების მოთხოვნილება და საჭიროება. არც ერთს კაცის გულის თვისებას არ უნდა იფიქსებდეს მწერლობა, იმიტომ, რომ ყოველი თვისება, თუ კი ის რამდენიმე ასს და ათასს კაცისთვის საერთოა, უსათუოდ რამე ბუნებითი მიზეზი და ფესვი აქვს კაცის აგებულებაში. მწერლობა ყველა ამნაირ თვისებებს უნდა აკვირდებოდეს და გაიცნობდეს და იმ მხარე შინჯავდეს, თუ რანაირათ შეიძლება თითოეული კაცის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ისე, რომ სხვებს ამ დაკმაყოფილებამ არ ავნოს, სხვები არ დაჩაგროს და სხვის მოთხოვნილებას და საჭიროებას გზა გაუხილოს. გონიერმა მკითხველმა მწერლობიდან იმის ცოდნა უნდა გამოიტანოს, თუ როგორია ნამდვილი ცხოვრება, რა თვისებები აქვს თანამედროვე ხალხს და საზოგადოებას, რა საჭიროება ადგია, რას ეძებს და თხოვლობს ეხლანდელი კაცობრიობა, და რა გზით, რა საშუალებით, რა იარაღით შეიძლება, როგორც ამ საზოგადო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ისე თითოეული ხეირიანი კაცის სარგებლიანი მოქმედება თანამედროვე საზოგადოებაში, თანამედროვე გარემოებაში.

როგორც საზოგადოების ზნეობით ამაღლებისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ მწერლობას უკეთესი ცხოვრების და გაწყობილების ნათლად განხილული იდეალი ჰქონდეს, იმნაირათვე აუცილებლათ საჭიროა, რომ ესევე მწერლობა მკითხველს თანამედროვე ცხოვრების ნამდვილ ძალას, მდგომარეობას და ხასიათს აცნობდეს, რომ კაცმა იცოდეს, ხელში რა იარაღი ექნება და რანაირ მასალასთან ექნება საქმე, რანაირ გარემოებებში დასჭირდება შრომა, რა და რა გვარი შემოხვევა

და დაბრკოლება დახვედმა გზაზე, რა ხასიათის წინააღმდეგობა აუტყდება და რამსიდიდე ღონისა და ენერჯის ხმარება დასჭირდება. უამისოთ მწერლობა მკითხველ საზოგადოებას თვალს ვერასოდეს ვერ აუხელს და თუ რასმე მოახერხებს, მარტო იმას, რომ ორიოდ სამს კერძობით აზრს ან გრძობას ჩაუსახავს მკითხველის გულს, ორიოდ სამი მხრით გააუფჯობესგნს მის ხასიათს. და როცა ამ გვართათ გაუფჯობესებული მკითხველი ცხოვრების ნამდვილ მიმდინარეობას შეხვდება, როცა იმას უცნობი დაბრკოლება, უნახავი და გაუგებარი თვისებები წინ დაუდგება, ის გამტყრებული და დაუმზადებელი კაცივით ან გულხელს იკრეტს, ანა და ცხოვრების მიმდინარეობას მიჰყვება და დანარჩენი საზოგადოებისათვის ბრმათ და გაუგებრათ მოქმედებს...

მწერლობა იმისთანა მკითხველებს კი არ უნდა ამზადებდეს, რომელთაც გაზეპირებული აქვთ ვითომ-ზნეობითი კატეხიზმის ლიბერალური მუხლები, და რომელნიც ამ მუხლებით ზმინავენ ყველაფერს, რაც კი ცხოვრებაში იმათ შეხვდებათ. ანისთანა მკითხველი სანდო და გამოსადეგი იშვიათად გამოვა. მწერლობას მიზნათ იმისთანა მკითხველების დამზადება უნდა ჰქონდეს, რომელთაც საზოგადო მიზანი კარგათ იცოდნენ და თანამედროვე მდგომარეობა გაცნობილი ჰქონდეთ. თუ მკითხველს ხეირიანი ტვინი და გრძობა აქვს, ამ ცოდნით ის ყოველ გარემოებაში გზას და კვალს გაიგნებს, კარგს და სასარგებლოს ავისა და საუნებლისაგან გაარჩევს და ხალისი თუ ექნა, საქმეს ყოველთვის სარგებლობას მოუტანს. იმას, მართალია, ზეპირათ როდი ეცოდინება ლიბერალური არტიკულები, მაგრამ სანაგებროთ ის თვალ-ახელილი იქნება, მისი გონება საკუთარ მუხლებზე მარჯვეთ იდგება, იმას ახალს გარემოებებში სინათლის დანახვა და კეთილი გზის პოვნა თვითონვე შეეძლება. ნასწავლი და თუნდ სწავლული მაშინის მაგიერ ის კაცი იქნება, საკუთარი გონებით და მოაზრებით მოქმედი, და თუ იმას საზოგადო საქმის, საზოგადო მიზნის ხსოვნა არ ამოგნოცა გულიდან, მის მოქმედებას თითქმის ყოველთვის კეთილი და სასარგებლო შედეგი ექნება.

აი ანისთანა მკითხველისათვის უნდა ამზადებდეს მასალას თანამედროვე და გონიერი მწერლობა, და ეს მასალის დამზადება, როგორც წინეთ ვთქვით, განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადო მიზნის, უკეთესი იდეალის გამოსახვას გვერდით მოჰყვებოდეს ეხლანდელი ხალხის, საზოგადოების და ადამიანის ნამდვილი ხასიათის, მდგომარეობის და საჭიროების გამოხატვა. ამისთვის საჭიროა ზოგიერთი წოდების ან გრუპების შეფერვა და ცანდი აყვანა კი არა (ეს მარტო ხანდისხან, ბრძოლის დროსაა გამოსადეგი), მათი პირუთენელი ავისა და კარგის გამოთქმა, მათი ნაკლულევიანების გაცნობა, მათი სისუსტის დანახვა, ერთი სიტყვით მათი ნამდვილი ხასიათის ცოდნა. ჩვენს საგანს რომ დაუბრუნდეთ

და ისევ გლეხ-კაცობაზე ლაპარაკი განვაგრძოთ, გვეთქმება, რომ რუსეთელ მწერლობას გლეხის ტანისამოსში მწერლის სენტემენტალური და შეფერილი გული კი არ უნდა გამოეხატა, იმას გლეხი მისი დღითიდღითი საჭიროებით, მისი სიცოცხლისაგან ვათელილი ხასიათით, მისი გარეგნობისაგან გაბინძურებული ძდგონარობით, მისი დანდაბლებული და ულონო, უპატიური ცხოვრებით უნდა გამოეყვანა. მწერლობას მკითხველისთვის უნდა ეჩვენებინა, რომ ცუდ წესს, ძალადობას, სიღარიბეს, უმეტრებას, განათლებული წოდებისაგან მიტოვებას ეს ღვთისგან გაჩენილი, ჩვენი მსგავსი და ტოლი ადამიანი დაუდაბლებია, გაუბინძურებია, გაუსულელებია, თითქმის პირუტყვითაა გაუხდია, და წასწილღეს ღვთის სახე და მსგავსება კი არა, ადამიანის სურათიც აღარ მოჩამსო. მწერლობას გლეხების მდგომარეობა ნამდვილათ და სწორეთ, შეუფერავათ რომ გამოეჩინა, აღმოჩნდებოდა, რომ განათლებულ საზოგადოებას, გონება გასწილ წოდებას „უმაღლეს კლასებს“ და თვითონ მთავრობასაც აუცილებლათ სჭირათ ამ დანდაბლებულ და დაბრმავებულ გლეხ-კაცობას ყურადღება მიაქციონ, დაემარონ, უკეთესი ნობავალი და ბედი მოუხადონ, ამიტომ რომ შეუძლებელი და ვაჭირვებულის საქმეა მალალი საზოგადოებისათვის და მთავრობისთვის იმისთანა ხალხში გაძლება და ცხოვრება, რომელიც ამისთანა უზედურ და დამდაბლებულ მდგომარეობაში იმყოფება. ამ ნაირი საქმის გამოხატვა მწერლობის ნხრით ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებდა და თან საზოგადოებრივ საჭიროებასაც სიკეთეს უზმიდა, საზოგადო მიზანს სარგებლობას მოუტანდა, რუსეთის პოლიტიკურ გახსნას დაეხმარებოდა და გააადვილებდა... ეს მაგალითი კრიტიკის და მკითხველის ყურადღების ღირსია: ის გვიჩვენებს იმ კანონის სიძარტლეს და სიხანდვილეს, რომ ხელოვნური მწერლობა და პატიოსანი, გონიერი, გავლენიანი და გამოსადეგი პუბლიცისტიკა თითქმის ერთი და იგივე საქმეა.

აქედან არავინ ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს, ვითომ მწერლობას ჩვენის აზრით ნიადაგ და მარტო დღითიდღითი ცხოვრების ფორტოგრაფიული გამოხატვა უნდა ჰქონდეს სახეში. ანაწინეთ¹ ჩვენ ვრცლათ მოვილაპარაკეთ იმ პირობებზე, რომელნიც მწერალს ნიადაგ მხედველობაში უნდა ჰქონდეს ასაწერი საგნების არჩევის და განოხატვის დროს, დაერთი და იხვევ აზრის ათასჯერ გამოთქმა, ხომ მკითხველსაც უნდა აბეზრებდეს თავს და მწერალსაც. ჩვენ მარტო იმას ვაბობთ, რომ მწერლობაში შეუფერავათ და სწორეთ უნდა განიხილებოდეს თანამედროვე ცხოვრება. მაგრამ, მეორე ნხრით, მწერლობაში დიდი მნიშ-

¹ „კრებული“, 1871, № 3, სტატია: „კრიტიკა და იმის მნიშვნელობა ლიტერატურაში“.

ვნელობა და გავლენა სხვა საჭიროებასაც აქვს და მწერლობა ამ საჭიროებასაც უნდა აკმაყოფილებდეს. მწერლობა მარტო მასალებს და იდეალს კი არ უნდა იკვლევდეს, იმას ხშირად სხვა დანიშნულებაც აქვს, — პირდაპირა სჯის გამოთქმისა, გამოხატული მოვლენის დაფასებისა, მისი ნამდვილი ადგილის ჩვენებისა, და ამ მხრით იმის ძლიერ ხშირათ მეორე იარაღის ხმარება, მეორე კალოთა წერა სჭირდება. მწერლობაში დიდი გავლენა და ძალა აქვს მწვავე და სასტიკ სჯას, დაცინვას, ირონიას, მწერლის გრძნობის გამოთქმას, ლირიზმს, ერთი სიტყვით თვითონ მწერლის შთაბეჭდილების პირდაპირათ ვადაცემას მკითხველისთვის. ხელოვნურ მწერლობაში ამ მხარესაც დიდი ადგილი უკავია, და უმჯობეს მწერლებს ეს იარაღი თითქმის ისე ხშირათ უხმარიათ, როგორც ცხოვრების შეუფერავი და გონიერი გამოხატვა. ეს მეორე იარაღი უფრო საჭირო და გამოსადეგია მაშინ, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება ცოტადანათ მაინც მოძრაობს, როცა საზოგადოებაში აშკარათ ან მალულათ ბრძოლა სდღეს, როცა მწერლობა პირდაპირ ამ ბრძოლაში უნდა ერეოდეს და თავის აზრის შთაბეჭდილებას და გრძნობას საზოგადოებას უნდა აგებინებდეს. აი ამ დროებაში, ამნაირ გარემოებებში საჭირო და გამოსადეგია სატირა, იუმორული თხზულება, პამფლეტი. საჭიროა ერთი სიტყვით ფელეტონური ლიტერატურა, რომელიც, როგორც ზემოთა გვაქვს ნათქვამი, ნამდვილი ხელოვნური მწერლობის ნაწილს შეადგენს.

ამებზე ჩვენ ლაპარაკი იმითომ ჩამოვადგეთ, რომ ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში ჩვენ ვხედავთ მოთვლილი მოთხოვნილებების რიგიან გაგებას და დაკმაყოფილებას. მისი „კაცია, ადამიანი“ საკმაოთ გვიჩვენებს, რომ „გლახის ნაამბობის“ ცდას შემდეგ იმას მალე გაუგია იმ მიმართულების სისუსტე, რომელზედაც ჩვენ ამ სტატიის დასაწყისში ვლაპარაკობდით, და მალე გაუცვინა ნამდვილათ ხელოვნური მწერლობის კილო და პირობები. „კაცია, ადამიანი“ გამოჩეყული საგანი სწორეთ ისეა აწერილი. როგორც ნამდვილ ცხოვრებაში არსებობს და დაფასებულია პირდაპირი სჯით კი არა, სურათების ოსტატური შეხავეებით და ერთმანეთზე გადაბმით. „გლეხების განთავისუფლების სცენები“ ერთი მხრით ამნაირივე ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, და ჩინებულათ აკმაყოფილებენ, და მეორე მხრით თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას, საზოგადო საქმეს და საყოველთაო კითხვას პასუხს აძლევენ, სჯიან, ეგრეთვე ოსტატურათ და სურათების ძალით. ჭავჭავაძის ლექსები და „მგზავრის წერილები“ ხომ ჩინებულათ ამ დანიშნულებას ეთანხმებიან, რომელიც მწერლობის წუთიერ, საჭირო და გავლენიან ნაწილს შეადგენს. მისი ლექსების გრძნობა და მისი სარკასმის ძლიერება ამათში მეტის მეტათ სანუგეგმო გავლენას წარმოავიდევნენ. მაგრამ ამებზე ჩვენ სხომის გვექნება მოლაპარაკების დრო და

შემთხვევა. ესლა კი ჩვენს „გლახის ნაამბობს“ დაუბრუნდეთ და ორიოდ სიტყვით მასზე სჯა დავაბოლოვოთ.

ეს თხზულება, როგორც წინეთ ვთქვით, 1859-შია დაწერილი პეტერბურგს. იმას იმ ნწერლობის გავლენა ატყვია, რომლის წარმოადგენელი იყვნენ რუსეთში: გრიგოროვიჩი, მარკო-ვოვჩოკი და სხვ. მაგრამ რადგანაც მიმბაძველი ბრძა მიმბაძვას არ სჯერდებოდა, რადგანაც მისი ხელოვნური გრძნობა მაშინაც ხელდავდა ამგვარი ნწერლობის ზოგიერთ სუსტ მხარეებს, იმის „გლახის ნაამბობში“ ეს სისუსტეები მეტის მეტად შემსუბუქებული არიან. მაგალითად, წელან რომ ვამბობდით რუსულ რომანებში გლეხი რჩვილ სენტიმენტალურ მწერლობის ენაზედ ლაპარაკობდათქო, ილ. ჭავჭავაძეს უგრძენია ეს ნაკლულეგანება და მის „გლახის“ ნასწავლს ენას, მის გრძნობიერ და პოეტურ სურათებს და ფიქრებს მკითხველს იმით ავიწყებინებს, რომ ამ გლახას სიყრმიდამვე ერთ კეთილ მოქმედ ღვდელს შეყრის, რომელიც ინას წერა-კითხვას ასწავლის, გრძნობისა და პატიოსნების ძალს აგრძნობინებს და გზას უჩვენებს და „ვეფხის ტყაოსანს“ აკითხებს, აყვარებს და აგებინებს. „ვეფხის ტყაოსანზე“ აღზრდილს და სიყმაწვილეში ზნეობითი დარიგებებით გამოკვებულ კაცში, რასაკვირველია, „ნასწავლი“ ლაპარაკი და შეფერული ან ნამდვილი გრძნობიერება ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია.

ამავე აღზრდით აიხსნება ის გრძნობის სინარსარე და სიფხიზლე, ის პატიოსნური ამაყობა და ზნეობითი სისუფთავე, ის გადაჭარბებული რელიგიური გრძნობიერება და გულის სიჩვილე, რომელიც „გლახის ნაამბობში“ ისე აშკარათ ეწინააღმდეგება ნამდვილი ცხოვრების სურათებს. მაგრამ, ვერც ეს ხერხი, ვერც ცალკე ადგილებს მშვენიერი სურათები, ენა, შედარებები, იგაგები, ანდაზები და მარჯვეთ, მოკლეთ გამოთქმული დაკვირვებები ვერ მილავენ იმ საზოგადო ნაკლულეგანებას ამ თხზულებისას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მისი ღვდა სავანი იშვიათი, განვითარებული შემთხვევა და ხასიათია. მკითხველს ნადავ ის აზრი აქვს თავში, რომ მართალია, ამგვარი შემთხვევა ხშირათ მომხდარა ხოლმე ჩვენშიაც, ბატონყმობის დროსა, მაგრამ იმ შემთხვევებს ამნაირი ვარემოებები თითქმის არასოდეს არ დამყოლიათო, ეს ამავე „შეკეთებული“, შეფერილი, განგებ გასუფთაებულ და გალამაზებულთაო, ის ნამდვილ ცხოვრებას არ ეთანხმებაო და სხ. და სხ.

მაგრამ თუ ჩვენ ამ საზოგადო ნაკლულეგანებების დავიწყება მოვახერხეთ და კეისარს კეისრისა მივცით, მაშინდელი დროის საჭიროება და გონების მოძრაობა ვაგვიხსენეთ და სისუსტის უკუმიჯდებით დანარჩენ მხარეებს თვალი გადავაგვლეთ, ბევრ ნიჭიერ და გრძნობით საესე ფურცლებს წარმოგვიდგენს ჩვენ ეს „გლახის ნაამბობი“. ღვდლის სიტყვებში, მისი ერთობ-გადაჭარბებული სიწმინდე და გულკეთილობა რომ

დავივიწყოთ, ბევრ ხელოვნების მარგალიტებს შევეყრებით ხოლმე. მაგალითად, თუნდ იმ ადგილს მოვიყვანოთ, სადაც ღვდელი პეტრეს სწავლისა და ცოდნის სარგებლობას და საჭიროებას უხნის, გასაგებია, უბრალო და გონიერი ენით, ჩინებული მაგალითებით და შედარებებით. ეს სწორეთ „საქრესტომატიო“ ადგილია. ყველა ამ ადგილის ამოწერა ან მოხსენება რომ მოვიწოდოთ, საიდანაც გამოსჭვდერს „კაცია, ადამიანის“ შემდეგი ავტორის ნიჭი და ძალა, ნახევარი მოთხრობა, თუ არა, მესამედი უნდა ამოვწეროთ ან ჩამოვთვალოთ, და „გლახის ნაამბობი“ მკითხველს ახლად-წაკითხული აქვს, მისი ხსოვნა და შთაბეჭდილება იმას ისე არ დაუქარგია, რომ ესლა ჩვენი გახსენება და ჩანოთვლა სჭიროდეს. მაგრამ ორიოდ-სამ მაგალითს მაინც მოვიყვანოთ, რომ მკითხველმა იცოდეს, რა ნაირი ადგილები გვაქვს მხედველობაში, როცა „გლახის ნაამბობის“ კერძობით ღირსებებზე ვლაპარაკობთ.

„ადამიანს,—ამბობს გლახა იმ ადგილს, სადაც ის ათავეებს იმ სურათის აწერას, თუ თავის შეყვარებულს პირველად „პო“ როგორ ჩამოართვა—ადამიანს ხანგრძლივ რომ შეხედეს ამ წუთის სოფელში იმისთანა დრო, ეს წუთის სოფელი სამოთხე იქნებოდა, მაგრამ წუთის სოფელი იმიტომა ჰრქმევიდა, რომ ყველაფერი წუთობითა ჰსცოდნია, უბედურების მეტი“.

ან აი ეს:

„სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო (არიგებს გლახას ღვდელი). არც ღვდისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე ღვდა და მამა. მზე რომ ამოდის ვარსკვლავები მაშინ არა ჰჩანან“...

ან კიდევ სურათი:

„გაოცებული ვუყურებდი ღვდელს. სახე გამოეცვალა, თვალი გაუნათლდა, გული შეეარა, აუტოკდა, თითქო მკერდში არ ეტევაო. ვატყობდი, რაღაც უნდა ვთქვა კიდევ ჩემთვის, მაგრამ აღარა მითხრა რა და სიარულში გაიქარწყლა გულის წადილი“.

ან ეს შედარება, რომელიც ღვდელს უხმარია, როცა გაბრიელს მისთვის უკითხავს—„ვეფხის ტყაოსანი“ სამღვთო რამ არის თუ არაო?

„ყველაფერი სამღვთოა, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათლებია. კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშევარს გულის საუკეთესო ხიდათ გასდებს, რომ თუ არა თითონ, სხვამ მაინც მიმიდობით გაიაროს. იმ ზიდს ზედ ამჩნევია ყოველთვის ღვთის ზადლი“.

ერთის სიტყვით, ძალათ თუ არ შევიკავეთ თავი, ანისთანა ჩინებული თვლებს ამოწერა ას-ასობით მოგვინდება.

ილ. ჭავჭავაძის თხზულებებს შუა მეორეც იპოვება ისეთი, რომელსაც ამ „გლახის ნაამბობთან“ ბევრი საერთო თვისება და მზგავსება აქვს. ჩვენ ვამბობთ პოემაზე „რამდენიმე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან“, რომლის ზოგიერთი ნაწყვეტი „საქართველოს მოამბეში“ და „ჩანგურში“ იყო დაბეჭდილი, და რომელიც სრულად „კრებულში“ მალე დაიბეჭდება. ამ ორ თხზულებას თითქმის ერთი და იგივე აზრი და გარემოებები აქვთ, ისე, რომ ერთი მეორეზე გამოჭრილი ჰგონია კაცს. მაგრამ „რამდენიმე სურათში“ ნაკლები სენტიმენტალობაა და მოქმედი პირების ხასიათის გამოხატვის მიჯ უფრო მეტი ძალა და სიმტკიცე აქვს ვინემ „გლახის ნაამბობის“ ანავე მხარეებს. როცა ეს პირები „კრებულში“ დაიბეჭდება, მკითხველი იმას სრულიად გაიცნობს, და, იმედი გვაქვს დაგვეთანხმება, რომ ამ პოემაშიაც, როგორც „გლახის ნაამბობში“ ჩვენი ნიჭიერი პოეტი, ჯერ კიდევ ურთა-გაუმჯელი და თავისი ნიჭისა და გზის თითქმის პირველათ მძინჯველი, განოლის მინც შესანიშნავ მწერლათ და გრძნობით სავსე პოეტათ, რომელსაც პატიოსანი თანაგრძნობა უღვივის გულში ყველასადმი, რაც ჩვენს უხვირო ცხოვრებას დაუჩაგრავს ან ობლად დაუტოვებია, და მალაღი ლტოლვილება აქვს ყველაფრისადმი, რაც კაცის გულს აკეთილშობილებს, რაც საზოგადოებას ამაღლებს, რაც ხალხს აბედნიერებს და მანუღს სარგებლობას აძლევს ან უკეთეს მომავალს უზადებს. ყველა ამ გრძნობებს ის ისეთი ჩინებული, ვასაგები, დასამახსოვრებელი ენით გამოთქვამს, ამ ახალგაზრდულ თხზულებებშიაც, რომ მისი ნათქვამი მკითხველ საზოგადოების გრძნობამდის გზას გაიკვალავს და თავის ბეჭედს დასტოვებს, ესე იგი პოეტის გრძნობა გაფრცვლდება, სარგებლობას მოუტანს, საზოგადოებას და ხალხს, ცალკე პირს და მანუღს საშსახურს გაუწევს, ასარგებლებს, არგებს და აამაღლებს. და ნეტავი იმ მწერალს. რომლის შრომას ამნაირი ხასიათი აქვს. ამას ბევრი წვრილმანი ნაკლულთვანება შეეწოდება, თუნდ იმისთანაც, რომელიც „გლახის ნაამბობის“ საზოგადო ხასიათს და ხელოვნების სისუსტეს შეადგენს.

ჩვენ ვავაცანით მკითხველს ჩვენი შეხედულება ილ. ჭავჭავაძის ყმაწვილურ ცდებზე. მის ნამდვილ და გავლენიან შრომას კი, მის „კაცია, აღამიანს“, „სცენებს“ და სხ. ჩვენ როდისმე სსომის დაუბრუნდებით, მათი დაწვრილებით გასაშინჯველათ. მარტო მაშინ მკითხველს ნაჩვენები და გამოხატული ექნება ჭავჭავაძის ნამდვილი ღირსება და მნიშვნელობა, მისი ძალა და ხასიათი და მის ნაწარმოების გავლენა ჩვენი მწერლობის ეხლანდელ მდგომარეობაზე და მომავალ ბედზე. ეხლანდელი ჩვენი საუბარი კი მასზე მარტო მეორე, უწინდელ, ახალგაზრდა ჭავჭავაძის

შეხება, რომელსაც „კაცია, აღამიანი“, რომ არ დაეწერა, „გლახის ნაამბობი“ ჩინებულ თხზულებათ ჩაეთვლებოდა, მაგრამ, რომლის თავი ჩვენს მკითხველ საზოგადოებას „კაცია, აღამიანის“ დამწერმა დაავიწყა.

ამ საგანზე ჩვენ აქ უნდა მოგვესპო ლაპარაკი, მაგრამ არ შეგვიძლია ამ უწინდელ ილ. ჭავჭავაძეს მოვიკიდეთ უმისოთ, რომ ერთი შენიშვნა კიდევ არ გამოვთქვათ. როგორც ვანსხევაგება მის „გლახის ნაამბობს“ და „კაცია, აღამიანს“ შუა, სწორეთ იმნაირათ ვანისხევაგება მისი პირველ-დამწებითი ლექსები ეხლანდელელებიდან. უწინდელ მის ლექსებში სხვა მწერლობების კილო, ენა, მანერა და აქა-იქ გრძნობა და აზრი მოჩანდა. იმათში ჭავჭავაძის პიროვნული თვისება, მისი საკუთარი ორიგინალობა და სხვა ჩვენ მწერლებზე უპირატესობა, აზრის ძალის მეტი, თითქმის არ იყო. ეხლანდელ მის ლექსებში¹ კი საზოგადოთ, სულ სხვა თვისებებს ვხედავთ ხოლმე. იმათში სჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა, სურათის უბრალოება და ძალა და თან ნამდვილი გრძნობის შეუთერავი და მინც ლახათიანი გამოთქმა. ეტყობა, რომ ილ. ჭავჭავაძეს ჩვენი ხალხის პოეზიისათვის ყური უთხოვებია, მის ხასიათის გაცნობია, მისი სულით აღესილა, ჩვენი ხალხის ენა, მოაზრების კილო, აზრისა და გრძნობის გამოხატულება კარგა საფუძვლიანათ დაუნახავს და შეუსწავლია. ეს მეტის მეტათ საქები და სასარგებლო საქმეა. ერთი მით, რომ ხელოვნურ მწერლობას ამით იარაღი უუკეთესდება და უძლიერდება და მეორე მით, რომ მისი გავლენა და მნიშვნელობაც ძლიერდება. ჩვენ მწერლობას ნამდვილი მწერლობის ძალა და ხასიათი მარტო მაშინ მიეცემა, როცა ვაფრცვობთ ხალხის გონებას და მოაზრებას, როცა ჩვენ იმის ლაპარაკს და ენას ვავეჩვევით და იმნაირ წერაში ვაფრცვებთ, რომელსაც პირდაპირ ხალხის გრძნობამდი და გონებამდი მიწვევა შეეძლოს. მარტო ამით მოვიპოვებთ ჩვენ ხალხის გულს, მარტო ამით შეუძენთ მწერლობას ძალასა და გავლენას და მარტო ამათ შევაძლებინებთ იმას ხალხის სასარგებლოთ გამოსადეგ სამსახურს და გავლენიან შრომას.

6. ხკანდელი

„კრებული“, 1874 წ. მ.ხუთე-მეექვსე წიგნი

ბრიგოლ ორბელიანი

მგზავრობა სვანეთისაკენ 8. წ.

ვანხილვა

სვანეთის მხარეს ერთხელ მივიდოდნენ სამნი მგზავრნი: კიკოლიკი, ჩიკოლიკი და გ. წ. ესენი, თუმცა იყენენ ერთისა ქტყყანისანი, მაგრამ

¹ „კრებულში“ ბევრი ისეთი ლექსია დაბეჭდილი ილ. ჭავჭავაძისა, რომელნიც უწინდელ მის მწერლობას ვუთენის, უწინაა დაწერილი, და არა ეხლა.

დეს, ოღონდ კი საბრალოს საქართველოს თავი დაანებოს, და მის კეთილგანზრახვას თვს მოგახსენოთ დიდი მადლობა!...

ვგვრინობ, რომ დიდად შეგაწუხე სულ-გრძელო მკითხველო! ვიცი, რომ გული დიდად შეგტკივა ესრეთის დაცენისა-თვს ქართულისა ენისა! მხოლოდ ნუთუ ეს არის ჩემნი ენა, რომელიცა, ესრეთ მდიდრად, ესრეთ ლაინაზად და დიდებულებით ჰბრწყინავს ჩვენს საღმრთოს წერილში, ვეფხვის-ტყაოსანში, ძაბლთა და ახალთა ლექსებში და თვთ სუანის სიმღერასშიაცა, რომელიცა, ამ მოთხრობასში, ჰგდია ვითარცა მარგარიტი ნაოხარზე? რისგან მოხდა, რომ „საქართველოს ისტორია და კაცია აღამიანი“ რამდენჯერმე წაიკითხე დიდის სიანოვნებით, და კიკოლიკის მგზავრობა მეჩემნა ესრეთ საზიზღრად? მაშ ამათ შორის, მართლად, რომელი არის ქართული? არა, ეს მგზავრობა არის რაღაცა მახინჯი, დაბადებული ავტორის ვონებასში! ესოდენი შეცდომილება ესოდენი უცოდინარობა ენისა, ესოდენი უპაზრობა, როგორ უნდა იპოვბოდეს ერთს პატარას თხზულებასში? და უფრო ეს არის საკვირველი, რომ ასეთის გაბეღვით, ასეთის გულ-დაჯერებით, ავტორმა დააბეჭდინა უნიჭობა თვისი! მაგრამ უსანზღუტრო თავის-მოყუარობა ასე ამრამავებს მარადის კაცსა.

და ანუ თვთ რედაქციას რა პაზრი ჰქონდა, რა უხაროდა, რომ ჰბეჭდავდა ამას და არ შეიბრალა არცა თვთ ავტორი? უწინ ეს მაინც იყო, რომ ბერები მონასტრებსში, ეკლესიებსში ნღუღლები და მეტადრე დარბაისლობასში ჩემნი ქალები, დიდად უფრთხილდებოდნენ ჩემს ენასა და ინახავდნენ შეურყეველად მისსა კანონებსა და მისსა სიწინდესა, ვითარცა საუნჯესა. ახლა რედაქციის მეტი ვინლა დეგურჩა ენის მფარუშლად, რომ ესეცა ასე დაუდევნელად, გულ-შეუტკივრად ჰბეჭდავს ყოველსა არეულად დაწერილსა? ჩემის პაზრით, რედაქციას აძევს მოვალეობა, რომ სასტიკი ყურად-ლება მიაქციოს ჩემს მართლ-წერაზედ და კანონიერად ენის ხნარებაზედაც, თორემ სრულუბნით უსარგებლოდ დაჰშთება ესოდენი მისი ღრწაწლი, ესოდენი შრომა და მეცადინეობა დაცვსა-თვს სიწმინდით ჩემსენისა ენისა.

1873 წელსა

ძაბლი ხემინარისტი
„ცისკარი“, 1874 წ. სექტემბერი და ოქტომბერი

ბიოგრაფი თუშანიშვილი

ჩვენი ძველი გვირგვინი

„თამარ ბატონიშვილი“, ისტორიული რომანი გრ. რჩეულოვისა

ეს თხზულება სიამოვნებით იკითხებოდა 1862 წ., როდესაც ის პირველად იყო დაბეჭდილი „ცისკარში“, და იმ გვარითვე იკითხება

ესლაც, თუშცა არ ეხება სრულუბნით იმ საგნებს, რომლებსაც დაჰტიქრებია ჩვენ დროინდელი ქართველი და თუშცა ამ თხზულების გმირები არ არიან ოსტატურად გამოხატულები და შეხვედებით შასში ბევრ უფრო ნომქნედ პირებს.

დიახ, თუშცა ეს რომანი ისე ხელოვნურად არ არის დაწერილი, რომ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვოს მკითხველში, მაინც და მაინც „თამარ ბატონიშვილი“ გვიხატავს ისე ცოცხლად, ისეთ მშვენიერ ენით ჩვენ გასრულს დროს, რომ არ შეიძლება არ წაიკითხოს ყოველმა ქართველმა, რომელსაც არ რცხენია, ან არ ეზარება იყოს ქართველი და უყვარდეს ქართული მწერლობა.

მართალია ამ თხზულების ბოლო გააკვირვებს მკითხველს, აგერ ავტორი ესლავ გადაგვიშლის ჩვენ იველ ცხოვრების სრულ სურათს, ამ იმედით ჰკითხულობ ბოლომდინ და განოდის, რომ ავტორმა მოგვატყუილა; უიმედობას ჰვრძნობ ვერ კიდევ უკანასკნელ თავების კითხვის დროს.

მაგრამ ამ მოტყუილებას ავტორს, იმედი მაქვს, მთლად აპატიებ. რადგანაც იმის საამო საკითხავი წიგნი, მე მგონია, არის მასთანვე სასარგებლო ჩვენ ესლანდელ საზოგადოებისათვის.

უფ. რჩეულოვის რომანი გამოგვიხატავს ჩვენ ძველ თავდაზნაურობას, რომლის ხელშიც იყო ნაშინ თითქმის ყველაფერი.

ჩვენ წინ დგას ორგვარი წარმომადგენელი მეთორმეტე საუკუნის ქართველებისა: ერთი მხრით მხნე, პატიოსანი შალვა და წყნარი, სამშობლოს მოყვარე თამარ ბატონიშვილი, და მეორე მხრით, დაფნდობელი და ამაცი ი. არღუთაშვილი და დედოფალი რუსუდანი. სხვა რჩეულოვის გმირები ისე მკრთალად არიან გამოხატულები, რომ ისინი არ შეგვიძლიან ჩავთვალოთ რომელიმე ხასიათის ან წოდების კაცების წარმომადგენლებათ (ტიპათ).

შალვა არ არის იმ გმირთაგანი, რომელთა სახელიც უნდა ჩაიწერებოდეს ისტორიაში, ამას იტყვის ყოველი, ვინც კი ცოტათი მაინც იცის ჩვენი წარსული. შალვასთან ყმაწვილი კაცები უეჭველია ცოტანი არ იყვნენ მაშინ, მაგრამ მისი ცხოვრება არ შეგვიძლიან არ ჩავთვალოთ რაინდულ ცხოვრებად. ეს წარმომადგენელი ჩვენ ძველ უკეთესს თავდაზნაურობისა, მართალია, განათლებული არ არის და არც მოუვლია იმის მოსაპოვებლათ მთელი ქვეყანა, მაგრამ ის იყო რაინდი, სუსტის დასაფარველად მზად იყო თავის სიცოცხლეს განოსალმებდყო; „სიკვდილი სახელოვანი“ ურჩევნია „სიცოცხლეს ნაძრახსა“, სიცოცხლეს ნაყიდს, სამშობლოს და სარწმუნოების ღალატით.

ჩვენი ესლანდელი მოწინავე საზოგადოება, რომელსაც თავის თავი ევროპიულათ განათლებული ჰგონია, რომელიც შეცოდებით უყურებს თავის წინაპრებს და თავის წარსულს, როგორც ბნელ, საშინელ დროს

და დღეებს სთვლის, დაივიწყოს თავის შავი წარსული; ჩვენი ეხლანდელი უკეთესი საზოგადოება, ვაშობ მე, ბევრით უფარდება—ზნეობით ჩვენვე ძველ საზოგადოებას და მეტად შალვებს. შილვას წინ არ მოჩანს რაღაც უბრალო, ურწმუნო, უგზო-უკვლო თაობათ.

ამას ამჟამათ დაინახავს მკითხველი, როცა მოვუყვებით და ავუწყვრთ შალვას ცხოვრებას, ცხოვრებას იმ უშიშარ რაინდისა, რომელიც ქართველობამ საუბედუროდ დაივიწყა მგონია სამუდამოთ.

შალვა შეხვდება ერთხელ ოციოდ მგზავრს და იმათში მიაქცევს ყურადღებას ერთს, რომელსაც თუმცა კაცურად აცვია, მაგრამ ქალსა ჰგავს ძალიან. შალვა მიხვდება, რომ ქალი მოუტაცნიათ ამათ და მიჰყავთ გასაუბატიურებლად. ჩვენ გმირს უნდა დაიხსნას ეს საცოდავი ქალი ამ მძლავრებისაგან. მაგრამ შალვას სურვილი მარტო სურვილათ არა რჩება, ჩვენებურად, არამედ გადაიქცა საქმეთ. შეიპარა იმ კომპის ოთახში, სადაც დაშალეს მგზავრებმა კაცურათ ჩაცმული ქალი უცნობი ქალის პატიოსნებისა და უმნაკობის დაცვისთვის მზათ არის შეგებას ბრძოლაში ოცს მგზავრს; შეიპარება კომპში და უნდა, ამ ქალის გაუპატიურება კი არა, რასაც მოინდომებდა ჩვენი გარყვნილი საუკუნის შვილი, არამედ უნდა ამ ქალის დახსნა გაუპატიურებისაგან.

შალვას სურს დაიხსნას ეს ქალი მგზავრების კლანჭებიდან და ამიტონაც უნდა იმას იქვე, ნაშინვე იმაზე ჯვარის დაწერა, თუმცა იცის, რომ იმას ეს ცოლი მზითვეს არ მოუტანს და არ შეაკავშირებს მდიდარ და სახელ განთქმულ გვარებთან. იქნება ჩვენ დროინდელ ქართველს არ მოეწონოს შალვას ამ გვარი დაუხედავი მოქმედება, მაგრამ იმედია აპატიოს, თუ რომ მოიგონებს, რომ აღრე ქართველობაში რაინდობა და ტუტუტობა, უსახლვრო თავმოყვარეობა და გრანობა ერთსა იგივეს არა ნიშნავდნენ.

ქალი ჯვარის დაწერაზე უარს ეუბნება შალვას, მაგრამ ნიშანს კი აძლევს და ჰპირდება სხვას არავის მისთხოვდეს.

ამ შემთხვევის შემდეგ შალვა მიჰყვება ჯარს საომრათ და ჩქარა მოდის გამარჯვებული თფილისს.

რა გაიგებს, რომ თავის დანიშნული ყოფილა მეფე გიორგის დისწული და თამარ მეფის შვილის შვილი, იმას ეკარგება იმედი თავის სურვილის ასრულებასზედ. მაგრამ ნაინც ჰბედავს რუსუდანს (თამარ ბატონიშვილის დედას) გამოუტყუადოს თავის გრძნობა თამარისადმი; რუსუდანი უპასუხებს, რომ თავის ქალს მიათხოვებს ბერძნების სულთანს, რათა ამ უკანასკნელმა არ აუტეხოს ქართველებს ომი.

თამარი გაუბედველობაშია, არ იცის რომელი გზა ამოირჩიოს: გაიქცეს შალვასთან და უღალატოს ამით თავის სამშობლოს და მშობლებს, თუ სულთანის ცოლობა ირჩიოს, დაიხსნას თავის სამშობლო,

მაგრამ თავის თავი კი და შალვა დაჰლუბოს? თამარს ურჩევნია უკანასკნელი გზა: იმას მიათხოვებენ სულთანს¹.

შალვამ დაჰკარგა საყვარელი, დაჰკარგა იმ დროსვე მშობელი: იმას ამ ქვეყანაზე არაფერი არ რჩება; მოიძულა ქვეყნიერება, მარტო ფიქრობს თავი ჩაიკლას სადმე.

ჩვენ დროინდელი ქართველი ამ შემთხვევაში, რასაკვირველია სცდილობს იშოვნოს ახალი საყვარელი, დაივიწყოს თავის მშობელი და ხელახლად მიეცეს მხიარულებას; და თუ წინდონა იმან სიკვდილი, ის მოიძულებს არამთუ იმათ, ვინც იმას აგნო, არამედ მთელ ქვეყანას; იმას ჩაუწვრდა სიცოცხლე და მამასადამე ივიწყებს თავის ვალს თავის სამშობლოს წინაშე; ჩაიგეტება ოთახში და იქ ჩამოიხრჩობს თავს...

მაგრამ უცნაური ყოფილა ჩვენი ძველებური თავდაზნაურობა და დახედეთ როგორ იქცევა ის ამ შემთხვევაში. „მე სიცოცხლე მამძულდა, ჰტიქრობს შალვა, და ჩემი ვალია ის სამშობლოს შეესწირო“. და ის ამ ფიქრით მიდის და შეეზმება საწინელ ომში თავის სამშობლოს მტრებს.

აქ შალვა არ კვდება: უფარდება მტერს ხელში და უპირებენ მოკვლას, თუ არ გახდება ნაშამდიანი და საქართველოს ნოღალატე. შალვა ამაზე უარს ამბობს. იმას ესგრიან, მაგრამ არ ჰხვდება ტყვია; ურჩევნ კიდევ უღალატოს თავის სარწმუნოებას და სამშობლოს, მაგრამ კიდევ ამბობს ამაზედ უარს. შალვა რჩება ბაინც ცოცხალი და იმის დანარჩენი ცხოვრება ღირსი არ არის ყურადღებისა.

შალვა, ვიტყვი კიდევ, არ არის ჩვენი ძველი გამოჩენილი გმირი; ის არის მხოლოდ პორტრეთი ჩვენ ძველ უკეთესთა თავდაზნაურობა, და შალვებს ისე ხშირათ შეხვდებოდით ძველ საქართველოში, როგორც ეხლა ხშირათ შეხვდებით ჩვენში გ. ერისთავის რუსეთუმეებს ან ჟადოვებს. და თუ გუნებაში გავაცოცხლებთ შალვას, ამ ძველ ქართველობის უკეთესს წარმომადგენელს და ვაბაასებთ იმას ჩვენ განათლებულ რუსეთუმებთან, მე ვიცი, ისინი ერთმანეთში ვერაფერში ვერ დათანხმდებიან. ეხლანდელი ქართველი ეტყვის შალვას: „შენ ბევრს რას კვებულობ მაგ შენ თავის განწირვით? უნდა გახსოვდეს, რომ მხოლოდ თავის სუფალ კაცს შეუძლიან თავის თავის სიყვარული, და თქვენებური თავის განწირვა და სხვისთვის საწინასწარი მხოლოდ უგუნურ ყურმოჭრილყმის საკადრისია“. ამაზე უპასუხებდა შალვა: „ჩემო ჩამომივალო, სუყველაფრით შეგიძლიან დაიკვებო, მაგრამ თავისუფლებით და გონიერებით კი არა; შენ ხარ თითქმის იმნაირივე საცოდავი მსხვერპლი უმე-

¹ აქ ვიტყვი, სხვათა შორის, რომ ეს გულის შფოთვა თამარისა ვერ გამოგვიხატავტორმა ნათლად და აქედან იწყება მკითხველის გულგრილობა ნოთხრობის გმირებისადმი. ავტორმა ჩვენ ვერ აღვიწყრა დაწვრილებით გრინობანი თავის უპირველეს მომქმედ პირისა.

კრებისა, როგორც მე ვიყავ; ჩვენი მხარე იმნაირათვე ღარიბია. როგორც ჩემ დროს იყო. მაგრამ ჩემი რაინდული ხასიათი შენ სამუდამოდ დაჰკარგე“.

მაშ რაში სჩანს ჩვენი წინ წაწევა, ჩვენი განათლება, თუ ჩვენ ვერ გავაუკეთესეთ ჩვენი ცხოვრება. თუ ჩვენ ლატაკობას ვერ გამოვსალმეთ, ვერ მოვიპოვეთ ცოდნა და არამთუ ვერ გავაკეთილშობილეთ ჩვენი ხასიათი, არანედ დავფარდით ზნეობით? აღარ არის ჩვენში ძველებური სიყვარული სამშობლოსადმი, აღარ არის ჩვენში არც სიმხნევე, არც ძმობური მოქცევა ერთმანეთისა. აღარაფრისა არ გვწამს, აღარაფერზე არ ვოცნებობთ; აღარაფერი, რაც ჩვენ სხეულს არ შეეხება, არ გვაზრუნებს. ძველ ღმერთებს შევაფურთხეთ და ახალ ღმერთებად გავხადეთ ჩვენი სხეული, ჩვენი ჯიბე. „ოლონდ გამძლარი ვიყო, ოლონდ თბილად ვიყო და სხვა არაფერი არ მინდა“. „ოლონდ მე ვიყო და ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო!“ ფიქრობს ყოველ წინს ჩვენ დროინდელი ქართველი. ამას არას დროს არ ფიქრობდა შალვა, რადგანაც ის შეკავშირებული იყო საზოგადოებასთან, სამშობლოსთან; იმას ჰქონდა იმისთანა რწმუნებანი, გრძობანი, თავის სიყვარულის, აღტაცების, ოცნების საგნები, ურომლებოთაც არაფერად არ მიიჩნდა სიცოცხლე.

მაგრამ ჩვენ წარსულ ცხოვრებაში ნოიპოვებიან გმირები, რომლებიც შენ მოგეწონება ესლანდულო ქართველო, რომლებიც შენ გეჩვენებიან ოსტატებათ, ძრიელ ჰკვიანებათ, ძრიელ ხერხიან დიდ—კაცებად.

აი ერთ იმათგანს როგორ აღწერს ავტორი: [ივანე ათაბაგის შჯავრული საქციელის აღწერა].

ეს ამბავი იქნება გაიგოს ელიზბარმა, ფიქრობდა ივანე ათაბაგი, და ჰკადროს ლაშა გიორგის უპატიური სიტყვა და ეს სიტყვა ჩემის ცდილობით ელიზბარს დაჰლუპავს. მართლათაც, ამ შემთხვევაშ უსინდისო ათაბაგს აუსრულა სურვილი. ელიზბარი ინიცდა იმ ლაშეს თავის საცოლესთან და რა ნახა იმასთან ამ დროს ტკბილად მოლაპარაკე ლაშა გიორგი, დაუწყო ყვედრება იქვე ელისაბედს, — რათ მომატყუილე, ავათა ვარო და შემომითვალე ნუ მოხვალო, უეველათ აქ ქეიფის გაწევა გინდოდაო უჩემოთ! ივანე ათაბაგმა ძალად გააბრაზა გიორგიც და ელიზბარიც და შეატაკა ერთმანეთს; მორჩა საქმე იმით, რომ გიორგიმ და ივანე ათაბაგმა გაგზავნეს ელიზბარი გიყვების სახლში და ოცის წლის განმავლობაში იქ ლებობდა გძირი, ღირსი პირველ ადგილისა საქართველოში. მაგრამ ამით არ მორჩა ივანე არლუთაშვილის ოინები.

ერთს ომში, სადაც მიიღებდა მონაწილეობას ელიზბარის შვილიც შალვა თავის ჯარით, ათაბაგიც იყო თავის შვილით. იმას შალვას ხიმარედ და დედოფალთან დაახლოება შურდა და ემინოდა კიდევ

არ ვადიგვაჰარბოს მე და ჩემს შვილს სიმხნით ან თავის მამის ჩვენგან დალუბვა არ მოაგონდეს და შური არ გვაგოსო. ამიტომ ცდილობდა დაეღუბა შალვაც; და როცა შალვას ჯარს შეეტაკნენ მტრები და დაიწყო იმათში ომი, ივანე ათაბაგი განგებ მას არ მიეშველა, რომ ენახა ელიზბარის შვილი დამარცხებულყო. შალვა ათაბაგს კაცს კაცზედ უგზავნიდა ჯარის მოსაშველებლად; მაგრამ ივანე თავის ჯარით შორიდამ უყურებდა. შალვა წაიყვანეს ტყვეთ, იმის ჯარი ამოიხოცა და ეს ივანე ათაბაგს... გაეხარდა.

ამგვარად იმან იმჯობინა თავის მხეტური სურვილის ასრულება და სამშობლოს დაღუბვა მტრის დამარცხებას და საქართველოს ზედნიერებას.

ივანე არლუთაშვილს იცნობთ, ვანა? ის ჩვენში ბევრჯერ გინახავთ. ის ჩვენში არ მომკვდარა და არც არის იმედი, ის ჩქარა მოკვდეს.

ჩვენ ჩვენი ძველი ღირსებანი დიდი ხანია მივგაჩნია უძეცრებათ, ახიურ მძლავრობათ, მხეტობათ; ეს ღირსებანი ჩვენ დიდი ხანია დავივიწყეთ; და ჩვენი წუნები კი გახდნენ უკვდავები და თითქმის ღირსებები თაც საზოგადოების გუნებაში.

გ. თ.

„დროება“, 1875 წ. № 101 და 102

ბიოგრაფი თუშანისაშვილი

„სურამის ციხე“

მოთხრობა დან. ჰონჭაძისა, გამოცემული ექ. ხელაძისა და ი. ბაქრაძისაგან

I

ჩვენ ყოველთვის მზათ ვართ თაყვანი ვცეთ ძველ გენიოსებს, ძველ უშიშარ მთწმელებს ჰერმარტებისა, აღტაცებულ და პატიოსან მქადაგებლებს. ხანდახან გვიყვარს კიდევ იმათ სახელის პატივისცემით წარმოთქმა იქ, სადაც ეს სრულებით საჭირო არ არის. მაგრამ, როცა ჩვენ წყნარ ცხოვრებაში გამოითქმება სასტიკი, მაგრამ მართალი სიტყვა, როცა ჩვენ წიგნების განხრეკას დაიწყობს რომელიმე პატიოსანი კაცი, რომ ამით მოარიდოს ახალგაზრდები, თვალეში აუხილოს ბრმებს, ჩვენ საშინელ კივიანს შეგვქმნით ხოლმე.

წარმოიდგინეთ თქვენ წინ კაცი, რომელიც აძაგებს ჩვენ უხვირობას, უმეტრებას, ორგულობას და სხვა ამისთანა წუნებს. რას იტყოდა ამ კაცზე უპატიოსნესი მკითხველი? არამცთუ უპატიოსნესი მკითხველი, არამედ სუყველა, ვისაც კი თვალეში აბია, რომ ნახოს და უყრები, რომ

გაიგოს? იტყვოდა, რომ ეს კაცი მართლაც ამბობს, ჩვენში სულ უგზო-უკვლოთ მიდისო; მაგრამ მაინც ის ჩაჰქოლავდა ამ გვარ მართლის მოქმედს კაცსა. ყველა ჰეინეზედ, თუ რომ ის დაბადებულიყო ჩვენში, იტყვოდა: „ეს დალოცვილი, ჩვენ რას აგვტეხია, თითონ რაღაა?! ეს დალოცვილი, მითომ რას ჩაგვცვივებია: პატიოსნათ და პატიოსნათ მოიქცეთო, ასე ჰგონია ეხლა შესაძლებელია პატიოსნათ მოიქცეს კაცი!“

მაგრამ ჩვენ თანახმით არ ვართ მკითხველთან. მართალი სიტყვა ვინც უნდა სთქვას, მართალი სიტყვა, როდისაც უნდა გამოითქვას სუყოველთაის წმინდანია.

მართალია სიტყვა თქმული უსამართლოსაგანაც კი უნდა გვახარებდეს, რომ უსამართლოებსაც ვერ გაუბედავთ ტყუილი სთქვან და სხვას მართალს ასწავლიან. თუ ჩვენ წინ ლოთი დაიწყობს ქადაგებას იმაზედ, თუ რა კარგია ფხიზლობა და მშვიდი, პატიოსანი სიცოცხლე, ამან ჩვენ არ უნდა გაგვაბრაზოს, თუ ჩვენ ზურგები არა ვართ და არ გვინდა სხვისთვის ავი. ჩვენ უნდა გვახარებდეს, რომ ლოთიც კი ინატვრის თავისთვისაც და სხვისთვისაც ფხიზლობას. ამ გვარმა ქადაგებამ უნდა გაგვახაროს; რადგანაც სწეული ჰგონობს თავის სწეულებას და ყველას აფრთხილებს.

II

შენ, მკითხველო, არ მოგწონს ხოლმე პატიოსანი სიტყვის თქმა: ამბობ: „რას ქადაგობენ პატიოსნებაზე, როცა ეხლა ჩვენში პატიოსნება შეუძლებელია“, და ქვას ესგრის დაუფიქრებლათ იმას, ვინც აღტაცებით დასცინის ჩვენ უსვინდისობას და უსაზღვრო თავმოყვარეობას. შენ ბრანდები, როცა მართლის მოყვარე კაცი შენ წინ ამბავებს იმას, ვისაც ერთი ბეწვა სარგებელი მოაქვს ქვეყნისათვის და მასთანვე საშინელ ტუტუტობას ჩაიდენს ხოლმე. „შენ ნუ ყვირი ამ კაცის ტუტუტობაზეო, ვუბნები შენ პატიოსან მქადაგებელს, — თორემ ის იმ სარგებელსაც არ მოიტანსო, რომელიც ეხლა მოაქვსო“. „ხელს ნუ ახლებ ამ ჭიანჭველებს, — ამბობ შენ, — ამით შეუძლიანთ იმაზე მეტი გააკეთონ, რასაც აკეთებენო“.

მაგრამ, ჰქაც ვერ დავეთანხმები: თუ პატიოსანი ვინმე კაცი შენს უსვინდისობაზე, ორგულობაზე, თვალთმაქცობაზე ან ტუტუტობაზე დაიწყებს ლაპარაკს, ნუ გგონია, რომ ის შენ ამაში გაბრალებს, ნუ გგონია, რომ ის ამით შენ გეუბნება: „წყუელიმც იყავ, რომ პატიოსანი არ გამოხვეულ და ირჩიე ზარმაცობა და უსაზღვრო თავმოყვარეობა და არა განუწყვეტელი შრომის სიყვარული და კაცთმოყვარეობა.“ არა, პატიოსანი კაცი იწყობს თავის ქადაგებას მხოლოდ ახალგაზრდობისათვის, რომელიც ემზადება მოქმედებას და დაბუფიერება იმას, რა გზა ამოვირჩიო, რომელი გზა სამართლიანია და რომელი საზიზღარია. ყოველ პა-

ტიოსან მქადაგებელს აქვს ერთი განზრახვა: იმას უნდა მხოლოდ იმათი ნასიათის გაკეთილშობილება, ვისაც ჯერ სვინდისი მთლიდ არ დაუქარგავს, იმათი თვალების ახელვა, რომლებიც ჯერ ცხოვრებას არ იცნობენ და რომლებსაც ჯერ არ შეუტოპავთ ჩვენებურ წუშპობებში.

ამნაირივე განზრახვა აქვს დაწინებულ მწერალსაც, სატირიკოსს, თავის დაცინვით იმას უნდა შეარტყვიოს ისინი, ვინც სხვის ოფლის ღვრით გამდიდრებულა, ვინც ორგულობით ამაღლებულა საზოგადოების გუნებაში. სატირიკოსს უნდა საზოგადოება ააღელვოს, ააღაპარაქოს, ყველას ადევნიოს დიდ-გული და მძლავრი ბატონები, ხალხის მტაცებლები და უსამართლოთ ამაღლებული ტეტები...

მაშ ესე, მკითხველო, თუ უსვინდისო კაცმა დაიწყო აღტაცებით ლაპარაკი სვინდისზე, თუ ზარმაცი თავის სიძღვრაში თავყანს სცემს შრომას, თუ ლოთი გასწავლით ფხიზლობას ან ქურდი პატიოსნებას, — შენ იმათ დაუქარ ტაში! დაუქარ ტაში, რომ უფრო ხშირად გვესმოდეს იმათი გულწრფელი ქადაგება, იმათი მართალი, გრძნობით სავსე სიტყვა, იმათი კეთილშობილური აღტაცება, რომელიც გააძხნევებს უსამართლოთ ქვეყნით დაჩაგრულებს, უდროოთ უძლურებს, უდროოდ დაღუპულებს.

აი, თუ ნახავ კაცს ბევრის მომთხოვნელს და სასტიკ კრიტიკოსს და თუ ნახავ, რომ ის სჯის გულწრფელად, ნუ შეგეშინდება ამ სასტიკ სიტყვისა. სასტიკ სიტყვას ორგული კაცი ვერ იტყვის. სასტიკ სიტყვას, მართალს და თქმულს გრძნობით ეცი პატივი, რადგანაც ის არის ნიშანი იმის მოქმედის შენადმი სიყვარულისა. სასტიკი, მაგრამ მართალი სიტყვა წამალია, და როგორც ყოველი წამალი, თავდაპირველად, რასაკვირველია, უსიამოვნოა.

III

მაშ თუ საზოგადოება ესე ჰკიცხავს კაცს სასტიკ სიტყვისათვის, გინდ ის სიტყვა იყოს ჭეშმარიტება, თუ საზოგადოება არ სცემს პატივს თავის მცხარე მოყვარეებს, ძნელი ყოფილა აღტაცებული ქადაგება, ქადაგება, რომელშიაც გამოითქმებოდეს უკმაყოფილება ნამდვილი ცხოვრებით და სურვილი უმჯობეს ბედისა!

მართლათაც, ისტორია გვიმტკიცებს, რომ პირდაპირ და გულწრფელად მართლის მოქმედებს სდევნიდა და სტანჯავდა საზოგადოება, რომლისთვისაც ისინი არაფერს არ ზოგავდნენ. ხშირად, ძალიან ხშირად ხალხი ყურს არ ათხოვებს ან ქვასაც ესგრის იმას, ვისაც არ შეუძლიან იმის ფარისევლურად ქება; ხშირად, ძალიან ხშირად საჭიროა უსვინდისო ფარისევლობა, რომ მოიპოვოს კაცმა საზოგადოების მხრით სიყვარული;

მაგრამ მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ხალხის ზნეობით მდგო-

მარეობას უფრო კარგი ბედი ელის, რამდენიც იმას ბევრი იმისთანა სასტიკი მსჯელები ჰყავს, როგორც იყვნენ გერმანიაში ბერნე და ჰეინე, საფრანგეთში—ვოლტერი და რაბლე, ინგლისში—სეიფტი და დიკენსი და რუსეთში გოგოლი და დობროლიუბოვი; და თუ გადავივლებთ თვალს ჩვენ ღარიბ მწერლობას, აქაც ვიპოვით ამათი ცოტათ შინაც მსგავსებას.

მაგრამ, როცა ვიგონებ ჩვენ საფუძვლიან მკითხველებს, წარმომიდგება რაღაც უსაზღვრო სიბნელე, სადაც ნოჩანან საძინლად წუთხარე მჭრალი სახეები; გულგრილიათ ვერ შევიხედნია იმათთვის; შეხედავთ იმათ და აივსებით ნაღვლით და წერე რა ნაღვლით, რადგანაც ან ჩაფლულ სიბნელებში, მიწის ფერ სახეებში იცნობთ... ჩვენ მწერლებს. ზოგი იმათგანი იცინის, ხუმრობს კიდევ, მაგრამ ამ გვარმა ხურობაებმა იქნება გაგვიცინოს ძხოლოდ იმისათვის, რომ არ გვატიროს!

იმავე სიბნელებში ხედავთ ახალგაზრდებსაც, დაუნდობელ მეფისტოფელურ ხარხარით, იქ ხედავთ... მაგრამ, უკაცრავათ, ქართველო, შენ იქ არ იყურები, შენ სრულებით დაგვიწყნია ისინი, ვინც შენ დაგცინოდა, ვისაც შენ ცამდი არ აპყუანდი, ვინც არ იფიწყებდა, რომ შენ წუნბაში ჩაფლულხარ, ვინც არ იფიწყებდა, რომ ჯერ ბევრი, საშინლად ბევრი რამ გაკლია.

მაგრამ არც შენა ხარ ამაში დამნაშავე: „შამნი მეფობენო“.

IV

შესაძლებელი საქმეა, რომ თქვენ არ იცნობდეთ დანიელ ჰონჭაძეს. იმ თხზულების ავტორს, რომლის წაკითხვამაც მოგვგვარა აქ წარმოთქმული ფიქრები. მართლათაც, იმას თქვენ წინ კიყინით ან მათრახით ხელში არ გაუვლია, იმან თავის დროს გითხრათ ნართალი, „მწარე მართალი“ როგორც ამბობენ რუსები, მაგრამ თქვენდამი არ გიცი, მიიღწია თუ არა იმის სიტყვებში; მაგრამ, არა მგონია, რომ იმის მართლის თქმა სრულებით უნაყოფოთ დარჩენილიყო და არ გაემხნევა ჯერ არ დაჩაგრული ახალგაზრდობა მაინც.

ჰონჭაძემ, ერთი სიტყვით, თქვა სასტიკი სიტყვა თავის თხზულებაში და აი როგორ: 1847 წელს, როდისაც არამ თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც ჯერ მხოლოდ რამდენიმე განათლებული ახალგაზრდა ფიქრობდა ბატონუობის მოსპობაზე, ჰონჭაძემ დასწერა მოთხრობა, რომელშიაც ზოგიერთი ჩვენებური ბატონები ცუდათ გამოჰყავს და დაბეჭდა ის 1859 წელს, როდისაც ჩვენში საზოგადოებას არ სურდა ყმების განთავისუფლება.

როცა ჩვენი ზოგიერთი მემანულები თავიანთ ყმებს სთვლიდნენ უსულდგნულ ნივთებათ, რომლებსაც მოხმარება შეიძლება ყოველნაირათ და რომლებსაც დანახვრევა დანაშაულებათ არ ჩაითვლება, ჰონჭაძემ

მოგვითხრობს იმათ დაუნდობლობაზე იმისთვის, რომ შეგვაბრალოს ყმები. ამა დახედვით თუ არა; წაკითხვით შესაძლებელია თავი „სურამის ციხისა“ [ნოდარის თავგადასავალი].

ეს უბრალო-ბრალიან გლეხის უბედურება გრძნობით არის ნაამბობი მოთხრობაში და იმის აღწერამ იქნება არა ერთხელ დააწყველინა მკითხველს ბატონ-ყმობა.

V

ჰონჭაძის მოთხრობა მარტო მკიცხავს, სასტიკ სიტყვას კი არ ამბობდა, ის გვინატყვია კიდევ ნამდვილ ცხოვრებას. ავტორს სცოდნია კარგათ აღამიანის გული. ეტყობა, რომ თავის კაბინეტის ფანჯრებიდან ცქერას არ უნდებოდა. არამედ თითონ სცხოვრებდა იმათში, ვისაც ნატყვია.

დურმიშხანი, მოთხრობის უმთავრესი მოქმედი პირი, ცოცხალი აღამიანია და არა უსულდგმული სურათი. ამას გარდა დურმიშხანი არ არის უცნაური, განცალკევებული კაცი, კარიკატურა, არამედ არის ტიპი, პორტრეტი, რამდენიმე ათას და ათი ათას კაცისა. დურმიშხანს არა აქვს ერთი იმისთანა წუნი, რომელიც უკლავდეს იმს ყოველივე ღირსებას, გრძნობას. მართალია, იმას მარტო თავის თავი უყვარს, უნდა ყველას მოტყუილება, რომ გაძლიერდეს თითონ. ის შეუუვარდება ვარდოს, მაგრამ ამას ის სიყვარულით კი არ უპასუხებს, არამედ იმით, რომ იმის შეწვევით განითავისუფლებს თავს ბატონისაგან და გაიქცევა სხვაგან გასაძლიერებლად და სამუდამოდ იფიწყებს იმას, ვისაც ის უყვარდა ვიყურათ და ვის მადლობ იმან მიიღო თავისუფლება.

დურმიშხანი შიილებს ოსმან-ალასაგან (ნოდარისაგან) იმის ნახევარ ჰონჭაძეს, გამოეთხოვა ლატაკობას და ხდება პატივცემულ ვაჭრათ, და მერე ამის სამაგიეროთ როგორ ექცევა თავის აღას!

ოსმან-ალამ რომ მიიღო ხელგორეთ ქრისტეს სარწმუნოება, ოსმალებმა დაიჭირეს ის დასასჯელათ. „დურმიშხანი კი იმ დროს, როდესაც იმის აღას აწვალდნენ და შენდევ ისე საშინლად მოჰკლეს, არ ფიქრობდა არცა ერთსა ღონის ძიებას იმის შევლისთვის და შენდევ სიკვდილისა იმდენი ვერ შესძლო, რომ გამოეთხოვნა სტამბოლის მმართველობისათვის იმისი დამარხვა. საწყალი ოსმან-ალას გვამი ეგდო რამდენიმე ხანი სტამბოლის ქუჩებში, სანამ შეწუხებულთა იმის სუნით არ მოიგონეს გადადგება იმისი ზღვაში“.

როცა მიდრდებდა დურმიშხანი, იმას უნდა გაკეთილშობილდეს, სულ უძვრება ამის შემდეგ თავადიშვილებს, თავის შვილს ანათვლინებს იმათ, ურჩევს თავის შვილს იმათში გაყრიოს და იმათ გაუამხანავდეს. თითონ იჩენს ყმებს, ცხოვრებს ბატონურად და სთვლის თავის თავს დიდათ, ბედნიერ კაცად.

მაგრამ დურმიშხანი სუყოველთვის და თავიდან ბოლომდის ავაზაკი არ არის. იმას საშინლად უყვარს თავის შვილი, იმის ბედნიერების მოსაპოვებლად, ის მზად არის დაჰკარგოს მთელი თავისი ქონება და როცა ეს ერთი შვილი უკვდება, თავის თავს აღარ ზოგავს, ის გადასჭრის ამ კარათ და არა ჩუნათ მოჰკლას თავის შვილის დამღუპველი; მაგრამ, როდესაც ამ დამღუპველს ჰკლავს, კვდება თითონაც თავის მსხვერპლის ხელითვე.

VI

დურმიშხანის სიცოცხლეში იყვნენ იმისთანა წამებიც, როდისაც ეს ავი კაცი ხდება ღირსი შეცოდებისა. ხანდახან ის ნანობს, რომ თავის საყვარელს და თავის დამსწრელს ვარდოს უსვინდისოთ უღალატა და თავის აღა, ურომლისოდაც ის ვერ გამდიდრდებოდა, არც კი დამარხა. დურმიშხანს, ამ უგულო, ფარისეველ კაცს შეუძლიან ხანდახან მიეცეს გრძობას. იმას არ უყვარს ვარდო, მაგრამ ეფერება, რადგანაც იმისგან მოელის თავისთვის სარგებელს; მაგრამ მოხდება ხოლმე ისიც, რომ ის ამ თავისგან მოტყუებულს გოგოს ელაპარაკება გულწრფელათ, მით უფრო, თუ ეს გულწრფელობა არგებს იმის პლანებს. მგონია, რომ დურმიშხანი არა სტყუვდება, როცა ამბობდა [იმერლის ბიქის მდგომარეობა მუხრან ბატონის სახლში].

ერთი სიტყვით, დურმიშხანზე რომ კითხულობთ, წარმოგიდგებათ ნამდვილი ცოცხალი კაცი, რომლისთვისაც ღმერთს ჰქუა მიუცია, მაგრამ ის კი ამ ჰქუას ხმარობს თავის საყვარლის და თავის გამამდიდრებელის დაღუპვანედ და თავის და თავის ოჯახის გამემდიდრებელზე.

კითხულობთ „სურამის ციხეს“ და თქვენ დურმიშხანი, როგორც ცოცხალი კაცი, ხან გეძულებათ და ხან გებრალდებათ. ამ გვარ ხელოვნებით გამოხატვა კაცის ხასიათისა ყველას არ შეუძლიან; ამისთვის საჭიროა ნიჭი.

VII

მაშ ესე. „სურამის ციხე“ არის არამთუ აღტაცებით, გრძობით, კაცთმოყვარეობით სახვე სიტყვა. წარმოთქმული დაჩაგრულ ხალხის გასამხნეებლათ და დასაცავათ და დაუნდობელ ბატონების გასაკიცხავად, არამედ ის არის ხელოვნური გამოხატვა აღამიანის ხასიათისა. ამ გვარი ღირსებანი თხულებია მხოლოდ ჩვენში კი არა, სხვა ქვეყნებშიაც ბევრი ვერ მოიპოვება.

„სურამის ციხე“ იმისთანა თხულებია, რომელსაც თუ წაიკითხავთ, ჩქარა არ დაგავიწყდებათ, არამედ ცხოვრებაში ხშირათ ზოგაგონდებათ იმის მოქმედი პირები. რუსები როცა ხაზვენ ძალიან მკვებარა და ცოტა ცეტ-ფანტურა ახალგაზრდა კაცს, იტყვიან—ეს ხლესტაკოვიაო; თუ

ხაზვენ ძუნწს—ეს პლიუშკინიაო; და თუ „სურამის ციხის“ მკითხველი ნახავს გაიძვერა იმერელს, იტყვის ეს დურმიშხანიაო. დურმიშხანი უკვდავი პირია და ისე, რაც უნდა გავნათლდეთ ჯერ კიდევ დიდხანი ისევე ის გაიძვერათ დარჩება და „სურამის ციხე“ ჯერ კიდევ დიდი ხანი სიამოვნებით წაიკითხება.

VIII

აქ არ შემოდლიან არ გიჩვენოთ აგრეთვე ის ნაკულუვეანებებიც, რომლებიც შევამჩნიე ქონქაძის მოთხრობას.

დურმიშხანის საცოლო, გულისვარდი არის ქალი დიდათ წყნარი, მორიდებული; იმას საშინლად უყვარს თავის ქალბატონი და აგრეთვე დურმიშხანიც. თუმცა ვარდო დიდხანია ერთ სახლშია თავის საქმროსთან, მაგრამ ის იმას არ იცნობს კარგათ; იმას ჰგონია, რომ დურმიშხანს შეუძლიან იმის სიყვარული და ბევრი იმედები აქვს იმაზედ. ერთი სიტყვით, ვარდო არის გულჩვილი, ღრმათ მოყვარე თავის უგრძნო საქმროსი; მაგრამ, რა გაიგო, რომ დურმიშხანმა მოატყუილა და სხვა შეირთო, აგდებს თავის საყვარელ ქალბატონს და სცდილობს იპოვნოს საშუალება, შური უგოს თავის ძველ საყვარელს. ის ხდება ამისათვის მკითხავათ, ჩვენ უმეტარ ხალხის თვალის ამხვევათ და მაინც თავის განხრახვას ასრულებს.

წყნარი და მშვიდი გულისვარდი კაპასდება თანდათან. დაბოლოს, სიბერის ღროს, ესმის, რომ სურამში ციხეს ამენებენ, მაგრამ ვერ აუშენებიათ; რაშდენჯერაც აიტანენ კედელს რამდენიმე აღლამდი, იმდენჯერ მთლად ინგრევა. ამაზე დაეკითხებიან ვარდოას. ვარდოა უპასუხებს: „ციხე მხოლოდ მაშინ, ამენდება, როცა იმის კედელში ჩაატანენ დედის ერთა შვილს დურმიშხანისას—ზურაბსა“.

უნეცერ ხალხს სჯერა მკითხავის სიტყვა, როგორც სახარებისა და ზურაბს ჩაატანინებს ციხის კედელში. დურმიშხანის ცოლი ჰქუიდა იშლებია, თითონ დურმიშხანი კი ჩამოდის ქალაქში ვარდოსთან და აქ ისინი შემოაგდებიან ერთმანეთს. დრამა თავდება.

აქ მგონია, ყველასათვის საინტერესო იყო გავგო, როგორ, რა გზით, გულჩვილი და ნახი ვარდოა ხდება დაუნდობელ შურის მგებელათ; რა ზრძოლა წარმოსდგება იმის გულში, ფიქრები ერეოდა იმას თავში იმ დროს, როცა ის გადასჭრიდა გაზნდარიყო თავის მოძმეების ხალხის შვილების თვალების ამხვევი და უნდოდა მოეხმარა მთელი თავის სიცოცხლე თავის ძველ სიყვარულის დაღუპვანზე, როგორ კეთილი, მეტად კეთილი, წყნარი ქალი გადაიქცა ეზმაკათ?

ამაზე სიტყვასაც არ გვეუბნება ავტორი და აი რატომ თითონ ვარდო გამოდის მოთხრობაში რაღაც უცნობ პირათ.

უფ. რჩეულოვის რომანსაც ბევრი დააკლო ამავდე გაჩუმებამ შესახებ იმ ბრძოლისა, რომლის შემდეგ იმისი თამარი გამოცხადდა თავის საყვარელ შალვას და შესწირა თავის სიცოცხლეს სამშობლოს.

ეს გვიმტკიცებს, რომ ამ ორივე ჩვენ უკეთეს ბელეტრისტს აქლია დაახლოებული ცნობა ქალის გულისა.

მაგრამ სად შეესწავლიათ ამ მწერლებს სხვადასხვაგვარი ხასიათი, გრძნობანი? ჩაქეტილი ვართ ერთ რომელიმე კუნძულში, ყოველ დღე ერთი და იგივე კაცებს ვხედავთ; არ არის ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრება, არ არის ჩვენში საზოგადო მოძრაობა, რომლის გამო შეგვეძლოს ერთმანეთთან დაახლოვება, ერთმანეთის გაცნობა, ერთმანეთისთვის თავის გულის წუხილის გამოთქმა.

სხვებს, ჩვენზე უფრო ბედნიერ ხალხებს აქვთ ყრილობანი, ერობა, სამეცნიერო კრება და სხვა საზოგადოებანი; იქ მუშაობენ ერთად ესმით ერთმანეთის; იქ ადვილია ადამიანის გული გაიციოს მწერალმა და იმის ძვერა გამოხატოს თავის თხზულებაში.

ჩვენში კი მწერლები მოწყვეტილი არიან საზოგადოებისაგან, იმათში ბევრი განსხვავებაა, იმათ ერთმანეთზე დაწყნარებით სჯა არ შეუძლიანთ, თითქმის არაფერი არ ესმით იმათ ერთმანეთისა. ჩვენი უკეთესი მწერლები დაღონებით ამბობენ:

—... მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი, ის არი მხოლოდ სატირალი და სამწუხარო, რომ შენ მიწახედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვაძღო, გრძნობა ჩემი განუზიარო!

იქნება ეს ვარემოება იყოს ცოტათ მაინც მიზეზი იმისი, რომ მთელ ჩვენ მწერლობაში ნოიპოვება მხოლოდ ორიოდ რიგიანი მოთხრობა, სადაც გამონატული ყოფილიყო ქართული. მაგრამ ამ გვარ სიღარიბეს ჩვენ მწერლობისას აქვს სხვა მიზეზიც, რომელზედაც მოვილაპარაკებ შემდეგ, სხვა მოთხრობის ვაშინჯვის დროს.

დროება, 1875 წ. № 117, 118, 119

3. თ.

3. ეს მწერლები სხვაფრთხილ პეკანან ერთმანეთს. ორივეს აქლია ჩვენ წარსულის ცნობა. რაგორც. უფ. რჩეულოვმა გადუარია წ. ლიწადები და ვ. ხანტიის იმპერატორი გახადა სულთანათ. ის უფ. კონქაძე ლაპარაკობს იმ დროის ბატონ-ყმობაზე, როდისაც სწორჯთ არ იცის, იყო თუ არა ბატონყობა.

ავტ.

კომედია „პეპო“ ჯარტუხლს სცენაზედ

წარსულ ხუთშაბათს 27 გიორგობისთვის, ქართული სცენის მოყვარეთა თბილისის საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს უფ. გ. ბ. სუნდუკიანცის სამ მოქმედებანი კომედია — „პეპო“, ნათარგმნი ავტორისაგანვე თავ. რ. ერისთავის შეწევნით.

თავიდაშვე ვიტყვი, რომ ამისთანა აზრიანი, სცენის დამაკმაყოფილებელი და დამაფიქრებელი კომედია ჩვენს საზოგადოებას ქართულს ენაზე და სცენაზე ჯერ არ უნახავს.

კომედიის ღირსებას თითქმის შეეფერებოდა მოთამაშეთა აღსრულება და წარმოდგენაც.

წარმოდგენის დროს, ერთმა ქართულის სცენის მოყვარემ და იმისთანა პირმა, რომელსაც ამ საქმის გაგება აქვს, სთქვა:—სად იმაღებოდენ დღემდი ეს მოთამაშენი? სად იყო ეს კომედია?!

პიესაში გამოყვანილი პირები ჩვენი კარგი ნაცნობები არიან იმათ ყოველ დღე, ყოველ ნაბიჯზედ ვხედავთ.

ავიღოთ თითოეული პირი და ორიოდ ვიტყვით გავმარტოთ იმათი ხასიათი.

პეპო—კინტოა, მეთევზე. მაგრამ უბრალო კინტოა კი არა: ეს ისეთი კაცია, რომლის ტვინი მუშაობს, რომელიც კარგათ აკვირდება ქვეყნის ბრუნვას, რომელსაც ესმის საზოგადოების წესები და დაწყობილებანი; კინტოა და პრინციპები რომ მოთავსდებოდნენ ერთად, მე ვიტყოდი, რომ პეპო პრინციპებიანი კაცია მეთქი.

პეპოში გამოხატულია, განხორციელებულია ის ეკონომიური უთანხმოება, რომელიც მთელი ქვეყნისთვის საგრძნობელი და დამაფიქრებელი შეიქნა...

ის დულს, იმას ვერ აუტანია, ვერ მოუთმენია ეს უსამართლო ძალისაგან პიტიოსანის, მაგრამ სუსტის დაზავება. ნადველი მოსდის, მზათაა შეახეტქოს თავის ტვინი ყოვლის დამზავრელს უსამართლო ძალისა. მაგრამ თავის უღონობას ხედავს და თითქო დასცინის თავის წადილს.

ის განათლებული კაცი არ არის, იმას თეორიები არ შეუსწავლია, ძმობასა, ერთობასა და თანასწორობაზე თავის დღეში სიტყვაც არ გაუგონია, მაგრამ მის მაგიერათ იმას უცხოვრია, ის დაკვირვებია ჩვენს ცხოვრებას და რასაც ამბობს თავის თავზე, თავის ტანის კანზე უგრძნია; უსამართლოებასა და გამწარებას გაუხდია ყველა იმ სენისა მჭევრ-მეტყველ გამომთქმელად, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ქვეყანაზედ.

სრულებითაც არ მიეცირს, რომ პეპომ არ გაუგონა ვედრება და რჩევა თავის დედას და გიქოს, როდესაც ისენი ეუბნებოდნენ არუთინას ბარათი მიეცი და ამით ერთის მხრით „აბანოში“ ჩაჯდომისაგან განთავისუფლდი და მეორეს მხრით დროზე და მომეტებული ფულებიც მიიღეო. აი, აქ სჩანს რომ პეპო პრინციპიანი კაცია; იმან დაიფიქსა ამ შემთხვევაში თავისი პიროვნული სარგებლობა, და უნდა, რომ ერთი უსინდისოთ გამდიდრებული გამოააშკარავოს საჭეყნოდ, დაანახოა ყველას თუ როგორნი არიან ეს პირები, თუ როგორის საშუალებით მდიდრდებიან, უნდა იმისათვის რომ შემდეგში ამისთანა გზა მოსპოს და მსგავსები დაიხსნას იმათის უსამართლობისაგან.

ჩემის აზრით, გასაგვირველი არ არის, რომ პეპომ ამისთანა უანგარობა და თავის სარგებლობის დავიწყება გამოიჩინა.

მეორე ტიპი კინტოსი—კაკული—ბევრით განსხვავდება პეპოსაგან. ეს არის ის უდარდელი, ქეიფის მოყვარე, დარდიმანდი და ჩიტივით უზრუნველი კინტო, რომელსაც ხშირათ შეხვდებით ჩვენს ქალაქში.

ქეიფი უყვარს: პური და ღვინო თუ გააჩნია, ბელაიერია, და თუ ზედ ცოტა მოთალიცა და კიტრი აქვს, მაშინ ხომ ცა ქუდათ და დედა-მიწა ქალაქნათაც არ მიაჩნია. ორთაქალის ბალი იმის ასპარეზია! ოღონდ დღეს ჰქონდეს ლუკმა პური და ხვალ—ღმერთი ნოწყალეა!

ტოლ-ამხანაგისთვის, თავის ძმა-ბიჭისთვის თავის მოკვლა გრომათაც არ მიაჩნია, უსამართლობა ნახა სადმე-იყვირებს, ქველი საქმისთვის გადაგვხვევა, ვინც უნდა იყო, და გადაგკოცნის, ახირებულათ ნუ სოე-ჩვენები თორემ ისეთნაირათ დაგციენებს, რომ გულს მოგიკლავს. შეურაცყოფა მიაყენე რამე—ცხრა ლიტრიანი მუშტი ნაათა აქვს. პრინციპების არა იცის-რა, მუდამ პირველ გრძნობით, პირველ შთაბეჭდილებით ცხოვრობს და ნოქმედობს.

რამდენათაც პეპოს ხასიათი ტვინს აკმაყოფილებს, იმდენათ კაკული გულისთვის საამო სანახავია, სიამატიურია...

არუთინ ზიმზიმოვი... ყველა იცნობთ არუთინ ზიმზიმოვს! წარმოიდგინეთ კაცი (მაღლობა ღმერთს, ამის წარმოდგენა ქართველ კაცს ჩვენ დროში არ გაუინელდება!), წარმოიდგინეთ, ვაძობ, კაცი, რომელსაც თავის სიტოცხლის მიზნათ ფული, ფული და ფული გაუხდია, რომელიც არავითარ საშუალებას არ ზოგავს, რომ ამ მიზანს მიღწიოს, რომლისთვისაც სიტყვები: „სინიდისი“, „პატოსნება“, „კაცთ მოყვარეობა“ და სხვა ამ გვარები გაუკვებარი და ფუტურო რამ ხმებია: წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც გულგრილათ შეუძლია ლტაკს უკანასკნელი გროში წაართვას, ჩამოწონწილს დაფრეწილი ჩოხა გააძროს, მშვიერს ლუკმა გამოგლიჯოს პირიდან და, ყველა ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ამათგან მოტაცებული გროშები ოქროებათ აქციოს და ზედ დასცქეროდეს. წარმოიდგინეთ ეს და თქვენ თვალწინ იქნება სურათი არუთინასი!

ესრეთია არუთინ ზიმზიმოვი. ანისთანა პირები ისეთს მოვლენას შეადგენენ ჩვენს დროში, რომ იმათი ნახვა აღარავის აღარ უკვირს; შევეჩვიეთ; მუდამ ყოველ ნაბიჯზე შევხვდებით...

გიქო ტიპია, განხორციელებული წარმომადგენელი იმ დინჯი, დარბაისელი და „გადამდნარი“ მოხუცებულისა, რომლის მსგავსსაც ყველგან ბლომად ნახავთ; ბევრი რამ გამოუცდია თავის ცხოვრებაში, ბევრი რამ უნახავს დედა-მიწაზე, ერთ დროს იქნება ესეც პეპოსავით ღელავდა ქუხდა, დულდა; მაგრამ ახლა ნერვები დაებლაგვა, მაგდენათ აღარაფერი აღარ ააჩქარებს, აღარ ააღელვებს; ყოველივე ამა საწუთროსი წარმავალიაო...

ეს ოთხი პირია კამედიის უმთავრესი პირები, იმის ხასიათის გამომსახველნი.

დანარჩენებში: შუშანა, პეპოს დედა,—ერთი ქვრივი, თავის შვილების უბედურებით გულდამწვარი, მუდამ მტირალი დედა-კაცია, რომლის ნატვრა მხოლოდ ის არის, რომ თავის ქალ-ვაჟი ცოცხალი და ბედნიერი ჰყავდეს.

ამე—უბრალო ღარიბი ოჯახის გასათხოვარი ქალია. ეს იმ ქალებს ეკუთვნის, რომელთაც ყველა უბედურებისა და დაბრკოლების თავიდან ასაცდენელათ მხოლოდ ერთათ-ერთი საშუალება აქვთ: ცრემლები, მამას ან ძმას რაიმე უბედურება შეემთხვევა—სტირის, ქმარი ვერ იშოვნა დროზედ—სტირის, ახალი კაბა ვერ შეიკერა—ცრემლები მზათაა!...

ეფემია—არუთინას ცოლი, ჩინებული ტიპია ამ ღარიბი ოჯახიდან მდიდარ ოჯახში ჩავარდნილ ქალებისა, რომელთაც სხვების წაბაძვით, გარეგნობით და ყალბი ამპარტაგნობით ჰსურს თავის მთამომავლობა დაიფიქსონ და ამიღლდნენ. გული მოუკვდება, თუ ისე მდიდრულად არ მორთო სახლი, როგორც იმის მეზობელსა აქვს; ერთ კვირას სიდილს არა სჭამს, თუ იმანაც ორმოცდაათ თუნინიანი წყვილი სარკე არ იყიდა; რა გული მოუთმენს, რომ კარაპეტას მარუამ პოდესუას კაბა, ან ხავერდის მოსასხამი შეიკეროს და იმან კი არა!

დანარჩენი მოქმედი პირები „პეპოში“ მხოლოდ იმისთვის არიან გამოყვანილნი, რომ უიმათოთ მოქმედება არ შეიძლება, და არა ტიპებათ.

ორიოდე სიტყვა წარმოდგენაზედაც ვთქვათ [ნათაძის, ბაქრაძის და ჩიმიშვიანის თამაშის შესახებ].

უკანასკნელი ჩვენი სიტყვა და ნატვრა ის იქნება, რომ ამისთანა გონიერული და ესტეტიკური დატკობა, რაც შეიძლება, უფრო ხშირათ ღირსებოდეს ჩვენს საზოგადოებას...

ს. მესხი

„დროება“, 1975 წ. № 136. 137

ზ. ანტონოვის თხზულებანი

თბილისი, 1876 წელს. ვ. ხელაძის სტამბა

როცა ჩვენ რომელიმე ხალხის ლიტერატურაზე ვლაპარაკობთ, სახეში გვაქვს მისი მწერლობა, რომელშიც იხატება მისი საკუთარი, თვით-არსებობითი, გონებითი მოძრაობა. მასში ჰსძევს მისი ზნეობა, ჩვეულება, ხასიათი, საკუთარი ხალხოსნური შეხედულება და შთაბეჭდილება რომელსაზე საგანზედ.—თუ თვითონ მას არა, არავის სხვას არ შეუძლია მისი ლიტერატურის დაარსება. ის ისე არა გავს სხვა ხალხის ლიტერატურას, როგორც თვითონ. ის არის ვრცელი სურათი მისი გონებითი წარმატებისა, ის არის მისი პსიხოლოგია.

რადგან ხალხის ლიტერატურის განმასხვავებელი მიზეზნი უფრო მკაფიოდ პოეზიაში გამოიხატებიან, ამისათვის ლიტერატურას შეადგენენ პოეტური ნაწარმოებნი. ამასთანავე ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ მარტო პოეტური ნაწარმოებით არ განისაზღვრება რომელიმე ხალხის ლიტერატურა.—მასში შედიან იმგვარნი თხზულებანი, რომელთაც წმინდა სპეციალური მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ ცხადი და უუჭველი გავლენა ჰქონიათ საზოგადოების წარმატებაზე, რამოდენათაც სასარგებლო იყო მათი გავლენა და შედეგი, იმოდენათ მაღლა სდგანან ამ ხალხის როგორც პოეტური, აგრეთვე მეორე გვარის თხზულებანი—არა სპეციალურნი.

რაკი საზოგადო ცხოვრების ძალმა ერთხელ დასდვა ლიტერატურის საფუძველი, როგორც აუცილებელი ისტორიული მოთხოვნილება,—ლიტერატურა ჰბდება იმ ღონისძიებათ, რომელსაც უმთავრეს დანიშნულებად აქვს გასწმინდოს საზოგადოება მავნებელ მოვლინებისაგან, მოსპოს ბოროტება, მისცეს ფართო გზა ჰუმანარტებას, სამართლიანობას, გამოხატოს ნამდვილი და სასიქადლო მხარე ცხოვრებისა და დაუდვას ეს უკანასკნელი მაგალითად თვითოველ საზოგადოების წევრს, უჩვენოს სწორი გზა და თან გაიყოლოს საზოგადოება იმ პატიოსან გზისკენ, საითკენ თვითონ მივშურება, წინააღმდეგ ამისა, რაც კი აყენებს საზოგადოებას გონებითს და ზნეობითს წარმატებას, სდევნის შეძლებისა დაგვარად.

როცა ეს ღირსება დაიმსახურა ლიტერატურამ საზოგადოების თვალში, მაშინ ის ჰბდება საზოგადოების მხსნელად, მაცხოვრად,—ამაზედ არის მაშინ დამოკიდებული ყოველი წარმატების იმედი.

მაგრამ, საუბედუროდ, ეს ასე არ ხდება ყოველთვის,—ერთი მხოლოდ ლიტერატურა არ არის საზოგადოების წარმატების ღონის ძიება; ის არის ერთი მათგანი. იმას გარდა არიან საზოგადოებაში სხვა

ღონის-ძიებანი და თუ ეს უკანასკნელნი რიგიანს გზაზედ სდგანან, მაშინ ლიტერატურა ძმურად ამოუდგება გვერდში მათ და ერთად ერთ უღელქვეშ მიელტვიან საზოგადო ბედნიერებისაკენ.

ხშირათ ხალხების ცხოვრებაში ვხედავთ მრავალს იმგვარ შემადგენლებელ გარემოებას, რომელიც რყენის საზოგადოების გამაუნჯობესებელ ღონის-ძიებათ. ამ შემთხვევაში ლიტერატურა, აღქურვილი გონებით, ზნეობით და პატიოსნებით, ერთად-ერთი ებრძვის ამ საზოგადო მავნებელ მოვლინებათ.

ანგვარ სურათს წარმოადგენს გერმანიის ლიტერატურა. როცა საზოგადოებაში ლიტერატურის გარდა შესწყდა სხვა ღონისძიება, მაშინ ლიტერატურა დარჩა უკანასკნელ საშუალებათ, რომელსაც ძხოლოდ შეეძლო გერმანიის ხსნა და განსაკუთრებით ლესსინგის დროშის ქვეშ. მართლაც, გერმანია, რომელიც ნეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ყველა ერობის ხალხებზე უკან იდგა ყოველს შემთხვევაში,—ამ საუკუნის დასაწყისში ბევრ რამეში ყველა ხალხების წინ შეიქნა და თუ საჭიროება მოითხოვდა, შეეძლო კიდევ სხვების მოხმარება. ეს იყო ის დრო, როცა გერმანელებს აღარ ახსოვდათ თავის წარსული, არ გრინობდნენ თავის აწყყოს და მით უმეტეს მომავალს. შესაგდათ თავიანთი თავი, დაკარგეს სიცოცხლე. დიდი განსაცდელი იყო ამგვარი გარემოება ლესსინგისთვის, როდესაც მას მარტო დააწვა კისერზე ეს უღელი; მაგრამ მის მაღალ გონებითს და ზნეობითს ღირსებას არ მოუხრია კისერი ამ დაბრკოლებასთან. ერთობ კარგად გრძნობდა, საიღამ მოეწყო ჩანგის სიმები. მიჰყო ხელი ისეთს ლიტერატურის ნაწილს, რომელიც უფრო აღვილად ესმის ხალხს, უფრო შეეხება ხალხის პირდაპირ მოთხოვნილებას, ახლოა მის ცხოვრებასთან; ეს იყო დრამატიული თხზულების წერა. როცა შეატყო, რომ მისმა შრომამ იმოდენი იმოქმედა, რომ გაუძალა გზა ღირსეული პოეტების ნიჭს, მაშინ შესცვალა თავის პროგრამა,—შეუდგა პოეზიისკანონების განსილვას, რომ მით საუკეთესო ნწერლებს სწორი და ვრცელი გზა მისცემოდათ და აეცილებინა შეცდომილებას; მასთან მოჰყვა მისი გონება-მტრული კრიტიკა, და თუ უდროოდ არ მომკვდარიყო, კიდევ ბევრს კარგს ცვლილებებს მოახდენდა ლიტერატურაში და ცხოვრებაში. ეს საშინელი და დაუწყნარებელი მუშაობის პერიოდი შეიცავს დროს ლესსინგიდან ბილგერის სიკვდილამდის.

წარმოგვიდგენს ამგვარ მოძრაობას ჩვენი ლიტერატურა თავის ისტორიაში თუ არა? სანამ ამას ვიტყოდეთ, საჭიროა ორიოდვე სიტყვის თქმა იმაზედ, თუ რა და რა პირობებია საჭირო სახელმწიფოს არსებობისათვის.

გამოკვლეულია და ცნობილი, რომ სახელმწიფოს არსებობისათვის საჭიროა: 1. ტერიტორია, ანუ ნიადაგი, რომელზედაც რაცილიმე ხალ-

ხი სცხოვრობს, 2. რიცხვი ხალხოსნობის, რომ თავი დაიცივას გარეშე მტრებისაგან და 3. სახელმწიფო დაწყობილება. ამათგან ორი პირობა აკლდა საქართველოს თვითარსებობას. თუმცა ოდესმე საქართველოს ხალხი რიცხვით 7 მილიონამდის აღიოდა, მაგრამ ისიც უნდა ვიჭონიოთ სახეში, რა ძლიერი და მძვინვარე მტრები ესია ირგვლივ. რაიცა შეგებება საქართველოს სახელმწიფო დაწყობილებას, ჩვენ თითქმის არ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი დრო, როდესაც თვითონვე ქართველობა პნორჩილებდა თავის კანონებს. თითქმის ისეთს დროებში, როგორც ვახტანგ გორგასლანის, დავით აღმაშენებლის, თამარის და ირაკლი მეორეს გაუჭირდათ შინაგანი შფოთის მოსპობა.

წარმოიდგინეთ ესლა—რა რაგათ უნდა დაემსახურებინა საქართველოს ცხოვრებას ხანგრძლივი ლიტერატურა ამ მდგომარეობაში, როცა ხალხს თავის ხალხოსნობას უკარგავენ, მაშინ მას არ ახსოვს გონების ვარჯიშობა; ის იძულებულია, ბუნების კანონის ძალით, თავი დაიცივას მძვინვარე მტრებიდან, რომელნიც მის გაჭრობას ფიჭრობენ; არც შეიძლება, რომ ორ ნაწილად გაყოფილიყო საზოგადოება და ერთსადა იმავე დროს ლიტერატურაშიაც ემოქმედნა და მტრებიც მოეგერებინა, მისთვის, რომ რიცხვი ხალხისა ერთობ მცირე იყო.

ეს კიდევ არაფერი: საუკეთესო პირნი, რომელთაც შეეძლოთ ლიტერატურის წარმატება, ერთსა და იმავე დროს საუკეთესო სახელმწიფო კაცები იყვნენ და ისინი უფრო საჭიროდ რაცხდნენ,—და ესე უნდა ყოფილიყო,—მტრები მოეცილებინათ თავიდან.

თუძცა ეს ასრე იყო, მაგრამ დაწყნარდებოდა თუ არა ქვეყანა გარეშე მტრებისაგან, მაშინვე იშვებდა თავს მწერლობა, და თუ ყოველთვის არა, ხშირათ მშვენიერი რაა კალნის ნაწარმოები გაჩნდებოდა.

მაგრამ ამგვარ ნომარობას ჩვენში, ამ ზემოხსენებულ გარემოების გამო, არასოდეს დიდხანი არ ჰქონია. უკანასკნელმა წარსულმა საუკუნემ წაართვა საქართველოს საუკეთესო ძალა. მაგრამ მაინც ამ დავრდომილი ცხოვრების დროს ქართველობა აქაიქ კიდევ რაღაც იმედით ცხოვრობდა, იმ იმედებმა ის არ მოატყუილა; მათ მისცეს ქართველობას აღ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და სხვ. მაგრამ ესენი მაშინდელ ხალხის მდგომარეობისათვის რაღაც მიუწოდებლნი იყვნენ. ხალხს ნათი აღარ ესმოდა. დაუძლურდა ქვეყანა სულით და გულით.

ამ დროს ისეთი რამ იყო საჭირო, რამ ხალხის გრძნობა ადგილად გაღვივებულყო, მას სმენოდა რამ ისეთ ენაზე, რომელიც მას კარგათ ესმის, მის სულს და გულს მოხვედროდა. საზოგადოება ამ დროში უფრო საჭიროებდა თეატრსა და სახალხო ლექსების კრებას და განოცემას. ამიერიათ ს. დოდაევიდგან (1829—1832) დიდის ჰაპანწყევტით მოაწია ჩვენმა საზოგადოებამ ვარანციოვის დროსთან (1844—1854).

ვითომ იწყება ლიტერატურული მოძრაობა. ვინც დააკვირდება ამ დროს, შეატყობს, რომ მაშინდელი მოძრაობა ისეთი ნამდვილი ისტორიული მოვლენა არ იყო, თორემ თუ ასე ყოფილიყო, შემდეგშიაც იმავე მნიშვნელობით დარჩებოდა.

ამ გარემოების საფუძველს ვხედავთ სხვა ქვეყნებშიაც,—როგორც მაგალითად იტალიაში—ავგუსტოს და მედიჩის დროს, საფრანგეთში—ლუდოვიკო XIV დროს და სხვ. ეს ის დრო იყო, როცა მართებლობა მატერიალურს შენწეობას აძლევდა მწერლებს, რომ დასდგან ვითომ ლიტერატურის საფუძველი. მაგრამ, საუბედუროდ, ამ შემთხვევაში ხშირად ლიტერატურა ჰკარგავს თავის მიზანს, უახლოვდება ხალხის რომელიმე ნაწილის ინტერესებს და მოთხოვნილებებს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან თავისუფალ ლიტერატურის წარმატებას.

გადმოვიდეთ ჩვენ მწერლობაზე.

იყო ამ გვარი მოვლენა ჩვენში თუ არა?

სანამ ადგილობრივი მთავრობა მონაწილეობას იღებდა მატერიალურის მხრით ჩვენს ლიტერატურაში, ვხედავთ, რომ თითქო დიდი გავლენა ჰქონდა გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის დროს საზოგადოებაზე; საზოგადოებას თითქოს ემინოდა ლიტერატურისა; მაგრამ, როგორც კი შესწყდა მართებლობის მხრით ის შენწეობა, სხვა და სხვა გარემოების გამო, ლიტერატურის მნიშვნელობა ისეთი აღარ იყო, როგორც წინეთ, თითქმის დაეცა. რას ნიშნავს ეს?

წარსულ ნომერში ჩვენ ვაგჩერდით, ჩემო მკითხველო, იმკითხვაზე, თუ რისგან იყო ჩვენი ლიტერატურის ზნეობითი დაცემა.—არ ნიშნავდა ეს განა, რომ ჩვენი ლიტერატურა მაშინ აღარ იყო ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი? აღარ იყო მისი ბუნებითი ნაკადი წყარო?

შეიძლება აქ კიდევ საქვეს ვინმემ, რომ ამ დროს ჩვენ ლიტერატურის დავრდომილების მიზეზი სხვა იყო; მაგრამ ეს მიზეზი ისეთი უმნიშვნელოა, რომ ღირსიც არ არის ყურადღებისა, მით უმეტეს რომ გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის დროს ეს გარემოება არ იყო და თუ იყო—უსუსური და გაძლიერდა მხოლოდ მათ შემდეგ.

მაშ რა იყო ამგვარი მოვლენების მიზეზი? როცა საქართველოში შემოვიდა მშვიდობიანობა, შესწყდა შინაგანი განხეთქილება და გარეშე მტრები ინდენი და ისე მძვინვარე აღარ იყვნენ, რად არ ისარგებლეს ამ შემთხვევით ჩვენმა წარჩინებულებმა?

მართალია ამ დროს საჭირო იყვნენ გონებით და ზნეობით ძლიერნი ძალნი, რომელთაც ლიტერატურისათვის მაგარი საფუძველი უნდა მიეცათ, მაგრამ ამ დაუძლურებულ საზოგადოებაში ისინიც ბევრს ვერას იქმოდნენ. ლიტერატურისათვის საჭირო იყო და არის პატარა მკითხველი საზოგადოება ნაინც, რომელმაც მატერიალურად და ზნეობით შეამაგროს ის. ჩვენში არც ეს იყო. უეჭველია, ლიტერატურამ ეს

პატივი უნდა დაიმსახუროს, მაგრამ როდესაც ჩვენში ამ დროს არაფერი ბერიოდული გამოცემა არ იყო, საზოგადოება რათ იყო ავეთი გულ-გრილი, რათ არ ეცადა სამშობლო ლიტერატურის გაუნჯობესებისათვის, რათ არ დასჯერდა დროებით მცირესაც, თუ ის გულწრფელი იყო და გრძობდა ამ ზნეობით მოთხოვნილებას? მაგრამ... სულით უსუსურნი ჰმონებენ ხორცსა; სხვა მხარემ ვარდიბირა საზოგადოება.

თუნცა ეს ასე იყო, მაგრამ მაინც კიდევ ვერაფერს გვეტყვის, რომ გ. ერისთავს და ზ. ანტონოვს კარგი ვაგლენა არ ჰქონოდათ საზოგადოებაზე. ეს მტკიცდება მით, რომ ის აქეთ ავერ თითქმის ოცდაათი წელიწადია; რაც გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის პიესები ტრიალებენ ქართულ სცენაზე. ეს უბრალო შემთხვევა არ არის; თუ გ. ერისთავის და უფრო ზ. ანტონოვის პიესები არ ყოფილიყო ხალხის ცხოვრების რაიმე ნამდვილი სურათი, დღეს იმათ ამგვარი მნიშვნელობა არ ექნებოდათ საზოგადოების თვალში. ზოგიერთი ზ. ანტონოვის პიესები („მისი დაბნელება“, „ქოროლი“ და განსაკუთრებით „ხევსურთ ქორწინება“), გვიმტკიცებენ, რომ თუ ანტონოვი უკეთეს გარემოებაში დაზადებულიყო, მისი პოეტური ტალანტი,—რომელიც ზოგიერთ მის პიესებშია გამოხატული,—ბევრს რასმე კარგს დასწერდა; მაგრამ უწყალო ბუნებამ ესეც უდროოდ მოგვტაცა.

როგორც ვიცით ზ. ანტონოვის ბიოგრაფიიდან, მას საშუალო სასწავლებელიც არ დაუსრულებია, მაგრამ ნიჭმა და მეცადინეობამ თავისი გაიტანა, ბუნება თითქო უზადებდა მას რაღაც კეთილს მომავალს. ეს იყო თეატრი. ანტონოვი შევიდა თეატრში და შესვლისთანავე პიესების წერა დაიწყო. ეს იას ნიშნავს, რომ ხალხის ისტორიულმა კანონმა თითქო უჩვენა მას ალაგი. არ იფიქროს მკითხველმა, რომ ჩვენ ამითი ან მისი ზეცაში აფრენა გვინდოდეს და ან ჯურღმულში ჩაგდება; ჩვენ მით მოხარული ვართ, რომ ეს ასე იყო. კაცი მაშინ არის ნამდვილი კაცი, თუ მასში ცუდი მხარეც არის და კარგიც, მაგრამ ყოველის ღონისძიებას ხმარობს უკეთეს მხარეს უპირატესობა მისცეს და დასძლიოს თავისი ბოროტი მხარე, რომ მით საზოგადოებას რაიმე სარგებლობა მოუტანოს; რამოდენათ ეს ბრძოლა ძლიერი და დამპირილი ბოროტი მხარის, იმოდენათ პატივსა ვსცემთ ჩვენ ამისთანა კაცებს. ასე იყო ანტონოვიც.

თუ მასში ნაკლებივანება იყო რაიმე, მასთან ისეთი ღირსებებიც ჰქონდა, რომ ჩვენ მის ცუდს მხარეს გვერდს ვუვლით და ვუდგებით იმ მართით, საიდგანაც სიკეთეს ვხედავთ.

ჰსჩანდა, რომ მისი ნიჭი თეატრისაკენ უფრო იწყოდა. ხალხის ვალდებებისათვის არაფერს ისეთი მნიშვნელობა და ვაგლენა არა აქვს, როგორც თეატრს და სახალხო ლექსებს. თეატრი არის ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელიც უფროად ჩააფიქრებს საზოგადოებას, დააწ-

ყებინებს თავის თავის ანალიზს და თუ რასმე ნაკლოვანებას ვხედავს თავის ღირსებაში, რამოდენათმე მაინც მოიშლის. ერთობ გაფუჭებული უნდა იყოს კაცი, რომ მაზედ თეატრში კეთილი შედეგი არ მოახდინოს. ხშირათ კაცი იძულებულია, ნისდა უნებურად მოიხალოს რომელიმე თავისი უღირსი ქცევა, რომ კომედიის ტიპად არ გახდეს (როგორც „ტივით მოგზაურობაში“ პარმენ იასამანიძე). ეს არის სარკე. რომელიც ნამდვილ პასუხს აძლევს ცხოვრებას. „სოფელი არის თეატრონი, ხოლო კაცნი მოთამაშენიო“—ამბობს პოეტი. ჩვენც შეგვიძლიან ვსთქვათ. სცენა წარმოადგენს ქვეყანას და აქტიორები ხალხს.

მოგვცემა ამ გვარ მოთხოვნილებაზე პასუხს ანტონოვი თუ არა? როცა იმისი კომედიას „მინდა კნეიწა ვაგზდ“ ჰკითხულობ, გადაქარბებისა და ბაზრული სიტყვების მეტს ვერაფერს ვერ ვხედავ; ეს უფრო სცენაა მკითხველის თვალში. ვინმე კომედია უკეთესი იქანებოდა რომ ავტორს ეს პიესა ამბავად დაეწერა; მაშინ უფრო რიგიანი გამოვიდოდა, ვინმე ეხლა კომედიათ.

არა და რა არის მართლა კომედია, თუ მასში არც ინტრიგაა ვაყვანილი და არც ნამდვილი ხასიათები ჰსჩანან? ხშირათ შეხედებით აწისეთს ალაგებს, რომელნიც არც ნამდვილს სურათებს ჰგავს, არც სიმასვილეს და არც სიმართლეს. ბაზრული სიტყვების ხმარება, ზნეობითი ცინიზმობა ეს ნწერალს არ ეკადრება. პოეტს მხოლოდ მაშინ ეპატიება ცინიზმი, როცა მან მიზნათ დასდო წარმოდგინოს საზოგადოებას მისი გარყვნილი და წაბილწული მხარე; წინააღმდეგ ამისა ის არის თავის მოვალეობის დამარღვეველი.

ბოლოს ავტორს თითქოს შეებრაღა მინას მაჰყულოვი, დავით სერაშიძე (ქართველი თავადი) და როცა გრიგოლ ბეგლაროვმა (ბარბარე თულუხჩოვის ხასლის ქალიშვილის კეკელას ნათლიამ) ანდერძი წამოადგინა, რომ მანული კეკელას ეკუთვნის და არა ბარბარესაო, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ რამე ნაირათ დავით სერაშიძეს მაჰყულოვმა ცოლად და ნით კნეინა გამხდარიყო, ავტორი ისე იქცევა, როგორც ქართველი; კეკელას და მის სასიძოს ილიკო გურგენიძეს მინახსავან დავით სერაშიძის ნასესხ ვალს გაასტუმრებინებს, ასე რომ ბარბარეს ვარდა ყველანი დაკმაყოფილებულნი რჩებიან. საქმე იმაში კი არ არის, რომ ბარბარეს არაფერი მისცენ. არა. ისინი ისე არიან გამოხატულნი, რომ მკითხველი ვკვში შედის, თითქო ამბობს: რა იყო ამისთანა მომაკვდინებელი ცოდვა ბარბარეს მხრითაო, რომ ასე უწყალოდ დასაჯესო.

ერთადერთი ბარბარე ვავს მხოლოდ რაღაც ტიპს. მართლადაც მკითხველი დიდის ინტერესით შესცქერის ბარბარეს, თვალყური მიუხერია მისთვის, უნდა შეიტყოს, თუ რითი გათავდება მისი ბედი; მაგრამ ვხედავთ ბოლოს, რომ ბარბარე ყოველისფერზე ხელ-აღებული რჩება.

რაცა შეესება პიესას „ქმარი ხუთის ცოლისა“, (კომედია ორს მოქმედებად), ჭეშმარიტად ვერ წარმოიდგენია, ვისთვის ან რისთვის არის დაწერილი? სახელათ რომ ავტორს „არშიყო ხუთის ქალისა“ დაერქმია და მისდა-გვარად მოერთო პიესა, საუცხოვო ვოდევილი გამოვიდოდა და ეხლა კი არც კომედიას მსწვევია და არც ვოდევილს, რადგან ორივეა. პირველი მოქმედება კომედიას ჰგავს და მეორე კი ვოდევილს. ეს კიდევ არაფერი. სად გაგიგონიათ, რომ საქართველოს მეფეებს და გურიის მთავრების დროს ერთს კაცს ოთხი ცოლი ჰყავდეს ერთსა და იმავე დროს და მეფე ნებას აძლევდეს? ეს შეუძლებელია, შეუძლებელია მით უფრო, რომ ამ გვარ დანაშაულობისათვის სასტიკათ ეპყრობოდნენ ჩვენი მეფეები და მთავრები. ამაში ისტორიაც გვეთანხმება.—თუ გადმოკეთებულია კიდევ უარესი, ისეთი პიესა უნდა გადმოითარგმნოს ან გადმოკეთდეს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას პირდაპირ პასუხს აძლევდეს, პოეტმა ერთობ არ უნდა მიანებოს თავი ფანტაზიას, თორემ უეჭველია, საზღვარს გარდასცილდება. მისთვის საჭიროა ფანტაზია იმოდენათ, რამოდენათაც თხზულების გარემოება მოითხოვს, არც მეტი, არც ნაკლები. რამდენათ რიგიანათ განუსაზღვრავს პოეტს ეს კანონი იმოდენათ ნამდვილია მისი სურათი და მნიშვნელობა. ამ პიესაში კი მოუარავის იოთამ გუჯარიძის, გლეხის ბერუა ბასილაშვილის და გლეხის იორდანე მამულაშვილის მეტი, რომელიც საუკეთესო ალაგებს შეადგენენ, თავიდან ბოლომდის სიცრუესა ჰგავს. ავტორს თითქო უნდოდა დრო გაეტარებინა და მიანება თავი ფანტაზიას. თავდება მით რომ ეს ჩვენი დონ-ჟუანი სვიმონი—ჯერ ოთხის ცოლის ქმარი—ვახდება მეხუთე ცოლის ქმრათ, ნიატოვებს უწინდელს თავის ოთხს ცოლს და გაეშურება ტრაპიზონისაკენ თავის ახალ ჯვარდაწერილის მეუღლით.

ვამბობ, რომ ჩვენის ჩვეულებისა და ისტორიის წინააღმდეგი რომ არ იყოს, ე. ი. ნამდვილი ცხოვრების ნაწყვეტი იყოს, რიგიანი პიესა იქნებოდა.

პირველი პიესა, რომელზედაც დღეს ჩვენ ვგეჰნება საუბარი, არის „განა ბიძიან ცოლი შეერთო?“

ამ პიესის ნაკლულოვანებაც ისეთივეა, როგორც ზემო-მოხსენებულ პიესების. რომ მკითხველს უხეიროთ თავს არ ამეზრებდეს იმერელი ბიჭი და სომხის ბაზრული სიტყვები, გალუსტა რიგიანი ტიპი იქნებოდა. მაგრამ რა! ეს დალოცვილი ავტორი თითქო ძალით ალაპარაკებს ივანიკას უშნოთ და უაზროთ გაზეპირებულს სიტყვებს,—მერე კიდევ ისეთს დროს, როდესაც მაინცა და მაინც არაფერი საჭირო არის მისი გადაჭარბებული ლაპარაკი.

მარტოთ-მარტო ერთი რაღაც რიგიანი სურათი არის ბოლოში;—გალუსტა, მისი ცოლი სოფიო, სოფიოს ნათესავი კეკელა, თინათინა

დღეა სოფიოსი და მანუჩარი, რომელსაც აბასთუმანში გაუცვნია სოფიო და თავის საცოლოთ ნდომებია. მანუჩარმა, რასაკვირველია, არ იცოდა, თუ სოფიო ბიძა მისის გალუსტასი ცოლი იყო და გულწრფელად ლაპარაკობს სოფიოსთან თავის უწინდელ განწყობილებაზე. სოფიოს და კეკელას უნდათ ამ ამბის გამოაშკარება. გალუსტაც და თინათინიც რაღაც ვაკვირვებულნი არიან იმ გარემოებაზე და არ იციან რა ქნან; მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, კეკელამ იხსნა სოფიო ამ განსაცდლისაგან. მანუჩარმა შეიტყო, რომ სოფიო გალუსტას ცოლი ყოფილა. რასაკვირველია, ბიძა-მისისაგან ამას არ მოელოდა, მაგრამ ეხლა რაღა გაეწყობა.—ემორჩილება თავის ბედს და თვითონ კეკელას ირთავს ცოლად.

ვამბობ, რომ თუ აქედამ გამოვკრებთ გალუსტას ზოგიერთ ცინიკურ სიტყვებს, მის ლაპარაკს ივანიკასთან ცოლის ძეობაზე და რამდენსამე ალაგს თვით ივანიკასს, პიესა რიგიანი იქნებოდა, მაგრამ ვოდევილური ხასიათისა.

ბევრათ მალა ჰსდგას ამაზე „ტივით მოგზაურობა“. ერთი რამ საუცხოვო და ნამდვილი ტიპია პარნენ იასამანიძე თავის ფილოსოფიით და არშიყოებით; მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ეს პიესა ერთს პიესას არა ჰგავს; თავდება თუ არა პირველი მოქმედება, მკითხველის თვალში თითქო პიესაც გათავდა, ასე, რომ მეორე მოქმედება მეორე მოქმედებათ აღარ ითვლება,—ის ახალ პიესას ჰგავს; ან კიდევ შეიძლება კაცმა ჰსთქვას, რომ პირველი პიესის გაგრძელება არისო, მაგრამ ახალი პიესა და არასოდეს მეორე მოქმედება. ამ შემთხვევაში პიესებს სათაურიც ეცვლება და პირველ პიესას შეადგენს პირველი მოქმედება ახლის სათაურით: „პარნენ იასამანიძე და მისი ზრუნვა საქართველოზე“ და არა „ტივით მოგზაურობა“, როგორც ავტორს უწოდებია; მეორე პიესა—მეორე მოქმედება სათაურით: „პარნენ იასამანიძის არშიყოება“.

უფრო ვრცლად და ნამდვილად გამოხატულია თანამედროვე ქართველებს შებნეულება ცხოვრებაზე და მის გარემოებაზე „მზის დაბნელებაში“. მაშინდელ თავად-აზნაურობის და ქალაქელ ვაჭრების აზრი მზის დაბნელებაზე, განათლებაზე და უკმაყოფილება ახალგაზრდობაზე მთელის ნაშინდელ საზოგადოების ისტორიას შეადგენს. აიღეთ მაგალითად თ. ინდო, აზნ. ზაალ, გლეხი ბერუა, აგრეთვე რუსის მუჟიკი, თფილისის შარლატნები და გლეხი ცოლ-შვილით, აქ ზოგი ისეთი ალაგებია, რომ ვისაც არ უნახავს თფილისის ცხოვრება, ისიც ადვილად წარმოიდგენს აქაურობას. აი რიგიანი სურათები; აი ცხოვრების ნამდვილი აღმხატველი! კარგი მწერალი ის არის, რომელიც თავის თხზულებაში ისე ნათლად გამოხატავს თავის თანამედროვე ცხოვრებას, რომ ერთსა და იმავე დროს მისი თხზულება ისტორიაც იყოს. პატივსაცემი არიან

ამგვარი მწერლები, ისინი ისეთს ბეჭედს ასმენ თავის თანამედროვე ცხოვრებას, რომ საზოგადოება მათ დიდის ინტერესით შეჰსურებს.

დარბაისლურათ იწყება „ქოროლი“.

არზრუმის ფაშა ჯაფარ, შეიტყობს თუ არა, რომ მის ასულს გულნარას სტამბოლის სულთანი ირთავს ცოლად, სინარულით აღტაცებულია, ამ ბედნიერების სახარებლად ის ჰგზავნის თავის ასულს გულნარასთან მისვე გამზდელს ფატმანს. ბედნიერებაა ამგვარ კაცთათვის ეს შემთხვევა, ბედნიერებაა განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც კაცის უფლება არავითარ კანონით არ არის შემოუარავლელი. ხშირათ ამგვარ შემთხვევით ჰსწყდება მათი ბედი და უბედურება. ეს საზოგადო სენია აღმოსავლეთის სახელმწიფოებში.

მაგრამ გულნარა, რომელიც სულითა და გულით ქოროლის ეკუთვნის და წაინდა ფიცით ძიუცია მისთვის, არათუ მანის ბრძანებაზე მორჩილებას განაცხადებს, სიკვდილს უფრო ადვილად მიიღებს, ვინემ ისეთ კაცს გაჰყვება, რომელიც მას არ უყვარს. ნრავალ ღონისძიებას ხმარობენ ფატმანი, მამა ჯაფარი და ძისნი დაახლოვებულნი, რომ როგორმე მამის ნებაზე დაითანხიონ გულნარა, მაგრამ ყოველივე ამაოდ ჰხდება: გულნარა კლდესავით დგას თავის განზრახვაზე. ბოლოს, როცა მამა მოსაკლავად მივარდება გულნარასთან, მას იხსნიან ჯაფართან შესრულნი ყმანი; მაგრამ ამითაც არ თავდება მისი ბედი, გულნარას ჰგზავნიან საპყრობილეში.

სასიამოვნოა ამგვარ ხალხის შეხვედრა; სასიამოვნოა მით უბეტეს, რომ ჰხედავ კაცს, რომელსაც რაღაც პატიოსანი საგანი აქვს. ამგვარნი პირნი კარგს გარემოებაში სასიქადულონი არიან და თუ მათი იდეალი ასე დამციტებულია, რა ფუყოთ; ჩვენ აქაც პატივი უნდა ვსცეთ მათ გულწრფელ და პატიოსან მეგობრულ განიარახვას.

ამგვარია გულნარაც. ის საპყრობილეშია უწინდელი გულნარა არის; მას თავი დაუდგია ქოროლის სიყვარულისათვის და თუ რაიმე უბედურება შეემთხვევა ამის განო, არ დასდევს.

როცა გულნარა ამგვარ განსაცდელშია საპყრობილეში, მასთან შემოდიან ღამით ქოროლის მეგობრები დემურჩოლი და ქინქინე მისდა გასაპარებლად. ამას ღამის ყარაულები შეიტყობენ და მოუხდებათ დემურჩოლისთან ომი, რომელიც თავდება მით, რომ დემურჩოლის ჯერ თვალები უნდა დასთხარონ და მერე ცოცხალს ტყავი გააძრონ. მაგრამ ამ დროს უეცრად გაჩნდება ქოროლი, გაათავისუფლებს ჯერ დემურჩოლის, მერე თავის საყვარელს გულნარას და გაუდგებიან გზას.

ამით თავდება პიესა. როგორც ზემოთ ვსთქვით, ისე ლამაზად იწყება პიესა, რომ მკითხველი ერთობ ბევრს მოელის შემდეგშიც. ავტორისათვის თითქო ორიოდ სიტყვის მეტი არ იყო საჭირო, რომ ნათლად წარმოედგინა მკითხველისათვის აღმოსავლეთის მმართველი

ჯაფარ თავის დიდებით და მძვინვარებით; მაგრამ, საუბედუროთ, სურათი იცვლება. გულნარას და ქოროლის შეხვედრას არ მიყობის დროსაც თითქო რაღაც ცივი, ოფიციალური სახე აქვს. ეს კიდევ არაფერი. დრამის კანონი ნოითხოვს, რომ გმირების ხასიათი მათს წადილთ ბრძოლაში ისახებოდეს, რომ აქედან ვიცნოთ ჩვენ ვინ რა არის. მართალია, გულნარა პატიოსანი არსებაა, მაგრამ ის თვისება მის წადილთ ბრძოლაში ისე ნათლად არა ჰსჩანს, როგორც დრამას ეკადრება და თვით ავტორსაც ჰსურებია. პიესა დრამატიულ ხრონიკისა ჰგავს.

რაიცა შეეხება პიესას „ხევსურთ ქორწინება“, მე შემოძლიან ვსთქვა მხოლოდ ის, რომ ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ამგვარი პიესა ბევრი აქვს. რომ ანტონოვს ამის მეტი არაფერი არ დაეწერა თავის სიცოცხლეში, მაინც ის ნიჭიერი ანტონოვი იქნებოდა, როგორიც დღეს, თუმცა მაშინ ის გავლენა აღარ ექნებოდა საზოგადოებაზე.

აქ გამოიხატა მისი ნამდვილი პოეტური ნიჭი. ისეთი სიამოვნებით ჰკითხულობ თავიდან ბოლომდის, რომ აღარცკი გინდა მოშორდე. წაიკითხავ თუ არა, ისევ გინდა დაიწყო. რამდენჯერაც უნდა წაიკითხოს კაცმა ეს პიესა, არასოდეს არ დაჰკარგავს მკითხველის თვალში თავის ინტერესს.

აი ამ გვარს თხზულებას ეძახიან ცხოვრების ნამდვილს სურათს. აქ თქვენ ვერ შეხედებით, როგორც ზემოთ მოხსენებულ პიესებში ძალდატანებას; არ არის აქ არც მეტი და არც ნაკლები; თითქო ბუნებითად ნომდინარეობს მოქმედება, თითქო თავისით გადმოვლადო ცხოვრების სურათი ქაღალდზედ, აიღეთ მაგალითად პიესის დასაწყისი; ბეროს და ნინიკას ბაასი, ნინიკასი და მისი საცოლოს—ქალთამზის შეხვედრა, არ მიყობა და ბაასი მათს მომავალზე. აგრეთვე დათია, ქალთამზის მამა; ხოსრო ნინიკასგან გამოგზავნილი მაჭანკალი, მაყარი ხინჩლა; მასთან მათი ქორწილი და ღმინი. ყველა ეს ისე მშვენიერად არის გამოხატული, რომ მკითხველი ამ პიესიდგან სრული კმაყოფილი რჩება.

დასასრულ ორიოდ სიტყვა მკითხველს. თუ ანტონოვის თხზულება უფრო ვრცლად გარკვეული და სიტყვა-სიტყვით არ არის ნაჩვენები, ამის მიზეზი ვახლავსთ პირველი ის, რომ ჩვენმა ბაასმა უამისოთაც დიდი ალაგი დაიჭირა ვაზეთში და მეორე ის, რომ მაშინ ის განარჩევა შეადგენდა კრიტიკას, რომლის მოვალეობა მე ჩემ თავზე არ მიმიღია. მე მხოლოდ მქონდა სახეში ორიოდ სიტყვა მეთქვა ამ წიგნზე საზოგადოდ. რამდენათ ეს სიტყვა ნამდვილია, ჰსაჯოს გონიერმა მკითხველმა.

6. ბარათაშვილის ლექსები

ქართული მწერლობა—ლექსნი თქმულნი
6. ბარათაშვილისაგან, 1876 წ.

I

იმას რასაკვირველია დამტკიცება არ უნდა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი წესი, ჩვენი ხასიათი და მოქმედებანი არ არიან დამყარებული სიმართლესა, სინდისსა და სიყვარულსა. ჩვენ ვმოქმედობთ ესე და არა სხვაგვარათ იმიტომ, რომ სხვაგვარი მოქმედება ჩვენ ჯობეს ვერას მოუმატებს, ან ჩვენ ამპარტაფობას ვერ დააკმაყოფილებს და ხშირადაც მოხდება ისე, რომ ვაკეთებთ ერთ საქმეს და არა სხვას, იმიტომ, რომ ჩვენ ჰკუპას, სინდისს არ ვენდობით და სხვის მიხედულობით ჩავდივართ ჩვენთვის გაუგებარ საქმეებს.

რომ კაცი ძალიან ხშირათ თავის სინიღისის დაუკითხავად უგვარო საქმეებში ისვრის ხელს, რომ კაცი ძალიან ხშირად სამართალს უყრს არ უგდებს, გულითადად სძულს თავის მოძმე და ცდილობს იმას ფეხი წაუდოს,—ამაებს სრულებით დამტკიცებაც არ უნდა.

ეს იცის ყველამ როგორც სამართლიანმა, ისე უსამართლომა, როგორც კაცობრიობის მოყვარემ, ისე ახირებულმა დესპოტმა, როგორც გამოუცდელმა ახალგაზრდამა, ისე ბებერმა, გასვრილმა ათასნაირ საქმეში. ჩვენი ამგვარი მდგომარეობა იცის ყველამა, მაგრამ ყველას არა აქვს რაინდული გული, რომ ფიქრობდეს საზოგადოების წესის გაუმჯობესებაზე, საზოგადოების ზნეობით ანაღვლებზე. ყველას კი არა, ძალიან ცოტას აქვს იმდენი ძალა, რომ არ ჩაეფლას საზიზღ ცხოვრების ტლაპოში და არ მიეცეს ამ ტლაპოს მდინარებას. ცოტი მოიპოება იმისთანა, რომელიც უანგაროთ ებრძვის ძველ წესს, გაუნათლებლობას, გზას უჩვენებს ახალგაზრდებს და უჩვენებს მათ თავის ძლიერ ბრძოლას.

კაცი, სავსე კაცობრიობის სიყვარულით, ეხლანდელ საზოგადოებრივ წესის სიძულილით, კაცი რომელიც ელტვის უკეთესს ცხოვრებას, თუკი არის ამგვარი კაცი ეხლა ჩვენში, უნდა იყოს პოეტი, თუნდა არა სწერდეს გარანდულ ლექსებს, თუნდ არ აელოს კალამი ხელში; მაგრამ, არა, არ შეიძლება, რომ ამგვარმა კაცმა არ აიღოს ხელში კალამი, ან ჩანგი ხელში.

მაშ ვის გადასცეს იმან თავის გულის წუხილი, თავის კეთილშობილური კვნესა, ვის მიიღოს თავის ოცნებანი, თუ არა ქალაქი, რომელიც იქნება როდისმე ჩაუფარდეს ხელში რომელსამე უბედურს, დაჩაგრულს, რომელსაც მისცეს ეს ქალაქის ნაკუწი ძალას ებრძოლოს რაინდულად ყოველგვარ მძლავრობას და უგუნურებას.

ბევრს უკვირს—რათ არის ეხლანდელი ევროპა ღარიბი პოეტებითაო, რატომ აღარ ჩნდებიან შილერები და ბაირონები და თუ ისინი არა, ლერმონტოვები და პუშკინები მაინცაო. ვინ იცის, იქნება ამის მიზეზი ის იყოს, რომ იქ ეხლა იმდენი უგვარობა და მძლავრობა არ იყოს, რომ ისე ღრმად ააღელვოს პატიოსანი წარმომადგენელი იქაური საზოგადოებისა, ან იქნება ეხლა ამათ ბევრად აღარ სჭირიათ ქალაქი და შეუძლიანთ თავიანთი ოცნებანი, უანგარიშო გრძნობანი შეატყობინონ ქვეყანას უქალაქოთ, ლაპარაკით პარლამენტში ან კერძობრივ სხდომებში?

მაგრამ ჩვენ ვერ ვგვარავთ ვერ შევედრებით; ჩვენში კიდევ ბევრი რამ მოიპოვება ანაღვლებელი პატიოსან კაცისა; ჩვენში ბევრს არავის შეუძლიან ორატორობა, ჯერ კიდევ ბევრი საჭიროებს ჩემ კაბინეტურ შრომაში და ქალაქის საშუალებით ჩამომავლობასთან ლაპარაკში. იქნება ეს იყოს მიზეზი, რომ ჩვენში ამ უკანასკნელ ორმოც, სამოც წელიწადს, თუმც არ დაბადებულა არც ერთი მეტად გამოჩენილი ორატორი, ჟურნალისტი და დრამატურგი ან პოლიტიკური მწერალი, მაგრამ ამ დროს რამდენიმე იმისთანა პოეტი აღმოგვიჩნდა, რომლის მსგავსებს ვერც ერთი ევროპული ხალხი თავიანთში ვერ დასთვლის ათობითა და ოცობით.

გვყანდა ჩვენც კაცი, რომელიც გულგრილად ვერ უყურებდა ამ ქვეყანასა „ცრუს და მუხთალსა“, მომღვრალ სოფელს ვერ აჰყვებოდა და ამ თავის ობლობაზე სწერდა ლექსებსა. ამ ლექსებს კითხულობდა ალტაცებით ჩვენში ყველა, ვისაც კი გული არ გაჰქვავებოდა. მაგრამ მოკვდა უდროთ პოეტი და იმის თავყანის მცემლებმა, ნათესავებმა და ამხანაგებმა დაივიწყეს დაუფიწყარი პოეტი და იმის ლექსები მხოლოდ ამ ათი თუ თხუთმეტი წლის წინათ ახალ თაობამ გამოისძებნა და ჯერ ბეჭდა სხვა და სხვა ჟურნალებში და ბოლოს, ან წელს გამოისცა კიდევ მთლად.

მარტო დღეს შეუძლიან ხალხს გაიცნოს ნ. ბარათაშვილი; მარტო დღეს გვაქვს ღონისძიება დაფუძნებით იმის ნიჭი.

ეხლა სუყველას, ვისაც კი ცოტა მაინც უყვარს ქართული მწერლობა, გარდაკითხული და თითქმის გაზვიანებული აქვს ბარათაშვილის ლექსები¹ და მეტი, მგონია, არ იყოს, მკითხველო, მოვილაპარაკოთ ეხლა იმათზე, მით უფრო, რომ ამ საგანზე ჩვენს მწერლობაში თქმულა სულ ორჯერ-სამჯერ, ისიც გაკვრით.

¹ აქ, სწავთა შორის, ვიტყვით, რომ 1200 ეგზემპლარიდამ ბარათაშვილის დაბეჭდილი ლექსებისა ამ ხუთის თვის წინათ, დღეს დარჩა გასასყიდლად 150 ეგზემპლარადი და ჩქარა საჭირო იქნება ახალი გამოცემა.

პოეტი თავის პირველ ლექსებშივე მოგვითხრობს ამა სოფლისა დაუდგრომლობაზე; ბულბულისაგან ვარდის დაკარგვაზე, საყვარლის ლალატზე და კეთილ მგდეთაც კი მოუსვენრობაზე. ზოგჯერ პოეტი, ასე გგონია, თავის თავს ამხნევებსო, უნდა თავის თავი დააჯეროსო, რომ ღირს კაცმა იცოცხლოს ამა სოფელსა მუხთაღსა და დაუდგრომელსა. ფიქრებში მტკერის პირას* პოეტი მოგვითხრობს ამა სოფლისა ამაოებაზე, რომ დაუდგრომელ ქვეყანაში ვერ იპოვნით ვერავის, რომ ბედნიერი და თავის თავის კმაყოფილი იყოს; უძლიერესნი მგდენიც კი სულ იმაზე ფიქრობენო, თუ როგორმე უფრო გაგადიდოთო ჩვენი სამფლობელო; ან თუ ვინმემ კეთილი საქმე უყოს ქვეყანას, რა გამოვაო ამისგანა, როცა ვიცით, რომ სოფელს უნდა ბოლო მოეღოს და მაშინ ვინლა იგრძნოს კეთილ საქმეთა ნაყოფნი და ვინლა ისინი განთქვასო! მაგრამ არა, პოეტს უნდა თავის თავს დაუმტკიცოს, რომ მაინც ღირს იცოცხლოს კაცმა და სარგებელიც კი მოუტანოს ამ მუხთაღ სოფელს და ამბობს:

[[მაგრამ რადგანაც კაცი გვეყიან—შვილნი სოფლისა,

.....
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს!

პოეტი სტდილობს დაიფიწყოს სოფელი ნომქდერალი, თავი რითმე გაიროს, ხან ჰაეროვან ქალს დამღერის და ხან საყურეს; მაგრამ ვერ დაუფიწყნია იმას თავის მომავალი; „რა მოელის სჯალ და ზეგ?“—თი საყოფლოთაო ფიქრი პოეტისა, ის შემფოთებით ჰკითხავს თავისთან მოჩურჩულე იდუმალ ხმას:

ანგელღზი ხარ, მფარველი ჩემი

.....
სიცოცხლეს ჩემსა რას განუზადებ?

მაგრამ ამაზე პასუხს არ აძლევს არავინ, პოეტი ჰგრძნობს, რომ ეს იდუმალი ხმა—ენმაკისაა, და სიცოცხლე—ეკლიანი გზაა. მაგრამ რისთვის უნდა დაეიტანჯო, ფიქრობს პოეტი, როდისაც ვგრძნობ, რომ არავისთვის ავი არ მისურნიაო.

ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა

.....
მის საშფოთველს და საქენჯნავსა.

ნუ დავემონებით მომქდერალ სოფელს, ჩვენ თითონ ვიცხოვროთ უზრუნველათაო, ფიქრობს პოეტი და იგივეს ურჩევს თავის ძეგობრებს. („ჩემთ ძეგობართ“). მაგრამ არა, პოეტი ვერ უყურებს გულგრილად ყოველგვარ ავს, რომელიც იმის თვალს წინ ხდება ყოველ დღე; იმას

თითონ დაჩაგრულს ამ საზოგადო სიავისაგან, აღარ ესმის თავის ჩანგურისაგან დარდიმანდული, მზიარული ხმები ჰაეროვან ქალზე და ლხინზე; ნისგან პოეტს ესმის მხოლოდ კენესა, ტირილი. ტყუილად ნატრობს ის:

ჰოი ჩანგურო, ნეტავი ოდეს

.....
მე შენგან შესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი!

მაშ ესე, გადაწყდა მგონის ბედი, „დაჰქროლა ქარმან სასტიკმა, თან წარიტანა ყვავილი, მაცხოვლებელი სიცოცხლის, სურნელობითა აღესილი“ და ქარმა ისე დაუნდობლათ დასუსხა ეს ნაზი ყვავილი, როგორც მრავალი სხვა უფრო ნაზიც, რომელთაც თითონ პოეტი იმ დრომდე დასტიროდა.

მაგრამ პოეტი არ ჩაჩუმდა, სასტიკმა ქარმა ის უფრო გააშფოთა და აი რას ჰკითხავს მრისხანედ სულს ბოროტს, აი რას მოსთხოვს ამ დაუნდობელს სოფელს:

მარქვი, რათ უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა.

.....
გად მას, ვისცა მონდდეს ხელი შენი მსახვრალი!

ბევრნი ამგვარ წმინდა რწმუნებათ დაკარგვის შემდეგ, ცდილობენ მოჰქლან დრო რაიმე უგვარობის შეთხზვაში, თავს დახრიან სასტიკ ბედის წინ, შეგებნიან საზოგადო უღელში და ისე ეჩვევიან თავიანთ მოძმეების უსინიღისობას და უგუნურებას, რომ აღარ ესმით, რა არის სვინდისი, რა არის გონიერება? რატომ ბარათაშვილმაც არ დააინება თავი თავის ელეგიებს, თავის მწუხარებას; აელო ამ დალოცვილს თავის ჩანგი და გაება ბაიათები ჩვენ ჯარის გამარჯვებაზე, ჩვენ ქალების სილამაზეზე, ჩვენ ბუნების სიმდიდრეზე, ჩვენ მოწინავეების ჭკუაზე და კაცის პირუტყვულ ინსტინქტებზე. არა, ახირებულმა პოეტმა არ მოინდომა თავის ჩანგთან ორგულად მოქცევა. პოეტმა დაიწყა თავისებურად სიმღერა ამა ქვეყნის დაუდგრომელობაზე და თავის უბედურობაზე. არა, ეს ცოტაა, პოეტი თავის ლექსებში გამოსთქვამდა იმ აზრებს და იმ გრძნობებს, რომელნიც უნებლიეთ ებადებოდნენ იმ დროს უკეთესს ქართველებს. ის მშვენიერ, გრძნობით სავსე ლექსებში დაგვიმღერს განუსაზღვრელ სიყვარულზე სამშობლოსადმი, მეფე ჭირაკლის სიბრძნეზე, სულიერ (პლატონურ) სიყვარულზე, თავის სატრფოს უბოლოო პატივისცემაზე, ჩვენ დედების ერთგულებაზე თავის სამშობლოსადმი, ჩვენ ძველებურ და ეხლანდელ ურთიერთ განხეთქილებაზე და სხვა. პოეტი თავის ლექსებში სჩანს დიდ პატრიოტათ; ის თუმცა დი-

დით პატივის სცემს მეფე ირაკლის, იმას ცალკე ოდასაც უწერს, მთელს პოემაში იმაზე ლაპარაკობს, როგორც დიდად ბრძენ ხელმწიფეზე; მაგრამ არა, მეფეზე უფრო მაღლა უნდა იდგეს სამშობლო...

პოეტი ალტაცებით იგონებს იმ გმირთა, რომელთაც შესწირეს თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს დაცვაში. თქვენს სახელს არ დაივიწყებს ჩამომავლობაო, ამბობს პოეტი, რადგანაც

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაანდების
საშვილის-შვილოდ გარდაიქმის.

პოეტი ალტაცებით იგონებს იმ დედათაც, რომელთაც დიდ სამწუხარო საქმეთ მიაჩნდათ სამშობლოს დაცვა.

პოეტს ვერ დაუვიწყნია, რომ ჩვენ ეხლანდელ ქალებს ძველი ჩვენ დედების სული ვერ გამოჰყოლიათ; ის ნაღვლიანად ამბობს იმათზე:

ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!

აი როგორ ფიქრობენო თავიანთ ვალზე ჩვენ დროის ქალები, ამბობს პოეტი:

ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს.

მითამ რას გვავენებს უცხო ტომობა?

მაგრამ პატრიოტიზმი პოეტისა არ ჰგავს იმ პირუტყვულ პატრიოტიზმს, რომელიც კაცს თავის სამშობლოს სიყვარულის გამო აძულებს სხეებს; იმ პატრიოტიზმს, რომელიც უნერგავს კაცს პაპარს, რომ ვინც შენ ხალხს არ ეკუთვნისო, გაჟლიტე და გასრისეო. ამის წინააღმდეგი პოეტი აღუძრავს კაცს გულში იმ პატიოსან გრძობას, რომელიც ამას ააღებინებს ხმალს, როცა მოძმე ილუბება უცხო ვიღაც პირუტყვ მტრებისაგან; პოეტი უნერგავს კაცს გულში იმ გრძობას, რომელიც ამსხვერპლინებს იმას პირად სიკეთეს სამშობლოს სიკეთისათვის, ამგვარი პატრიოტიზმის მქადაგებელი, განავრცელებელი იმ დროს, როდესაც უკეთესს კაცების დროშას ეწერა: „Капитал приобрести и невинность сознания“, სწორეთ რომ დიდის პატივისცემის ღირსი გმირია, და რასაკვირველია ბარათაშვილის ამგვარი პატრიოტიზმი ბევრად განირჩევა იმ პატრიოტიზმისაგან და კოსმოპოლიტიზმისაგან, რომელ მომხრეებითაც ჩვენი ქვეყანა სავსეა.

მაშ ასე, აი ხასიათი ბარათაშვილის ლექსებისა, თუ დავივიწყებთ იმის ორიოდ სუსტ პიესას; იმათში გამოითქმება: ნაღველი სხვის და თავის უბედურებაზე, ქვეყნის ამოღება და დაუნდობლობა და სამშობლოს სიყვარული.

ვისაც კა გადუკითხავს ორიოდჯერ ბარათაშვილის ლექსები, ის რასაკვირველია მიხედვებოდა უჩვენოთაც, რა ხასიათისა არიან პოეტის ლექსები, მიხედვებოდა, რომ ბარათაშვილი იმისთანა მრავალ-მხრივი პოეტი არ არის, როგორც მაგ. დ. გურამიშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, რომ ბარათაშვილი არ ჰხატავდა მრავალ-ფეროვან კაცის გულს, რომ ის არ იცნობდა სხვის ოცნებებს და გრძობებს ისე, როგორც თავისას, რომ ის არ იყო კარგი მცნობი ნამდვილ ცხოვრების წვრილმან მხარეებისა, რომ იმის ლექსებში გამოითქმება მრთელი, ღონიერ გულის კენესა, წუხილი და არა სენტიმენტალური უძლური წუწუნი და ჭყვილი. რადგანაც პოეტის ხასიათი მთლად გამოიხატა იმის მშვენიერ ლექსებში: „მირბის, მიწაფრენს ჩემი მერანი“, ამიტომაც არ შემძლიან აქ, ბოლოს არ მოვაგონო მკითხველს იქილამ ორიოდ სტრიქონი:

მირბის, მიწაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი.

და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ხარით, ღრიალით, მიწას მამაყრის!

მაგრამ პოეტი დარწმუნებულია, რომ ეს იმისი სამშობლოსაგან, სატრფოს და მშობლებისაგან მოშორებით და ტანჯვით სიკვდილი უნაკლოთ არ დარჩება. პოეტი დარწმუნებულია, რომ ის ამ თავის ტანჯვით მოუტანს სამშობლოს და მთამომავლობას სარგებელს; აი რას ამბობს ბოლოს ის:

უკუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!

და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუჭროლდეს!

იმიდგან, რაც ჩვენა ვთქვით ზემოთ და აქ მოყვანილ ლექსებიდამ მკითხველი კარგად გაიგებდა—რა ნიჭი ჰქონდა ნ. ბარათაშვილს და რა გვარის და რა მიმართულების ნიჭი იყო იმის ნიჭი: უანგარო ალტაცება რომელიმე კეთილშობილურ აზრით, შფოთვა და დიდი მწუხარება ძლიერ გულისა თავის და ქვეყნის ბედზე—აი რა გამოითქმება უმეტეს ნაწილში ამ პოეტის ლექსებისა; და ბევრთ იმათგანს ასვია უმეტესი უკვდავების ბეჭედი. მაგრამ, სადაც პოეტი დაივიწყებს, თუმც იშვიათად, თავის ხასიათს და უცხო საქმეს გამოადგება, მაგალითად, აღწერს და განარჩევს ისტორიულ პირის მოქმედებას და ნიჭს, ასწონს იმის საქმეს, მაშინ კი ლექსს ატყვია რაღაც მძიმე, რიტორიკული ხასიათი და ბევრით ეწინააღმდეგება იმის შემდგომ სტრიქონებს, სადაც ისტორიულ პირების გრძობებში ცხადად გვესმის თვით პოეტის გრძობა. და ადვილი გასაგებია არის ამას შემდეგ, რომ იმგვარ ლექსებში, როგორც მაგალითად „ნაპოლეონი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“ ვერ იცნობა სრულებით ნ. ბარათაშვილის ნიჭი.

მოერჩი სტატია, და მე თითონ ძალიან კარვად მესმის, რომ იმა-
ში ბევრი არაფერი ითქვა ნ. ბარათაშვილის ნიჭზე; მე ვცდილობდი
მხოლოდ მეჩვენებინა იმისი უმთავრესნი თვისებანი, მაგრამ ვერ მო-
მისდა ორიოდ სიტყვა მაინც მეთქვა იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს
ნ. ბარათაშვილს ჩვენ მწერლობაში, ჩვენ პოეტებში მეტად. ვერა ვთქვი
რა ვერც იმაზე, თუ რა გარემოებამ, რა ცხოვრებამ დაჰბადა ჩვენში
ამგვარი ნიჭი და რა გავლენა ჰქონდა ამ ნიჭს თავის დროს საზოგადო-
ებაზე და იმის უკეთესს კაცებზე. მაგრამ, ნუ დაივიწყებ, მკითხველო,
რომ ამ საგნებზე ლაპარაკი მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელია, სა-
ნამ ჩვენ არ გვაქვს დაბეჭდილი სრული კრება ჩვენ უნიჭიერებს მწერ-
ლების თხზულებებისა, სანამ არა გვაქვს თვით ბარათაშვილის ბიოგრა-
ფია, და იმ დროის საზოგადოების მდგომარეობის აწერა (ისტორიულ
თუ ბელეტრისტულ თხზულებებში, სულ ერთია).

„დროება“, 1876 წ. № 60 და 61

გ. თ.

ბიოგრაფიული თუხანიშვილი

„სოლომონ ისაკიის მემორუალური“

რომანი ლავრ. არდაზიანისა („ცისკარი“, 1861 წ. № 1 და 2)

I

ყოველ ხალხის ცხოვრებაში პირველად ლიტერატურა მხოლოდ
რამოდენიმე განათლებულ და შეძლებულ კაცის ხელშია; ლიტერატუ-
რას მხოლოდ პირველათ არა აქვს საზოგადოებრივი ხასიათი და თი-
თქმის არაგისთვის არ მოაქვს იმას ზნეობითი ან ნივთიერი სარგებ-
ლობა.

პირველ დროინდელ მწერლობას აქვს ხასიათი მხოლოდ პოეტური,
ფილოსოფიური ან სამეცნიერო. შემდეგ კი, როდესაც ხალხში ვრცელ-
დება წერა-კითხვა ერთის მხრით და მეორე მხრით საზოგადოებას ეძ-
ლევა ნება გადაწყვიტოს თითონვე ზოგი ერთი თავისი საქმე-
ები, ლიტერატურა ხდება საზოგადო საკუთრებათ, იმას შეუძლიან საზო-
გადოებაზე ჰქონდეს გავლენა, ხალხს მოუტანოს სარგებლობა. ამ დროს
ლიტერატურა ხდება მთელ საზოგადოებრივი ჭკუისა და ხასიათის გა-
მომთქმელი, უნებლიეთ ყურადღებას აქცევს ის განათლებულ საზოგადო-
ების და ზოგჯერ მთელი ხალხის საქმიანობას და ხდება ამ გვართ
ქვეყნისთვის დამარცხებლათ და მოაზრებთ. მწერლობას ემატება ახალი
ნაწილების საზოგადო კრონიკა, პუბლიცისტიკა და ამას გარდა მო-
თხრობებს, კომედიებს და სხვა ბელეტრისტულ თხზულებებს ეძლევა
ახალი ხასიათი. იმათში იშვიათად-ლა იპოვნით ამ დროს მშვენიერ

ბუნების, ლამაზ ქალების და გმირების აღწერას და განთქმას ან ისტო-
რიულ ანდაზას.

ახლა შეხვდებით ბელეტრისტულ თხზულებებში უფრო ხშირათ
ნამდვილ დამახინჯებულ ცხოვრების დაწვრილებით აღწერას და ახალ
ეკონომიურ ან პოლიტიკურ საქმიანობის განხილვას.

ამის გამო მწერლობა ხდება საზოგადოებაში დიდ მნიშვნელოვან
საგნათ. მწერლობა ადვილათ აღაპარაკებს ერთმანეთთან სხვა და სხვა
გვარ ნაწილებს ხალხისა.

ამავე დროს იბადება ქვეყანაზე რეალური მოთხოვნა და რეა-
ლური დრამა, რომელშიაც აღარ ვხედავთ გმირებს, მეფეებს და დედო-
ფლებს, ეშმაკებს და ანგელოზებს, შეთხულებს მწერლის ფანტაზიითა.
ამის მაგიერ რეალურ მოთხოვნაში და დრამაში იხატება ნამდვილი
ცხოვრება თავის ცუდ და კარგ მხარეებით.

ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ ამ გვარ თხზულებას
შეადგენდეს ფოტოგრაფიული სურათები ე. ი. აღწერა ყოველ გვარ
ნამდვილ ამბავის ან ნივთისა, რომელსაც კი დაინახავს მწერალი: რეა-
ლურ მოთხოვნაში ადგილი არ აქვს იშვიათ შემთხვევას, რომელიც ვერ
გამოუსახავს მკითხველს ჩვენს ჩვეულებრივ ცხოვრებას, რეალურ მო-
თხოვნაში იხატება მხოლოდ ის, რაც გამოგვისახავს ჩვენ საზოგადოე-
ბის ზნეს; ამ გვარი თხზულება გამოგვისახავს კაცს, რომელსაც ყველაზე
უკეთესად, ყველაზე ცხადათ დასტუობია ჩვენი საზოგადო ზნეობრივი
მხარე. მაგალითად, თუ ჩვენში საშინლათ გავრცელებულია დაუდგრო-
ლობა და მწერალს უნდა გამოხატოს ეს ჩვენი წუნი თავის მოთხო-
ნაში, ის გამოხატავს კაცს, რომელშიაც უმეტესად დანერგულია ეს წუნი
ან, რომელზედაც უკეთესათ სჩანს—რამ დაგვაჩეია ჩვენ ამ დაუდგრო-
ლობას.

რეალურ მოთხოვნას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც
უფრო მთელი საზოგადოებისათვის საინტერესო და მძიმე საგანზეა ის
დაწერილი.

ამის გამო ხშირად უსარგებლოთ და უმნიშვნელოთ რჩება მეტად
ნიჭიერად დაწერილი მოთხოვნა; სადაც აღწერილია უმნიშვნელო ნა-
წილი საზოგადოებისა ანუ აღწერილია, ის, რასაც იცნობს დიდი ხანია
მკითხველი სხვა უკეთეს თხზულებიდან. ხშირათ დიდი მნიშვნელობა
და გავლენა აქვს უბრალო მწერლისაგან დაწერილს მოთხოვნას, რო-
დესაც ამაში გამოყვანილია ახალ აზრების კაცი, ან ის ნაწილი საზო-
გადოებისა, რომელიც ან არ აღწერილია არავისაგან, ან რომელზედაც
დღეს ყველანი ლაპარაკობენ.

რეალურ ან ნამდვილ მოთხოვნას დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს
მთელ ევროპაში. პირველ ამ გვარ თხზულებათ ჩვენში გვახსოვს „სურა-
მის ციხე“, მაგრამ უფრო რეალურ, უფრო ნამდვილ მოთხოვნათ გვე-

ჩვენა დაბეჭდილი ამაზე ცოტა გვიან არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, რომელიც ისეთის სიანოვნებით იკითხებოდა ჩვენში, რომ დავიჯერეთ, ჩვენშიაც მოვიდა ნამდვილ მოთხრობების დრო და ჩქარა ამ გვარ თხზულებებში გამოიჩინენ თავს ჩვენი ნიჭიერი მწერლები.

მართლაც, „მეჯღანუაშვილი“ იყო დაბეჭდილი 1861 წ. 1863 წელს კი ახალმა მწერლებმა დააარსეს თავიანთი ეურნალი „საქართველოს მოამბე“ და იმის პირველ ნომერში ვიპოვეთ ამ ეურნალის უკეთეს მწერლის ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია ადამიანი“, რომელსაც ჩვენი თავად-აზნაურობა ბეჯითად კითხულობდა და ბეჯითადვე აძაგებდა; ეს უკანასკნელი ნიშნავდა, რომ ზარბაზნებმა იცნეს თავიანთი თავი წაკითხულ მოთხრობაში, და უმეცრებაში გაიარა ამას შემდეგ ოთხმა წელიწადმა და ჩვენ შევხდით „დროება“-ში გიორგი წერეთლის უკვდავ კუდაბზივას („მგზავრის წიგნებში“).

ამ გვარათ რეა-ცხრა წელიწადში ჩვენმა მწერლობამ შეიძინა ოთხი მოთხრობა, რომელშიაც ნიჭიერად გამოხატული იყო იმერელი მეტად თავ-მოყვარე და ქართველ-კახელი მეტად ზარბაზნი და უთავბოლო თავად-აზნაურობა, ჩვენი გლეხების მდგომარეობა ბატონ-ყმობის დროს და ჩვენი მეჯღანამილიონერები. 1867 წლიდან დაწყებული, როდესაც მგზავრის წიგნები დაიბეჭდა „დროებაში“ და ცოტა იმის წინეთაც 1873—1874 წლებამდე ჩვენი ეურნალ-გაზეთები ივსებოდნენ რეალური მოთხრობებით, მაგრამ არც ერთს ამათგანს არ აუღელვებია, არ გაუღვიძებია, რაოდენიმედ ჩვენი საზოგადოება და არ მოუპოვია ბევრი მკითხველი.

აქედამ საჭიროა გამოვრიცხოთ ერთი ან ორი თავი „მგზავრის წერილებიდან“ ილია ჭავჭავაძისა; ამ თხზულებაში ყველამ იპოვა თავის კარგი ნაცნობი აფიცერი—მეტად სწორედ გამოხატული ავტორისაგან.

ამ უკანასკნელ სამიოდ წელს კი ჩვენ ეურნალეობათ ერთად გააქრა სრულებით ჩვენი მცირე წლოვანი რეალური (ნამდვილი) მოთხრობა. ეს, რასაკვირველია, იმას არ გვიმტკიცებს, რომ ამ გვარ თხზულებისთვის ჯერ ჩვენში დრო არ დამდგარა და იწერებოდნენ მხოლოდ ისინი ეურნალეების ასაესებლად; ჩვენ გვგონია, რომ ეს მხოლოდ იმას გვაჩვენებს, რომ ჩვენში ჯერ დრომდის შეუძლებელია ლიტერატურული მუშაობა.

სანამ დაგვებადება ახალი რიგობა რეალურ მოთხრობისა, რაზედაც იმედი არ დაგვკარგვია, უსარგებლო არ იქნება თვალი გადავაგლოთ ოთხ ზემოხსენებულ მოთხრობას. „სურამის ციხე“ გვილაპარაკნია კიდევ ერთს დროს მკითხველთან და ახლა ჩვენი სტატიის საგნათ ავიღეთ არდაზიანის „მეჯღანუაშვილი“—მეორე ქართული რეალური მოთხრობა. მით უფრო გვინდა ამ თხზულებაზე ლაპარაკი, რომ ის დამარხულია აქამდე ძველ დაფანტულ „ციხურებში“, არ ღირსებია ის არც კრიტიკას და არც მეორეთ დაბეჭდვას.

ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ „მეჯღანუაშვილი“, ნამდვილი რეალური მოთხრობაა. რომ ვსთქვათ „მეჯღანუაშვილი“ ბევრათ ჰგავს რეალურ მოთხრობას, უფრო სწორე იქნება არდაზიანს არ ჰქონოდა პირველ ღირსების ნიჭი, რომ გამოჩენილი რეგოლიუცია მოეხთანა მწერლობაში, რომ ერთბაშათ შეეთხუზა სრული რეალური მოთხრობა. მის მოთხრობაში მოიპოვება წმინდა რომანტიკური ნაწერიც.

ამ მაგალითად: მეჯღანუაშვილის ქალმა შეიყვარა ორჯერ ზრდილი თავადი ალექსანდრე რაინდიძე და ისე შეუყვარდა ეს, რომ, როცა ვერ ხდება ამის ცოლათ, ჭლექდება და კვდება. ეს შემთხვევა არ არის ჩვეულებრივი შემთხვევა და სრულებითაც არა ჰგავს ყოველ დღიურს ნამდვილ ცხოვრებას, რომ ქონოდა იმას ადგილი რეალურ მოთხრობებში. იქნება ავტორს შერცხვა, რომ სულ უბრალო საგანზე ლაპარაკობს და მოინდომა ბოლოს სულ მკითხველების გაკვირვება; მაგრამ ამ საკვირველმა ამბავმა ნამდვილათ კი დაასუსტა ის შთაბეჭდილება, რომელიც გამოქონდა მკითხველს მოთხრობის კითხვიდან. ამ შთაბეჭდილებას ასუსტებს ზოგიერთი სხვა წვრილმანი შეცდომებიც, რომელსაც ვაჩვენებთ აქ მოკლედ მკითხველს: მეჯღანუაშვილი ხშირად უაღაგო ალაგას დაიწყებს ხოლმე დაცინვას ჩვენს ამაყ განათლებულ ახალგაზრდობაზე. თქვენ გიკვირთ ხოლმე, რისთვის ლაპარაკობს ამაზე მეჯღანუაშვილი, როცა მოგვითხრობს ის თავის მეტად მძიმე საგანზე.

მაგრამ, თუ მოიგონებთ, რომ მეჯღანუაშვილი დაწერილია ბიძია თონიკესაგან, რომელიც ჰკიცხავდა თავის დროინდელ ახალ თაობას, მაშინ გაიგებთ სუყველა ფერს. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ ავტორს არ ელაპარაკა ამ გვარად მეჯღანუაშვილი და ახალგაზრდობის გალანძღვა შეენახა თავის პოლემიკურ სტატიებისთვის. კარგი იქნებოდა, რასაკვირველია, ისიც რომ უ. ლ. არდაზიანს თავის კინტო სოლომონი ელაპარაკებინა უბრალო და არა წიგნურ ძველებურ ენით და გადაჭარბებით არა ექებინა ჩვენი თავად-აზნაურობა.

თქვენ ცხადათ ჰხედავთ, რომ არდაზიანი ძალათ ათქმევენებს მეჯღანუაშვილს მაგალითად შემდეგ სიტყვებს:

„ერთი ხასიათი შეგნიშნეთ ნათში. (კახელ მებატონეებში) და სრულიად კახეთში, კარგი: დიდი და პატარა მებატონეები შეკავშირებული არიან ერთ-სულობით, ერთ-გულობით, პურ-მარილობით. ეს წარჩინებული ხასიათი ძნელად სადმე იპოვნება!“

ან კიდევ:

„მართალია, გული კაცის მიელტვის ყოველ მას, რაც კი არის უუღიდესი და დიდ მშენიერი. ეს ის არის, რომ კაცი მიელტვის თავის პირველ მდგომარეობას—დიდებასა და ნეტარებასა—რომელიც

ამის დაუკარგავს. ეს მისწრაფება ტრიალებს გულში და კაცთ უნეტეს ნაწილში გარეგნათსრულიად არა სჩანს, დამარხულია სხვა-და-სხვა მიზეზების გამო; მაგრამ არიან გვაში, რომელიც ვერ დაიტყვევენ გულში ამ გრძობასა, აღიძვრიან მისგან და მიისწრაფებიან უკეთესობას, განცხრომას, დიდებას და ყოველ მშვენიერობას;—ამის გამო დაიბადა გამშვენიერებული ხელოვნება და სწავლა სიტყვიერება, გემოვნება, ზრდილობა და სხვა“.

ასე შეუძლია ილაპარაკოს სემინარიელმა ფილოსოფოსმა და არა კინტო მეჯღანუაშვილმა.

მეჯღანუაშვილის გარდა თვით ანგელოზისავე კეთილ და ნამდვილად განათლებულ თავად ალექსანდრე რაინდიძეს ალაპარაკებს უფალი არდაზიანი მეტად საცინლად. სოლომონ ისაკიჩ მივიდა რაინდიძესთან ვალის მისაღებათ და აი ამ დროს ნამდვილათ განათლებული ალექსანდრე რას ეუბნება მეჯღანუაშვილს, როცა ეს უკანასკნელი ჰკითხავს იმას, რათ არის ევროპა განათლებული.

„გახსოვთ, ქრისტე რას ბძანებს სახარებაში?“

„მე ვარ ნათელი სოფლისა“. ნამდვილათ ქრისტე გაანათლებს ევროპასა, და სხვა მხარეთაც, სადაცა მისი სახარება არის ხელთმძღვანელები ყოვლის მოქმედებისა. ფრანცია მცირე ჟამს გადაუდგა ქრისტეს სახარებასა და ჩავარდა სიბნელებში, რომლის გამო მოხთა საშინელი არეულობა; და როდესაც იმის შემდეგ ფრანცია ცხადათ მოვიდა სახარებასა, ისევ განათლდა“.

რასაკვირველია იმით უფალ არდაზიანს სურდა დაემტკიცებია უღმერთო ახალგაზრდობისათვის, რომ ნამდვილი განათლება სარწმუნოებაშია; გამოვიდა კი, რომ პრაგოველი რაინდიძე ამ ქადაგებით დამსგავსა უმეცარ ნღვდელს, რომელსაც მეცნიერების იჩიიც არ ესმის და ყოველ ისტორიულ ფაქტების მნიშვნელობას ახსნის სარწმუნოებით.

ამ გვარ ადგილებს, რომლებიც ვერ გვიხატავენ სწორეთ ნამდვილ ცხოვრებას, იპოვით კიდევ რამოდენიმეს არდაზიანის მოთხრობაში; მაგრამ ჩვენ აქ უჩვენებთ მკითხველს მხოლოდ ერთს. აღზრდას ისეთი მნიშვნელობა აქვს კაცის ცხოვრებაში, რომ დიდი რეალურ მოთხრობის წყურალი თავის თხზულების რამოდენიმე გვერდს მაინც უძღვნის თავის უმთავრეს პირის აღზრდას. არდაზიანი კი უძღვნის ამ მძიმე საგანს ორ-სამ სტრიქონს და ამბობს: მეჯღანუაშვილი ანგელოზების ხელში გაიზარდაო. ჯერ ერთი, რომ ნამდვილ მოთხრობის დამწერმა თავის მოთხრობაში არ უნდა ილაპარაკოს არც ანგელოზებზე და არც ეშმაკებზე, რადგანაც ჩვენ ნამდვილ ცხოვრებაში ვხედავთ მხოლოდ კაცებს თავიანთ ღირსებებით და დაწუხებით ერთად და არა ეშმაკებს და ანგელოზებს.

მივანდოთ ესენი მელოდრამებს. მეორე, რომ მეჯღანუაშვილი

სრულებით არა გავს არც თავის პატიოსან დედას, არც თავის დარდისანდ მამას და არც თავის ანგელოზ—ალმზრდელებს და ეს, რასაკვირველია, გარემოება უნდა ჩვენთვის აგხსნა უფ. არდაზიანს მეჯღანუაშვილის აღზრდას აღწერით.

რომ გამოვრიცხოთ ყველა ეს არა რეალური ადგილები არდაზიანის მოთხრობიდან, მაინც ნასში ვიპოვით ბევრ იუნიორიულ სურათებს, რომელიც მეტათ სწორეთ გეაცნობენ ხალხის ზოგი წურბელების ცხოვრებას. თქვენ აქ ნახათ არსებას, რომელიც სიყმაწვილში კვდება—შიმშილ-სიღარიბის გამო და თუ იგივე მოზღის ბებიობაში, მხოლოდ სიძუნწის გამო.

ერთი სიტყვით, არდაზიანის მოთხრობას შეჰყავხართ თქვენ ძუნწ კირაპეტების და სარქისების მღვონარეობაში.

მართალია, მკითხველმა ესენი უფრო ადრე გაიცნეს ზ. ანტონოვის და გ. ერისთავის კონცეციებიდამ, მაგრამ მხოლოდ გაკვრით. ამ თხზულებაში ძუნწი ზარაფები ყველას ეჩვენებოდენ მასხარებათ, რადგანაც ქართულ ენას ამტკრევდენ და გიჟურათ ფული უყვარდათ. „სოლომან ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ მკითხველი უფრო დაახლოვებთ გაიცნობს ამ გვარ კაცებს. არდაზიანის მოთხრობაში „მეჯღანუაშვილი“ გამოხატულია არა მარტო გარეგანი, მასხარული მხრით; თქვენ აქ ხედავთ მთელ კაცს.

მართალია, სოლომან ისაკიჩ უფრო სომეხია, ვინემ ქართველი, მაგრამ, ყველამ იცის რომ ქართველ საზოგადოებაში მეჯღანუაშვილები უნიშვნელონი არიან და მიძბამელებიც ბლომათ ჰყავთ. ეს საკმაოა, რომ არდაზიანის მოთხრობას ჰქონდეს ადგილი ქართულ მწერლობის ისტორიაში, თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ არდაზიანმა პირველად და ყველაზე უკეთესათ გამოხატა ეს ჩვენებური ბურჯები. ამავე მოთხრობაში ვპოულობთ სხვა გვარ წურბელების სურათებს, დახატულებს აგრეთვე ნიჭით და ცოდნით, მაგრამ მხოლოდ გაკვრით, სხვათა შორის.

„მეჯღანუაშვილის“ კითხვის დროს ჩვენ დავრწმუნდით, იმის აგტორს შეეძლო დაეწერა ახალი მოთხრობა, სადაც გამოყვანილი ყოფილიყო მშვენიერათ ჩვენი ჩინოვნიკობა.

რადგანაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი მხოლოდ მეჯღანუაშვილზე, აქ მოვიყვან ერთ იმ ადგილთაგან, რომელთაც დაგვარწმუნებს ზემოხსენებულ აზრზე.

„ლუარსაბს ჰყავდა რვა მდიდარი კომლი ყმა ურია. იმათ ოქროებს კბილებს უკრეჭდა ერთი უპრავის დიამბეგთაგანი. ამ უკანასკნელმა გაიხმო ურეები ერთხელ სოფელ გარეთ, როდესაც ლუარსაბ შინ არ იყო, და უთხრა: მე მაქვსო კარგი საბუთებო და თუ მომცემთო ასს ოქროს, ყმობიდან გავანთავისუფლებთო“. სიხარულით ათრთოლებულმა ურეებმა აღუთქვეს ასი ოქრო და ბერ მისცეს ოცი ოქრო.

დიაბეგს დაეწერა ათი სავსე თაბახი არზა. არზაში მთელი დაბა-
ლები გადნოწერა, და ინათ თავის უფლებას ნით ამტკიცებდა, რომ ისინი
იყვნენ ისრაელნი, შვილი აბრაამისანი და იაკობისანი, რომელიც თვით
ღმერთმა გაააზნაურა!

პირველში, როდესაც დაინახეს დიდი რვეული დაწერილი, ურიებს
ევონათ არზა ქვას გახეთქავდა; მერე კი, როდესაც დიაბეგმა გადა-
უთარგნა, მოწყდათ წელი; გაახილეს ურიებმა თვალი და დაინახეს
ვერაგობა მაცდურისა. აბა დანარჩენ ოთხმოც ოქროს როგორ-ღა მის-
ცემდნენ, თავათ ოცი ოქროც რამოდენიმე წელიწადი იგლოვებს!...

„მეორე უბრავის დიაბეგმა ეს რომ შეიტყო, იმასაც მოუხდა
ურიების ოქროები. შემთხვევაც საჩქაროთ მოუხდა. ერთ დღის სავალ-
ზე ოსებს კაცი მოეკლათ; უბრავამ შეიტყო და უბძანა იმ დიაბეგს
გამოეძებნათ ეს საქმე. დიაბეგმა დაარიგა იასაულები: -გადიტანეთო
მოკლული კაცი და ჩაუგდეთ ბინიდან ლანე ერთ-ერთ ლუარსაბის ურიასა
სახლშიო“ რასაკვირველია, იასაულებმა მარდათ აღასრულეს დარი-
გება; მაგრამ ვერაგობა დიაბეგისა გამოჩნდა“...

თითონ ვაება ბაზში. რასაც ურიებისაგან მოელოდა, ორი იმო-
ღენა დახარჯა და გადაჩა სასჯელსა.

III

სოლომან ისაკი მუჯღანუაშვილი დაიბადა ღარიბ დედამისიან.
ჩქარა მოუკვდა მამა და დარჩა ძუძუ მწოვარი სოლომანი ყმაწვილი დე-
დის ხელში. აქ არდაზიანი გამოგვიხატავს საშინელ მდგომარეობას ღა-
რიბ ქვრივ ობლისას. ამათ დარჩა სახლის უფროსის სიკვდილის შემ-
დეგ საცოდავი ქოხი, ტახტი, შამფური და სხვა ამგვარი ხარაგ-ხურაგი.
ესენი ვარდა ქოხისა ზოგი ვაჟყიდა ქვრივმა დედამ სოლომანისამ,
რომ ლუკმა პური ეშოვნა და შიმშილით არ მომკვდარიყო და ზოგი თი-
თქმის ძალით წაიღო ტერტერამ რიგის გადასახდელათ განსვენებულზე.
დარჩა უბატონოთ ულუკმაპუროთ მშვიერი—ობოლი. საიღამ ეშოვნა
ამას სახარდო? საქმის შოვნას ხანგძლივი ძებნა სჭირია, უცნობს მდი-
დარი მოწყალეებს არ მისცემს—უანგარიშოთ, ღარიბს შეძლებული ნა-
თესავეები ადვილათ ივიწყებენ. ერთ დროს თითქო იმედი მიეცა მუჯღა-
ნუაშვილის სახლობასა ამ ვაჭირებისაგან თავის დახსნისა: მეზობლები,
მეწვრილმანე სარქის ბეგასშვილი, უგზავნიდა საქმელს და სახმელს იმას.
მაგრამ ჩქარა ამ საჩუქრებისაგან ხელი უნდა აეღო სოლომანას დედას,
რადგანაც არ მოინდომა ამ ურცხვი მეზობლის სურვილის ასრულება
და თავის სხეულით ვაჭრობა. ან უარის თქმის გამო მოსვენება დღე
და ღამ არ ჰქონდა მეწვრილმანისაგან მშვიერ ქვრივს, სანამ შემთხვე-
ვით ღმერთმა არ მოხდა დაჩაგრულს.

მეჯღანუაშვილის ქვრივ-ობოლს მოელოდა შიმშილით სიკვდილი,
თუ რომ ისინი არ შებრალებიყო ერთ ყმაწვილს, ლუარსაბ რაინდიძეს,
და არ წაეყვანა იმას ისინი თავის დედასთან.

ამათთან აღიზარდა და ამათთან დარჩა თვრამეტ წლამდი სოლო-
მანი. თვრამეტი წლის განოდის ამ სახლიდან და რამოდენიმე წლის
შემდეგ ხდება ის მილიონერი.

თქვენ აქ უნებლიეთ იკითხავთ: რა ისწავლა ამ სახლში ისეთი
სოლომანამ, რომ ასე ჩქარა გამდიდრდა საშინლად? რამდენი ჰქვიაანი,
გაზრდილი, კარგი გვარისშვილი და მუშა კაცი, ფიქრობ შენ, მკითხვე-
ლო, ჩვენ თვალ წინ თითქმის შიმშილით კვდება და რა მოხდა ისეთი,
რომ მეჯღანუაშვილმა ასე მაღლა აიწია ისიც ბატონ-ყმობის დროს.
როდესაც ჩამოწავლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცის ბედში.

სოლომანი თავის აღსარებაში ამბობს. რომ, იმას არა ხელობა
არ უსწავლია რაინდიძეების სახლში! თქვენ უფრო ვაჟკვირდებით, ვი-
თხრათ, რომ სოლომანი აღიზარდა ანგელოზების ხელში. თქვენ უეჭვე-
ლათ იტყვიან, რომ ასე ადვილათ არაფერი არ ლუბავს კაცს, მდი-
დარსაც კი, როგორც უმეცრება და პატიოსნება. ღარიბი, უმეცარი და
მასთანავე პატიოსანი კაცი მხოლოდ შემთხვევით გახდება მილიონერი,
ფიქრობთ თქვენ. ხომ არ დარჩა მშობლებისაგან ან ნათესავეებისაგან
მეჯღანუაშვილს ანდენი ფული ან იქნება ეს იყო მოგებული შემთხვე-
ვით, მაგალითად ქალაქის თამაშობაში ან ლატარიებში? იკითხავთ
თქვენ. „სურულებითაც არა, გიპასუხებს სოლომან ისაკი, მე ნომივია
ფული შრომით, ტანჯვით“ ანას, რასაკვირველია, თქვენ არ დაიჯერებთ
და იტყვიან: „ღარიბმა და მასთანავე პატიოსანმა კაცმა რაც უნდა იშ-
რომოს, ის მხოლოდ თავის შრომით ვერ მოიპოვებს დიდ სიმდიდრეს,
მეტათ თუ მეჯღანუაშვილსავე ცოდნა აქლია“. თქვენ აქ უნებურათ ფიქ-
რათ მოგივთ, რომ, თუ შემთხვევით და ცოდნით არა, უეჭველია, ავა-
ზაკობით მოუპოვებია პატივცემულ სოლომან ისაკი თავის სიმდიდრე
და დაღონებით მოიგონებთ თქვენ კარგ ნაცნობებს—დაუსჯელ ავაზა-
კებს. მართლაც, ხედავთ მაგალითად, რომ ავღაბრელი და მასთანავე
ავაზაკების ანხანაგი დღეს პატივცემულ იჯარადრათ ითვლება ჩვენში;
ხედავთ, რომ ხაზინის გამჭურდავი დღეს პატივცემული ორდენიანი
ანხაურია, და ფიქრობთ: ვინ იცის რა ავაზაკობა ჩაუდენია მეჯღანუა-
შვილს! არა, გიპასუხებენ სუყველანი თქვენ, მეჯღანუაშვილი არავის
არ უმაღავს იმ ხელობას, რომელიც, რომლის წყალობითაც იმან მოი-
პოვა სიმდიდრე; სოლომან ისაკიმ შვიდინა თავის ქონება ვაჭრობით
და მხოლოდ ვაჭრობით.

რაში შესდგება ეს ვაჭრობა? საჭიროა ამისთვის განსაკუთრებითი
ცოდნა, ან დიდი ჯაფა? ამას ეხლავე ვნახავთ. მეჯღანუაშვილი კარგათ

სარგებლობდა გლეხობისა და მებატონეების ვაჭირვებით, ასესხებდა იმათ ფულს და ყოველ სამ მანეთზე იღებდა წელიწადში რამოდენიმე კოდს პურს. ჩარჩობით და კინტობათაც ბევრს იღებდა მეჯღანუაშვილი, მით უფრო რომ ეს თავის თავს და თავის სახლობას ისე საწყლათ ინახავდა, როგორც ინახავს კაცი, რომელმაც არ იცის—ხვალ მოკვდება თუ არა შიმშილით მეჯღანუაშვილი—თითქმის მილიონერი ცხოვრებდა ძველებურათ დანგრეულ მამაბაბურ ქოხში და თავის დაგლეჯილ ტანისამოსიან ცოლშვილს ათას კუთხეში აგდებდა სავაჭროთ და გროშების ნოსაგებლათ.

ვისაც უნდა გაიცნოს დაახლოვებით, რაში შესდგებოდა სოლომანის ჩარჩობა, იმას ვურჩევთ წაიკითხოს მეთავე თავი მოთხრობისა. აქ მეჯღანუაშვილი იქერს სოფელს, რომელსაც მოუყვანია ვარიები ქალაქში გასაყიდლათ. სოლომან მეჯღანუაშვილი ჯერ თითონ ევაჭრება ოსტატურათ სოფელს, ბერე კი იმავე განზრახვით შეუყენებს ჩარჩს; ეს უკანასკნელი მიუხდომელ სოფელს ჰგონია თავის კეთილ-მოსურნეთ. ენდობა იმას და, ამგვარათ ვარიები თითქმის ნუქათა ერგება მეჯღანუაშვილს.

საჭიროა კაცის სისუსტის ცოდნა; ისარგებლე ამ სისუსტით და ქვეშიდამ ხალიჩა ისე გამოაცალე, რომ არც კი შეიტყოს ეს. უეცრათ დაეცი ვაჭირვების დროს და რაც შეიძლება მეტი ააძვრე. ჰქონდეს შეუბრალებლობა. მეტი არაფერი არი საჭირო. ბედნიერი გახდეს. — ასე ფიქრობენ ყოველთვინ მეჯღანუაშვილები.

„ხელის ხელსახოცათ გავიხადე ტყუილი ფიცი, ამიტომ რომ შეუძლებელი იყო უანისოთ მომეგო გროში“, ამას აცხადებს ურცხვად სოლომან ისაკინ თავის ახსარებაში, მაგრამ ჩვენი წუთბელა თავის გამართლებასაც ახერხებს. აი ნახეთ, თუ არა გჯერათ!

როცა თავადი ალექსანდრე რაინდიც უბრუნებს მეჯღანუაშვილს მამის ვალს სარგებლით, მეჯღანუაშვილი აი რას ამბობს: „ქართველები დაუდევნელი ხართ და არ ფიქრობთ ხვალისთვინ. აი მაგალითებრ: კურთხეულ მამა თქვენს ოცდაათი თუმანი მაშინვე რომ გადაეწყვიტა, ახლა იმისი შვილი ოთხას სამოც და-ცამეტი თუმანსა, ცხრა მანეთსა და ხუთ შაურ ნახევარსა არ გადასწყვეტდა“. მაშ ასე, მეჯღანუაშვილი თავის უსვინდისობას უთაურ ქართველებს აბრალებს! ზართალია, ეს გამართლება ცოტად საფრანგეთის ეკონომისტის ბასტიის სიტყვებს მოგვაგონებს¹. მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ იგივე მოგვაგონებს ყოველ გვარ ავაზაკობის თავის გამართლებასაც.

„მაგალითათ ქურდს შეუძლიან თქვას: „კაცმა, რომ იცოდეს თავის

¹ „ეკონომიურ სოფიზმები“ („საქართველოს მთაბგე“ № 11, 1963) აქ ბასტია ზოგიერთების უსამართლობას აბრალებს უმეცარ და დაჩაგრულ ხალხს.

სიეთის კარგათ შენახვა, აღარც ქურდობა იქნებოდაო; სხვის უთავობით სარგებლობა ცოდვა არ არისო!“

იქნება რომელიმე მკითხველი დამეთანხმოს, რომ ამგვარი მეჯღანუაშვილის ხელობაში ბევრიც რო ვეძებოთ, არაფერ პატიოსნურ, უანგაროს ვერ ვიპოვით, ამგვარ მკითხველს თავის თავად დაებადება კითხვა:—რამ დააყენა კაცი, აღზდილი ანგელოზების ხელში, ამ საზიზღარ გზაზე.

მეჯღანუაშვილი არ მალავს, რომ ის რაინდიძეების სახლში განებიერებული იყო და არაფერი ხელობა არ უსწავლია.

შეგვიძლიან აქედან მივხვდეთ, რომ სოლომანი არ ყოფილა დეტანჯული ყმობისთვინ და არც ყოფილა უბრალო მსახურათ ბატონისა.

მაგრამ რაც უნდა იყოს, სოლომანი მთლათ ბატონის შეილებსავით არ გაიზრდებოდა, და უეჭველია, რომ ის უფრო მსახურების ხელში იქნებოდა, ამიტომაც ბატონის მსახურის ხასიათი არ შეიძლებოდა არ დასჩენოდა პატარა სოლომანს. პირველი ბატონის მსახური რა არსებობდა, ისიც ბატონ-ყმობის დროს, ეს ადვილი გასაგებია¹.

ყველამ იცის, რომ ერთგულ საველიჩს, გამოყვანილს პუშკინის მოთხრობაში („კაპიტანის ქალი“) ბევრი მიმბაძავი არაოდეს არ პყოლია და რომ ბატონთან დაახლოვებული ყმა იყო უცბიერესი ყმა, რომელიც ბატონდებოდა გლეხების და ბატონების სისუსტის ცოდნით. ბატონის მოურავი გლეხებსაც და ბატონებსაც ათამაშებს და ამიტომაც ბატონზე უარესია. ამგვარ მსახურს უმეტეს ნაწილად არაფერი ცოდნა არა აქვს რაიმე ხელოსნობაში; ის იცნობს კაცის სუსტს გულს და იმის ხელობაა ისარგებლოს ამ სისუსტით. ეს ხელობა უეჭველად ცოტად მაინც გაიცნო ახალგაზრდა სოლომანამ თავად რაინდიძეს სახლში და ჩქარა იპოვა შემთხვევა ამ თავის ცოდნით ესარგებლა.

თვრამეტი წლის სოლომანამ აღარ მოინდომა მუქთად პურის ქამა თავის გამაბეზნიერებლის სახლში; არც იკადრა ყმათ გამხდარიყო და წამოვიდა ქალაქს თავის მანაბაბური ქოხის საძებნელათ.

ამის შენდეგ რას გზას უნდა დასდგომოდა განებიერებული და უმეცარი სოლომანი? ქურდები და დარდიმანდები აპატივებდნენ იმას თავიანთთან, ნაგრამ მეჯღანუაშვილი არ დათანხმდა ამ საზინელ გზაზე დამდგარიყო. არც შრომა და არც სწავლა მოინდომა ამ ნაზმა არსებამ, რადგანაც ის არ იყო დაჩვეული ამეებს ყმაწვილობიდანვე.

ჩარჩობა, კინტობა და ზარაფობა უფრო ადვილი შესაფერი საქმეებია და სოლომანმა მიპყო ბეჯითად ხელი ამ საქმეებს. ამ საქმეებში, რასაკვირველია, ბევრს უშველიდა სოლომანის ის ცოდნა და თვისებანი,

¹ აქ იქნება მკითხველმა მოიგონა მოუსვენარი მოურავი მკვლე და გამდელი დილაგარდისა უ. გ. წერეთლის კომედიიდან „ჯიბარი“.

რომელიც შეიძინა უმჯობესად რაინდიძეს მოურავებისა და გამდევლები-საგან.

ნუ გჯერათ მეჯღანუაშვილისა, რომ ამას ვითომ მხოლოდ გრო-შის ნოსაპოვებლათ გაენადნოს ხელის ხელსახოცათ ტყუილი ფიცი. გროშები კაცს ვერ გააბატონებენ. გროშების მოგება მკმაწკილობიდანვე განებივრებული სოლომანი ჩქარა მიიყვანა ათას თუმნების ნოგებამდი. ერთ მშვენიერ დღეს მილიონერ მეჯღანუაშვილს შერცხვა კინტოთ და ჩარჩათ ყოფნა და გადაიქცა უეცრათ ბატონათ, ნამდვილ ბატონათ.

IV

მეჯღანუაშვილი იწყებს ახალ ცხოვრებას და ცდილობს საპატიე-ცენო ადგილი დაიჭიროს საზოგადოებაში. სოლომან ისაკიჩ ირთვება, მძვინიერ სახლებს ყიდულობს, თავის ცოლს და ქალს უშლის ვაჭრობას და ხდის იმათ ქალბატონებათ; ვაყისთვისაც ქრთამებით კარგ ადგილს შოულობს სამსახურში. ერთის სიტყვით, სოლომან ისაკიჩი თავის ოჯახით ბატონდება.

სულ კი გააბედნიერა მეჯღანუაშვილი ფულმა; ფულმა მისცა იმას საშუალება ვმტრო თავის დედის გამლანძღველისთვის, სარქის-ბეგა-შვილისთვის; ფულმა დასვა კინტო სოლომანი სამეფო ლოჟის გვერდზე თეატრში; ფულმა გააცნო ეს თავადებთან, ფულმა გახადა მეჯღანუა-შვილის უსწავლელი შვილი დიდ ჩინოვნიკათ. ოო, ფულს ბევრი რამ შეუძლიან! აი, მაგალითად მეჯღანუაშვილი რას გვიანბობს:

„მოვირთვე გემოვნებით და მდიდრულათ, და ვავექანე დროშკით (დროშკა მაშინ იშვიათ და დიდი იყო) სიონის ქუჩისკენ. დროშკა და-დგა მელიქიანის ქარვასლის წინ. კარებთან მიმელოდა მრავალი ხალხი, რომელსაც სურდა ჩემი (ე. ი. უცნობი მდიდარი კაცის) დანახვა, რო-დესაც გადავბტი დროშკიდან, მე შემომესმა შენდგვი სიტყვები: „რა ახალგაზრდაა!“ „რა ჭკვიანია!“ სახეზედ ეტყობა რაც არის. „ფულში გამეცინა, წარმოვიდგინე იმათი დაბრმავება, რომ ვერ იცნეს ჩემში კინტუა სოლომანი!“

ხედავ მკითხველო, ხალხი როგორ მიიღებს მდიდარ კინტუას! გე-გონებათ, ნახეს ვაკვირების და თავყანისცემის ღირსი გნირი! ამას იქით როგორ არ შეუყვარდეს ფულები მეჯღანუაშვილებს! მაგრამ ამ უკანასკნელების სამწუხაროთ ფული ყოვლად განაბედნიერებელი არ ყოფილა:

აგერ მეჯღანუაშვილის ქალმა თამარამა ერთის დანახვით შეიყვარა თავადი ალექსანდრე რაინდიძე (სოლომანის გამაბედნიერებელი მება-ტონის შვილი) ახალგაზრდა კაცი, ახლად კურს შესრულებული პრაგო-ვედების სასწავლებელში. მეჯღანუაშვილი უგზავნის რაინდიძეს მამან-

კალს და უნდა ორივეს დაბრმავება ფულით. მაგრამ ფული ვერაფერს ვერ შერება და რაინდიძე ირთავს თამარის მაგიერ სხვა ქალს, რომე-ლიც იმას, ალექსანდრე რაინდიძეს, დიდი ხანია უყვარს. ამის ნაღვლით მეჯღანუაშვილის ქალი ჭლექდება და კვდება, თუმცა იმას შამა ანუგე-შებდა, სხვა უკეთეს თავად საქმროს გიშოვნო. აქ პირველად იქნება, გაიგოს სოლომან ისაკიჩმა, რომ ყოველ გვარი ბედნიერების ყიდვა შეუ-ძლებელია, რომ ქვეყანაზე არის საგანი, რომელიც არ იყიდება—საკო-ნელი არ არის. მაგრამ ნგონია ამაზე ადრეც დარწმუნდა სოლომანი ამ სამწუხარო ჭეშმარიტებაში, რადგანაც ეს მილიონერი გრძნობს, რომ „იმის გულს ქეჯნის რალაცა განუსაზღვრელი ჭმუნვა და აღარ ესია-მოგნება რა ქვეყანაზე“ მას აქეთ რაც დაიწყო მან დიდებით ცხოვრება. ამასთანავე გვისწის სოლომანი: „ამ ჭმუნვის მიზეზი იყო ჩემში; ჩემს გარეთ არ ყოფილა“. თქვენ მკითხველო, აქ იქნება გეგონოთ, რომ ამ საცოდავს სინდისი აწუხებს? ეს ძნელი დასაჯერებელია, ამაზე გადა-კვრით ნაინც იტყოდა მეჯღანუაშვილი. ეს უკანასკნელი ლეთის მოყვა-რე კაცია და, უმჯობესადა, ბევრი ფული შეუწირავს ეკლესიისთვის. მეჯღა-ნუაშვილმა მისცა მზითველი და გაათხოვა სამი ქალი სარქისბეგაშვილისა (თვით მეჯღანუაშვილისაგან დაღარიბებულია). სოლომან ისაკიჩ, უე-ჭველია ანდერძის დაწერის დროსაც არ დაიფიწყებს არც ეკლესიას, არც შკოლას. ეს ყველა, უმჯობესადა, დაამედოვნებს ამ ყველასაგან პატივცემულ კაცს, რომ ის საიქიოს ჯოჯობეთში არ იქნება გასტუმ-რებული, როგორც დიდათ ცოდვილი კაცი. არა, მეჯღანუაშვილები თავის სვინდისსაც კი ქრთამათ აძლევენ და აჩუბებენ. მაშ რა ჰქვავს ბა-ტონ სოლომანს? სუყველაფერს ამისას ვავეგებთ, თუ მოვიგონებთ, რომ მეჯღანუაშვილმა კარგათ იცის, რა ადვილია დაუსჯელათ ფულის წარ-თნევა, თუ კაცი სვინდისზე ხელს აიღებს, თითონ აქ ბატონს უტოდნოთ და უდიდო შრომით მოუპოვია ამგვარათ ფული და ბევრი დაუქცევია და დაუნელებია.

ვარიების გამყიდველ სოფლებებისებრ მოტყუებული ბევრი ჰყავს მეჯღანუაშვილს, ამ წურბელა ჩარჩს, და შეიძლება იმათში გამო-ჩნდეს ადვილათ შურისმგებელი, რომელმაც ისევ ჩუმათ და ადვილათ გაატაროს ეს, როგორც იმან გააკატრა თავის დედის შემწუხებელი სარქისბეგაშვილი და სხვა ბევრი. ამ ჩვენს ახსნას ამტკიცებს თვით მეჯღანუაშვილის აღსარებაც. აი ერთხელ რას ეუბნება სო-ფიო, სოლომანის ცოლი, სოლომანს: „ნებიერობა, სიამოვნება, სტუმარი, საზანდარი არ გვაკლია; მოსამსახურეები სულ თავს გვევლებიან, სული-ერ ნამათაგან კურთხევა ხშირათ მოგვეცემა ხოლმე, მაგრამ ველარ ვიხვირეთ! აი, მეც მგონია დავსნეულდი; მენც სოლომან ისაკიჩ, ველარ ხარ უწინდელი მზიარული... ვენაცვალე ღმერთსა! მაგრამ მე ვფიქრობ ჩვენ ძტრებიც გვეყვანან... მტერი ბევრს ვნებას მოგვეცემს... გამოცხა-

დებულ ზღერს ვერც მე ვხედავ, მაგრამ განა არ არის ზღერნი, რომელიც დაფარულათ გვიტარებინან ორმოს?*

„ამ სიტყვაზე რომაგონდა, ამბობს მეჯღანუაშვილი, ჩემი დაფარული ზღერია, რომელითაც ნოვალ სარქისხეგანვილი და მე შევიგნე ეს ბოროტი; ამ ბოროტი სისამაგლისაგან გული დამიწყულა, შეფუთვით, მეორეს მხრივ ფიქრშიაც შევედი, რომ სანაგიეროთ არ გადამხდოდა. შინისაგან კანკალი დანაწყებინა, ცოტა გაწყდა ჭკუიდან შევიშალე... უეჭველია ვიფიქრე მე რომ ძტრობისათვის ძტრობა არ გადამხდეს. წარცოვიდგინე თავი ჩენი სარქისხეგანვილისაგან გაკოტრებული დაგრდომილი, უმნიწყალო, ავთამყოფი ციხის უბნის ჭიხში და ელდამ გამიარა გულში. „ჯიბი“! ვსტევი კენესით“

ესეც მეჯღანუაშვილის ბატონობა! ახლა მითხარით, მკითხველო, ღირდა კაცს უთვალავი დატანჯული ხალხი კიდევ უფრო დაეტანჯა ამგვარ ბედნიერების მოსაპოვებლათ? გადაავლეთ თვალი აღწერილს სიცოცხლეს მეჯღანუაშვილისის და ასწონეთ რაინდენი სიავის და რამდენი კეთილის ნომრანი ყოფილა ეს სიცოცხლე? ამაზე შესაძლოა ერთი პასუხი: მეჯღანუაშვილი მთელი თავის სიცოცხლეს ბეჯითად ცდილა, დატანჯული კიდევ, იქნება უნებურათაც, სხვისა და თავის ლუკმის გასაწარჩლათ, ჩასახანებლათ. ღირდა ანისთვის კაცი დაბადებულიყო?

გ. თ.

„დროება“, 1977 წ., № 18, 19, 20 და 21

ნიკო ნიკოლაძე

„ივერიის“ პირველი ნომერი

მოკვდა იგი მეტყველა,
რომელიც მუჟა სცემდა!

სახალხო

„ივერიის“ პირველი ფურცელი—დაპირებისამებრ—გამოვიდა წარსულ ზუთშაბათს, ამ თვის სამს. თუმც ახალი გაცემის რედაქციამ შიგსაკმაო სისრულით გამოაჩინა თავისი წახედულება, ძალა და მიმართულება, ისე, რომ გამჭირიანე პირისთვის ადვილია „ივერიის“ მომავალზე სჯის შედგენა, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, ამგვარი სჯის გარდაწყვეტით გამოთქმა, ჩემის აზრით, უდროოც იქნებოდა და უსარგებლოც. მართალია, ღვინემ თქვა, ვერაფერ დამაჯერებს, ვითომ ლომი ჯერ თავგათ დაიბადებდა და ლომის ზრტყალენი და თვისება კი მას მერმე მიენიჭებოდა. მართალია, კიდევ ჩვენი ხალხი ამბობს, რომ საუღლე ხბოს კანჭებში

შეეცობაო. მაგრამ აჩქარებით სოფელი მაინც არაეის მოუჭამია. ვაცადოთ დროს, მოხერხებას, მეცადინეობას, შემთხვევას. იქნება ღმერთმა ჰქნას და ჩვენმა ხბომ მეგელი დაიჭიროს. ნუ დავიჭინებთ თავიდანვე „არა, ვერ დაიჭერს ხბო მეგელსაგო“. ვაცალოთ, მიუღშვით ხბო ტყეში, მიეცეთ დრო, და თუ ვინცობაა რამდენიმე თვის განმავლობაში იმან ფეხ-მეკრული მეგელი შინ ვერ მოგვეგაროს, ან თვითონაც აღარ დაგვიპრუნდეს, მაშინ, მაგრამ მართლ მაშინ—საფუძველი გვექნება ვთქვათ: „ხბოს მეგელი როდა დაუჭერიათქო“.

ამის გამო უდროოა ჯერ-ჯერობით აზრისა და სჯის გამოთქმა ახალ გაზეთზე და მის რედაქციაზე. რა ვიცით, იქნება შემდეგში მისი საქმე უკეთ წავიდეს, იქნება მომავალში იმან ახალი ძალა შეიძინოს!...

მაგრამ „ივერიის“ პირველ ნომერზე კი ყოველ კაცს შეუძლია სჯის შედგენა და გამოთქმა. ის დაიბეჭდა, გამოიცა, ხალხში გავრცელდა. მონავალი იმას ვერც გააუმჯობესებს, ვერც დაამცირებს. ის ვხლახორც-შესხმული არსებაა, და მისი დაფასება, გასინჯვა ან გარკვევა ყველასათვის ადვილია: ოღონდ იმას ნუ ვიტყვი და ნურც ვიფიქრებთ, რომ როგორც პირველი ნომერია, იმნაირივე იქნება მთელი „ივერიაც“, ოღონდ ამ პირველი ნომრის სიკარგეს ან სიგლახაკეს მთელ გაზეთს თავზე ნუ მოვახვევთ,—მაშინ ამ ნომრის განხილვით ჩვენ როდი დავარღვევთ „დარბაისელი კრიტიკის“ კანონებს და ჩვეულებას. ეს ვიქონიოთ სახეში, და შეუდგეთ იმ შთაბეჭდილების გამოხატვას, რომელიც ჩვენზე „ივერიის“ პირველმა ფურცელმა მოახდინა.

დავიწყეთ წვრილმანებით. ამ პირველი ფურცელის ენა ერთობ შესანიშნავია, და ღირსია მიიქციოს ჩვენი მწერლობის სრული ყურადღება.

1861 წელში უფ. ილია ჭავჭავაძემ დიდი და დიუვიწყარი სამსახური გაუწია ჩვენს მწერლობას. უწინდელი ჩვენი მწერლები ხმარობდნენ მკვდარ მწიგნობრულ ენას, რომელსაც ჩვენი ხალხი ვერც კი იგებდა. ილია ჭავჭავაძემ პირველათ დაამტკიცა ის საფუძვლიანი აზრი, რომ მწერლობა იმ ენას უნდა ხმარობდეს, რომლითაც ხალხი ლაპარაკობსო, ამით მან ზურგი გაუმაგრა იმ მწერლებს, რომელთაც მასზე უწინ სახალხო ენაზე წერა დაეწყათ. „საქართველოს მოაზრების“ შემდეგ, ქართულმა მწერლობამ ერთი-ორი ნაბიჯი მაინც წინ წაადგა, და უფრო და უფრო მიითვისა სახალხო ენა, რომელიც ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამდიდრდა საქართველოს სხვა და სხვა პროვინციულ დიალექტების სინდიდრებების ჩართვით ქართულ მწერლობაში. უფ. ჭავჭავაძეს ეხლა ალბათ შეშინებია იმ მიმართულების, რომელიც თვითონვე დაამყარა. „ივერიის“ პირველ ნომერში ის უკან დახეულა ძველ მწიგნობრულ ენისკენ. დღეს ის თითქო საგანგებოთ უბრუნდება დავიწყებულ სიტყვის-წყობილებას, მიტოვებულ ფლექსიებს და უხმარ

მიმოხვრას. აიღეთ და შეადარეთ, „ივერიის“ პირველი ნომრის ენათუნდ „კაცია ადამიანის“ ენას,—და აი რას ნახავთ:

თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგათ ჩასუქებული ძველი ქართველი მრგვალი—უკაცრავათ არ ვიყო ამ სიტყვაზედ—როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალე-ბასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგავით სქელი კისერი მხრებში ჩაუჭერენია—ო დასზე. (კაცია ადამიანი).

ახლა კი უფ. ჭავჭავაძეს აი როგორ დაუწყია წერა:

ვიდრე ამ ახსნას შევუდგებით, საჭიროთ ვრაცხთ მოყინებით, რომ ნაყმეთა გარეთად ჩვენის გუბერნიის ვლენობას შეადგენენ საეკლესიო (რომელნიც ეხლა საიასოთ არის ჩარიცხულნი) და საიასო ვლენი რომელთა როგორც ეგნაზები, ისე სახნავ-სათიბი მიწები უფრო უხვად და ბლომადაც აქვსთ („ივერია“ № 1, გვ. 4).

შეადარეთ ეს ორი ენა და მიბრძანეთ—პროგრესათ ჩავთვალოთ ეს, თუ რეგრესათ, წარმატებათ, თუ უკან დახვევათ?

მწერლობის წარმატებას ყოველ ქვეყანაში ერთი და იგივე კანონი მართავს: ყოველგან მწერლობა თან-და-თან უფრო და უფრო უახლოვდება ცოცხალ ენას, და თავის გრამმატიკას ამ ენის თვისებაზედგენს, და არა ძველ ნაწერებში ეძებს. ნიჭიერი მწერალია უფ. ილია ჭავჭავაძე, მაგრამ მისი ნიჭი ვერ დაარღვევს ამ საზოგადო და საყოველთაო კანონს. ბევრათ უფრო ნიჭიერი იყვნენ რუსეთში აქსაკოვები და შიშკოვი, როცა იმათ სცადეს ძველი მწერლური ენის აღდგინება, მაგრამ ვერა გაარიგეს რა. და რადგანაც ჩვენში ნიჭი იშვიათი საქონელია, სჯობს და სასურველიც არის, რომ უფ. ჭავჭავაძემ თავისი ღონე და მეცადინეობა სხვა, უფრო სახეირო და მომავლიან შრომას მოახწიოს.

ენილამ მანერისკენ გადავიდეთ. „ივერიის“ პირველ ნომერს მიუღია „Неделя“-ს ჩვეულება—ბრტყლათ და „დამჯდარათ“ გამოთქმა სრულიად უმნიშვნელო და ყველასაგან ნაცნობი აზრებისა. იწყებ კითხვას, გგონია აი, ესეც არის გამოთქმენ იმ აზრს, რომლის გამოთქმანდი ამდენს ცერემონიას ხმარობენო, ძლივს ინელებ სიტყვების ტკაცა-ტკუცს, გადახვევ-გადმოხვევას, და ათავებ სტატიას ისე, რომ აზრი ვერც კი გიპოვია. შემოდველდა, ბატონებო, ეს მანერა. ათასნაირი ბრძნული სახე რომ მიიღოთ, ათასნაირათ რომ გაიჭინოთ და წილადობილები გამართოთ, ნაჭმე მაინც იმითი უნდა გათავდეს, რომ ახალი აზრი გამოთქვათ და დაამტკიცოთ. გამოთქვით, რალა, ეს აზრი, გვიჩვენეთ რაში მდგომარეობს, ნუ გვაწვალებთო ფიქრობს მკითხველი, და ხედავს, რომ აზრი, მერმე ახალი აზრი, არსად იპოვება. ვაცვეთილი, ბანალური აზრების ბრტყლათ გამოთქმით მწერალი მკითხველ საზოგადოებას ვერ დააკმაყოფილებს. თუ მის ნაწერში ისეთი აზრი არ მოიძებნება, რომელიც მკითხველს შუაგულ ჭკუაში გაუჯდება და ჩაებტდება, თუ ეს აზრი

ერთბაშიდ არ არწმუნებს მკითხველს ისე, რომ იმას ჰგონია ეს აზრი მე თვითონ მიჯდა თავში, მაგრამ ასე, გარკვეულად კი არ ნეჩვენებოდაო,—მწერალი ვერ მიითვისებს მკითხველის გონებას, ვერ გახდება მის მესაიდუმლე შეგობრათ და ვერ დარბაისურებს მის ნდობას და რწმუნებას. ეს იცოდეთ, ეს დაიმახსოვრეთ, და აი ხმისთანა აზრების პოვნა მოახერხეთ, თუ ვსურთ გზა გაიკაფოთ მკითხველი საზოგადოების გონებისა და გრძნობისკენ. თორემ მართო მედიდური პირის-სახით, წარბის შეღუშვით, და სიტყვის დამძიმებით მწერალი შორს ვერ წავა.

ეხლა დანიშნულებაზედაც ვთქვათ ორიოდვე სიტყვა.

„ივერიის“ პირველი ნომერის მოწინავე სტატია ამბობს:

სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება,—აი რაში მდგომარეობს ჩვენის გაზეთის პროგრამა.

ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენმა ხბომ მგელი დაიჭიროს, მაგრამ „სამეცნიერო ცნობათა გადმოტანას“, სამეცნიერო ცნობათა ცოდნა სჭირია, და არა ამგვარი სიტყვის რახა-რუხი:

მეცნიერება სალაროა, სადაც აწყვია უკეთესი განძი ადამიანის უკეთესი ჭკვითა და გრძნობით მოპოებული; იგი უდიდესი ტაძარია, საცა დაყუდებულია დიდებული სატი კაცობრობისა, ადამიანთა ჭკვითა და გულთა ძვირფასი თვლებით შექვილი, განუქრობლათ ანთია უმშვენიერესი ხომლი ადამიანის ჭკვითა და სულით ანთებულისა ჰეშმარტებისა.

ამ გვარი ფრაზებით ბებია ჩვენის დროს „აკვირებდა ხალხს“ განსვენებული მარლინსკი. ფრაზები შემოდველდენ. ეხლა მკითხველი აზრს თხოულობს, ახალს, მარჯვე, სწორ აზრს, და არა ფრაზას. მართლა რომ იცოდეთ თქვენ მეცნიერება რაა, ამგვარ ფრაზებს როდი დასწერდით, ამიტომ რომ ამნაირი ფრაზები ნოსპო და მოკლა მეცნიერებამ, რომელიც თხოულობს ფაქტს და იმ ფაქტზე დამყარებულ აზრს, და არა სიტყვების სრულიად უმნიშვნელო კრიტიკის.

რამოდნათ ნაძღვლია „ივერიის“ პირველი ნომრის პრეტენზია გვინდა მეცნიერულ გზას დავადგეთო, გვიჩვენებს სტატია „ტფილისის გუბერნიის ეკონომიური ღონე რის ნაკლებ არ უნდა იყოს“ (?). თუ ენაგრე სცოდნია „ივერიის“ მეცნიერ რედაქციას სტატისტიკის ხმარება, თუ ემაგრე იხმარა იმან მეცნიერების „განძი“,—გაკეთებულა ჩვენში მეცნიერების საქმე! ჩვენ იშვიათათ წავგვიკითხავს ამ სტატიაზე უფრო უმეცარი რამ, მაგრამ, რადგანაც „ივერიის“ ათიოდე ნომრის გამოსვლის შემდეგ ვაპირებთ მისი „მეცნიერების“ ერთბაშით გასინჯვას, ამის განო ეხლა ჩვენ ამ სტატიის დაწვრილებით როდი განვიხილავთ.

რაკი მეცნიერებაზე ჩამოვადგეთ ბაასი, უნდა შევნიშნოთ, რომ „ივერიის“ პირველ ნომერს ვერ გაცოუჩენია საკმაო მეცნიერება, როცა

ის აზრი გამოუთქვამს, ვითომ მარტო დაცემულ საზოგადოებაში ჰქონდეს მწერლობას „ერთმანეთის ლანძღვის და თრევის ხასიათიო“. დაცემული როდი იყო ვოლტერის დრო და საზოგადოება, მაგრამ ლანძღვა და თრევა თუ გინდათ, ჩაიხედეთ მის ნაწერებში. ლეინეს დრო და საზოგადოება აგრეთვე დაცემული არ იყო, აბა ლანძღვა და თრევა მის ნაწერებში მოიკითხეთ. გაიხსენეთ აგრეთვე ბოკლი და ბაირონი, ვაქტორ ჰიუგო და ბორნე, არმან კარელი, დობროლიუბოვი, ლერცენი და ლას-სალი. და გამოტყდით, რომ თქვენზე ნაკლები არც ერთი მათგანი არ ყოფილა, თუნც ლანძღვაში და თრევაში ისინი დიდი ღარდმანდები იყვნენ. არც მეცნიერების ნიშანია აგრეთვე, აი ამ აზრის გამოთქმა:

(მწერალმა მოპირდაპირეს თავის აზრი) ისე უთხრას, რომ არ შეუფერხოს, არ შეუტაცს-ჰყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვეოს ის ძვირფასი და უკუდესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის ნეონებთაც იგი თავის-თავს კაცად სცნობს და აღიარებს.

ერთი რომ, ეს ფრაზების შედრეგანი „ივერიის“ უნდა უძღვნას „გამოცანების“ დანწერს „ჩატეხილ ხიდზე“, „მსუნაგზე“ და სხვ. მეორე რომ, როცა კაცი თავისი საკუთარი მოქმედებით და ხასიათით თვითონ იგივეებს და უარჰყოფს კაცობრიულ გრძნობას, მაშინ მის მოწინააღმდეგეს სრული უფლება აქვს დაივიწყოს ის, რაც დავიწყებული აქვს თვითონ მეპატრონეს. მესამე რომ, მწერლობისთვის „ივერია“ ახალ კანონებს ვერ დააარსებს: რაც სხვა მწერლობაში ნიადაგ ხდება, იმას ვერც ჩვენ ავცილდებით. მიბრძანდით და ჰკითხეთ უფ. კოკორეცს, შეუხებელი თუ დასტოვა მასში დობროლიუბოვმა „კაცობრიული გრძნობა“, „ძვირფასი ზნეობითი კანონი“ და სხვა. მიაკითხეთ ამაზედვე იულიან შინიტს ან შულცე-დელიჩს, სან-ბეგს, ან ვირარდენს ან ათას სხვა მწერლებს, რომელთაც მოხვედრიათ პოლემიკის წიარე მოლტი. ან დასმიათ კრიტიკის აუხოცავი დადი... როცა გამეცნიერდეთ, ამავების შეტყობით, მობრძანდით, და ამავი მე მიბრძანეთ.

პუბლიცისტური ძხრით „ივერიის“ პირველი ნომერი წარმოგვიდგენს უფრო სანუგეშო მოვლენას. სტატია „ცხოვრება და კანონი“ იწყება ჩინებულათ. შიგ ორიოდ გონიერი აზრია გამოთქმული, და თუმც ახალი არა რაა ამ აზრებში, მაგრამ სტატია მაინც ყურადღების ღირსია. როცა ეს სტატია დაბოლავდება, ჩვენ უეჭველად გავაცნობთ მკითხველებს მის შინაარსს. ეხლა კი ორს რასმე ვისურვებთ: პირველათ იმას, რომ ეს სტატია ისე კარგათ დაბოლოვდეს, როგორც დაწყებულია, და მეორეთ, რომ ამისთანა ხეირიანი სტატიები ხშირათ იბეჭდებოდენ „ივერიაში“.

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ „კაცია ადამიანის“ და „გლეხების გათავისუფლების სცენების“ დამწერი „ივერიის“ ხეირიანი მოთხრობებით

და ფელეტონებით შეამკობდა. „ივერიის“ პირველმა ნომერმა ეს იმედი ვერ გაგვიძარღლა. ფელეტონი „კარგი რამ მქირდეს გიკვირდეს, ავირა საკვირველია“ ერთობ სუსტი და უკბილოა, ნეტა ვინ ან რამ ჩამტერია კბილები მის დამწერს? დიდი სურვილი კი ჩარჩენია გულში კბენის, მაგრამ შადა და მისი დაკმაყოფილება ერთი როდია. რაც შეეხება „ქალაქის სცენებს“, გვიკვირს, უფ. ილია ჭავჭავაძეს როგორ მისცა თავის გაზეთში ალაგი ამისთანა ყოვლად უნიჭო და უნიშვნელო ვითომ სურათს ხალხის ცხოვრებიდან!

ნებას ვაძლევ ჩენს თავს ერთი რჩევა მივსცე უფ. ჭავჭავაძეს. რასაკვირველია, იმას სრული უფლება აქვს მიიღოს ან უკუთავდოს ეს რჩევა. მისი პირველი ნომრის გასინჯვა მარწმუნებს, რომ თათქმის მთელი ეს ნომერი, ორი სუსტი სტატიის გარდა, მისი დაწერილია, თავიდან ბოლომდე. კარგათ დარწმუნდეს, რომ „ივერიის“ რედაქციაში ლიტერატურული ძალა არ მოიძიება, გარდა თვითონ ილ. ჭავჭავაძის ძალისა, და იმედი იქონიოს მარტო თავის თავისა. ნუ დააძალებს თავის ნიქს, ნუ მოთხოვს იმას იმისთანა რასმე, რისიც მოკვმა მის ნიქს არ შეუძლია. მიატოვოს იქით მეცნიერება, ფილოსოფია, მაღალი ფრენა: ამაებში უნებრო ფრაზების მეტს მისი ნიჭი ვერას მოგვცემს. მიუბრუნდეს ისევ მთახრობებს, ბელეტრისტიკას, — ამ მხრით მისა ნიჭმა დიდი დავალება დააღვა ჩვენს მწერლობას, და იქნება კიდევ შეძლოს ახალ დავალების დაღება. მიუბრუნდეს საკუთარ დაკვირვებას, მოგონებას, და თუ მოთხრობების წერა ეინელება, გვიწეროს იმისთანა სტატიები საკუთარი მსაჯულის პრაქტიკიდან, როგორც სტატია „ცხოვრება და კანონი“. ამით „ივერიის“ ნიშნენლობაც შეეძინება და მკითხველებიც, და მაშინ ეს გაზეთი ნამდვილ სარგებლობას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას და ხალხს. ნუ ერიდება მუშტი-კრივს, ნუ მიაქცევს ყურადღებას გარეგან შეხედულებას, და ნუ დაივიწყებს, რომ ხანგრძლივია მარტო შინაგანი ძალა, მარტო დედა-აზრი. დაიჯეროს ეს ჩემი გულწრფელი რჩევა: დარწმუნებული ვარ, ჩვენი მწერლობის მოწავალი მემატიანე იტყვის შემდეგში, რომ ეს რჩევა გონიერი და გულწრფელი ყოფილაო.

ნ. ნიკოლაძე

„დროება“ 1877 წ. № 26

პირობი თუშანიშვილი

ზარხანდელ ქართულ მწერლობის გადათავალიძრება

ამ უკანასკნელ ორ წელს მოემატა სიცოცხლე საზოგადოდ ქავკასიელ და აეტად ჩვენ მწერლობას. ორი რუსული გაზეთია, რომელნიც